



ფონდი და სამოგებადოება - საქართველო  
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

## სოციალურ მაცნეორეგარა სირია

ლალი სურანიძე

# ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები

(თაორიული მოდელები და  
ემარიული კვლევები)

დაშვებულია დამსმარე სახელმძღვანელოდ  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „ნეკერი“

თბილისი

2001

მადლობას კუნძი ფონდი “ლია საზოგადოება — საქართველოს”, სოციალური მეცნიერებათა დახმარების პროგრამისა და მის მეცნიერებას, აგრეთვე ბატონიებს — გადა წიუარაბეს და ალექსანდრე გასპარიშვილს დახმარებისა და ხელშეწყობისთვის.

სერიის მთავარი რედაქტორი

მარინე ჩიტაშვილი

რედაქტორი

ლია კაჭარავა

გარეკანის დიზაინი

ივანე კიკნაძე

დაკაბადონება

გიორგი ბაგრატიონი

კორექტორი

ნანა ჩავლევიშვილი

© ფონდი „ლია საზოგადოება — საქართველო“, 2001

ISBN 99928-58-44-3

# ს პ რ ჩ 0 3 0

შესავალი .....	6
<b>თავი 1. კულტურა — მეცნიერული კვლევის ობიექტი</b>	
§ 1. საზოგადოება და კულტურა .....	10
§ 2. კულტურის შესწავლა და ინტეგრაციური მიდგომა .....	18
§ 3. პარადიგმა, პოლიზმი და სისტემური მიდგომა .....	23
§ 4. იდენტურობის ცნება და კულტურა .....	26
§ 5. კულტურული კონტექსტის ტიპები .....	32
<b>თავი 2. როგორ ვიკვლიოთ კულტურა?</b>	
§ 1. მსგავსება თუ განსხვავება	
(უნივერსალური და სპეციფიკური) .....	39
§ 2. კულტურის საკვლევი მიდგომები: etic და emic .....	39
§ 3. მკვლევარი და ეთნოცენტრიზმი .....	42
§ 4. შესაძლებელია ვალიდური შედარებით-კულტურული გამოკვლევა? Werner,Campbell-ის მეთოდი .....	43
§ 5. ინდიგენიზაცია — “შევხედოთ კულტურას მისივე მეცნიერების თვალით” .....	45
§ 6. კვლევის ინდიგენური emic-ური მეთოდები .....	49
§ 7. რას უნდა ვითვალისწინებდეთ კროსკულტურული კვლევის ჩატარებისას? .....	53
<b>თავი 3. რით და როგორ დავახასიათოთ კულტურა?</b>	
§ 1. ღირებულებები—რატომ ვსწავლობთ მათ? .....	58
§ 2 ღირებულებათა გაზიმვა: მეთოდი და სპეციალური კროსკულტურული პრობლემები .....	60
§ 3. ანალიზის დონეები ღირებულებათა შესწავლაში .....	61
§ 4. რატომ იკვლევენ კულტურის შესასწავლად პიროვნებას .....	62
§ 5. რით მსჯელობენ სხვადასხვა კულტურის ნარმომადგენლებს შორის განსხვავებაზე? .....	63
§ 6. პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მახასიათებლები .....	71

## თავი 4. “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი”—

### თანამედროვე კონცეფციები

§ 1. კულტურის განზომილებები.....	81
§ 2. Hofstede-ს მოდელი: ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი — კულტურული განზომილება.....	82
§ 3. Triandis-ის კონცეფცია — სუბიექტური კულტურა და კულტურული სინდრომი.....	86
§ 4. Hofstede-ს კონცეფციის შემდგომი დამუშავება.....	100
§ 5. Fiske-ს კონცეფცია სოციალურობის ფორმების შესახებ ..	102
§ 6. Schwartz-ის კონცეფცია — ღირებულება.....	106

## თავი 5. პიროვნება და კოლექტივისტური/

### ინდივიდუალისტური კულტურა

§1. ადამიანი, როგორც კულტუროლოგიური პრობლემა.....	117
§2. პიროვნების კულტურული მოდელები და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” .....	124
§ 3. “ვის უკეთ იცნობ?” ანუ ვის ადარებს ადამიანი თავის თავს .....	128
§ 4. “ავტოპორტრეტი” — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი .....	129
§ 5. “სხვების პორტრეტი” — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი .....	133
§ 6. “სხვები” და კულტურული კონტექსტი .....	134
§ 7. თვითპატივისცემა (ანუ ვინ უფრო მეტად სცემს პატივს თავის თავს — ინდივიდუალისტი თუ კოლექტივისტი?) .....	141
§ 8. ემოციები და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” .....	142
§ 9. ვინ უფრო მეტად და როგორ შეფოთავს? .....	147
§ 10. ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი .....	149
§ 11. კოლექტივისტის პორტრეტი (ფილიპინელი კოლექტივისტი).....	151

<b>თავი 6. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურის თავისებურებები</b>	
§ 1.პროექსემიკა — დისტანცია და “ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი” .....	159
§ 2. რისკერ მიერჩით გული ინდივიდუალისტებს და კოლექტივისტებს? .....	163
§ 3. დასავლური სამყარო და ინდივიდუალიზმი .....	164
§ 4. ეროვნობრძობა და კოლექტივიზმი .....	166
§ 5. აღზრდის მოდელები ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებში .....	168
§ 6. სიყვარული, ქორწინება და “ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი” .....	177
§ 7. მოდერნი და ტრადიცია .....	179
§ 8. ეკოლოგია და სოციოკულტურული კონტექსტი .....	181
§ 9. ორგანიზაციის მართვა და “ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი” .....	184
§ 10. განათლება და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” .....	188
§ 11. კორუფცია და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” .....	191
§ 12. დაავადებები და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” ....	195
<b>თავი 7. კულტურათა დიალოგი</b>	
§ 1. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურის ზოგადი დახასიათება .....	202
§ 2. კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა .....	209
§ 3. კომუნიტარიანიზმი .....	211

## მესავალი

სოციალურ მეცნიერებათა მრავალრიცხოვან სპექტრში არსებობს ერთადერთი მთავარი თემა — ადამიანი და ადამიანთა საზოგადოებები. სწორედ ეს თემა მუდმივი შესწავლის, დაკვირვების, გააზრების, შემეცნების ობიექტი. ამ გზაზე სოციალური მეცნიერების ყოველ სფეროს თავისი ისტორია, ხედვის კუთხე, შეცდომები, უკმარისობები და მიღწევები აქვთ.

იმის მიუხედავად, რომ ამ მრავალრიცხოვან თვალსაზრისს საკუთარი კერძო ინტერესები, მეთოდები და საინტერპრეტაციო მოდელები აქვს, ყოველი მათგანი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მონათესავე სფეროთა შემოჭრით, ადამიანისა და საზოგადოების ფუნქციონირების კანონზომიერებათა გაგებით იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად მოიცვას ეს პრობლემა.

ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები არ ნარმოადგენს რომელიმე ერთი მეცნიერების სუბდისციპლინას — ეს პრობლემატიკა ყალიბდებოდა სოციალური მეცნიერების ბევრ სფეროში — ეთნოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, ზოგად და სოციალურ ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში. კონცეპცია "ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის" ინტერესის საგანი იყო სოციალური, ქცევითი და ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა სფეროში (რელიგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკის ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვ.). ჯერ ეკიდევ ძეველ ბერძნებთან გვხვდება კოლექტივიზმის თემა პლატონის "ისტორიაში", ხოლო ინდივიდუალისტური დებულებები — სოფისტებთან; ეს ინტერესი საუკუნეების მანძილზე თან გაპყვა კაცობრიობას და თავს ავლენდა იდეების, პოლიტიკისა და ეკონომიკის, რელიგიის, ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიის ისტორიაში.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ინდივიდუალიზმის სათავეები და მისი განმტკიცება უფრო იძებნება დასავლურ ევროპულ აზროვნებაში, ხოლო კოლექტივიზმისა არა მარტო დასავლურ, არამედ აღმოსავლურ აზროვნებაშიც, განსაკუთრებით კი რელიგიურ მსოფლმხედველობაში.

ინდივიდუალისტური ორიენტაციები დასავლეთში თავს იჩინს მე-16 საუკუნიდან, ინდივიდუალისტური ოჯახური სისტემა გავრცელებული იყო აღრე მოდერნისტულ პერიოდში. ნაშრომებს ინდივიდუალისტურ ირიენტაციათა შესახებ ვხვდებით პრეინდუსტრიულ სამხრეთ ამერიკაშიც. დასავლურ სამყაროში ინდივიდუალისტურ მახასიათებლთა ეს ისტორიული ნანამძღვრები ანალიტიკოსებს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩინათ.

ამის საპირისპიროდ, კონფუციანელთა მოძღვრება აღმოსავლეთში განადიდებდა სიქველეს, რომელიც გულისხმობს ადამიანთა

ურთიერთობებში თანაზიარობას, სამართლიანობას და უფრო-სისადმი პატივისცემას. კოლექტივიზმის გამამყარებელი ასეთი სო-ციალური მორალი ახასიათებს სხვა აღმოსავლურ რელიგიებსაც და ფილოსოფიასაც (დაოზმი, ბუდიზმი, ინდუიზმი, სინტოიზმი).

არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე იმ ფაქტის დატოვება, რომ სა-ზოგადოების კოლექტივისტური ორიენტაცია და, საერთოდ, ცხოვ-რების წესი, კაცობრიობისთვის გაცილებით უფრო რეპრეზენტა-ტიულია, ვიდრე ინდივიდუალიზმი, თუ გავითვალისწინებთ მის უფრო ხანგრძლივ დროით პერსპექტივას და სივრცით განვენილო-ბას სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ქვეყანაში.

ცნობილი მცენოევარი, ა. გურევიჩი თავის მონოგრაფიაში შეა-საუკუნეების კულტურის კატეგორიების შესახებ აანალიზებს ქრის-ტიანული ევროპის მსოფლადების ძირითად კატეგორიებს და ავ-ლენს შესასუკუნების დროინდელი დასავლური საზოგადოების გამოკვეთილ კოლექტივისტურ ორიენტაციას. ამ საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრება განიხილება ეთიკურ პლანში, მის დანიშნულე-ბად მიჩნეულია ლეთის — ნორმის შემქმნელის ნინაშე მოვალეობის შესრულება; ადამიანი მიისწრაფის საზოგადოებაში არსებული ეტალონის შესატყვისობისკენ. ადამიანის შინაგანი ბუნება, ქცევის ნორმები და უფლებები კორპორაციულია; ადამიანის უფლება — კორპორაციის წევრის უფლებაა და არა ინდივიდისა; მისი ქცევა სო-ციალური ნორმატიულობითაა განსაზღვრული, ხოლო ლირებულება — საზოგადოების საყრდენად მიჩნეულ რელიგიურ ფასულობებ-თან მისი შესატყვისობით; სოციალური როლი ადამიანს კარნახობს ქცევის „სცენარს“, ამიტომ ინდივიდუალობა შერწყმულია სო-ციალურ როლთან (Гуревич А.Я. 1984; გვ. 155).

ამრიგად, კოლექტივისტური ორიენტაციით არსებობა — ფუნ-ქციონირების ტრადიცია დასავლური კულტურისთვისაც დამახ-ასიათებელია; თანამედროვე პერიოდში ამის დასტურია ესპანეთი, ალბანეთი, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები.

დღეს კაცობრიობა იზიარებს კოლექტივიზმის ბევრ ასპექტს. დასავლეთშიც კი, სადაც ინდივიდუალიზმი ყველაზე მეტადაა გავრცელებული, ეთნიკური უმცირესობები და დაბალი სოციოეკო-ნომიკური სტატუსის მქონე სოციალური ჯგუფები კვლავ კოლექტივიზმისკენაა მიღრებილი.

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ცნებები ტრადიციუ-ლად შემდეგნაირად არის გაგებული:

1. კოლექტივიზმი, მოცემული მიდგომის ფარგლებში, ეთნი-კური პრინციპია, რომელიც გამოხატავს საერთო ინტერესების პრი-ორიტეტს პიროვნულ ინტერესებთან მიმართებაში და უძირის-პირდება ინდივიდუალიზმს (Социологический энциклопедический словарь; 1998; გვ. 128).

2. ინდივიდუალიზმი წარმოადგენს მსოფლმხედველობრივ პოზიციას, ქცევის პრინციპს, რომელიც ინდივიდს აბსოლუტური ღირებულების ხახით განამტკიცებს; ხასიათდება ინდივიდუალური ინტერესების პრიმატით კოლექტივისტურთან მიმართებაში (იგივე; გვ. 101).

თანამედროვე მეცნიერებაში ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის თემა კვლავ აქტუალური გახდა 70-იანი წლებიდან, როცა აშშ-ში გაჩადა მომძლავრებული ინდივიდუალიზმის კრიტიკა. მკვლევართა დიდი უმრავლესობა ემზრობოდა იმ აზრს, რომ დასავლურ და, კერძოდ, ამერიკულ საზოგადოებაში არსებული წარმოდგენა Self-ისა ("თვითონ") და მისი შესაძლებლობების შესახებ გადაჭარბებულია; ის ესმით, როგორც სიცოცხლის არსი და მიზნის საწყისი, ამიტომ მისგან ძალზე ბევრს მოვლიან; ადამიანის ცხოვრება დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, როცა ის ხელმძღვანელობს ამ წარმონაქმნის განმადიდებელი ღირებულებებით.

ეს კრიტიკა შემთხვევითი არ იყო, რადგან ადამიანის შესწავლით დაინტერესებული მეცნიერებები ავლენს ადამიანური ორიენტაციის ნაირგვარ გამოვლინებას თავის თავთან და სხვასთან მიმართებაში.

თანამედროვე ეტაპზე "ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის" მკვლევართაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბრიტანელი მეცნიერი Berry აღნიშნავს, რომ ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის გაგება ამ მიმართულებაში უახლოვდება gesellschaft-ისა და Gemeinschaft-ის ტიონისისეულ გაგებას (სიტყვასიტყვით — "საზოგადოება"). ტერმინით gesellschaft- ტიონისმა აღნიშნა ურთიერთობის ტიპი, რომელიც უფრო აშკარად ქალაქებში ვლინდება. ეს ურთიერთობები უსახო და ანგარიშიანია და ეყრდნობა ურთიერთობაში მონაწილე პიროვნებების მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს; ურთიერთობები ზედაპირულია, ურთიერთობათა მონაწილეებმა კი ხშირად ერთმანეთის არც ბედი იციან და არც სოციალური მდგრამარეობა.

Gemeinschaft—ისეთი ურთიერთობების ტიპია, რომელიც ახასიათებს თემს, კერძოდ, ინდუსტრიამდელი ეპიქის ხასოფლო თემს. ამ ურთიერთობებს ახასიათებთ მონაწილეთა სულიერი სიახლოვე და ურთიერთმიჯაჭვულობა, ურთიერთქმედების საერთო ჯაჭვისა და საკუთარი. ადგილის ცხადი ცნობიერება და საკუთარი მდგრამარეობის გარკვეულობის ღრმა შეგრძნება. ამ ტიპის ურთიერთობები პოლისტურია ანუ ორიენტირებულია სოციალურ სტრუქტურაზე იმ აზრით, რომ ადამიანური არსების ყველა მხარეს ეხება; მათთვის დამახასიათებელია მონაწილეთა პოზიციების სიახლოვე და მათ შორის პირდაპირი ურთიერთობა.

თანამედროვე ეტაპზე განზომილება "ინდივიდუალიზმი — კოლექტივიზმი" კულტურების საკვლევად ყველაზე უფრო გავრ-

ცულებულია (Triandis 1990, 1995); მიდგომა “ინდივიდუალიზმი /კოლექტივიზმი”, თავისი თეორიულ-ემპირიული კონცეპტუალური აპარატით, მიიჩნევენ თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში ერთ-ერთ წამყვან პარადიგმად. და ეს შემთხვევითი არაა. ამ პრობლემას ეძღვნება კულტურის კვლევასთან დაკავშირებული თანამედროვე პუბლიკაციების დიდი ნანილი ხოლო ბოლოფრონინდელი გამოკვლევების 1/3, კულტურის ცნობილი მკვლევრების Hui-სა და Le-ს მონაცემებით, ეყრდნობა კონსტრუქციას — “ინდივიდუალიზმი /კოლექტივიზმი” და, ანალიტიკოსთა აზრით, საკულევი კულტურული განსხვავებების ნაწილობრივ ახსნას მაინც იძლევა.

Berry—ს თქმით, შთამბეჭდავი წარმატებების მიუხედავად, რომელიც მოჰყვა კულტურათა შესწავლას ამ კონსტრუქტზე დაყრდნობით, მეცნიერულ მიზეზებს შესაძლოა არც კი გამოეწვია ასეთი აღმავლობა, რომ არა დროის სული და კულტურათა დიალოგის, მრავალრიცხოვან კულტურათა მსოფლიო საზოგადოებრიობაში ახლებური ინტეგრაციის და სხვა აქტუალური პრობლემები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობასთან. დღეს ამ კონსტრუქციის მიმართ გაძლიერებული ინტერესის მიზეზად მიიჩნევა მისი ამხსნელი შესაძლებლობები, მაგალითად, განსხვავებული ეკონომიკური განვითარების ახსნა სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში და ქცევათა პროგნზირების შესაძლებლობა ფართო სპექტრში. იგი ავლენს არა მარტო კულტურათა შორის განსხვავებებს, არამედ კულტურათა შიგნით ვარიაციებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებაში “ინდივიდი-ჯგუფი” განსხვავებების ასახსნელადაც.

კოლექტივისტურ საზოგადოებებს მიაკუთვნებენ ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოებების უმრავლესობას, აგრეთვე სამხრეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, აზიური და აფრიკული კულტურების უმრავლესობას.

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმისა ცნობილ თანამედროვე მკვლევართა — J. Berry-ს, G. Hofstede-ს, H. Triandis-ის და სხვათა აზრით, კულტურის ორიენტაციაში სოციალურ ჯგუფზე ან პიროვნებაზე, ასახება კულტურათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებები.

**ინდივიდუალიზმი** — კონცეფცია, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს პირად მიზნებს ჯგუფის მიზნებთან შედარებით.

**კოლექტივიზმი** — კონცეფცია, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ამათუ იმ ჯგუფის (როგორც წესი, ოჯახის ან სამსახურეობრივის) მიზნებს პირად მიზნებთან შედარებით.

## თავი 1.

### კულტურა — მეცნიერული პოლიტიკის ობიექტი

#### § 1. საზოგადოება და კულტურა

არსებობს საზოგადოებისა და კულტურის მრავალი განმარტება.

“საზოგადოება (სოციეტი) — ეს არის კონკრეტულ სივრცეში არსებულ ყოველგვარ ურთიერთობათა სოციალური ჯამი. საზოგადოებას უზოდებენ სხვადასხვა დონის სოციალურ ერთობებს. ყველაზე ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება ეროვნულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რამდენადაც მიიჩნევა, რომ სწორედ სახელმწიფოს საზღვრებში ყალიბდება გამოცალევებული და თვითმყოფადი საზოგადოება. სხვათა შორის, აზრიანია ისიც, რომ საზოგადოება ენიდოს მთელ კაცობრიობას, როგორც პიროვნება-თაშორის ურთიერთობებს, მთლიანად”.

ამგვარად, საზოგადოების ცნება უშუალო კავშირშია კულტურისა და ეროვნულობის ცნებებთან. ინდივიდის თვისებები, გარკვეული აზრით, სოციალურ ინსტიტუტთა კულტურის შედეგიცაა. ინდივიდი საზოგადოებაში ფიქსირებული მოდელის შესატყვევისად ვითარდება; მაგრამ არ არსებობს საზოგადოება მისი შემქმნელი ინდივიდების გარეშე, სწორედ მათი წყალობით არსებობს, ცოცხლობს და ინახავს საზოგადოება თავის კულტურას. მეტიც, ბიოლოგიურიც კი საზოგადოებაში სპეციფიკურად ვლინდება და გაიგება; ეთნოლოგებმა დიდი ხანია თქვეს, რომ სხვადასხვა ხალხი ბიოლოგიურ აქტებსაც სხვადასხვაგვარად განახორციელებს, მაგალითად, უქსტები, თავის დაჭერის მანერა, მოძრაობის სტილი, სქესობრივი აქტი, ავადმყოფობა, სიკვდილი და ა.შ. ყველა საზოგადოებაში თავისებურია.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის — ენტონი გიდენსის აღნიშვნით, კულტურის ცნება ისევე, როგორც საზოგადოების ცნება, ყველაზე ხშირად გამოიყენება სოციოლოგიაში. კულტურა მოიცავს ლირებულებებს, ნორმებს და ამ კულტურის მატარებელთა მიერ ნარმოებულ მატერიალურ სიექთებს. და მიენერება საზოგადოების ნერთა მთელი ცხოვრების წესს. იგი მოიცავს ჩაცმის მანერას, საქორნინო რიტუალებსა და ოჯახურ ცხოვრებას, შრომით საქმიანობას, რელიგიურ ცერემონიებსა და თავისუფალი დროის გატარების თავისებურებებს, აგრეთვე ადამიანის ხელით შექმნილ და მათვის ღირებულების მქონე საგნებს.

გიდენსი იმასაც მიუთითებს, რომ კულტურის ცნება შეიძლება გაიმიჯნოს საზოგადოების ცნებისგან, მაგრამ ამ ორ კონცეფციას

შორის უმჭიდროესი კავშირია. "საზოგადოება" გულისხმობს ურთიერთებების სისტემას, რომელიც აკავშირებს საერთო კულტურის მქონე ინდივიდებს — ვერც ერთი კულტურა ვერ იარსებებს საზოგადოების გარეშე, მაგრამ ვერც ერთი საზოგადოება ასევე ვერ იარსებებს კულტურის გარეშე (Гиденс ვ. 1999; 43-44).

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით აღნიშნავენ კრიზისს სოციოლოგიაში, რასაც უკავშირებენ "საზოგადოების" ცნების კრიზისაც. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ცნობილი თანამედროვე ფრანგი სოციოლოგის — ალენ ტურენის თვალსაზრისი.

იგი აღნიშნავს, რომ სოციოლოგია გაჩნდა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზის განსაკუთრებული ფორმა. კლასიკურმა სოციოლოგიამ საზოგადოებრივი სისტემა წარმოადგინა, როგორც მოძრაობა ტრადიციიდან თანამედროვეობისაკენ, რჩმენიდან — რაციონურენ, აღდგენიდან — წარმოებისკენ, ადამიანთა ერთობლიობებიდან — საზოგადოებისკენ. ამის შედეგად საზოგადოება აშერად გაიგივებული აღმოჩნდა თანამედროვეობასთან, ხოლო ისტორიის მოქმედ პირებს განიხილავდნენ ან პროგრესის აგენტებად, ან მის მონინაალმდეგეებად. ტურენის თვალსაზრისით, ელასიკური სოციოლოგიის ხსნებისთანავე ირიბად ვგულისხმობთ მასთან დისტანცირებასაც; ცნებებს — "საზოგადოება" და "სოციალური სისტემა" იგი "ძალზე ბუნდოვან სიტყვებს" უწოდებს (Турен А. 1998 გვ. 6). კრიზისი ვლინდება სისტემის ანალიზსა და მის მოქმედ პირებს შორის შეუსატყვისობაშიც და ინსტიტუტისა და სოციალიზაციის ცნებების ურთიერთებაშებლად გამოყენებაშიც. მისი აზრით, კლასიკური სოციოლოგიის კრიზისი ვლინდება მოქმედი სუბიექტის პროტესტში იმის ნინაალმდეგ, რომ მას განიხილავენ საზოგადოებრივი სისტემის ნაწილად და მონაწილედ; ამიტომ მოქმედმა სუბიექტმა "საკუთარი თავის განხილვა დაინტყო თავის საკუთარ ისტორიასა და განსაკუთრებულ კულტურასთან, და არა თანამედროვეობასთან კავშირში", ასე კი საზოგადოების მოქმედი პირი და თვით საზოგადოება აღმოჩნდა ერთმანეთთან დაპირისპირებული იმის ნაცვლად, რომ ურთიერთებესატყვისი ყოფილიყო. ტურენი მიუთითებს, რომ 80-იანი წლებიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გაბატონებული წარმოდგენა უკვე აღარ არსებობს. ამიტომ ჩრდება საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ კლასიკური წარმოდგენის ახლით შეცვლის აუცილებლობა, რაც, პირველ რიგში, თავისი ისტორიისა და კულტურის მქონე აქტიური სუბიექტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს; ამისთვის კი აუცილებლად უნდა მიემართოთ ისტორიულობის ცნებას, რაც მას ესმის, როგორც საზოგადოების მიერ თავისი თავის კონსტრუირების უნარი კულტურულ მოდელებზე დაყრდნობით. ტურენი აღნიშნავს, რომ "ტრადიციულ საზოგადოებებში", სადაც

დომინირებს სოციალური და კულტურული კვლავწარმოების მექანიზმები, ისტორიულობისკენ მონოდებას საომარი ხასიათი აქვს და ინფიციდს ჩართავს “პროგრესისტულ” და განმათავისუფლებელ მოძრაობებში; თავის თავზე ზემოქმედების უნარის მქონე და მმართველი პარატების შთანმთებელი ძალაუფლების მორჩილ “თანამედროვე” საზოგადოებაში კი ისტორიულობისადმი მონოდება, პირიქით, აღარ ნიშნავს საზოგადოებრივ სისტემაში მონანილეობას, არა მედ — მისგან გათავისუფლებას და დისტანცირებას; უნდა “დაბრუნდეს სუბიექტი”, რადგან სწორედ სუბიექტია მოქმედი პირის სახელი, თუ იგი განიხილება ისტორიულ ჭრილში და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი ნორმატული მიმართულების შექმნისას ასპექტში (Tureh A. 1998 5-11).

დლევანდელ ეტაპზე სოციალურ სფეროში ამ მიზეზების გამო ძალზე ხშირად ცნებები — “საზოგადოება” და “კულტურა” იგივეობრივად გამოიყენება.

ძნელი ნარმოსადგენია ისეთი გავრცელებული და ხშირად გამოსაყენებელი ტერმინი, როგორიცაა “კულტურა”. სოციოლოგების გამოთვლით, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში კულტურის 250-მდე განსაზღვრება არსებობს.

ეთნოლოგიაში კულტურის ცნება მოიაზრებს მოცემული ეთნოსის შემქმნელ ადამიანთა ერთობლიობას. ასეთი გაგებით, კულტურა გულისხმობს საზოგადოებას მთლიანად და მათ შორის ეთნოსაც. კულტურაში იგულისხმება ის სტრუქტურა, რომელიც ამთლიანებს მოცემულ საზოგადოებას და იცავს მას დაშლისგან. ასეთი თვალსაზრისით, კულტურა ადაპტიურ სისტემად განიხილება, ხოლო ეთნოსი ნარმოგვიდგება, როგორც გარკვეული კულტურის მატარებელი საზოგადოება. ამ შემთხვევაში კულტურა გაიგება სპეციფიკური (ეთნოლოგიური) აზრით, “როგორც ფუნქციონალურად განპირობებული სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია აშკარად გამოხატული თვითშენარჩუნების მექანიზმები ცვალებად კულტურულ-პოლიტიკურ პირობებში, რაც ხელს უწყობს როგორც თავისი წევრების გარე—ბუნებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ გარემოცვასთან ადაპტაციას, ისე გარე რეალობის მიგუებას თავის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან” (Plyre C. B. 1998 გვ. 42).

უნდა აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოკური განსხვავებების საფუძვლად ყველაზე ხშირად სწორედ კულტურის ფაქტორს მიიჩნევენ.

“ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” თანამედროვე კონცეპცია ეყრდნობა ჰერსკოვიჩისა და რონერისეულ კულტურის გაგებას, ასევე — Tafel-ის სოციალური იდენტურობის თეორიისა და სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებს.

კულტურის პერსკოვინისეული საკმაოდ ფართოდ გავრცელებული განმარტება იმავდროულად ყველაზე მოკლე განმარტებადაც მიიჩნევა: "კულტურა — ესაა ადამიანის გარემოცვის ის ნაწილი, რომელიც ადამიანების მიერდეთ, კულტურა მოიცავს არა მარტო ადამიანის ხელით შექმნილ მატერიალურ ობიექტებს (სახლი, სატრანსპორტო საშუალებები), არამედ სოციალურ ინსტიტუტებსაც — ქორნინება, განათლება და სხვ. ანუ ადამიანური მოღვაწეობის სულიერ პროდუქტებსაც (ცხადია, რომ კულტურის დაყოფა სულიერ და მატერიალურ პროდუქტებად მეცნიერული აბსტრაქციამ მხოლოდ, რამდენადაც ყოველი მატერიალური საგანი შექმნამდე ჯერ "იდეად" უნდა იქცეს ცნობიერებაში და მხოლოდ შემდეგ ეძლევა მას სხვა ადამიანებისთვის მისაწვდომი ფორმა).

"ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის" მომხრეები ასევე მიმართავენ კულტურის Rohner-ისეულ გაგებასაც; ამ განმარტების თანახმად, "კულტურა არის აზროვნების კოლექტიური პროგრამირება, რომლის მიხედვითაც ერთი ჯგუფის ნეერები მეორე ჯგუფის ნეერებისგან განირჩევა" (Hofstede, 1984); კულტურა გაიგება, როგორც სოციალური სისტემა; კულტურა იმ მნიშვნელობათა ორგანიზებული სისტემა, რომელსაც ამ კულტურის ნეერები მიაწერენ პიროვნებასა და ობიექტებს. Rohner-ის აზრით, უნდა დადგინდეს ისიც, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის საგანი ადამიანთა ჯგუფისთვის, აგრეთვე ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კულტურა და სოციალური სისტემა (ეს უკანასკნელი მან კულტურაში მოქმედ სუბიექტთა ტერმინებით განმარტა). ასე გაგებული კულტურა მისი ნეერების ქცევათა და რჩმენათა საფუძველია.

ამ ორი განმარტების მიუხედავადო, ამბობს ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი Berry — მაინც ვერ მიეიღეთ პასუხი შეკითხვაზე — რა განსხვავებაა ორ ეროვნულ კულტურას შორის და როგორ უნდა იქნეს ისინი გამოკვლეული?

ბრიტანელი მეცნიერის — Berry-ის თვალსაზრისით, იმის მტკიცება, რომ კულტურა საფუძვლად უდევს ქცევას, ტავტოლოგიაა, რადგან გამოდის, რომ რაღაცას თავადვე შეუძლია თავისი თავის ახსნა; მყარ საფუძველზე მაშინ დავდგებით, თუ დავასაბუთებთ, რომ ინდივიდუალიზმს ან რაიმე სხვა სპეციფიკურ ღირებულებას შეუძლია სოციალური ქცევის ახსნა (Segale, Dasen, Berry and Portinga 1994).

კულტურული ჯგუფების შედარების ინტერესმა მრავალი თეორია წარმოშვა. სოციოკულტურული თეორიების კვლევის საგანი ყოველთვის იყო ის გავლენა, რომელსაც ეკოლოგიური და სოციოპოლიტიკური კონტექსტი ახდენს კულტურულ ადაპტაციაზე, რაც თავის მხრივ, ინდივიდუალურ ქცევისა და ხასიათზეც ზემოქმედებს.

მაგრამ ქცევაზე იმავდროულად უშუალო გავლენას ახდენს ყოველ-დღიური გამოცდილებაც ცვალებად ეკოლოგიურ და კულტურულ ერნტექსტში.

ცნობილი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგები — როსი და ნისბეტი ალნიშნავენ, რომ კულტურა დაძაბული სისტემაა მისთვის დამახასიათებელი ძალთა რთული, საკმაოდ მყარი ბალანსით; მაგრამ ახალი სოციალური მოვლენების გაჩინისას, ან უკვე მოქმედი ძალების თავიდან არიდების შემთხვევაში იგი თვითვე შეიძლება მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების გამტარად იქცეს; ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, რეგიონული და ეკონომიკური სუბკულტურებიც კი, გარკვეული აზრით, არა მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული სიტუაციის კვინტესენცია, არამედ დღესაც კი ადამიანთა ქცევის უძლიერეს დეტერმინანტს წარმოადგენს. იმავდროულად, კულტურა იმ სუბიექტური ცოდნისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ დაკვირვებად მოვლენებს.

უაქტორები, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, კულტურის განვითარებაზე, შენარჩუნებასა და ცვლილებებზე, დღესაც აქტუალური კვლევის საგანია. კულტურის მეცნიერებს მრავალფეროვანი პრობლემატიკა აინტერესებთ: იდეები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა (ანუ კულტურის ტრანსლაციის პრობლემა); მათთან დაკავშირებული ლირებულებათა სისტემები, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს ინდივიდისა თუ ჯგუფების ქცევას, აზროვნებისა და აღქმის წესს; სოციალიზაციის წესები სხვადასხვა კულტურაში, აგრეთვე კულტურის ელემენტების ცნობიერებაში ასახვის თავისებურებები; კულტურული უნივერსალურები და ის თვისებები, რომელიც ყველა ხალხს აქვს — რელიგიური წესები, ერთობლივი შრომა, ცეკვები, განათლება, მისალმება და ა.შ.; კულტურის სპეციფიკური ელემენტები, მათ შორის, ობიექტური პირობები: ბუნებრივი გარემო, გეოგრაფიული მდებარეობა (ლანდშაფტი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა), სამინატომედო რესურსები, სასარგებლო ნიაღისეული და ა.შ.

### ეროვნული ხასიათი და მეცნიერება

თავის დროზე ეროვნული კულტურების ფსიქოლოგიური ასპექტების სისტემატიზებური შესწავლა დაიწყო მარგარეტ მიდმა თავის თანამშრომლებთან ერთად. ანალიზისთვის იყენებდნენ თანამედროვე დოკუმენტებს, ლიტერატურას, ფილმებს, გაზეთებს, მოგზაურთა დაკირვებებს. ასე ცდომობდნენ ეროვნული ხასიათის შესწავლას. ემიგრანტებ კულტურული პიროვნული ტიპის მოდელსაც; ეს თვალსაზრისის ძირითადად მიიჩნევდა, რომ ცნებები „საზოგადოება“ და „კულტურა“ სინონიმურია და მათ აერთებს პიროვნების ფსიქოლოგიური წყობას, რომელიც განსაზღვრავს ქცევას; ყოველ საზოგადოებაში არსებობს ერთი დომინირებული ტიპი, რომ-

ლის გამოვლენაც შეიძლება ფსიქოლოგიური და ფსიქოთერაპევტიკული მეთოდებით, ესაა ბაზისური პიროვნების ტიპი ანუ საშუალო ტიპი ყოველი კულტურისთვის; ასეთი კულტურული ტიპის ცნება შეიცავს „მო-დალური პიროვნების“ სტატისტიკური ცნებით, რომელიც გულისხმობს კულტურაში ყველაზე უფრო მეტად ყველაზე ხშირად შემცვედის ტიპს; ეს „საშუალო“ ტიპი კი არ არის, არამედ ყველაზე ხშირად შემცვედის თვისებები ერთი და იგივე საზოგადოების წარმომადგენლებში. სწორედ საზოგადოების და არა კულტურის, რადგან ამ მიმართულების წარმომადგენლებს მხოლოდ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებები აინტერესებდათ. ასეთ საზოგადოებებში ერთი მოდალური ტიპის არსებობა ვერ დაადასტურეს, ამიტომ შევცადნენ მულტიმოდალური საზოგადოებების კონცეფციის შექმნას, რომლის მიხედვითაც ყველა ხალხი წარმოდგენილია არა ერთი მოდალური პიროვნების სახით, არამედ რამდენიმეთი და მათ შორის, გარდამავალი ტიპითაც. ჩვენ ვნახავთ, რომ ამგვარი მიდგომა, პიროვნების გარდამავალი კულტურული ტიპის არსებობის თაობაზე გაიზიარა „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის“ თანამედროვე მკვლევართა იმ ნაინდაც, რომლებიც უშუალოდ პიროვნულ-კულტურული მიღების ფარგლებში მუშაობენ. აქ კი დაეძნოთ, რომ მოდალური პიროვნების მიმართულების წარმომადგენლელთა ძირითადი კელევის მეთოდს წარმოადგენდა ფსიქოლოგიური ტერეპიატიკური მიმოვებული მასალის სტატისტიკური ანალიზი გულდასმით (სწორედ ამიტომაა ეს ცნება სტატისტიკური).

ფაქტია, რომ ხალხები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ პრობლემა ისაა, არის თუ არა ეს განსხვავებები ეროვნული პოპულაციის, როგორც მთელის მახასიათებელი და განსხვავებელი სხვა ხალხებისგან; რამდენიდ სპეციფიკურია გამოყოფა ძალზე რთულია (Кон И. С. 1971; Гумилев Л.Н. 1990).

რა მოსაზრებებით მიჩნევენ მეცნიერები ეროვნული ხასიათის შესწავლას უპერსპექტივო საქმედ?

ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში ადამიანები კი არა, ის გარემოები განსხვავდება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; ამიტომ საქმე უნდა გვქონდეს ან ისტორიული ფონის, ან ახლანდელი პორობების განსხვავებაშთან; ეს განსხვავებები საკმარისია ქცევაში ყოველგვარი განსხვავების ასახსნელად ისე, რომ ინდივიდთა ხასიათში განსხვავებებს არ მივმართოთ, ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ თუ გარემოებათა განსხვავებებზე დაკვირვებაა შესაძლებელი, სწორედ ასეთ გზას უნდა მივმართოთ და არა ხასიათში რაღაც პიპოთეტურ სხვაობებს, რომლებსაც ვერ დავაკვირდებით;

ისიც კი, ვინც თანახმაა გაითვალისწინოს ხასიათი, ეჭვობს, რომ ერის შემადგენელი ადამიანების ერთობლიობაში რამე უნიფორმის ან რეგულარულობის დაჭრა შეიძლება.

ამის მიუხედავად, ემპირიული კვლევები სხვადასხვა დროს ავლენდა განსხვავებებს ეროვნულ ხასიათებს შორის. მაგალითად, კ. ლევინის ცნობილმა ექსპერიმენტებმა, რომელმაც ამერიკელებსა და გერმანელებს შორის ხელმოცარულობაზე სხვადასხვა რეაქცია გამოავლინა, ფაქტიურად ხასიათში განსხვავებები აჩვენა — ამერიკელების ხელმიცარულობას გამოწვევად აღიქვამდნენ ძალისხმევის გასაძლიერებლად, ხოლო გერმანები ხელმიცარულობას იმედგაცრუებით ხვდებოდნენ.

ჩვეულებრივ, ასეთ მონაცემთა თაობაზე აღნიშნავენ მათ ხელოვნურობას — ცდის პრობები საკვლევი ჯგუფებისთვის ერთნაირად მინიჭნელოვნი არაა, რამდენადაც არ ითვალისწინებს სხვა გარემოებებს ანუ ცხოვრების კონტექსტს.

მეოცე საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის, ფილოსოფოსის, ანთროპოლოგისა და ფილოლოგის Bateson-ის აზრით, გარემოებაზე და არა ხასიათზე აცცენტის გადატანით უგულებელყოფილი გახდება «დასწავლილი ხასიათს» დამადასტურებელი რვალური ფაქტები.

ეროვნული ხასიათის მოწინააღმდეგები მიუთითებენ:

1. ადამიანური ერთობლიობის შენით არსებობს სუბკულტურული დიფერენციაცია განსხვავებები სექსებს, კლასებს, სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულ ჯგუფებს შორის;

2. მრავალეროვან საზოგადოებებში კულტურული ნორმები უკიდურესად ჰეტეროგენული და აღრეულია;

3. არსებობს «შემთხვევითი დევიანტები» ანუ ინდივიდები, რომლებიც რაღაც ტრავმის შემდეგ ტიპური აღარა მათი სოციალური გარემოცვისთვის;

4. არსებობს კულტურული ცვლილებების შედეგთა უთანაბრობა, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს ჩამორჩება ცვლილების პროცესში;

5. ეროვნულობის საზღვრებს თავისუფალი (თვითნებური) ბუნება აქვს.

Bateson-ის აზრით, ორი განსხვავებული ჯგუფი საზოგადოებაში ისე არასოდეს ცხოვრობს, რომ მათ შორის განსხვავებათა რელევანტობა (შესატყიცისობა) არ არსებობდეს, რადგან ადამიანური ერთობლიობა ორგანიზებული მთელია. მას მიაჩინა, რომ „ეროვნულ ხასიათთა თაგული“ ძალაზე მრავალფეროვანია სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ იგი არც ისე რთულია, რომ საკელევად მოუწეველი იყოს. სოციალური მეცნიერებები იმიტომ ვერ აღნერტენ განსხვავებას სხვადასხვა კულტურის ნარმობადგენელთა ხასიათს შორის, რომ არა აქვთ მეოთხოვლოფირი არსენალი (Beattiecon ტრ 2000). Bateson- ეროვნული ხასიათის საკულტურად ვარგისად მიიჩნევს ბინარული და ტრიადული სისტემების გამოყენებას. იგი განიხილავს რამდენიმე მნიშვნელოვან ბინარულ თაობზიციას და მათი ანალიზით უჩვენებს, რომ შესაძლებელია მათზე დაყრდნობით ეროვნულ ხასიათებს შორის განსხვავებებზე ლაპარაკი.

ბიპოლარულობა საერთოდაა დამახასიათებელი სამყაროს კლასიფიკირებას ადამიანური ფსიქიკისთვის (Иванов В. В.; Леви-Строс К. 1985; 1994); Bateson-ის აზრით, ყოველი საზოგადოება შეიძლება შინაარსობრივად აღინიშნოს ამგვარი პინარული და მათი ალტერნატიული პატერნებით.

მაგალითად, არსებობს კომპლექსული პატერნები — დათვალიერება/დემონსტრაცია, დომინირება/დაქვემდებარება, თავის არიდება/მიჯაჭულობა. დასწავლის თეორიის პოზიციით, თუ ინდივიდს დასწავლილი აქვს რაიმე პატერნის ერთი ნაწილის გამოხატვა, შეიძლება ითქვას, რომ მის პიროვნებაში ცოცხლობს ამ პატერნის მქონე ნახევარიც. ამიტომ უნდა ეთქვათ, რომ მან ისწავლა დომინირება/დაქვემდებარება და არა ან დომინირება, ან დაქვემდებარება; აქედან გამომდინარე, როცა საქმე საზოგადოების შიგნით სტაბილურ დიფერენციაციასთან გვაქვს, ამ საზოგადოების ნევრებს თავისუფლად შეიძლება მივანგროთ ერთნაირი (საერთო) ხასიათი იმ პირობით, რომ ამ ხასიათს ძალზე ფრთხილად აღვნერთ საზოგადოების დიფერენციარებულ ნაწილებს შორის მიმართებათა ლეიტომოტივთა ტერმინებით. ხოლო ასეთი ლეიტომოტივები და პატერნები ყველა საზოგადოებას საკუთარი აქვთ. თვით ცელილებაზე ორი ენტირებული ახალი პატერნებიც კი დელზე რეაციაა და სისტემატურად შეთანადებული იქნება მასთან.

შესაბამისად, Bateson-ი ხასიათს ბიპოლარული ტერმინოლოგით აღნის. ამიტომ, ვთქვათ, გერმანელების აღსანერად კი არ უნდა გამოყიყნოთ ფრაზა «გერმანელები მორჩილი ხალხია», არამედ თავისიცია — დომინირება/დაქვემდებარება, მაგრამ ხასიათის აღსანერად არ უნდა ვეძიოთ ადგილი კონტინუუმში «დომინირება/დაქვემდებარება»; მის ნაცვლად უნდა გამოყიყნოთ გამოთქმა «დომინირება/დაქვემდებარებაზე ინტერესს ან ორიენტაციის ხარისხის».

Bateson-ის აზრით, ასეთი მიდგომით მშვენივრად შეიძლება დასავლეთ ევროპის ხალხების ხასიათის შესწავლა, რადგან დასავლურ კულტურებში ალტერნატიული ბიპოლარულობა (მაგალითად, რესპუბლიკელები/დემოკრატები, მებარჯვენები/მებარჯვენები, ქალი/ყაცი, დმუროვი/ემბაკი და ა.შ.) იმდენად ტაპურის, რომ ხშირად ბიპოლარულობას ისეთ ფენომენებსაც კი მიაწერენ, რომელთაც დუალური ბუნება არა აქვთ: ახალგაზრდები მოხუცების, შრომა — ეაბიტალის, გონი — მატერის ნინააღმდევ.

რაც შეეხება «ტრიალური» სისტემებს, Bateson-ის აზრით, ჩვეულებრივ, ამგვარ სისტემებით სამუშაო თრგანიზაციული ინსტრუმენტი არა აქვთ (მაგალითად, მესამე პარტიის გაჩენა ყოველთვის «ჩვენი» პოლიტიკისთვის საფრთხე განიხილება). იმავდროულად, ტრიალური სისტემების გამოყენება აღნიშნული მიზნით მას ძალზე ეფექტურად მიაჩინა ზოგიერთი კულტურის, მაგალითად, ბრიტანულის, შესასწავლად.

Bateson-ი ხასიათის შესწავლის შესაძლებლობას ინგლისურ კულტურაში უწევენდებს დიალური და ტრიალური სისტემების ფუნქციონირების მაგალითზე მისი აზრით, ინგლისურ საზოგადოებაში არსებობს «ტრიალული» სისტემის ფორმირების საინტერესო ტენდენცია, მაგალითად, «ძმობლები—ძმა—ბავშვი», «მეფე—მინისტრები—ხალხი» და ა.შ. შეუალებურ ნევრს გარკვეული ფუნქცია აქვს, კერძოდ, მესამე ნევრის დისციპლინირება და ინსტრუქტირება ტრიალის პირველ ნევრთან და ქცევის ფორმებთან დაკავშირდებათ. აქედან გამომდინარე, მეცნიერს უეფებულ მიაჩინა, რომ ინგლისური ხასიათის შესასწავლად ბინარულ პატერნებთან ერთად ტრიალულიც უნდა იქნეს გამოყენებული.

ბიპოლარულის ალტერნატივა, შესაბამისად, სიმეტრიული ლეიტომოტივებიც, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს. ეს ისეთი პა-

ტერნებია, როცა ხალხი იმას აკეთებს, რასაც მას უკეთებენ ანუ იგივეთი უსასუებებენ.

Bateson-ს მიაჩინა, რომ პატერნების ჰყელა სახე შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო პიროვნებებს შორის, არამედ ჯგუფთაშორისის განსხვავებებისა და ურთიერთობების შესანაცვლადაც; მისი აზრით, ასეთი პატერნები საერთოდ ხასიათის, და მათ შორის, ეროვნული ხასიათის გასაღებიცაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მას კომპლემენტარული პატერნები მიაჩინა, რადგან ისინი, მისი აზრით, საერთოდ მთელი კაცობრიობისთვისა დამახასიათებელი.

აღნიშნული პატერნები, Bateson-ის აზრით, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მოგვარებისთვისაც სასარგებლო ინიციატივის მოვლენებს. ერთდროულად ორი დაპირისპირებული პატერნის გამოყენების შემთხვევაში ხშირად, სუბიექტიც და ჯგუფიც შინაგანი კონფლიქტის რისკის ნინაშე დადგება. შესაბამისად, ყველას — სუბიექტსაც და ჯგუფსაც, ამ ნინააღმდევობის დაძლევის მექანიზმებიც გამოშუშავებული უნდა ჰქონდეს.

სოციალური ქცევის ნებისმიერი რეგულატორის შემთხვევაში, აშკარა კულტურული განსხვავებების მიუხედავად, მათი ბინარულ იპოზიციათა ურთიერთგამომრიცხავ პოლუსებად განხილვა უმართებულოა — ეს შესაძლებელი მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქციის ფონზე, რადგან რეალურად საქმე გვაქვს მხოლოდ კულტურის რამე ირიენტაციისთვის, თუნდაც იგი გაბატონებული ტენდენცია იყოს. სინამდვილეში კულტურაში ერთდროულად შეიძლება თანაარსებობდეს მრავალგვარი ტენდენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი პერიოდის კონცეფციებში კულტურა სულ უფრო მეტად ესმით, როგორც პროცესი და არა კულტურულ მოდელთა სისტემა.

## § 2. კულტურის შესწავლა და ინტეგრალური მიდგომა

კულტურული ერთობა დიდი სოციალური ჯგუფია, ტრადიციულად კი ასეთი ჯგუფები მრავალი სამეცნიერო დისციპლინის — ეთნოლოგის, სოციოლოგის, ანთროპოლოგის, სოციალური ფსიქოლოგის საგანია. კულტურის შესწავლისთვის მრავალი მეცნიერი აღნიშნავს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს ურთიერთშეჭრის აუცილებლობას.

ინტეგრალური მიდგომით კულტურათა ექლევის პრობლემა არახალია. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მ. მიდმა და რ. ბენედიქტმა, დიდმა ეთნოგრაფებმა და ანთროპოლოგებმა, რეალურად დაიწყეს კულტურათა შესწავლა მონათესავე სამეცნიერო სფეროთა მეთოდებისა და კონცეფციების ჩართვით თავიანთ კვლევებში. სწორედ მათ აჩვენეს ინტეგრალური მიდგომის აუცილებლობა კულტურანთროპოლოგიური პრობლემების შესწავლაში.

საუკუნის დასაწყისში, 30-იანი წლებიდან, ანთროპოლოგებს ბეჭდავდნენ სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ურნალებები.

ძირითადად აანალიზებდნენ ტომებზე დაკვირვებით მოპოვებულ მასალას; მრავალგვარი მეთოდის გამოყენებით სწავლობდნენ კულტურაში ცხოვრების ფუნდამენტურ რეალობასთან ადაპტაციის ფორმებსა და ფუნქციონირების თავისებურებებს — კონკრეტულ კულტურებს და ადამიანთა მოღვაწეობის ყველა ფორმას, დანყებული ჩვილობის პერიოდით, დამთავრებული სოციალური ინსტიტუტების თავისებურებებით; სწავლობდნენ სხვადასხვა ხალხებისთვის დამახასიათებელ ქცევით სტრუქტურებს, აღზრდის სისტემებს სხვადასხვა კულტურაში, ხალხების კულტურულ თვისებათა კომპლექსებს, ხალხთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ეთნოსების ლირებულებით სისტემებს და ა.შ. ამგვარი სიფართოვის გამო, ბუნებრივია, ეხებოდნენ მრავალფეროვან პრობლემატიკას როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევის ბლანში.

კულტურით დაინტერესებულ სამეცნიერო სფეროებს ერთი თვალშისაცემი თავისებურება აქვს: ძალზე რთულია იმ პრობლემათა შემოფარგვლა, რომელიც აქ ჩამოთვლილთაგან კონკრეტული დისკიპლინის სფეროდ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა კი ყველა მათგანი შემოხაზავს თავისი კვლევის არეალს. მაგალითად, ანთრიპოლოგიასა და ეთნოლოგიაში შეიქრა ფსიქოანალიზი; ეს სფეროები ფართოდ იყენებდა ფრონდის თეზისს, რომ ადამიანის პიროვნების ფორმირება ხდება ადრეულ ბავშვობაში, როცა სოციალური გარემოცვა ახშობს სოციალურად არასასურველ დტოლვებს, პირველ რიგში კი სექსუალურს; ადამიანის ფსიქიკა ტრავმირდება, რაც შემდგომში სხვადასხვა ფორმით (ხასიათის თვისებების ცვლილება, ფსიქიური დაავადებები, აკვიატებული სიზმრები, მხატვრული შემოქმედების თავისებურებები და ა.შ.) მთელი ცხოვრების მანძილზე იჩენს თავს; საზოგადოებრივი ინსტიტუტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კომპენსატორული მექანიზმები, ხოლო მათი მოწყობა გააანალიზდეს იმ მატრავმირებელ გამოცდილებასთან კავშირში, რომელიც საზოგადოების ნევრებმა ცხოვრების ადრეულ პერიოდში განიცადეს. შესაბამისად, ემპირიულ კვლევაში ჩართო ფსიქოანალიზური მეთოდები: ჩართული ხანგრძლივი დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ, სიზმრების ანალიზი, ბიოგრაფიების ჩანარჩა და მათი ანალიზი, პროექციული მეთოდები (მაგალითად, რორშახის ტესტი) და ა.შ.; კროსეულტურულ კვლევებში ასევე მნიშვნელოვანი შესწავლის ობიექტია დიურქჰაიმისეული კოლექტიური ნარმოდგენები, რასაც გვერდს ვერ უვლის კულტურით დაინტერესებული ვერც ერთი სამეცნიერო დისციპლინა (ეთნოლოგია, ანთრიპოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოსოციოლოგია და ა.შ.). ასეთი ინტერესი ამ ცნების მიმართ გასაკვირი არცაა, თუ გავითვალისწინებთ თვით დიურქჰაიმის პოზიციას, როცა ნერდა: “კოლექტიური ფსიქოლოგია —

მთელი სოციოლოგიაა” და რატომ არ შეიძლება ამ მეორე ტერმინის გამოყენებაც (ციტირებულია შჩხირევ პ.-ის მიხედვით, გვ. 194).

ჩინური ნარმოშობის ამერიკელი მკვლევარი ჰსპ., რომელმაც შემოიტანა სახელნოდება “ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია” (1961), მიმწერებს, რომ ამ სფეროსთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ფსიქოლოგიის, ისე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მონაცემები; ამა თუ იმ კულტურის ნარმობადგენელთა უმრავლესობის სოციალური ნარმოდგენები ერთმანეთს ემთხვევა; ისინი ცნობიერშიცაა და არაცნობიერშიც და ნარმართავს ადამიანის ქცევას; სწორედ ესაა “პირველადი და ყველაზე უფრო ფუნდამენტური მასალა” ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისთვის იმის მიუხედავად, ვინ არის ამ ნარმოდგენათა მატარებელი — ინდივიდი თუ ჯგუფი (ოჯახი, ტომი) და იმის მიუხედავად, როგორაა ელასი-ფიცირებული კულტურა, რომელსაც ის ეკუთვნის — პრიმიტიული, უდამნერლობა, ცივილიზებული თუ სხვ.

მეოცე საუკუნის გამოჩენილი ბრიტანელი მეცნიერი Tajfel-ი აღნიშნავდა, რომ სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში, მაგალითად, ჯგუფებისა და ინდივიდების შესწავლაში განსხვავებები მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქციის დონეზე რჩება: სოციოლოგი სოციალურ ჯგუფს შეისწავლის ძირითადი სოციალური ერთეულის სახით და ისნრაფიის მოცემული ჯგუფის ტიპური ნარმობადგენლის გამოვლენისკენ; მისთვის ინდივიდი — ეს არის სოციალური ჯგუფისთვის ტიპური რეაქციების მქონე ტიპი, მაგრამ რეალურად, სინამდვილეში, “სოციალური სიტუაციების ობიექტური ასპექტები ფსიქოლოგიურ ვაკუუმში არ ფუნქციონირებს ზუსტად ისევე, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი — სოციალურ სიცარიელეში”.

რუსი მეცნიერი ი. კონი აღნიშნავს, რომ თუმცა კი ადამიანის შესახებ კვლევათა წყაროც და საგანიც განსხვავებულია, ეს გამოკვლევები ერთმანეთს ავსებენ და გულისხმობენ კიდეც: “როცა “შე”-ს განვითარების სტადიებს აღწერს, ფსიქოლოგია ძალაუნებურად მაინც პიროვნების რომელიმე კულტურულ მოდელს ეყრდნობა, ხოლო კულტუროლოგიას კი არ შეუძლია გვერდი აუაროს გარკვეულ ფსიქოლოგიურ პოსტულატებს” (Кон И. С. 1999; 233).

კულტურული ინდივიდი და კულტურული სოციალური ჯგუფები, მათი ურთიერთშემიმართებები, ურთიერთობის ფორმები, ჯგუფური ნორმები, სოციალიზაციის კულტურული თავისებურებები, ლირებულებები და სხვა ბევრი საკითხი თავის საკვლევ იბიექტად მიაჩინა კულტურულ და ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასაც, კულტურის სოციოლოგიასაც, ეთნოლოგიასაც, ეთნოფსიქოლოგიასაც. თითოეულ მათგანთან მიმართებაში შეიძლება თავისუფლად გაიმეორო სიტყვები, რომლებიც თავის დროზე რუსმა მეცნიერმა —

გ. შპეტმა თქვა ეთნოფსიქოლოგიის შესახებ: ამ მეცნიერებას აურაცხელი მასალა აქვს, მაგრამ თავისი ამოცანების განსაზღვრისა და საკულტური საგნის დადგენისას დიდი ბუნდოვანებით გამოირჩევათ.

მკულეობრივი ერთხმად მიუთითებენ კულტურათა კვლევაში ინტეგრალური მიდგომის აუცილებლობაზე. ეს აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ კულტურის მახასიათებლებს უკავშირებენ არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული ჯგუფების ფუნქციონირების თავისებურებებს, არამედ ეკოლოგიურ-გეოგრაფიული და კულტურული კონტექსტის მრავალგვარ ასპექტს — კლიმატს, ნატესაობის ღირებულებით პრიორიტეტებს, მიზნის მისაღწევ საშუალებებს, გაძლიერების და წინსვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებულ სოციოეკონომიკურ რეალობას, სამუშაოს, თავისუფალ დროს, საერთოდ, დროის კონცეფციებს.

მეორე მხოლოდ ომის შემდეგ თემობრივი და აგრარულ-გლეხური საზოგადოებების სწრაფი ტრანსფორმაცია კულტურული მახასიათებლების შესწავლის სტიმულაციას ახდენდა, მაგრამ ძირითადად მოდერნიზაციისა და განვითარების კუთხით. კულტურასა და კულტურით განპირობებულობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლამ იმავდროულად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულებაც შეიძინა კულტურათა დაახლოების, მათი დიალოგის სახით.

კულტურათა შესწავლის გზაზე რაღმე მნიშვნელოვანი იყო სხვა მომიჯნავე სფეროების — კულტურული ეკოლოგიის (რომელიც შეისწავლის ეთნოსთა ადაპტურ თვისებებსა და კულტურული ცვლილების პროცესებს), კულტუროლოგიისა და ტრადიციოლოგიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიისა და მოდერნიზაციის თეორიის მიღწევები.

თანამედროვე ეტაპზე სოციალურ მეცნიერებათა სწრაფვა სხვა სფეროებთან ინტეგრაციისკენ აშენად გამოკვეთილი ტენდენციაა, რაც გარკვეული აზრით, სოციალურ მეცნიერებათა ცალკეულ სფეროში ერთგვარ კრიზისთანაცაა დაკავშირებული. ამის დასტურია დიდი ფრანგი სოციოლოგის — ალენ ტურენის მონოდება მოქმედი ადამიანის დაბრუნებისკენ, ან თუნდაც ეთნოლოგიაში თანამედროვე კრიზისის ფონზე ბოლო პერიოდში გახშირებული მონოდებები ფსიქოლოგიზმისკენ (ლურიე). რუსი მეცნიერის, შინირიოვის აღნიშვნით, ბოლო ათწლეულებში ასე აშენარა “სოციოლოგიზაციის” პროცესი სოციალურ ფსიქოლოგიაშიც და ზოგად ფსიქოლოგიაშიც შეიძლება შემხედვ, გამანონასწორებელ ტენდენციად მივიჩნიოთ; მისი აზრით, ამგვარი “ურთიერთშეჭრის” პროცესები სოციალური მეცნიერების სხვადასხვა სფეროში იმდენად თეორიათა განვითარებით არ სტიმულირდება, რამდენადაც პრაქტიკის

ობიცეტური მოთხოვნებით, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში ადამიანური, სუბიცეტური ფაქტორის გათვალისწინების მზარდი აუცილებლობით (Шихирев გვ. 206); ხოლო ცნობილი ფრანგი სოციოლოგი — ანრი მენდრა ალნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერების, და განსაკუთრებით სოციალურ მეცნიერებათა სწრაფვა მომიჯნავე სფეროთა მონაცემებით გამდიდრებისენ საკულევი საგნის მრავალგვარი მხრიდან გაანალიზების საშუალების საუკეთესო პირობაა.

“ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი”, თანამედროვე ეტაპზე ეულტურათა კვლევაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიღვომა, ასეთი ინტეგრაციურობისენ სწრაფვის ცოცხალი ნიმუშია. მისი მიუხედავად, რომ მის შესასწავლა აბიექტია მყარად და უცვლელად რჩება ადამიანური აქტივობის ყველა გამოვლინების ეულტურული განპირობებულობა, მისი ინტერესები სცილდება ერთი რომელიმე კონკრეტული დისციპლინის სფეროს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ნაკვლევ პრობლემათა ჩამოთვლაც იკმარებდა: ლირუბულებითი ორიენტაციები და ეულტურის ტიპი, კლიმატი-ტემპერატურა და ტერორიზმის ტენდენცია ეულტურაში, ეულტურული კონტექსტი და ორგანიზაციული მართვის ტიპი, ეულტურული ნორმები და საკუთარი თავის აღწერა, კონტექსტი და კომუნიკაციის თავისებურებები, განათლების ორიენტაციები და ეულტურის ტიპი და ა.შ.

ცნობილი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგები როსი და ნის-ბეტი აღნიშნავენ, რომ მთლიანად ამ პრობლემატიკის მოცვა შეუძლებელია, თუმცა კვლევა. — ძიება კვლავ გრძელდება და მიმართავს არა მხოლოდ ლაბორატორიულ, არამედ ბუნებრივ ექსპერიმენტებსაც.

ცხადია, აღწერილი ვითარება კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ინტეგრაციური მიდგომის აქტუალობას და გასაგებს ხდის ამ დიდი სოციალური მკვლევრების დამოკიდებულებასაც: “ამჟამად ფორმირებადი დისციპლინები — “ეულტურის ფსიქოლოგია” და “კოგნიტური ანთროპოლოგია”, რომელიც ანთროპოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზეა, ძალზე მომგებიან მდგომარეობაშია საიმისად, რომ იმ დისციპლინათმორისო სულისკვეთებით ისარგებლონ, რომელიც კვლავ მკვდრეთით აღსდგა სოციალურ შეცნიერებებში” (Л. Росс, Р. Нисбет. გვ. 323).

### § 3. პარადიგმა, პოლიზმი და სისტემური მიდგომა

ტერმინს „პარადიგმა“ (პერძ. *paradigma* — ნიმუში). რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელობის მიხედვით, პარადიგმა გულისხმობს ცოდნის რომელიმე დამოუკიდებელ სფეროში ან თეორიული მიდგომის ფარგლებში ძირითადი ცნებების, დაშვებების, ვარაუდების, პროცედურებისა და პრობლემების კომპაქტურ სტრუქტურას, მათ მოკლე აღნიერას (Социопсихологический энциклопедический словарь 1998 გვ. 232)

ამ განმარტებაზე დაყრდნობით ჩვენ ვეცდებით შემოვხაზოთ ძირითად პრობლემათა, კვლევათა, გამოსაყენებელ მეთოდთა წრე, რომელიც აქტუალურია „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის“ თანამედროვე ეტაპზე ძალზე სწრაფად განვითარებად მიმართულებაში.

რომელიმე პარადიგმის ანალიზისას თანამედროვე მეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა მის საფუძვლად მდებარე თეორიული წყაროების ანალიზს ანუ ძირითად მეთოდოლოგიურ იდეებსა და პოსტულატებს. მათში გულისხმობენ:

1. მეთოდოლოგიური პოლიზმის პრინციპი;
2. სისტემურობის პრინციპი;
3. სოციალური პროცესის, ერთის მხრივ, ტრანსცენდენტური (სულიერი) დონე, მეორეს მხრივ, სილრმისეული (ემოციური, ირაციონალურობის) დონე;
4. შეხედულებები ურთიერთობებისა და სოციალური გაცვლის საშუალებების შესახებ;
5. თვით მკვლევრის, როგორც შემეცნების ინსტრუმენტის, განსაკუთრებული როლი ორივე დონეზე (Шихирებ П., 2000; გვ. 193).

პოლიზმის (ინგლ. *whole* — მთელი) ონტოლოგიური საფუძველი შემდეგია:

1. საზოგადოება თავისი ნევრების მიმართ ტრანსცენდენტური ნარმონაქმნია;
2. საზოგადოება ფლობს სისტემურ თვისებებს ანუ მთელის თვისებებს, რომელიც არ დაიყვანება ინდივიდების თვისებებზე;
3. საზოგადოება უფრო ძლიერად ზემოქმედებს ინდივიდზე, ვიდრე იგი მასზე; ორ საზოგადოებას შორის ურთიერთობა — ესაა ურთიერთობა ერთი მთელისა მეორესთან; ნებისმიერ სოციალურ ცვლილებას ზეინდივიდუალური ხასიათი აქვს, თუმცა კი აისახება საზოგადოების ცალკეულ ნევრებზე.

ამ ონტოლოგიიდან გამომდინარეობს შემდეგი მეთოდოლოგიური პრინციპები:

1. საზოგადოება შესწავლილი უნდა იქნეს მისი ზოგადი თვისებების და ცვალებადობების შესწავლით;

2. სოციალური მოვლენების ახსნა შეიძლება მხოლოდ მისი ზეინდივიდუალური ნარმონაქმნების, მაგალითად, სახელმწიფოს გააანალიზებით, ხოლო ინდივიდუალური ქცევის გაგება შესაძლებელია იქვე, იმავდროულად ინდივიდის ტენდენციებისა და მასზე საზოგადოების ზემოქმედების გათვალისწინებით;

3. საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ ჰიპოთეზები უნდა შემონმდეს ისტორიული და სოციოლოგიური მონაცემების საფუძველზე.

ჰოლიზმი ჩამოყალიბდა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის ძლიერი ზეგავლენით. ზემოთჩამოთვლილი ჰოლისტური პოსტულატების კონკრეტულ ნიმუშად მიიჩნევენ დიურკჰამის კოლექტიური ნარმოდგენილია სხვა სფეროებშიც: ეთნოფსიულოოგიაში — ვუნდტის, ენათმეცნიერებაში — ლაზარუსისა და შტეინნატალის, კულტურან-თროპოლოგიაში — მალინოვსკისა და რადელიფ-ბრაუნის შრომებში.

ამ ტრადიციებიდან გამომდინარე, სრულიადაც არაა გასაკეთირი "ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის" პარადგიმის ჰოლისტური ორიენტაცია, რომელიც ინდივიდს ყველა თავის გამოვლინებაში კულტურის პროდუქტად მიიჩნევს.

ჰოლიზმის თვალსაზრისით, სოციალური ქმედების სუბიექტი რაიმე ერთობაა — სახელმწიფო, ჯგუფი, შესაბამისად, მისი რეგულატორის ფუნქცია მიენიჭება ცნობიერების საზოგადოებრივ ფორმებს. დიურკჰამის მიხედვით, აზროვნების წესს, ადათებს, ნორმებს, ენას, რომელსაც ის კოლექტიური ცნობიერების ფაქტებს ანუ კოლექტიურ ნარმოდგენებს უწოდებდა. ინდივიდისთვის მას ძალადობრივი და აუცილებელი ფორმა აქვს, რამდენადაც ადამიანს ისინი დაბადებიდანვე მზამზარეული ხვდება.

ჰოლისტური მიდგომისთვის სოციალურ ურთიერთობათა რეგულატორი ზეინდივიდუალური, კულტურული ნარმონაქმნებია, ხოლო სოციალურის მოუცილებელი ატრიბუტია მისი ფიქსირებულობა სიმბოლურ, ნიშნურ ფორმებში.

დღეს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გავრცელებული აზრით, ყველაზე მისაღები გზაა სისტემური მიდგომა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "სისტემური ანალიზი" ნახევარი საუკუნის წინ გაჩნდა და თავისი თანამედროვე ფორმით იგი მეცნიერებაში მოვიდა ხელოვნური, ძირითადად სამხედრო მართვის სისტემებიდან. მაგრამ მეცნიერების ისტორიკოსთა აზრით, მისი საბაზისო იდეები ცოცხალი სისტემის მკვლევართა მიერ იქნა გამოთქმული: დარენის მიერ ბიოლოგიაში და მარქსის მიერ — სოციოლოგიაში, თუმცა ისინი სხვა ტერმინებით ცდილობდნენ ამ სისტემათა თვითრეგულაციის პროცესების ახსნას და გამოდიოდნენ

მათი შინაგანი კანონზომიერებებიდან, სტრუქტურიდან, ფუნქციური კავშირებიდან და სხვ.

სისტემური ანალიზი ეყრდნობა შემდეგ პოსტულატებს:

1. საზოგადოება არც ინდივიდთა უბრალო ერთობლიობაა და არც ზეინდივიდუალური არსი; საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული ინდივიდთა სისტემაა;

2. როგორც სისტემას, საზოგადოებას გააჩნია სისტემური თვისებები; მათ შორის ზოგიერთი ინდივიდთა ქმედების შედეგია და მათზე დაიყვანება; სხვა თვისებები თვით სისტემის ფუნქციონირებითა განპირობებული, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ინყება ინდივიდებსა და მათ ურთიერთობებში, ინდივიდებზე მაინც არ დაიყვანება;

3. საზოგადოებას არ შეუძლია მის წევრებზე უშუალოდ ზემოქმედება — ამას სოციალური ჯგუფის წევრები აკეთებენ; თითოეული ინდივიდის ქცევა განპირობებულია არა მხოლოდ მისი მემკვიდრეულობით, აგრეთვე მისი როლით საზოგადოებაში; ორ საზოგადოებას შორის ურთიერთქმედება ხორციელდება ორი ინდივიდის ურთიერთქმედების გავლით, რომელთაგან თითოეულს თავისი ადგილი აქვს საზოგადოებაში.

სისტემური მიღებომის მეთოდოლოგია შემდეგია:

1. საზოგადოების შესწავლა შეიძლება ინდივიდის სოციალურად ნიშნური მახასიათებლების, აგრეთვე საზოგადოების თვისებებისა და ცვლილებების შესწავლით;

2. სოციალური ფაქტები უნდა აიხსნას ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის, აგრეთვე ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთქმედების ალმწერი ტერმინებით; ინდივიდუალური ქცევა უნდა აიხსნას ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის ბიოლოგიური, ფიქოლოგიური და სოციალური მახასიათებლებით;

3. საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერების შესახებ პიპორტზები უნდა ეფუძნებოდეს სოციოლოგიურ და ისტორიულ მონაცემებს, რომელიც შეიცავს მონაცემებს ინდივიდებსა და ჯგუფებზე, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელია მისაწვდომი დაკვირვებისთვის (Шихирев П. 2000 გვ. 193-196).

ალენ ტურენი მიუთითებს, რომ "ადამიანური სისტემების თვისებას წარმოადგენს მათი გახსნილობა, საკუთარი მიზნების წინ წამოწვა და ცვლილება. ამ შემთხვევაში ჩვენ უვახლოვდებით მოქმედების სოციოლოგიას" ((Турен А. 1998 გვ. 8)).

ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, პოლისტური პერსპექტივა უფრო მიესადაგება საზოგადოებებს, რომელთაც მთლიანობით სტრუქტურა აქვთ (Мендра А. 2000 გვ. 159).

## § 4. იდენტურობის ცნება და კულტურა

“იდენტურობის” ცნება გამოიყენება ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, ეთნოლოგიაში, კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიაში.

ეს ცნება მეცნიერებაში ფრონდმა შემოიტანა, ხოლო ე. ერიქ-სონმა იგი განსხვავებული შინაარსით გამდიდრა და განსაკუთრებული ფუნქცია მიაკუთხნა. ეს ცნება აღწერს ადამიანურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, და ცხადია, რომ იგი ძალზე “მძრო-მელი და აქტიური” ცნებაა ყველა სამეცნიერო სფეროსთვის, რომელიც ადამიანთანა დაკავშირებული ყველაზე ფართო გაგებით იდენტურობის ცნება ასახავს “ობიექტის (სუბიექტის) ობიექტზე (სუბიექტზე) კუთვნილებას, როგორც ნაწილისა მთელზე, განსაკუთრებულისა საყოველთაოზე. ამ ცნების ძირითადი ნიმანი და საფუძვლია იგივეობა საკუთარ თავთან” (ETHNOLOGIA M. 2000, გვ. 154).

იდენტურობა მჭიდროდ უკავშირდება Self-კონცეპციას.

Self-ის ცნება მეცნიერებაში შემოიტანა კ.გ. იუნგმა. მისი თვალსაზრისით, ინდივიდში არსებობს რაღაც შიდაპიროვნული ბირთვი — «თვითობა, თავისთავადობა», რომელიც ყველა მნიშვნელია ინფორმაციას არჩევს და ამთლიანებს (აინტეგრირებს), აგრეთვე იცილებს უმნიშვნელოს. Self- უბრალოდ არ უტოლდება პიროვნებას — ესაა ფენომენი, რომელიც ხასიათდება შინაგანი ერთიანობით (ამით ეს ცნება თვითცნობიერების ცნებას უახლოვდება) და ყალიბდება ადამიანის თავის თავზე ნარმოდგენის (საკუთარ თვალში, აგრეთვე სხვების თვალში) საფუძველზე.

ძირითადად ყრდნობიან როჯერსის მიერ დამკვიდრებულ Self-ის ცნებას. მისი თვალსაზრისით, ინდივიდი ალიექსამს გარე ობიექტებსაც და თავის შინაგან გამოცდილებასაც და ანიჭებს მათ გარეულ მნიშვნელობებს. ხატებისა და მნიშვნელობების ზოგადი სისტემა ქმნის ინდივიდის ფენომენურ ველს, რაც გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ აღქმას იმის ჩატვირთ, რასაც იცნობიერებს და რასაც ვერ იცნობიერებს. როჯერსის აზრით, თუმცა ფენომენოლოგიური ველი ინდივიდის ინტიმური, პირადი სამყაროა, მეცნიერობის შეუძლია აღიქვას ეს სამყარო ისეთად, როგორადც იგი თვით ინდივიდს ნარმოუდგება. ფენომენალური ველის ის ნაწილები, რომელსაც ადამიანი აღნიშნავს სიტყვებით — “თვითონ” (Self), “მე”-ბასური (me) ან “მე”-აქტიური (I), ქმნიან “მე”-ს (Self) ანუ შე-კონცეპციას (Self-concept) — ამ ორ ტერმინს როჯერსი სინონიმურად იყენებს. როჯერსის Self- არის რეალურებისა, ადამიანის მიერ თავისი თავის ასახვა, თვითცნობიერება. ინგლისურენოვანი ავტორებს ხშირად სინონიმურად იყენებენ ცნებებს Self-ი (“შე”), Self-concept “შე-კონცეპციას”, Self-identity (“შე-ხატი”). როჯერსის მიხედვით, მე-კონცეპცია სტაბილურია დროშიც და სხვადასხვა სიტუაციაშიც. მისი ერთ-ერთი მახასიათებელია თავის თავზე ნარმოდგენის მრავლობითობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ულტრათანამედროვე იდეების ზეგავ-ლენით იდენტურობამ მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფ-ციის ხასიათი შეიძინა და გულისხმობს თავისთავადობის შეგრძენ-ბას, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციას უკავშირებს გარკ-ვეულ სოციალურ კონსტრუქციებს. პოსტმოდერნიზმი იდენტურო-ბას განიხილავს, როგორც პიროვნების ცვალებად სიტუაციურ ასპექტს, რომლის ფარგლებშიც ადამიანს შეიძლება პქონდეს რამე იდენტურობა (მაგალითად, სქესის) და იმავდროულად, თავისი თა-ვის იდენტიფიცირება მოახდინოს მსგავსი ეთნიკური წარმომავლო-ბის მქონე სხვა ადამიანებთან, ან იმათან, ვისი იდენტურობაც განისაზღვრება კონკრეტული რელიგიური შეხედულებით.

იდენტურობის ცნება მნიშვნელოვან კავშირშია ეთნიკურ პლუ-რალიზმთან — პოსტმოდერნისტული საზოგადოებებისთვის დამახ-ასიათებელ სიტუაციასთან, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ეთ-ნიკური ჯგუფის ერთოანობას. საზოგადოების ასეთი დანაწევრება ასოცირდება სახელმწიფოებს შორის საზღვრების თანდათან წამლასთან და ბევრ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების წარმოქმნასთან.

გამოყოფები იდენტურობის რამდენიმე დონეს:

1. პიროვნეულ-ფსიქოლოგიური — “ვინ ვარ მე”; გარკვეულად უკავშირდება “თავისი” (საკუთარი) სოციალური ჯგუფის წევრობას და იმ ემოციას, რომელიც ამ კუთვნილების შეფასებით უჩნდება; ეს ინდივიდუალური “ყოფნის” განცდა;

2. სოციალურ-ფსიქოლოგიური — ეს დონე უკავშირდება ადა-მიანის მიერ თავისი ჯგუფური კუთვნილებით “მე”-ს განცდას — ინდივიდი თავისი ჯგუფური კუთვნილების დადასტურებას ეძებს, რაც შესაძლებელი მხოლოდ სხვა ჯგუფებთან ურთიერთქმედებით; თავის ჯგუფს იგი სხვა ჯგუფებს ადარებს და ცდილობს, თავისი ქცევით საკუთარი ჯგუფი “ლამაზად” წარმოაჩინოს;

3. ეთნოსოციოლოგიური იდენტურობა — ინდივიდის მიერ რამე ეთნოსისადმი კუთვნილების ცნობიერება. იგი პიროვნებას, ერთის მხრივ, თავისთავადობის, სხვა ადამიანებისგან დამოუკიდე-ბლობის, განცალკევების მოთხოვნილებას უკმაყოფილებს, მეორეს მხრივ — ჯგუფისადმი კუთვნილებისა და დაცულობის (უსა-ფრთხოების) მოთხოვნილებას.

ეთნიკური იდენტიფიკაცია ხდება საში ვარიანტით:

1. მიბაძვით — ცნობიერად თუ არაცნობიერად ინდივიდი ბა-ძავს თავისი ეთნიკური ერთობისთვის დამახასიათებელ ქცევით სტერეოტიპებს;

2. ძალდაჭანებით — ასეთი იარაღებია ტრადიციები და ღირე-ბულებები;

3. თავისუფალი, ცნობიერი არჩევანით — ადამიანი თვითვე ირჩევს თავის ეროვნულ კუთვნილებას (Ethnologiya M. 2000, გვ. 155-157).

### “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” და სოციალური იდენტურობის თეორია

პარადიგმა “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი” კულტურათა შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ ჯგუფსა და ჯგუფური იდენტურობის პრობლემებს.

კლასიკური მოძღვრებებიდან მისი ერთ-ერთი თეორიულ-კონცეპტუალური საყრდენია ბრიტანელი სოციალური ფსიქოლოგის — Tafel-ის თეორია, რომელიც ცნობილია ცრურნმენტების (prejudice), დისკრიმინაციისა და ჯგუფთაშორისო კონფლიქტების სოციალური ასპექტების ორიგინალური ფორმულირებით. იგი სწავლითდა სოციუმზე ეროვნების, აღმსარებლობის, მცირე ჯგუფებზე კუთვნილების ზემოქმედებას, მან შეისწავლა მცირე ჯგუფების თავისებურებები საზოგადოებაში.

Tafel-ი მიიჩნევდა, რომ ადამიანის შესახებ კვლევები უმჭიდროეს კავშირშია კულტურულ, ისტორიულ და ეკონომიკურ საფანელთან.

მისი თეორიის მთავარი პოსტულატია “სოციალური ცვლილებისა და არჩევანის ურთიერთქმედება”, რაც პირველ რიგში გამოიხატება მიმართებაში “ადამიანი/სოციალური გარემოს ცვლილება”.

Tafel-ის აზრით, ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედება კოლექტიური პროცესია, მეტიც, ინდივიდუალური გადაწყვეტილებებიც ეი გაშუალებულია სოციალური ურთიერთქმედების სისტემით. ამ ურთიერთქმედების გარდაქმნა შეთანხმებულ მოქმედებად შესაძლებელი გახდება იმ შეფასებათა კოორდინაციის წყალბით, რომელსაც ინდივიდები ცალ-ცალკე აძლევენ რაიმე სიტუაციას. სწორედ ამ კოორდინაციის შედეგია კოლექტიურად გაზიარებული და ნახალისებული ნარმოდგენებისა და შეფასებების სისტემა. ახალი პრობლემა უცილობლად გადაჯაჭვულია ძველი და ახალი შეფასებების კონფლიქტთან; ახალი გადაწყვეტილების საფუძვლად არსებულ შეფასებებათა ურთიერთქმედება სოციალური სისტემის ყველა დონეზე ცვლილების შედეგია ფსიქოლოგიურ ასპექტში, რომელიც საჭიროა ახალი, კოლექტიურად გასაზიარებელი შეფასებების ჩამოსაყალბებლად. ეს პრობლემა არ არის ინდივიდის პრობლემა; ესაა საზოგადოების პრობლემა, რომელიც ჯგუფთა ურთიერთქმედების საფუძველზე იცვლება.

მთელი ცხოვრების შანდილზე უამრავ განსხვავებულ სიტუაციაში ინდივიდი თავის თავს განიცდის და მოქმედებს იმ ჯგუფის სო-

ციალური მახასიათებლების შესაბამისად, რომელსაც ეკუთვნის, ხოლო ეს დახასიათებები, თავის მხრივ, გამაგრებული და მისაღები გახდება სხვა ჯგუფის ნარმომადგენლებთან ურთიერთქმედებაში. ამიტომ, „სოციალური ქცევა მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული ჯგუფებს შორის დამოკიდებულებებით, ხოლო ამ დამოკიდებულებათა ხასიათი, თავის მხრივ, განსაზღვრულია ძირითადად ჯგუფ-თაშორისი ქცევების მიღებული წესებით“ (ციტირებულია შიხირების მიხედვით. გვ. 205)

Tajfel-ის თვალსაზრისით, სოციალური პროცესი — ეს არის ადამიანთა ერთობლივი ძალისხმევით საზოგადოების ცვლილება. ამიტომ სოციალურის არსია სამყაროს აქტმა და მასზე ზემოქმედება სხვებთან ერთად, თანამონანილეობით; ეს უკანასკნელი კი ნიშავს, რომ ამ კოლექტიურ პროცესში ჩართული, ადამიანი დეცენტრირებულად აზროვნებს ანუ აზროვნებს იმ ერთობის ნორმებისა და ლირებულებების პიზიციიდან, რომელშიც ჩართულია და რომელსაც მიეკუთვნება. თანამონანილეობის პროცესს იგი განსაზღვრავს მოლოდინებისა და შეფასებების ცნებებით. ისინია სწორედ ნორმებისა და ლირებულებების ინდივიდუალური გამოვლინება; მათ გარეშე სოციალური ურთიერთქმედება შეუძლებელია. ამიტომ ლირებულებათა სისტემის გარეშე ვერც ადამიანის მიზნებს გავიგებთ, ხოლო ნორმატული სისტემის ანალიზის გარეშე საშუალებებიც გაუგებარი დარჩება. ნორმებსა და ლირებულებებს ეს ავტორი განსაზღვრავს სოციალური განწყობის ცნებით.

სოციალური განწყობა ტრადიციულ და კულტუროლოგიურ მიდგომებში უცვლელი და არსებითი შესახნავლი ობიექტია, ხოლო ნორმები და ლირებულებები — ასევე ბევრი სხვადასხვა დისკიპლინის (სოციოლოგია, ეთიკა, ანთროპოლოგია და ა.შ.) მიერ შეისწავლება. კულტურით დაინტერესებული სფეროები განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ Tajfel-ის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიას სოციალური იდენტურობის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ჩვენი მე-კონცეპცია ანუ იმის ცნობიერება, რას ნარმოვადგენთ, მოიცავს არა მხოლოდ საკუთარი პირადი თვისებების თუ განწყობების (დისპოზიციების) ცნობიერებას, არამედ სოციალური იდენტურობის ცოდნასაც. ადამიანი ცდილობს მოვლენათა დაჯგუფებას და ეს სურვილი გვეძლევა მემკვიდრეობით, რადგან გვესმის, რომ ჯგუფში დაცული ვართ. Tajfel-ის სოციალური იდენტურობის თეორია გულისხმობს, რომ ჩვენი სოციალური იდენტურობის ნაწილი იმ ჯგუფის ნიაღში ნარმოიშვება, რომელსაც მივეკუთვნებით.

სოციალური იდენტურობის თეორია ამბობს:

1. ჩვენ ადამიანებს ვანანილებთ კატეგორიებად, მათ შორის, საკუთარ თავისაც და რაიმე იარღიყვა მივაწებებთ; „იარღიყვის მიწებება“ ადამიანის და სხვა რაღაცის გასაგებად უმოქმედი გზაა;

2. ჩვენ ვადგენთ ჩვენს იგივეობას (იდენტურობას) — საკუთარ თავს ვაკავშირებთ რომელიმე ჯგუფთან და მას უწოდებთ “ჩემს ჯგუფს”;

3. ჩვენს თავს ვადარებთ სხვებს; ჩემს ჯგუფსაც უუპირისპირებ სხვა ჯგუფებს და შესაბამისად, სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს, ამიტომ რომელიმე ჯგუფის წევრობით ჩემს თავსაც ვაფასებ. იმის შეგრძენება, რომ “ერთად ვართ”, აძლიერებს ჩემს “მე-კონცეპციას” და ეს თვითპატივისცემასა და სიამაყეს ზრდის — ის, რომ ჩემი ჯგუფი ყველაზე უკეთესია, მეხმარება, თავი ვიგრძნო კომფორტულად.

დადებითი იდენტურობის უკმარობისას ადამიანები ხშირად აფასებენ თავიანთ თავს ჯგუფთან გაიგივებით; იმავდროულად, ბოლო გამოკვლევებით, ადამიანის დახსასიათებაც შეიძლება იმის მიხედვით, რომელ ჯგუფს ეკუთვნის (Maiersc D. 1998; 301-302).

შესაბამისად, ჩამოყალიბდა “ჩემი-სხეისი ჯგუფის” ეფექტი; ხშირად არ თარგმნიან და იყენებენ ტერმინებს —ingroup და outgroup Effects. ეს ეფექტი აღნერს ადამიანთა კატეგორიზების ერთ-ერთ გავრცელებულ ხერხს — სამყაროს დანაწილებას “ჩვენ-ისინი” კატეგორიებად.

მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ასეთ დაყოფას ორი ძირითადი შედეგი მოჰყვება, რომლებიც შესაბამისად იწოდა “გაუსახურების ეფექტად” (“ყველა ერთნაირია”) და საკუთარი ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭების ეფექტად (“ჩემი სჯობია”).

ადამიანები მიღრეკილი არიან იფიქრონ, რომ “სხვა” ჯგუფის წევრები უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე “ჩვენი” ჯგუფის წევრები. მაგალითად, Park-მა და Rotbart-მა აღმოაჩინეს, რომ “სხვა” ჯგუფის წევრები უფრო ერთმანეთის მსგავსად ეჩვენებათ, ხოლო “ჩემი” ჯგუფის წევრები — განსხვავებულად, რადგან მათ ინდივიდუალობად, თავისი პიროვნული სახის და ცხოვრების სტილის მქონედ აღიქვამენ; სხვა ჯგუფის წევრებს კი განიხილავენ მხოლოდ მისი ჯგუფური კუთვნილების თვალსაზრისით და თითოეულ მათგანზე ერთი და იგივე ჯგუფური სტერეოტიპის პროცეცირებას ახდენენ.

რაც შეეხება “ჩემი” ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭებას, ეს ეფექტი ვლინდება ყველა პარამეტრის მიხედვით მისი საუკეთესოდ განხილვის ტენდენციაში; შესაბამისად, იმ ტენდენციაში, რომ ჯილდო მის სასარგებლოდ გაანანილოს. საკუთარი ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭება შეისწავლება Tajfel-ის მიერ შემუშავებული ე.წ. მინიმალური ჯგუფური პარადიგმის მემკვიდრეობით.

ამ პროცეციურაში სრულიად უცნობი ადამიანების განაწილება ხდებოდა ორ ჯგუფად რაიმე მარტივი კრიტერიუმის საფუძველზე, მაგალითად, მონეტის აგდებით ადამიანი ან “X” ჯგუფში ხდებოდა,

ან "ყ"ში. ან კიდევ, შესაფასებლად აძლევდნენ თუ სურათს, რომელიც მანამდე არ უნახავთ და შემდეგ ანანილებდნენ ჯგუფებში.

აღმოჩნდა, რომ ასეთი ტრივიალური მეთოდით დაყოფილი ჯგუფებიც კი ფავორიტიზმამდე მიდიოდა. ჯგუფად დანაწილება ის მინიმუმია, რომელიც აჩენს მიკერძოებულობას გარევეულ სხვებთან მიმართებაში, თუმცა კი ექსპერიმენტის მონანილეებს არც ექსპერიმენტის დროს ჰქონდათ ურთიერთობა ერთმანეთთან და არც მერე, აგრეთვე იმის მიუხედავად, რომ მათი მოქმედება სრულიად ანონიმური იყო, მაინც ისე იქცეოდნენ, თითქოს ის ადამიანები, რომლებიც ისეთივე "უაზრო ჯგუფურ იარლიყს" ატარებდნენ, როგორც თვითონ, მათი მეგობარ-ახლობლები ყოფილიყვნენ. მეტიც, ჯგუფური ფავორიტიზმის ეფექტი მოქმედებს მაშინაც კი, როცა რეალური ჯგუფი არც არსებობს, მაგრამ ადამიანი ვარაუდობს, რომ მას ეკუთვნის, რეალური ჯგუფის დაჯილდოება-დასჯის სისტემის მეშვეობით კი ჯგუფური ფავორიტიზმი ძლიერდება.

Tajfel-ის მონაცემების საფუძველზე მევლევრებმა გააკეთეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა: არსებობს საკუთარი ჯგუფის წევრების უფრო მეტად, ვიდრე სხვა ჯგუფის წევრებისა, დაჯილდოების საგრძნობი მიღრეკილება; სამყაროს "ჩეენ"/"სხვები" პრიზმაში დანახვის ეს მიღრეკილება, იმ ვარაუდით, რომ ჩეენ "რაღაცით მაინც" სხვებზე უკეთესი ვართ და ამიტომ მეტს ვიმსახურებთ, სოციალური პერცეფციის ფუნდამენტური ასპექტია ( Конфліктологія M, 1998; გვ. 176-177; Apronson E. M, 1998; გვ. 160-162; Pocc, P. Нисбет M, 2000; გვ. 89).

ამგვარად, მინიმალური ჯგუფური პარადიგმა გვეუბნება; რომ "უბრალოდ იმიტომ, რომ ადამიანი ამა თუ იმ ჯგუფს მიეკუთვნება, მისთვის განსაზღვრული ყველა მიზეზის კატეგორია. ანუ განსაზღვრულია ისიც, როგორ უნდა იფიქროს ან იმოქმედოს კონკრეტული სიტუაციური იდენტურობის პირობებში ( Social Psychology Across Cultures. 1999; Berry, 1994, გვ. 1-28).

XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი კ. ლევინი გამოყოფდა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის რამდენიმე ინდიკატორს:

1. ქცევის გარკვეული ფორმა, ჩატარის ან ლაპარაკის გარკვეული მანერა, რომელიც წნდება ჯგუფის შიგნით; ეს ადამიანისთვის ასრულებს "ცნობის" ფუნქციას.

2. საზღვარი "ჩემს" ჯგუფსა და "სხვა" ჯგუფს შორის. ამ საზღვარს იცავს როგორც შიგა, ისე გარე ჯგუფის წევრები;

ლევინი განსაკუთრებით გამოყოფდა ზენოლის ფაქტორს. ჯგუფზე ზემოქმედი სოციალური ძალები განსაზღვრავს სიტუაციის ზეგავლენას ჯგუფის ცხოვრებაზე. გარე ზენოლის შემთხვევაში ჯგუფი შეიძლება იზოლირებული აღმოჩნდეს; ასეთ შემთხვევაში ჯგუფი კონსერვატული გახდება, რაც სხვათა შორის, იმავდროუ-

ლად ჯგუფის მთლიანობასაც უზრუნველყოფს. ასეთი “ჩაკეტილობა” მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული “თავისუფალი ხამოძრაო სივრცის” ხარისხთან. რაც უფრო მკვეთრია ფიზიური ლოკომოციის შეზღუდვა, მით უფრო იზღუდება “სოციალური ლოკომოციის” სივრცეც. მაგალითად, პროფესიები შეიძლება იმ სფეროთა ერთიანობად წარმოვიდგინოთ, რომელიც ზღუდავს თავისუფალ ლოკომოციურ სივრცეს”.

“ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” თანამედროვე მკვლევრები აქტიურად მიმართავენ სოციალური რეპრეზენტაციის თეორიასაც; მნიშვნელოვნაც მიიჩნევა იმ მნიშვნელობათა გაშიფრვა, რომლითაც შეიძლება მოქმედის (აქტორის) გაგება; ყოველდღიურ მოვლენებს არ გააჩნიათ თანმობილი სოციალური მნიშვნელობა; ჩვენ უბრალოდ ვსწავლობთ, რომ ჩვენს კულტურაში კონკრეტული მოვლენა და სიტუაცია სწორედ ასეთნაირად უნდა გავიგოთ.

## § 5. კულტურული კონტექსტი; კონტექსტის ტიპები

ადამიანის მიერ განხორციელებულ ქცევას თავისი ფონი აქვს. მეტიც, იგი განპირობებულია კიდეც ამ ფონით. ვერც ერთ ადამიანურ მოვლენას ფონის გათვალისწინების გარეშე ვერ გავიგებთ.

ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ ფონი თავისთვალ ადამიანს ძალზე იშვიათად, თითქმის არ ეძლევა ცნობიერად — ჩვეულებრივ, ყურადღება იმას ექცევა, რაც “ფიგურის” ანუ მოვლენის როლშია.

კ. ლევინი მიუთითებდა, რომ სოციოლოგიურ პლანში უნდა გამოიჩინს ორი ტიპის ძალა, რომელიც პიროვნებაზე ზემოქმედებს: პიროვნების სურვილებთან დაკავშირებული და სოციუმით თავს-მოხვეული.

კ. ლევინი განსაკუთრებით აღნიშნავდა სოციალური ფონის მნიშვნელობას დარწმუნებულობასა და გადაწყვეტილების გარკვეულობაში და ყველაფერს ამას იმ “ნიადაგის”, “საყრდენის” სიმყარითა და სტაბილობით განპირობებულად მიიჩნევდა, რომელზეც დგას ადამიანი, იმის მიუხედავად, იცნობიერებს მის თავისუბრებებს თუ არა. ამიტომ ადამიანი ძალზე ავადმყოფურად რეაგირებს, თუ ეს ნიადაგი ფეხქვეშ ეცლება.

ადამიანი ერთდროულად ბევრი სხვადასხვა ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს; მისთვის ამ ჯგუფებს სხვადასხვა ღირებულება აქვს დროის სხვადასხვა მონაკვეთში. მაგრამ ადამიანს ყველა ვითარებაში ესმის, რომელ ჯგუფს ეკუთვნის და სად არის, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ქცევას. სიტუაციის ბუნდოვანება, “ნიადაგის” გაურკვევლობა, როგორც წესი, ქცევაშიც გაურკვევლობას იწვევს (Певин К. 2000; გვ. 292-310).

კულტურათა კვლევის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურულ ფონს — კონტექსტს. თანამედროვე მეცნიერები აღნიშნავენ, რომ პიროვნულობის პროცესის დადგინდებასთან, რეგულირება-განვითარებასა და სტრუქტურასთან დაკავშირებული პიპოთეზები, აღმოჩენები და ინტერპრეტაციები რეალურად ახასიათებს. მათ შემჩნელ კულტურულ კონტექსტს, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს საკვლევ თემასაც, თეორიულ კონცეპციასაც და მეთოდის გამოყენებასაც (Berry J.W., Poortinga Y. et al.; 1992). მდგომარეობების, კონტექსტისა და პიროვნების ისტორიული, სოციოკულტურული სივრცის გაგება აუცილებელია მიღებულ მონაცემთა განსაზოგადებლად და კვლევის მეთოდთა ვალიდურობისთვის — აღნიშნავს მექანიკული შეკვეთი დასლოვინგი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს კონტექსტური ნიმუშების შესწავლას, რომელიც ქცევებისა და მიზნობრივ პიროვნებათა ინტერაქციულ ეფექტებისა და შედეგების კვლევით მიმდინარეობს. კონტექსტი განსხვავებულ აზრს შეიძენს და განბირობებულია იმ პიროვნებით, ვისთანაც ეს ქცევა ხორციელდება, და შესაბამისად, კონკრეტულ კონტექსტში განხორციელებული ქცევის მოდელი კულტურის სპეციფიკურ ხელნერას ქმნის (Krunenberga, I. Kashima, 1999). მაგალითად, მისაღმების აქტს ინგლისში და იაპონიაში სრულიად განსხვავებული დატვირთვა აქვს: ინგლისში მისაღმების რიტუალი მხოლოდ სამეფო კარზეა მიღებული, იაპონიაში კი იგი ბევრგვარ სიტუაციაში ჩართული — სტუმრად, მეზობლებთან, ქუჩაში ნაცნობის შეხვედრისას და სხვ.

კონტექსტის ცნება მოიაზრებს იმ კულტურული ფონის ცოდნას, რომელიც აუცილებელი პირობაა კონკრეტული კულტურის ნებისმიერი მოვლენის გასაგებად. შესაბამისად, კულტურები ერთმანეთისგან განსხვავდება კონტექსტის სპეციფიკით. ეს სპეციფიკა დაკავშირებულია იმ ფონური ცოდნის მნიშვნელადობასთან, რომელიც გავლენას ახდენს ურთიერთობაზე.

კულტურული კონტექსტის მნიშვნელადობა მეცნიერებაში აღნერილია ტერმინებით — დაბალკონტექსტური და მაღალკონტექსტური.

დაბალკონტექსტურობის შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელიც ინფორმაციის გაცვლისას ხასიათდება ორიენტაციით კოგნიტურ სტილზე. ასეთ კონტექსტში ნამყვანია მეტყველების სისწრაფე, ცნებათა სიზუსტე და მოლაპარაკის ლოგიკურობა. ამ ტიპის კონტექსტი დასავლურ კულტურებს ახასიათებს. ბუნებრივია, რომ წარმატებები ინდივიდუალისტურ კულტურებში დიდადაა დამოკიდებული ადამიანის სამეტყველო უნარებზე (ზაგალითად, სისწრაფე მეტყველებაში აღიქმება კომუნიკატორის სან-

დოობის მაჩვენებლად. ცნობილია, რომ კენედი ნუტში ზოგჯერ 300 სიტყვას ამბობდა (Mayeres D. 1998; გვ. 318). ამ კულტურებში პარალინგვისტურ ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილება და ვერბალური ინფორმაციის უგულებელყოფა არაადეკვატურ გაგებას ინვევს. დაბალკონტექსტურ კულტურებში არ ენდობიან იმას, რაც ვერბალურად მკაფიოდ ფორმულირებული არ არის. *Triandis* აღნიშნავს, რომ ამერიკულები, მაგალითად, ცდილობენ დისკუსიაში ნათლად და გამოკვეთილად ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, ამასთან, პირველ რიგში, ნინ ნამოსხევენ ძირითად არგუმენტს იმისთვის, რომ ოპონენტმა მოსმენა ისურეოს (*Triandis H.C.* 1994; გვ. 184-186).

მაღალკონტექსტურობა გულისხმობს ფონური ინფორმაციის პრიორიტეტულობას ინფორმაციის კოგნიტურობასთან შედარებით. აქ ნამყვანია, ვისთან და რა ვითარებაში გახდება კომუნიკაცია და არა იმდენად ის, რას ამბობენ. ჩვეულებრივ, მაღალკონტექსტურად მიიჩნევენ აღმოსავლურ კულტურებს, სადაც დამახასიათებელია მეტყველების ნაკლები კონკრეტულობა და არაკატეგორიული ფორმები.

მაღალკონტექსტური კულტურებისთვის დამახასიათებელი არაა სიტუაციის მიხედვით ძალზე მკვეთრი ცვლილებები ქცევაში.

კონტექსტი თავს ავლენს კულტურის მატარებლის ნებისმიერ აქტივობაში, მათ შორის, ე.ნ. არავერბალურ ენასა და ქცევაში. მაგრამ მეტყველებითი ქცევისაგან განსხვავებით, არავერბალურ ქცევაზე ადამიანი ნაკლებადაც ფიქრობს და ნაკლებადაც იცნობიერებს.

კულტურები განსხვავდება ემოციების გამოხატვის თავისებურებებითაც. ემოციების ღიაობასა და მათი გამოვლენის სპონტანურობაზე ორიენტაცია მიჩნეულია კონტექსტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად.

ამერიკელი კულტურული განსხვავდება ემოციების გამოხატვის თავისებურებებითაც. ემოციების ღიაობასა და მათი გამოვლენის სპონტანურობაზე ორიენტაცია მიჩნეულია კონტექსტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად. *H. Triandis* აღნიშნავს კომუნიკაციის უმჭიდროეს კავშირს კულტურულ კონტექსტთან. რაც უფრო მეტადაა კონტექსტი ჩართული კომუნიკაციაში, მით მეტი მნიშვნელობით იტვირთება არავერბალური ენაც და ქცევაც. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძლება ინფორმაციის გადაცემის ფორმა, ემოციის გამოხატვა, დისტანცია ადამიანებს შორის, ხმის ტემპი, სხეულებრივი პოზა, მხედველობითი კონტაქტი (*Triandis H.C.* 1994; გვ. 184-186).

არავერბალური ქცევის სისტემა, რომელშიც შედის მიმიკა, ჟესტი, პოზა, თვალით კონტაქტი, შეხება, ურთიერთობათა სივრცით-დროითი ორგანიზაცია, სიარული და ა.შ., უაღრესად კონტექსტურია. დარვინი, მიდი, სხვა კულტურანთოროპოლოგები ადასტურებენ, რომ მათ კულტურით მნიშვნელოვანი განპირობებულობა ახასიათებს და უზივერსალურია თავისი მოქმედების თვალსაზრისით

კველა კულტურაში. ცხადია, ადამიანი არავერბალურ ქცევასაც სოციალიზაციის პროცესში სწავლობს და მისი მასწავლებლები კულტურა და მისი აგენტებია.

არავერბალური ქცევის სპეციფიკასთანაა დაკავშირებული მაღალკონტექსტური კულტურის ცნების მეორე მნიშვნელობაც: მაღალკონტექსტურ კულტურებად მიჩნეულია ისინი, სადაც არავერბალური ქცევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვერბალური.

არავერბალური ქცევა უმეტესწილად უსტების გამოყენებით ხორციელდება.

მეცნიერებაში გამოყოფენ უსტების რამდენიმე ტიპს (მოცემულია Ekman, Friesen, 1969, სტეფანენკოს მიხედვით):

1. ადაპტორებს;
2. ილუსტრატორებს;
3. უსტ-სიმბოლოებს;
4. მიმანიშნებელ უსტებს;
5. შემათანხმებელ (მომღლაპარაკებელ) უსტებს.

ადაპტორები (ცხვირის მოფხანა, ტუჩის მოკვენეტი) სხეულს ეხმარება გარემოსთან ადაპტაციაში, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება ეს ფუნქცია დაკარგოს. კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს, რომლის გამოყენება მისაღები-მიულებელი ამა თუ იმ სიტუაციაში, თუმცა ისინი ნაკლებად გამოიყენება ინტერპერსონალურ ურთიერთობებში.

ილუსტრატორები უშუალო კავშირშია მეტყველების მინარესთან, ისინი ვიზუალურად ახდენენ იმის ილუსტრირებას, რასაც ყვებიან. კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს მათი გამოყენების წესებსაც და სიხმირესაც. ერთის მხრივ, ზოგიერთი კულტურული კონტექსტი ნახალისებს ვერბალური ქცევის უსტიკულაციას (მაგალითად, ებრაული, იქალიური, ქართული), მაგრამ კულტურის მიხედვით განსხვავდება უსტიკულაციის მანერა; მეორეს მხრივ, პირიქით, ზღუდავს უსტიკიკულაციას; მაგალითად, იაპონიაში ბავშვებს თავიდანვე აჩვევენ უსტიკიკულაციაში თავშეეავებას.

უსტ-სიმბოლოები კველა კულტურაშია. გარდა ალენერილისა, უსტებს დამოუკიდებელი კოგნიტური მნიშვნელობაც გააჩნიათ. ეს ნიშნავს, რომ მათ დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ინფორმაციის გადაცემა, თუმცა კი ძალზე ხშირად თან ახლავს მეტყველებას. არსებობს უნივერსალური უსტ-სიმბოლოები ანუ ისინი, რომელთაც ერთნაირი ფორმა აქვთ სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ მათი მნიშვნელობები განსხვავებულია კულტურული კონტექსტის მიხედვით. მაგალითად, საჩვენებელი და დიდი ოთხებით შეკრულ წრეს სრულიად განსხვავებული სემანტიკა აქვთ სხვადასხვა კონტექსტში: აშშ-ში იმის სიმბოლოა, რომ ყველაფერი კარგადაა, სამხრეთ საფრანგეთში იმის, რომ “ცუდი” და “ნოლია”, იაპონიაში ნიშნავს

"ცოტა ფული მომეცი", ევროპის ზოგიერთ რეგიონში კი, ისევე, როგორც ბრაზილიაში, უგვერი უესტია.

მიმანიშნებელი უესტებიც ყველა კულტურაში არსებობს, მაგრამ განსხვავებულია ფორმით და შინაარსით. მაგალითად, ექსტი ხელით — "მოდი ჩემთან" რესეტში სრულდება ხელისგულით ზევით და მტევნის ქნევით წინ და უკან, იაპონელები კი ხელს წინ იშვერენ ხელისგულით ქვემოთ და მოხრილი თითებით აკეთებენ მოძრაობას თავისეუნ.

Berry J.W.,-სა და მისი თანამშრომლების მიერ 1990 წელს ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებით, ჰოლანდიელმა სტუდენტებმა სწორად ამოიცნეს იმ "მიმანიშნებელი" უესტების დიდი უმრავლესობა, რომელსაც ჩილელები და ქურთები იყენებენ; მათ აღნიშნეს, რომ ბევრი მათგანი მათ კულტურაშიც არსებობს, მაგრამ შემათანხმებული უესტების უმრავლესობის სწორად ინტერპრეტაცია, (მაგალითად, მუჭიდან ამომვერილი ცერა თითი, როგორც "კარგი") ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

## რაზიუმე

საზოგადოებისა და კულტურის ცნებები ყველაზე ხშირად გამოყენებადი ცნებებია სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში. მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ხშირად ისინი იგივეობრივად გამოიყენება, რაც დაკავშირებულია თანამედროვე სოციოლოგიაში გარკვეულ კრიზისთან, ამასთან, კულტურისა და ადამიანური საზოგადოების მჭიდრო ურთიერთშიმართვებასთან, რამდენადაც საზოგადოება კულტურული ინდივიდების ერთობლიობაა და სწორედ მათი საზით განახორციელებს თავის თავს; კულტურაში მოიაზრება ადამიანის მიერ შექმნილი გარემო — სულიერიც და მატერიალურიც. კულტურა ქცევის უძლიერესი დეტერმინანტიცაა და სუბიექტური (ცოდნისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი ნუარიც).

თავისი სირთულისა და მრავალფეროვანი მახასიათებლების გამო კულტურის ეკლევისას ინტეგრალურ მიღებას ეფუძნებიან, რაც გულისხმობს მომიჯნავე მეცნიერებათა სფეროებიდან მრავალგვარი მონაცემის, კონცეფციისა და მეთოდის გამოყენებას. კულტურათა კვლევაში ასეთი ინტეგრალური მიღება ტრადიციაა.

კულტურას უმეტესწილად განიხილავენ ჰოლისტური ოვალ-საზრისით, რაც გულისხმობს კონკრეტული კულტურის განხილვას მთლიანობითი პოზიციიდან, მისი ელემენტების გაგებას მთლიანობითი სტრუქტურის ამსახველად; სოციალურ-კულტურული ინდივიდი და სოციალური ჯგუფი წარმოადგენს ანალიზის ერთეულს.

კულტურათა შესწავლაში განსაკუთრებული როლი ენიჭება კულტურული კონტექსტის სპეციფიკის ცოდნას — დაბალეონტექს-

ტურობას და მაღალკონტექსტურობას; ეს დაყოფა დაკავშირებულია კომუნიკაციის პროცესში კოგნიტური ინფორმაციის მნიშვნელადობასთან. დაბალკონტექსტურობის შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელიც ინფორმაციის გაცვლისას ხასიათდება ორიენტაციით კოგნიტურ სტილზე. მაღალკონტექსტურობა გულისხმობს ფონური ინფორმაციის პრიორიტეტულობას ინფორმაციის კოგნიტურობასთან შედარებით.

### **დაკალებები:**

1. გამოყავით კულტურისა და საზოგადოების ძირითადი წილები.
2. დაასახელეთ სისტემური მიდგომის საყრდენი პოსტულატები და მეთოდოლოგიური პრინციპები.
3. განმარტეთ იდენტურობის ცნება და ახსენით მისი კავშირი კულტურასთან.
4. ჩამოაყალიბეთ კონტექსტის მახასიათებელი თავისებურებები და ტიპები.

### **გასაცნობი ლიტერატურა**

1. Kagitcibasi C. Individualism and Collectivism. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Val. sami, 1996; pp. 1-51
2. Berry J.W. Culture: the neglected concept. The Search of indigenous Psychologies. Social Psychology Across Cultures. 1999
3. Тулен А. Возвращение человека действующего. 1998, გვ. 5-11
4. Гиденс Э. Социология. М. 1999, გვ. 95-108
5. Лурье С. В. Историческая этнография. М. «Аспект. Пресс» 1998, გვ. 48-108
6. Шихирев П. Современная социальная психология. Екатеринбург-Москва, 2000, გვ. 193-196.
7. Стефаненко Т. Г. Этнопсихология. М., 2000, გვ. 154-161
8. Левин К. Разрешение социальных конфликтов. М. 2000; გვ. 292-310
9. Бейтсон Гр. Экология разума, М. Изд-во «Смысл», 2000; გვ. 121-138

## ძირითადი ცნებები:

- საზოგადოება** — ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ემორჩილება პოლიტიკური ძალაუფლების ერთიან სისტემას და თავის იდენტურობას იცნობიერებს, როგორც განსხვავებულს მეზობელი ჯგუფისგან.
- კულტურა** — კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებები, ნორმები და მატერიალური ნარმობების პროდუქტები. კულტურა ადამიანთა ნებისმიერი სოციალური გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.
- ანთროპოლოგია** — სოციალური მეცნიერება, რომელიც ძირითად ყურადღებას უთმობს ტრადიციული კულტურებისა და ადამიანის ევოლუციის შესწავლას.
- ისტორიულობა** — ისტორიის გაგება ისტორიული ცვლილებების თვალსაზრისით, ე. ი. ინფორმაციის მიღება სოციალური ცვლილებების პროცესებზე.
- ადაპტაცია** — ბიოლოგიური ორგანიზმის თავისებურება, გადარჩეს მოცემულ გარემოში.
- პოლიზმი** — საზოგადოების შესწავლა მთლიანობითი პოზიციიდან სისტემური მიღვიმა — მეცნიერულ კვლევაში მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელიც რთულ ობიექტს განიხილავს მისი შემადგენელი ელემენტებისა და მათ შორის კავშირების ერთიან მთლიანობად.
- კომუნიკაცია** — ინფორმაციის გადაცემა ერთი პირის ან ჯგუფის მიერ მეორესთვის. კომუნიკაცია არის ყველა სახის სოციალური ურთიერთებულების აუცილებელი საფუძველი.
- კონტექსტი (ლათ. contextus — შეერთება, ფონი)** — ლინგვისტიკური გულისხმობს ტექსტის ფრაგმენტს, აუცილებელს და საკმარისს იმ ერთეულის მნიშვნელობის გასაგებად, რომელიც შეესაბამება მოცემული ტექსტის ზოგად აზრს; კულტუროლოგიაში ტექსტური მიიჩნევა მთლიანად კულტურა; არჩევენ ვერპალურ და არავერბალურ კონტექსტს.
- დაბალკონტექსტური კულტურა** — კულტურა, რომელიც ინფორმაციის გაცვლისას ორიენტირებულია კოგნიტურ სტილზე.
- მაღალკონტექსტური კულტურა** — კულტურა, რომელიც კომუნიკაციისას ორიენტირებულია ფონური ინფორმაციის პრიორიტეტულობაზე ინფორმაციის კოგნიტურობასთან შედარებით.
- იდენტურობა** — თავისთავადობის შეგრძნება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ თავისი თავის დამოუკიდებელ პიროვნებად განცდას

## თავი 2.

### როგორ ვიყვალიოთ კულტურა?

#### § 1. მსგავსება თუ განსხვავება (უნივერსალური და სპეციფიკური)

სხვადასხვა კულტურა საშუალების განსხვავებულ ინტერპერტაციას ახდენს. მეცნიერთა აზრით, ამ კოგნიტურ განსხვავებებს შესაძლოა ფუნდამენტური სოციალური მიზეზები ჰქონდეს.

ანთროპოლოგიური მეცნიერების მთელი ისტორია აჩვენებს, რამდენად აქტუალურია პრობლემა, თუ როგორ უნდა იქნეს შესწავლილი კულტურა.

ყოველთვის ერთნაირად მწვავედ იყო დასმული საკითხი: ემთხვევა ერთმანეთს კულტურის და მის ნარმომადგენელთა ე.ნ. პიროვნების იმპლიციტური თეორიები, ან კიდევ — მკულევრისა და მისი საკულევი სუბიექტებისა?

დღევანდელ სოციალურ მეცნიერებებში და, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომელიც კულტურას ეხება, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ თითქოსდა “ბუნებრივი” სოციალური თუ ფსიქოლოგიური მექანიზმების ფუნქციონირებაც კი კულტურის გავლენას ემორჩილება.

ეს ვითარება საკუთხეთსოდ დაადასტურა ამირისა და შარონის მიერ ნარმობულმა ანალიტიკურმა კულევამ. მათ იზრაელში გაიმეორესა ამერიკაში ჩატარებული 35 გამოკვლევიდან 6, რომელიც ეხებოდა არა ამერიკულ, არამედ ზოგადადამიანურ პრობლემატიკას. 64 შესაძლებელი შედეგიდან იზრაელში დადასტურდა მხოლოდ 30 — დანარჩენები კულტურულმა კონტექსტმა შეცვალა.

ორი მიდგომა, რომელზეც ვლაპარაკობთ, გულისხმობს ორი კატეგორიის პროცესებსა და კონსტრუქტებს — უნივერსალურს, საყოველთაო-ზოგადსა და კულტურული ჯგუფისთვის სპეციფიკურს.

#### § 2. კულტურის საკულევი მიდგომები: etic და emic

ასე ეწოდება იმ მეცნიერულ-საკულევ მიდგომებს, რომელთა პოზიციიდანაც შეისწავლიან კულტურებს.

რას ნარმოადგენს თითოეული მათგანი?

ი. კონის აღნიშვნით, “ახსნისა” და “გაგების” ძველი ფილოსოფიური პაზიცია თანამედროვე ეთნოლოგიაში ფორმულირებულია, როგორც “ეთიკური” (etic) და “ემიკური” (emic) მიდგომების დაპირისპირება. Etic მოიაზრებს გარეს, ობიექტურს, ხოლო emic — შიდას, სუბიექტურს.

ტერმინთა ავტორი გასლავთ ლინგვისტი კ. პაიკი, რომელმაც ეს ორი ტერმინი შექმნა ლინგვისტური ცნებების — ფონეტიკურის და ფონემიკურის ანალოგით. ლინგვისტიკაში ფონეტიკური ანალიზით სწავლობენ მეტყველების ბეგერების წარმოთქმის მატერიალურ, სხეულებრივ წახამძღვრებს (ანუ იმ ბეგერებს, რომლებიც ყველა ენაშია); ფონემიკა კი შეისწავლის იმ წესებს, რომლის საშუალებითაც ენის მატარებელი განსაზღვრავს ბეგერათა აზრს (ანუ ერთი ენისთვის სპეციფიკურ ბეგერებს).

აქედან მოყოლებული, ყველა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში emic-ურს უნიდებენ მოვლენის შესანავლაში კულტურულ-სპეციფიკურ მიდგომას, ხოლო etic — ურს — შესასწავლი მოვლენის ასახსნელად უნივერსალისტურ მიდგომას (Berry, 1980; pp. 1-28).

ადამიანის შესახებ მეცნიერებებისთვის უარსებითესია ფაქტების აღნერის ობიექტურობისა (გარე დამკვირვებლის პოზიციიდან) და სუბიექტურობის (მოვლენათა ნაწილის) თვალთახედვით ურთიერთშევსების საკითხი. ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა ბჭობა უნივერსალური პრინციპების, პროცესების და კონსტრუქციების (etic), ერთის მხრივ, და სპეციფიკური, კულტურული ჯგუფის დამსახურათებელი იდიოსინკრეტული მახასიათებლების (emic), მეორეს მხრივ, შედარებითობაზე. გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება, რომლის თვალსაზრისით ბაზისური პროცესები და პრინციპები უნივერსალურია, ხოლო თეორიული კონცეპტები, პიროვნული ატრიბუტები, ქცევითი მოდელები, ნორმები, განწყობები და ლირებულებები — ინდივენურ (ანუ რეგიონულ) საფუძველზეა; პიროვნების მახასიათებლები თავსდება უნივერსალურისა და იდიოსინკრეტულის საზღვარზე.

როგორ იქველევენ და ზომავენ ამ მექანიზმებს? როგორ ხდება მათი ემპირიული ანალიზი, როგორ გამოვავლინოთ ინდივიდის და ჯგუფის მენტალობა? არსებობს ორი გზა:

1. ქცევაზე დაკვირვება, რომელშიც ხალხის ადათ-ნესები ვლინდება;

2. ჯგუფის ნევრებს ვთხოვოთ თავისი თავი გამოხატონ საქციელით ერთად, სიტყვებით.

მკვლევრის როლი ისაა, რომ ამ დამოკიდებულებებისა და “ვერბალური გამოხატვის” ინტერპრეტაცია გააქვთოს და ამის საფუძველზე აღწეროს, ახსნას და იწინასწარმეტყველოს.

ფრანგი სოციოლოგი ა. მენდრა აღნიშნავს, რომ სოციოლოგთა შორის ამ საქმეში ორი ტენდენცია აღინიშნება:

1. ეთნოლოგთა აზრით, არსებოთი ის კი არაა, ხალხი რას ლაპარაკობს, არამედ ის — როგორ ცხოვრობს;

2. სოციალურ ფსიქოლოგთა აზრით, საკმარისია დასვა სწორი შეკითხვა და სწორად, და მივიღებთ გასაანალიზებლად და საინტერ-პრეტაციოდ ვარგის პასუხებს.

დაკვირვება ხანგრძლივია, ინტერპრეტაცია კი — საკმარის როუ-ლი, ხოლო სოციალურ ფსიქოლოგთა ტექნიკა იძლევა იმის სწრაფად გაგების შესაძლებლობას, თუ “რას ფიქრობს ხალხი”. მენტრა ალ-ნიშნავს, რომ კვლევის ტექნიკასთან დაკავშირებული დებატების საფუძველი სწორედ ეს განსხვავებაა (Menundra A. 2000 გვ. 75).

ეროსკულტურულ კვლევები უფრო ხშირად etic — ურ მიდგო-მას მიმართავდნენ, რაც გულისხმობს:

1. ორი ან მეტი კულტურის შესწავლა;

2. კულტურებს შორის მსგავსება-განსხვავებების ასახსნელად ანალიზისთვის კულტურის ზეგავლენისგან თავისუფალ ერთეუ-ლებს ირჩევენ;

3. მკვლევარი გარე დამკვირვებლის პოზიციაზე დგას და კულ-ტურისგან დისტანცირებულია;

4. კვლევის სტრუქტურა და აღმნერი კატეგორიები, აგრეთვე ჰიპოთეზები მკვლევრის მიერ ნინასწარ ყალიბდება.

გამოყენება ოპიკტური მეთოდები — კითხვარები, ე.ნ. თავისუფალ პასუხთა ფორმატი, როცა რესპონდენტები მნიშვნე-ლადობის მიხედვით ჩამონერენ რამდენიმე პიროვნულ მახასიათე-ბელს; სტანდარტიზებული ინტერვიუები, ფსიქოლოგიური ტესტები, კონტენტ-ანალიზი, მაგრამ ხშირია ფაქტები, როცა მკვლევრები უხეშ სუბიექტურ შეცდომებს უშვებენ ინტერპრეტაციისას.

ბევრი კულტურანთოპოლოგი უკიდურესად უარყოფითად ეკიდება შედარებით კვლევებს, რადგან შეუძლებლად მიაჩინათ შესადარებლად ადეკვატური მაჩვენებლების პოვნა. მაგალითად, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის მიმართულების ერთ-ერთი შემქმნელი, ბერძნული ნარმოშობის ამერიკელი სოციალური ფსიქო-ლოგის და კულტურანთოპოლოგის — Harry Triandis-ის აზრით, შე-დარებითი კვლევების უმრავლესობაში საქმე გვაქვს ფსევდო- etic — ურ მიდგომასთან, რადგან თვით მკვლევრები ვერ თავისუფლდე-ბიან თავისი კულტურის სააზროვნო სქემებისგან, და ამიტომ მათ მიერ კონსტრუირებული კატეგორიები გავლენებისგან სულაც არაა თავისუფალი. ჩვეულებრივ, ევრო-ამერიკული კულტურის სპეცი-ფიკა “ზედედება” ხსნა კულტურების ფენომენებს. ყოველდღიურ ცხოვრებაშიო — წერს იგი — ამის ბევრი მაგალითია. მაგალითად, სიტყვა “გეიშა” ევროპელისთვის მსუბუქი ყოფაჭცევის ქალის ასო-ციაციას აღძრავს; მისი etic — ური მნიშვნელობის გაგება კი მხო-ლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა “გეიშას” კულტურულ-სპეცი-ფიკურ სემანტიკას ანუ etic — ურ მნიშვნელობას გებულობ. იაპონიაში კი გეიშას სემანტიკა მოიცავს განსაკუთრებულ თავისე-

**ბურებებს:** მას იშვიათი ინტელექტუალური უნარები და გამოცდილება გააჩინია, ამიტომ საუკეთესოა არა ქორფა და ტურფა, არამედ დიდი ტალანტის მქონე, ნიჭიერი და გამოცდილი. ტრიანდისის თქმით, ევროპულ კულტურაში შუასაუკუნეების ფეოდალთა კარზე ამ ფუნქციას ჯამბაზები ასრულებდნენ.

emis — ზე დაფუძნებული ანთროპოლოგის კვლევის საგანია ადამიანის შინაგან სამყაროსა და კულტურულ ცელადებს შორის სისტემატური კავშირების გამოვლენა. შედარებები სხვა კულტურებთან კეთება მხოლოდ კონკრეტული კულტურის გამოწვევით შესწავლის შემდეგ.

emis — ური მიღვომის ძირითადი თავისებურებები, რომელიც კულტურის რომელიმე კომპონენტს შეისწავლის:

1. შეისწავლება მხოლოდ ერთი კულტურა იმ მისნრაფებით, რომ გაიგონ;

2. გამოიყენება კულტურისთვის სპეციფიკური ანალიზის ერთეულები და კულტურის მატარებელთა ტერმინები; ამ პოზიციიდან დაწერილი წიგნები, როგორც წესი, ასევე მოიცავს შესასწავლი კულტურის ენის ძირითად ცნებათა ლექსიკონს;

3. კულტურის ნებისმიერი ელემენტები შეისწავლება სისტემის „შიგნიდან“, მონაწილის თვალთახედვით; ეს პროცესი თვითონ მკვლევარსაც ცვლის;

4. მკვლევარმა ნინასწარ არ იცის, ანალიზის რომელ ერთეულებს გამოიყენებს — კვლევის სტრუქტურა თანდათან ყალიბდება.

დისკუსიებით გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვით, ბაზისური პროცესები და პრინციპები უნივერსალურობის ტენდენციას ამჟღავნებას, ხოლო თეორიულ კონცეპტებს ისევე, როგორც პიროვნულ ატრიბუტებს, ქცევით მოდელებს, ნორმებს, განწყობებს და ლირებულებებს, ინდიგნური საფუძველი აქვთ.

### § 3. მკვლევარი და ეთნოცენტრიზმი

ფრანგი სოციოლოგი ანრი მენდრა წერს: "სოციოლოგიური ანუ ფსიქოსოციოლოგიური ტექნიკა ასევე სოციალური ფენომენია და გამოყენებულ უნდა იქნეს საკულტური სოციალური რეალობის შესაბამისად" (Мендря А. 2000; გვ. 88).

ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული "ჭირი" კულტურათა კვლევისას — ესაა მკვლევრის ეთნოცენტრიზმი.

კულტურათა შესწავლის მთელი ისტორიის მანძილზე მეცნიერული მიღვომის საკითხი გადახსნართული იყო მკვლევართა "სუბიექტური" თავისებურებების ჩართულობის პრიბლემატურობასთან მეცნიერულ კვლევაში.

კულტურის უდიდესი მკვლევრები (მაგალითად, შარგარეტ მიდი), მთელი მიმართულებები (კულტურული რელატივიზმი) უპირისპირდებოდნენ ამ მოვლენას და ამკვიდრებდნენ კაცობრიობაში ყველა კულტურის თანაბარუფლებიანობის და თანასწორობის იდეას. ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ დასავლელმა მკვლევარებმა გამოხატეს, უპირველეს ყოვლისა, პროტესტი კულტურის შესწავლაში დასავლური მიერძოებულობის წინააღმდეგ, რომელსაც დღეს განსაკუთრებით აქტიურად გამოხატავენ აზიელი მკვლევრები.

პუმანისტური პათოსის გარდა, მეცნიერთა პროტესტი მეცნიერულობის მოთხოვნის ასახვაც იყო. საქმე ისაა, რომ მკვლევრის ეთნოცენტრიზმი მეცნიერული ობიექტურობის მტერია, რადგან უარყოფითად მოქმედებს კვლევის პროცესზე და სცოდავს არაადეკვატური ინტერპრეტაციით. იმის მიუხედავად, რომ ეთნოცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მეცნიერების ისტორიაში საკმაო ტრადიცია აქვს, იგი დღესაც აქტუალურია და განსაკუთრებით საგრძნობი კულტურის კვლევაში.

ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი — Berry აღნიშნავს, რომ ეთნოცენტრიზმი საემაოდ ხშირად ვლინდება დღესაც; იგი კვლევის სხვადასხვა დონეზე და ნაირგვარად იჩინს თავი:

1. იმ შემთხვევებში, როცა თითქოსდა უნივერსალურ მეთოდიკებში შეაქვთ თავიანთი კულტურისთვის სპეციფიკური კატეგორიები;

2. მკვლევრის მიერ კვლევის ობიექტის ამორჩევაში ისე, რომ არ ხდება კულტურის სპეციფიკის გათვალისწინება მაგალითად, ევროამერიკულ ქვეყნებში იკვლევენ კომუნიკაციის შინაარსს, აღმოსავლურ კულტურებში კი არანაკლებ მნიშვნელოვანი კომუნიკაციური კონტექსტია;

3. თეორიათა და კონცეფციათა ფორმულირებაში, რამდენადაც სოციალურ მკვლევართა იდეებსაც და მათ მიერ გამოყენებად ცნობებსაც ძალზე ხშირად მათივე მშობლიური კულტურის სპეციფიკის დაღი ადევს.

#### § 4. შესაძლებელია ვალიდური შედარებით-კულტურული გამოკვლევა? Werner,Campbell-ის მეთოდი.

კროსეულტურული მკვლევრები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მიზნობრივი კულტურისთვის უცხო კონცეფტებზე დამყარებული თეორიები "ეთნოცენტრიზმის მახვა", თუმცა კონკრეტული კულტურის მშობლიურ კონცეფტებზე დაყრდნობაც ასევე მახვა და სირთულეებს ქმნის — იგი სრულებითაც არ განსხვავდება კულტუროცენტრიზმის ფუნდამენტური სიძნეელისგან, რადგან მკვლე-

ვარი კვლავ იძულებულია ეპრტოლოს ამჯერად, ადგილობრივი ხასიათის კულტურულ მიკერძოებებს. (David Y.F.Ho. 1998).

მეთოდების გამოყენების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია კულტურათა შედარებით კვლევებში. დღეს მიღებული აზრით, სანდო მონაცემების მისაღებად შედარებით-კულტურულ გამოკლევებში უმჯობესია მეთოდიები არ ითარგმნოს ერთი ენიდან მეორეზე — ყოველ კულტურაში უნდა დაიძებნოს გამოყენებადი კატეგორიების მთის-ური ეკვივალენტები.

იმ შემთხვევაში, როცა გადათარგმნა მაინც გახდება, არსებობს სპეციალური, საკმაოდ რთული ე.ნ. ორმაგი თარგმნის ტექნიკა და-ცენტრირებით; ამ მეთოდის ავტორთა ლოგიკით, რადგან ერთი და იგივე აზრის გამოსათქმელად სხვადასხვა საშუალება არსებობს, ამიტომ საჭიროა ერთი და იგივე ტექსტის გულისყურით და გულ-დასმით დაახლოვება განსხვავებულ ენებზე. შეიძლება შეიცვალოს ფორმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — აზრი. ასეთი მეთოდი შეამსუბუქებდა თარგმანს და გამოკვლევისას სირთულეებს არ შეიძნიდა.

მაგალითად, ტექსტი, რომელიც ორმაგად ითარგმნა, ე.ი. ერთი ენიდან მეორეზე და ისევ საწყისზე, შეიძლება პირველადი ტექსტის-გან ძალიანაც განსხვავდებოდეს. ამ შემთხვევაში მკვლევარი უნდა ეცადოს არა თარგმნილი ტექსტის მიახლოვებას საწყის ტექსტთან, არამედ მან უნდა შეცვალოს საწყისი ტექსტი ანუ ამოსავალი ტექსტის “დეცენტრაცია” უნდა მოახდინოს გამოკვლევის მიზნების შესაბამისად. ამისათვის კი საწყისი ტექსტი პირველ თარგმანს უნდა დაუახლოვდეს და არა თარგმანი — საწყის ტექსტს; შემდგომ ეტაპზე მკვლევარი დეცენტრირებული ტექსტის ორმაგ თარგმანს აკეთებს, რის შედეგადაც დეცენტრაცია მესამე ტექსტს, რომელსაც მეტი შანსი აქვს, საწყისი ტექსტის იდენტური იყოს. ამ მეთოდიკას Werner-Campbell-ის მეთოდი ეწოდება.

Triandis-ის აზრით, საუკეთესო შედევები შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ კომპლექსური etic-etic-etic მიდგომით, როცა გამოიყენება “etic” კატეგორიები და “emic” საშუალებები მათ გასაზომად. მასთან, კატეგორიათა სისტემა ყოველ კულტურაში ზუსტად უნდა იქნეს ოპერაციონალიზებული.

ამგვარად, უნივერსალური etic-ური კატეგორიები უნდა გააანალიზდეს კონკრეტულ კულტურაში emic-ური მეთოდებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეჯერდეს etic — ური მიდგომით ( Triandis H.C. 1994).

ამგვარ მიდგომას ბევრი თანამედროვე კულტურის მკვლევარი იზიარებს, მაგალითად, მკვლევართა მთელი ჯგუფი, რომლებმაც რამდენიმე პროექტის ფარგლებში ფილიპინებზე სპეციალური

მუშაობა გასწიეს ე.ნ. "სუბიუქტური კულტურის" ელემენტების — self — თვისებების, ღირებულებებისა და განწყობების შესასწავლად და პიროვნების იდენტური საზომების დასადგენად ( T.Church, A.J. Carlota, M.Katigbak, Ma.A Guanson-Lapena, 1999).

ასეთი კომბინირებული მიდგომა მოითხოვს ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და სხვა პუმანიტურ სფეროთა წარმომადგენლების ერთობლივ ინტეგრალურ საქმიანობას.

## § 5. ინდიგენიზაცია — “შევხედოთ კულტურას მისივე მკვიდრის თვალით”

დასავლეთი დიდხანს რჩებოდა აზიური, აფრიკული, ლათინურ-ამერიკული სოციალური მეცნიერებების ეტალონად. მიიჩნეოდა, რომ თუ შედეგები დასავლურ თეორიებს არ შეესაბამება, თვითონ მონაცემები არ არის წესრიგში.

Harry Triandis-ი ამ ვითარებასთან დაკავშირებით არცთუ ირონიის გარეშე აღნიშნავს იმ სავალალო ცდომილებას, დასავლელ მეცნიერებს რომ აქვთ საკულევ პრობლემებთან დაკავშირებით არადასავლური ტიპის კულტურებში. მაგალითად, იაპონელებსო — ნერს იგი — ბევრად უფრო ნაკლებად ანუხებად კოგნიტური შესატყვისობის პრობლემები, ვიდრე დასავლური კულტურის წარმომადგენლებს. „კოგნიტური ბალანსის“, „კოგნიტური დისონანსის“, „კოგნიტური კონგრუენტობის“ და ა.შ. პრობლემები, რომელიც ასე აქტუალურია დასავლეთელი (ევროამერიკელი) მკვლევრებისთვის, სათავეს ძველებრძნულ სააზროვნო ტრადიციაში იღებს შესატყვისობის იდეის სახით; დასავლეთში გვვინია, რომ თუ "ა" ჭეშმარიტია, მაშინ "ბ" არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს; ამგვარი თვალსაზრისი კი დიდად აზრიანი არაა იმ კულტურებში (მაგალითად ინდურში), სადაც ფართოდა გავრცელებული ფილოსოფიური მონიზმი, რომლის მიხედვითაც „ყოველივე ერთიანია“ და დიადი ჭეშმარიტების საპირისპიროც ასევე „დიადი ჭეშმარიტებაა“ (Triandis;1994 გვ. 4).

პირველად იაპონელებმა დასვეს საკითხი იმის თაობაზე, რომ დასავლური თეორიები თუ მცდარი არა, უნივერსალური მაინც არაა. დღეს თვალშისაცემია არადასავლელ მეცნიერთა პოზიცია, რომელთა აზრით, უნდა შეიქმნას ადგილობრივი ("ინდიგენური") მეცნიერება; ისინი ისნრავვიან, კულტურულ ჯგუფს შეხედონ მისი წევრების თვალით და რაც მთავარია, მუდმივად იქნეს გათვალისწინებული კონტენტული კულტურისთვის დამახასიათებელი სოციალური კონტექსტი.

მეცნიერება ესწრაფვის გამოავლინოს ქცევის უნივერსალური პრინციპები. იმის დაშვება, რომ ეს პრინციპები კულტურითაა გან-

პირობებული და არა კულტურულად უნივერსალური, გარევეულ სირთულეებს ქმნის. მაგრამ მეცნიერება ცოდნას გარკეთულ ეტაპზე აღწევს, მოვლენების კონცეფტუალიზაციაც და მათი შესანავლი მეთოდოლოგიაც გაჯერებულია კულტურულ ლირებულებებითა და ვარაუდებით. მევლევარი არ მოქმედებს კულტურულ ვაკუუმში, შესაბამისად, არც ცოდნა ყალიბდება მისგან დამოუკიდებლად, ეს ცოდნაც კულტურის პროდუქტია.

კულტურათა ევლევის თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, კონფუციანური მემკვიდრეობის კულტურებში განვითარდა მეცნიერების ე.ნ. ინდიგენიზაციის თვალსაზრისი. ამის ხელშემწყობი იყო ის უკარისობა, რომელსაც ინვევდა დასავლური თეორიებისთვის ტიპიური ინდივიდუალიზმისკენ გადახსრა. ავტონომიური ინდივიდის თეორიები ეჭვექვეშ დადგა როგორც ისტორიული, ისე გლობალური თვალსაზრისით. კონფუციანური მემკვიდრეობის კულტურებში — იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში, ფილიპინებში, მევლევრებმა ხმა აღიმაღლეს არსებული ვითარების ნინააღმდეგ და მხარი დაუჭირეს ინდიგენიზაციას, რადგან სოციალური ცხოვრების ინდივიდუალისტური მოდელი არ ნარმოაჩენს სრულ ადამიანურ გამოცდილებას.

ცნობილი ფილიპინელი მკულევრის — David Ho -ს განსაზღვრებით, ინდიგენური მოძღვრება ადამიანის ქცევისა და მენტალური პროცესების შესახებ კულტურულ კონტექსტში ეფუძნება კონკრეტული კულტურის ლირებულებებს, კონცეფტებს, რწმენათა სისტემებს, მეთოდოლოგიასა და საკულევი სპეციფიკური ჯგუფის (ეთნიკური თუ კულტურული) ინდიგენურ მახასიათებლებს. ამიტომ ინდიგენური მიდგომით მოპოვებული ცოდნა ხასიათდება არა იმდენად ცოდნის სტრუქტურით, რომელსაც ფლობს კულტურული ჯგუფის შესახებ, რამდენადაც კულტურულ ჯგუფზე დაყრდნობით შექმნილი კონცეფციებითა და მეთოდოლოგიებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება ცოდნის განზოგადება. თვალშისაცემია კულტურის ნარმობადგენელთა თავისებურებების შესწავლის ტენდენცია არა სტანდარტული, არამედ ადგილობრივ კონცეფტუალურ და საინტერეტუალო მოდელებზე დაყრდნობით.

ცნობილი ფილიპინელი მკულევარი აღნიშნავს, რომ ინდიგენიზაციას ჰყავს თავისი დამცველებიც და მონინააღმდეგებიც.

ინდიგენიზაციის მონინააღმდეგებს შემდეგი არგუმენტები აქვთ:

ინდიგენური თეორიები კროსკულტურულზე დაქვემდებარებულად განიხილება და ამდენად, მისი დეფინიცია წინასწარაა განსაზღვრული; ინდიგენური თეორიები იმთავითვე არასრულია; ისინი ვერ იქნება ზოგადი თეორიები ადამიანის ქცევის შესახებ; ინდიგენიზაციამ კულტურა შეიძლება აუტოქთონურობამდე მიიყვანოს,

წინააღმდეგობა გაუწიოს მისი მოვლენების სააშეარაოზე გამოტანას და ცვლილებებს გარე ფაქტორების ზეგავლენით, ამდენად, იგი შეგნით მიმართული, კონსერვატიული და განვითარებისთვის გარე სტიმულების დამხმობია. არსებობს ბევრი გამოსაკვლევი ცალკეული კულტურა და ყოველი მათგანისთვის ცალკე მეცნიერების შექმნა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც უსაფუძვლოა და არა-ჯანსაღი.

ინდიგენიზაციის მხარს უჭერენ არგუმენტებით:

კონცეპტუალური ჩარჩოები და მეთოდოლოგიური საფუძვლები უნდა ჩამოყალიბდეს არა შემოტანილ მოდელებზე დაყრდნობით, არამედ მიზნობრივად, ადგილობრივი კულტურის გამოკვლევის საფუძველზე, რადგან დასავლური კონცეფტები შეიძლება არარევულვანტური და გამოუსადეგარი იყოს აზიაში. მაგალითად, დასავლური იდეოლოგიური ვარაუდები, ვთქვათ, ინდივიდუალიზმი, აზიური ეთნოსისთვის უცხოა. ამიტომ მათზე პრმა მიღებენ გამოსაზღვრებამ შეიძლება აზიის და აზიელების არასწორ გაგებამდე მიგვიყენოს. ჩი-ს აზრით, "დასავლური ფსიქოლოგიის აზიაზე სრული გადატანა კულტურული იმპერიალიზმის სახეა და ხელს უწყობს ცნობიერების კოლონიზაციას"; იგი აღნიშნავს, აზიელები საგანგაძო კონფრონტაციაში არიან მათ შესახებ სტერეოტიპების გამო, რომლებიც არა მხოლოდ დასავლეთელმა, არამედ ამერიკულ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობილმა აზიელმა მკვლევარებმაც შექმნეს.

ჩი გამოყოფს ინდიგენურ და ეგზოტიკურ თეორიებსა და თეორეტიკოსებს — როცა მკვლევარი თავისი კულტურისთვის ბუნებრივ (ანუ მშობლიურ) ღირებულებებსა და კონცეფტებს ეყრდნობა, ნარმოჩინდება ადგილობრივი მკვიდრთა თვალთახედვა; როცა ამ ტიპის თეორიები კრითიკულება უცხო კულტურის ღირებულებებთან და კონცეფტებთან, ვლინდება აუტსაიდერების თვალთახედვა; რომელს შეიძლება ვენდოთ მათ შორის? ჩი-ს აზრით, ასეთი თეორიები ერთი და იგივე იმპლიციტურად მოცემული მსოფლმხედველობის ასახვა და გამოხატულებაა, თუ ისინი საკუთარი კულტურის ღირებულებებსა და კონცეპტებს ეყრდნობიან და, ამდენად, მხოლოდ მიზნით განსხვავდებიან.

თეორეტიკოსთა შედარებაც პრაქტიკულად სხვადასხვა კულტურული ტიპის შედარებაა. გარევეული კონსტრუქტები (მოქმედი პირი, ეგო, self, პიროვნება) ასახავს დასავლეთისთვის დამახასიათებელ ადამიანური ყოფიერების ინდივიდუალისტურ კონცეფციას; ამის საპირისპიროდ, სხვა კატეგორიის კონსტრუქტები (სახე, მი-ჯაჭვულობითი ორიენტაცია, მიჯაჭვულობითი იდენტურობა) ასახავს კონფუციანური კულტურებისთვის დამახასიათებელ და-მოკიდებულებით (მიჯაჭვულობის) კონცეფციას.

მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდის თვისებებს ურთიერთობრივი კონტექსტის გარეშე, საკმარისი არაა ქცევის ას-ახსნელად: ინდივიდის თვისებები შეიძლება ურთიერთებედნენ ჯგუფის თვისებებთან, რაც სრულიად განსხვავებულ ქცევებში აის-ახსა. მაგალითად, ინტელექტუალური პიროვნება შეიძლება ეფექტურად ფუნქციონირებდეს ადეკვატური ინტელექტის მქონე პიროვნებებთან, მაგრამ სრულიად არაეფექტური აღმოჩნდეს და-ბალი ინტელექტის მქონეთა გვერდით. სხვა კულტურის ნარმო-ბადგენელთან ქორნიზებისას ხშირად სრულიად განსხვავებული შეხედულებების ნინაშე დადგებიან ქორნიზების თაობაზე და აუ-ცილებელი გახდება მეუღლეთაგან რომელიმეს მიერ ქცევის მქვეთრი შეცვლა. ეს მაგალითი კარგად ავლენს ინდივიდის ატრიბუტებისა და კულტურულად განსაზღვრული როლების ურთიერთებებას. ანუ ფოკუსირება გახდება პიროვნებაზე სხვადასხვა ურთიერთობრივ სიტუაციაში, ფოკუსირებულია ურთიერთებების სუბიექტები ურთიერთობრივ კონტექსტში. ინდიგენური თეორიისთვის ეს ორი მომენტი საბაზისოა.

მეთოდოლოგიურ მიმართებითობას უნივერსალური სანდოობა აქვს; ამის მიზეზი ისაა, რომ სოციალური ქცევა ყოველთვის რაღაც მიმართებით-ურთიერთობრივ კონტექსტში მიმდინარეობს ყოველ-გვარი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად. ტრადიციულად, ამგვარ კონსტრუქციებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართებით-ურთიერთობრივი კონტექსტი ინტერპერსონალური ურთიერთობებია (ზაგ. მშობელი-შვილი). ამ ურთიერთობათა საკუთარი ნიშნები (თვისებები) არ იცვლება სიტუაციების და ინდივიდების მიხედვით — ეს თვისებები ხანგრძლივი და უცვლელია სხვადასხვაგვარ სიტუაციაში. მაგალითად, თაობათაშორისო ურთიერთობების კონფუციანურ განსაზღვრებას საფუძლად უდევს შეიღების პატივისცემა მშობლების მიმართ და არა აქვს მნიშვნელობა, სად და როდის ხდება იგი.

ამგვარად, ინდიგენური თეორიები იყენებს გამოსაკვლევ კულტურულ ჯგუფზე დაფუძნებულ კონცეფციებს და მეთოდოლოგიებს; ესაა მისი ძლიერებაც და შეზღუდვაც. ძალა ისაა, რომ შესაძლებელი გახდება ადგილობრივების მიერ საკუთარი თავის გაგების დადგენა, რაც სხვა გზით შეუძლებელია; შეზღუდვა ისაა, რომ ეს კონცეფციები ვერ თავსდება ჩამოყალიბებული, დასრულებული ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემაში.

თეორიებს, თეორეტიკოსებსა და კულტურებს შორის მსგავსებაც და განსხვავებაც ძალზე მნიშვნელოვანია და ისინი ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. უპირატესობა არა აქვს ინდიგენურ თეორიებს ან პირიქით.

დიდად გასაკვირი არაა, როცა ადგილობრივი მეცნიერის თვალ-საზრისი თავისი კულტურის შესახებ განსხვავდება აუტისაიდერის თვალსაზრისისგან; მეტიც, განსხვავდა ადგილობრივებს შორისაცაა. ორივე ტიპის განსხვავდა — ინტერკულტურულიც და ინტრა-კულტურულიც — აზსნას მოითხოვს.

უცხო ცნებების სესხება, Ho-ს აზრით, მაინცდამაინც ეთნო-ცენტრიზმი ან კულტუროცენტრიზმი არაა, ხშირად ეს ერთგვარი კულტურული განაყოფიერებაა, რაც შეიძლება მშენიერი შემო-ქმედებითი სინთეზით დამთავრდეს.

ყოველი კულტურის რესურსი განიხილება პოტენციურ საშუ-ალებად როგორც ადგილობრივი, ისე ეგზოტიკური კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევის ასახსნელად.

რეალობის კონსტრუირება ამა თუ იმ კულტურაში ან კულ-ტურებს შორის შეიძლება მრავალგვარად; სხვადასხვაგვარი კულ-ტურული ნარმობობის თვალსაზრისები მისაღებია და ამიტომ პრი-ორიტეტი არც ერთს არ ენიჭება.

ამგვარად, ფილიპინელი მკვლევრის თვალსაზრისით, ინდი-გენიზაცია კვლევის პროცესის ღირებული, აუცილებელი საფეხუ-რიც კია (David Y.F.Ho 1998).

ინდიგენური მეთოდოლოგიები და მათ შორის, ფსიქოლოგია დაფინებით მოითხოვს, რომ მიზნობრივ ანუ გამოსაკვლევ ჯგუფს მისივე მკვიდრის თვალით შევხედოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ გადმოცემული კონცეფცია ასახავს თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ ტენდენციას, რომელიც თავს იჩენს ეთნომეთოდოლოგიების სახით.

## § 6. კვლევის ინდიგენური — emic-ური მეთოდები

იმ კულტურული ფენომენის გამოვლენას, რომელიც კოგნიტურ პერცეფციას გამოეყოფა, მკვლევრები მიიჩნევენ ფუნდამენტურად მნიშვნელოვნად კროსკულტურულიდან ინდიგენური კონცეფციების ნარმობას აქმნებად.

სპეციალისტები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ დასავლეთში ჩა-მოყალიბებული თეორიული მიდგომა ვერ ითვალისწინებს იმ სო-ციონცენტრულ კულტურულ ტენდენციებს, რომელიც ბატონობს ურთიერთდამოკიდებულ, კოლექტივისტურ, ოჯახზე დაფუძნებულ საზოგადოებებში და უკარიაზებს სოციალური ინტერაქციის ნამყვან ფორმებს. მაგალითად, მიღწევის ორიენტაციის შესწავლისას, კო-ლექტივისტური კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალ-ისწინებული უნდა იქნეს ფორმათა მისაღებობა მიზნის მისაღებევად.

კონკრეტულ არადასაკვლურ კულტურებში მკვლევრებს შორის შეუთანხმებლობა პიროვნების ძირითადი საზომების თაობაზე,

თვისებათა შერჩევის პრაქტიკა უცხოურ ტესტებზე დაყრდნობით, საკუთარი ადეკვატური ტესტების უქონლობის გამო უცხოური ტესტების გამოყენება ადეკვატურ მონაცემთა მოპოვებაში ბევრ პრობლემას ქმნის. მკელევრები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ ბევრ აზიურ კულტურაში შეტანილი ტექნიკის (კითხვარი, ფორმალიზებული ინტერვიუ, ტესტი) გამოყენება შეზღუდულია გაუნათლებლობით, არადასავლურ კულტურებში მგრძნობელობითი ფაქტორების დიდი მნიშვნელობით, გამოკვლევაში მათი როლის დაუდგენლობით და ა.შ. ყოველივე კი ქმნის ადეკვატური მეთოდების შექმნის აუკილებლობას.

დასავლეთელ და ფილიპინელ მკელევართა ერთობლივი ძალისხმევით (T.Church, A.J. Carlota, M.Katigbak, Ma.A Guanson-Lapena) ჩამოყალიბებულ იქნა ფილიპინური კულტურისთვის ადეკვატური ქცევა—განწყობებისა და თვისებების ინცენტიარი და პრობირებულ იქნა კონკრეტულად მოიც-ური მეთოდი, რომელიც წარმოადგენს გამოყითხვის მეთოდის ნაირსახეობას.

მონაცემთა შეგროვების ინდიგენური, ე.წ. გარშემომყოფთა გამოკითხვა, შედარებით ბუნებრივი, არაფორმალურ გამოკითხვაზე დაფუძნებულ ტექნიკაა, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

1. რადგან ეფუძნება კონკრეტულ (ფილიპინური) კულტურას, ამიტომ ურთიერთობის ფორმა რესპონსენტთან კარგად გასავაბი და მისაღებია, ამდენად, კულტურის წარმომადგენელთა მიერ არ აღიძება თავსმოხვეულად. შესაბამისად, მისი უპირატესობაა მეტი მოქნილობა და სანდოობა, რაც ინფორმაციას იცავს მკვლევრის მიერ დამახიჯებისგან;

2. მკელევარი მხოლოდ მაშინ და თანაც ისეთ კითხვებს სვამს, რომელიც ბუნებრივია და ურთიერთექმედების კონტექსტს არ არღვეს; ამასთან, ჩვეულებრივ საუბარში შესაძლებელი გახდება ისეთი გარემოს შექმნა, როცა ინფორმაცია ბუნებრივად წამოვა ან უნებურად, თავისთვავდ მიეცემა. აյ მთვარია, ინფორმანტს არ შექმნას გრძნობა, რომ მას რაღაც მიზნით იყენებენ ან სპეციალური გამოკითხვის ობიექტია. ამიტომ მკელევარი ფაქტიზი და კონტაქტური უნდა იყოს.

3. დასმული კითხვა ყოველთვის წინას გაგრძელებაა; ამდენად, მკელევარს წინა კითხვის ნათელსაყიფად და დასაზუსტებლად, ახალი ინფორმაციიდან გამომდინარე, სხვა კითხვების დასმაც შეუძლია; შეიძლება იმპროვიზირებაც;

4. გამოკითხვის პროცესში შეიძლება გადახრაც სხვადასხვა ინფორმანტთაგან მიღებული ინფორმაციის სანდოობის შესამოწმებლად. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ინფორმაციის შეუ-

თავსებლობა ის შემთხვევაა, როცა მიზნობრივ პოპულაციაში საგნის განსხვავებულ ხედვასთან გვაქვს საქმე.

5. ეს ტექნიკა გამოიყენება იმ მიზნობრივ პოპულაციასთან, ვინც მეტ-ნაკლებად იზიარებს ერთი და იგივე სოციალურ სამყაროს, ან ამ სამყაროს ურთიერთობის ფორმებს საკვლევი საგნის გარკვეულ ასპექტებთან მიმართებაში. პრაქტიკაში იგი გამოსადეგია სტაბილურ ერთობებში, კარგად განვითარებული, მჭიდრო სოციალური ქსელით, რაც მკვლევარს უადვილებს ინფორმაციას სოციალურ ჯგუფთან კონტაქტში შესვლას.

6. ამ ტექნიკას ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ ხშირად იგი ყველაზე ეფექტურია.

აღნირილი ტექნიკა (ე.წ. "აგტატანუნგ-ტანონგ"), მკვლევართა აზრით, შეცვლილი სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კულტურებშიც; იგი მიიჩნევა დასავლური ტექნიკისა და გასაზომი ინსტრუმენტების საკმაოდ სიცოცხლისუნარიან აღტერნატივად.

იგივე ტექნიკას კრიტიკულადაც უნდა შევხედოთ:

1. აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მკვლევართა მონაცემები და ახლად მოპოვებული მასალა უნდა შედარდეს მათთან; მხოლოდ ამის შემდეგაა გამართლებული "აგტატანუნგ-ტანონგ"-ში ჩართული შემოწმების შედეგთა ფორმალიზება და კვანტიფიცირება;

2. ინფორმაცია კიდევ უნდა "გაიფილტროს" კონკრეტული პირის მეშვეობით, რომელიც ერთდროულად სოციალური სტიმულიცაა და მომხსენებელიც მონაცემთა შეგროვების პროცესში;

3. აღნიშნულის გარდა, არსებობს სანდოობის სხვა საზომებიც, მაგალითად, შეთანხმება მკვლევრებს შორის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკითხვის არაფორმალური ბუნებისა და იმის გამო, რომ ამ ტექნიკით ვერ ხერგახდება მოდელის ფორმალური კრიტიკულის ჩამოყალიბება.

"შეხებით მოსინჯვა" ("აკაპა-კაპა"). "აგტატანუნგ-ტანონგ", რომელიც საკმაოდ სპეციფიკური ტექნიკაა, შეიძლება განხილულ იქნეს ფილიპინური კონცეპტის — "აკაპა-კაპა"-ს ფონზე, რომელიც უფრო ზოგად მიდგომას ნარმოადგენს პრობლემის გადასაწყვეტად.

ამ მიდგომაში ყველაფერი იწყება ყოველგვარი წინასწარი კონცეციის, ჰიპოთეზისა და ცოდნის გარეშე. კვლევის ობიექტთან და მიზანთან დაკავშირებით პროცედურის თანმიმდევრობას ყურადღება არ ექცევა — არსებობს მხოლოდ გლობალური, არადიფერენცირებული კვლევის საგანი და მისი შეცვლა შეიძლება მკვლევრის მოსაზრების მიხედვით. არც დავალებების შინაარსი და თანმიმდევრობაა ჩამოყალიბებული და არც პასუხთა ვარიანტები; ამდენად, რაიმეს წინასწარი ცოდნა არ მოითხოვება. უნდა აღინიშნოს, რომ საგნის სრული უცოდინარობა აუცილებელი მოთხოვნა არ არის, მა-

გრამ მკვლევარი უნდა იდგეს ტოტალური არაინფორმირებულობის პოზიციაზე. ეს მიღებომა იმ ადამიანს ჰყავს, “რომელიც რაღაცას კი ეძებს, მაგრამ თვითონაც არ იცის — რას”, ამიტომ საწყისი პიპო-თეზის ჩამოსაყალიბებლად და ფორმულირებისთვის არავითარი აზრობრივი ძაფი არა აქვს.

ამ შეთოდის გამოყენებისას მკვლევარმა ანგარიში უნდა გაუ-ნიოს შემდეგ მოთხოვნებს:

1. საწყის საფეხურზე მკვლევარს თავისუფლად შეუძლია არ შეისწავლოს ლიტერატურა — მასზე მიმართვა გახდება მხოლოდ მონაცემთა შეგროვების, გაანალიზებისა და ინტერპრეტაციის შემ-დეგ კვლევის სამომავლოდ დასაგეგმად და ხელახალი ფორმულირე-ბისთვის;

2. მკვლევარმა მოვლენები ისე უნდა მიიღოს, რა სახითაც ჩნდება და ეძლევა, ყოველგვარი წინასწარი კონცეფციის გარეშე. ეს წინავს საწყისი ნერტილისკენ, “ნედლი” მონაცემებისკენ მიბრუნე-ბას; გარდა ამისა, მკვლევარი გულდასმით ითვალისწინებს იმას, თუ რას ამბობს და აკეთებს გამოსაკითხი ხალხი, აგრეთვე პროფესიონ-ალი მკვლევრების აზრს მათ ლაპარაკსა და ქცევაზე.

3. ამ მიღებომაში მონაცემთა კონცეპტუალიზაციისა და კატე-გორიზმების ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი სხვადასხვა ქცე-ვის მარკირებას ახდენს არა კონცეფტუალური სქემების მიხედვით, არამედ იმის გარევევაზე დაყრდნობით, თუ რა იარღიყებს და კონ-ცეფტუალურ სქემებს იყენებენ თვით მოქმედი პირები და მათთან ინტერაქციაში მყოფი სუბიექტები. ამ თვალსაზრისით, ეს სქემები კონცეფტუალური კატეგორიის მნიშვნელობას იძენენ.

4. საბოლოოდ, უნდა მოგროვდეს ის ინფორმაცია, როცა შესაძ-ლებელი იქნება გამოსაკვლევი კონცეფტების, რელევანტური ცვლადე-ბისა და საზომების გამოკვეთა საიმისოდ, რომ ჩამოყალიბებულ იქნეს გამოკვლევის კონცეპტუალური სქემები და ფორმალური გვეგმა.

“აკად-კაპა”, როგორც ინტელექტუალური მიღებომა, მოთხოვს დისციპლინასა და დამაჯერებლობას. ფილოსოფიურად იგი უახ-ლოვდება ჭუსერლის რედუქციონისტული ფილოსოფიის დაჭვების თეორიას, რომლის აზრია წინასწარი ცნებების თავიდან არიდება; ეს ტექნიკა უახლოვდება მეცნიერული აქტივობის საწყის ფაზას, რადგან არც მეცნიერისთვისაა უცხო დავალებების ისე ფორმუ-ლირება, რომ მისთვის უცნობი, ადრე წარმოუდგენელი ინფორმაცი-აც კი გაიხსნას. ამ თვალსაზრისით იგი ჯანსაღი განწყობაა, რადგან ეჭვქვეშ აყვნებს ფუნდამენტურ ვარაუდებსა და თავისთავად ცხად შეშმარიტებებს, რომლებზეცაა აგებული ცოდნის მთელი შენობა, ენინაალმდევება გაბატონებულ და ავტორიტეტულ თეორიებს და ეძიებს ძველი პრობლემების ახლებურად გადაჭრის გზას.

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება კულტურულ-სპეციფიკურ თეორიებში. მაგრამ მეთოდოლოგიური მიმართებითობა უწივერ-სალურობისკენ ისწრაფვის და ზოგად ჩარჩოს ქმნის ადამიანის ფიქრისა და ქცევის გასაანალიზებლად. ანალიზის სტრატეგიული მომენტია არა ინდივიდი და სიტუაცია ცალ-ცალკე აღებული, არა-მედ პიროვნება ურთიერთობებში.

## § 7. რას უნდა ვითვალისწინებდეთ კროსკულტურული კვლევის ჩატარებისას?

შედარებით-კულტურული კვლევის შედეგთა ვალიდურობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას:

1. პასუხის ამორჩევის კულტურული ვარიაბილურობა — კულტურის წარმომადგენლები იმის მიხედვით განსხვავდებიან, პასუხთა მინდებული ვარიანტებიდან რომელს ირჩევენ — უკიდურეს პასუხებს თუ შუალედურს და ამასთან, რა სიხშირით; სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები შეფასების სკალაზე განსხვავებულ პასუხებს იძლევან — ერთნი უკიდურეს პასუხებს ირჩევენ, მეორენი — უფრო ზომიერს. მკვლევრისთვის დილექტია ისაა, რომ ვერ არჩევს, ეს განსხვავებები გამზომი ინსტრუმენტით გამოწვეული არტეფაქტებია, თუ მოზაცემები მართლაც “ჭეშმარიტ” განსხვავებებს ასახავენ.

პასუხებში ამ გადახრების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე პროცედურას მიმართავენ. ყველაზე ხშირად გამოიყენება ობიექტების მიხედვით მონაცემთა დაჯგუფება (Hofstede, 1980); ამის ალტერნატიულ მიდგომას წარმოადგენს პროცედურა, როცა რესპონდენტების სთხოვენ ლირებულებათა დალაგებას მათი მნიშვნელობის მიხედვით (Rokeach, 1973) და ამით ცდილობენ შეფასებით სკალებს გვერდი აუარონ (Berry 1992).

2. პასუხის გაცემის ხასიათის კულტურული ვარიაბილურობა — კულტურული განსხვავებები ცლინდრება იმის მიხედვითაც, როდის უპასუხობს რესპონდენტი: როცა პასუხში აბსოლუტურად დარწმუნებულია თუ, საერთოდ, ყველა შეკითხვას უპასუხებს (ან ფიქრობს, რომ უნდა უპასუხოს);

3. პასუხთა კულტურული ვარიაბილურობა — კულტურების მიხედვით იმის ნაირგვარი ალბათობა, რომ მივიღებთ რეალობის დამახინჯებულ, სოციალურად სასურველ პასუხს; სოციალური სასურველობის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგალითად, ადამიანი უბრალოდ ცდილობს თავისი კულტურული იდეალები კარგად გამოხატოს, ან მევლევარი (უფრო ხშირად, ვინმე ხელისუფალი) ასიამოვნოს (Hui C.H., Triandis H.C., 1989; Berry et al... 1990).

4. მკვლევრისთვის მისაწვდომ გამოხატოს პირთა (შერჩევის) კულტურული ვარიაბილურობა — ყველა კულტურაში არსებობს

მკვლევრისთვის შედარებით ადვილად და ძნელად მისაწყდომი მოსახლეობის ფენები. დასავლურ კულტურებში ასეთია მდიდარი და გავლენიანი ხალხი, ტრადიციულში კი სწორედ ისინია ძირითადი შესწავლის ობიექტები, ძალზე ხშირად მკვლევრართან ურთიერთობა მათვის სოციალურად პრესტიულია. *Triandis-i*, მაგალითად, აღნიშნავს, რომ ამერიკელ მკვლევრებს უჭირთ სკოლებში კვლევების ჩატარება, რადგან ადმინისტრაცია უფრთხის მათი სკოლის იმიჯისთვის ჩრდილის მიმყენებელ შედეგებს (*Triandis, 1994*).

5. ინტერჯუზური აღმის შექანიზმების თავისებურებები კულტურის მიხედვით; ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მონაცემთა შეკრებასა და მათ ინტერპრეტაციაზე; ამ შექანიზმთა უცოდინრობა განსაკუთრებით იჩინს თავს მკვლევართა ეთნოცენტრიზმის სახით, როცა საკუთარი კულტურის სტანდარტებს უნივერსალურად მიიჩნევენ და ყველა კულტურას მიუსადაგებენ.

თავის პროგრამულ მომიხილვაში *Berry* აღნიშნავს, რომ ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის პარადიგმისთვის არსებობს კროს-კულტურული კვლევის სამი ტრადიციული დილემა:

1. სოციალური ქცევის უნივერსალური ასპექტები;
2. მიზეზობრიობის (კაუსლურების) პრობლემა;
3. ლირებულებები, როგორც კულტურათა კლასიფიკაციის საფუძველი.

მოცემული პარადიგმის ფარგლებში ყველაზე ხშირად გამოიყენება ოპოზიციები: *Self-სხვები*, ინდივიდი/ჯგუფი, ლიდერი/მიმდევარი, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი. ამგვარი პოლარიზაციის გავრცელების თვალსაჩინო ნიმუშია გამოკითხვებში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ბიპოლარული სკალები.

## რეზიუმე

სხვადასხვა კულტურა სამყაროს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენს. კულტურის ზეგავლენით უნივერსალურ მექანიზმთა ფუნქციონირების შედეგებიც იცვლება. ამის გამო კულტურათა კვლევაში განსაკუთრებული პრობლემაა უნივერსალური კანონზომიერებისა და კულტურულად სპეციფიკურის ურთიერთშემსახურება.

კულტურათა კვლევაში ეყრდნობიან ორგვარ მიდგომას: *etic*-ურს და *emic*-ურს. *etic*-ური გულისხმობს კულტურათა შესწავლას უნივერსალისტური თვალსაზრისით, გარე დამკვირვებლის პოზიციიდან, რაც გულისხმობს ყველა კულტურისთვის საერთოს შესწავლას და ასეთი გზით გამოვლენილი მონაცემების შედარებას საერთო მახასიათებლის მიხედვით. *emic*-ური მოდგომით კულტურის შესწავლა გულისხმობს კულტურულ-სპეციფიკურის შეს-

ნაელას, ეს პოზიცია ეყრდნობა კულტურის „შიგნიდან“, მისი მატარებლების პოზიციიდან შესწავლას.

ორივე მიდგომა ტრადიციულად აპრობირებულია და გამოვლენილია თითოეული მათგანის ნაკლიც და უპირატესობაც. etic-ურის უპირატესობად მიიჩნევა კულტურათა შედარების შესაძლებლობა რაიმე მახასიათებლით ან მახასიათებლითა ერთობლიობით, ნაკლად კი — ეონკურეტულ კულტურათა სპეციფიკის ნიველირება და კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა; etic-ური მიდგომის უპირატესობად მიიჩნევა ეონკურეტული კულტურების უფრო სრული, სავსე აღნერა და ფენომენთა უკეთ ახსნადობა, რადგან გათვალისწინებულია კულტურული კონტექსტი, ნაკლად კი — გამოვლენილ ფენომენთა შედარების სირთულე სხვა კულტურების ფენომენებთან.

ორივე მიდგომის შემთხვევაში პრობლემატურია მკვლევრისა და საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორები. მკვლევრართან დაკავშირებულია ეთნოცენტრისტული ტენდენციების კონტროლის პრობლემა — მკვლევარი კულტურული და პიროვნული ორიენტაციების, განცყობებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებაა; იგი ნებსით თუ უნებლიერ ჩართავს თავის პიროვნულობას კვლევაში, რაც თავს იჩინს საკითხის, კვლევის ინსტრუმენტის, კონცეფტუალური ცნებების ამორჩევასა და გამოყენებაში. კულტურულ ფენომენთა შესწავლისას ეს პრობლემა ერთ-ერთი ფუნდამენტურია, რადგან იწევეს ემპირიული სურათის დამახილებასაც, არასწორ ინტერპრეტაციასაც და, საბოლოოდ, მიკერძოებულ შედეგებსაც.

ეთნოცენტრიზმის საფრთხე თუმცა კი ორივე მიდგომას თან ახლავს, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება etic-ურ მიდგომასა და ეთნომეთოდოლოგიაზე, რასაც ინდიგენიზაციას ანუ რეგიონულობას უწოდებენ. ამ მიდგომის გააქტიურება მოცემულ ეტაპზე განპირობებულია etic-ური მიდგომისთვის დამახასიათებელი დასავლური კვლევითი მოდელების უკმარისობით როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ პლანში, რაც გამოიხატება არაადეკვატური ემპირიული სურათის შექმნასა და ინტერპრეტაციის მიკერძოებულობაში. ინდიგენიზაციის მომხრეთა აზრით, ადგილობრივი (ინდიგენური) კონცეფტიების დაშუბავება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზოგადი თეორიული და პრაქტიკული კონცეფტიების დამუშავებაში, რადგან უფრო მრავალმხრივად ავლენს შესასწავლ ფენომენს; ამიტომ აქტივურად მუშაობენ კვლევის etic-ური მეთოდების ჩამოყალიბებასა და დახვენაზე. კვლევის ჩატარებისას ასევე მნიშვნელოვანია გამოკითხვის ტექნიკის დახვენასა და გამოსაკითხთა შერჩევის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხები.

თანამედროვე ეტიპზე მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საუკეთესო შედეგები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ კომ-პლექსური etic-emic- etic მიღვომით, როცა გამოიყენება etic-კატეგორიები და emic- საშუალებები.

### **დავალებები:**

1. ჩამოაყალიბეთ მკვლევრის სუბიექტურობის განმაპირობებელი ფაქტორები. რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს მკვლევრის სუბიექტივიზმი?
2. აღწერეთ სოციოლოგიაში გამოსაყენებელი გამოყითხვის მეთოდები და გავლეთ პარალელი emic- ური მიღვომით ჩამოყალიბებულ გამოკითხვის მეთოდებთან.
3. თქვენი აზრით, რა კონკრეტული შინაარსებით შეიძლება გამოვლინდეს დასავლური თეორიული მოდელის ან კვლევის ინსტრუმენტის უკანასაკულტურ კულტურაში?

### **გასაცნობი ლიტერატურა**

1. David Y.F.Ho. Indigenous psychologies . Asian Perspectives. Journal of cross-cultural psychology. Vol.29 No.1, January 1998 88-103
2. Berry J.W., Poortinga Y.H., Segall M.H. Dasen P.R. Cross-Cultural Psychology: Research and applications. Cambridge etc.; Cambridge un.Press, 1992
3. Rolando Dias-Loving. Contributions of Mexican ethnopsychology to the resolution of the etic-emic dilemma in personality. Journal of cross-cultural psychology. Vol. 29, No.1, January 1998 104-118
4. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw-Hill, 1994 გვ. 81-86

### **ძირითადი ცნებები**

კულტურული უნივერსალია — ღირებულებები ან ქცევის წესები, რომლებიც ყველა ადამიანურ კულტურას ახასიათებს  
**etic** — ური მიღვომა — კულტურული ფენომენების შესწავლა კულტურულ უნივერსალიებზე დაყრდნობით და გამოიყენებით  
**emic** — ური მიღვომა — კულტურული ფენომენების შესწავლა კულტურულ-სპეციფიკურ კონცეფტებზე დაყრდნობით  
კონცეპტი — აზროვნების ფორმა ან აზრი, რომელიც საგნებს (შინამდგილის მოვლენებს) და მათ შორის კავშირებს ასა-

ხავს განზოგადებული ფორმით ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით

**ეთნომეთოდოლოგია** — იმის შესწავლა, როგორ ასაზრისებენ ადამიანები თავის ნათევამსა და გაკეთებულს ყოველდღიური სოციალური ურთიერთქმედების დროს; ეთნომეთოდოლოგია შეისწავლის „ეთნომეთოდებს”, ხალხურს ან ყოველდღიურს, რომელთა გამოყენებითაც ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ აზრობრივ მნიშვნელობებს

**ინდიგენური მეთოდოლოგია** — მეთოდთა ერთობლიობა, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული კულტურის კონცეპტებს

**ობიექტურობა** — სწრაფვა იმისკენ, რომ რამდენადაც შესაძლებელია, შეცვალო ან გამორიცხო ორაზროვნება, გაურკევევლობა მიღებული შედეგების ინტერპრეტაციაში. ობიექტურობის ძირითადი მაჩვენებელია ის, რომ მიღებული შედეგები მისაწვდომი იყოს სამეცნიერო ერთობლიობის წევრთა მიერ კრიტიკული შეფასებისთვის.

**იდიოსინკრაზია** — ინდივიდის გაზრდილი მგრძნობელობა სხვადასხვა, ხშირად უმნიშვნელო ზემოქმედებასა და გალიზიანებაზე, რომელიც სხვებში არაეითარ რეაქციას არ იწვევს

**ეთნოცენტრიზმი** — სხვა კულტურის იდეებისა და პრაქტიკის აღქმა საკუთარი კულტურის ტერმინებით; ეთნოცენტრისტი — ესაა ადამიანი, უუნარო ან სურვილის არმქონე, სხვა კულტურები განიხილოს მოცემული კულტურისთვის სპეციფიკური ცნებების თვეალსაზრისიდან

**ვალიდურობა** — სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად ასახავს ჩვენი დაკვირვება იმ ფენომენებსა და ცვლადებს, რომელსაც ვიკვლევთ

### თავი 3.

## რით და როგორ დავახასიათოთ კულტურა?

ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის პარადიგმის ფარგლებში გამოიყეთა შესწავლის ორი დონე: კულტურა-დონე და პიროვნება-დონე. ჩევნ ცალ—ცალკე განვიხილავთ მათ.

### § 1. ლირებულებები—რატომ ვსწავლობთ მათ?

“რასაც არ უნდა ეხებოდეს მკვლევრის ინტერესი — “მე” — ს ერთიანობა-მრავლობითობას, მის ფორმალურ აღმნერებს — კუგნიტურ სირთულეს, სიმყარეს, შინაგან თანმიმდევრულობას თუ ერთორასტულობას, ყოველთვის საქმე გვაქვს სოციონორმატულ განცყობებთან” (КОН И.С. 1999; 233).

კულტურულ ადაპტაციაზე ზემოქმედი ფაქტორები, იმავდროულად, ინდივიდუალურ ქცევასა და ხასიათზეც ზემოქმედებს. ასეთ, ზეგავლენის მქონე ცვლადებს. შორის ლირებულებები გადამწყვეტია; საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ლირებულებითი პრიორიტეტები კულტურის ყველაზე ცენტრალური ელემენტებია, ისინი ინდივიდებისთვისაც ისეთ ცენტრალურ მიზნებს ქმნის, რომელიც ქცევის ყველა ასპექტს ეხება. იმავდროულად, ცვალებად ეკოლოგიურ და კულტურულ კონტექსტში ლირებულებებზე უძუალო გავლენას ახდენს ყოველდღიური გამოცდილება.

კროსკულტურული მოძღვრება ლირებულებათა შესახებ სპეციური ლირებულებების მეშვეობით აღადგენს იმ გააზრებულ კულტურულ განსხვავებებს, რომელიც ჯგუფებს შორის არსებობს და ინტერპრეტირებულია კულტურულ, ისტორიულ, სოციოეკონომიურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ განსხვავებათა ტერმინებით.

### ლირებულებები და რჩმენები.

თანამედროვე ემპირიული კვლევები განსაკუთრებულ ინტერესს იჩინენ ლირებულებებისა და ნორმების მიმართ.

კულტურათა კლასიფიკაციის საჭიროა ლირებულებების კვლევა? არის ლირებულება რეალური საფუძველი მათი კლასიფიკაციისთვის?

ტრადიციულად, ლირებულებათა კულტურული და ეკონომიკური მახასიათებლები ხშირად პიროვნების წინმდგომად განიხილებოდა, ხოლო ლირებულებათა მიხედვით ინდივიდთა შორის განსხვავებები — პიროვნების ასპექტებად.

ბრიტანელი მეცნიერი —Berry სვამს საკითხს იმის თაობაზე, თუ რა გვესმის ცნებებში “ლირებულება” და “ქცევა”.

იგი აღნიშნავს, რომ ღირებულება უნივერსალური დადგენილებაა იმის თაობაზე, თუ რა არის მისაღები და რა — მიუღებელი. მაგრამ ღირებულება არაფერს ამბობს ქცევის მიზნის მიღწევაზე; რაც შეეხება ქცევას, მისი აზრით, ესაა სპეციფიკური ქმედება, რომელიც კონტექტულ გარემოში გამოვლინდება, ამიტომ მასზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ კონტექტულ დროით მონაკვეთში, შესაბამისად, გარკვეულ სიტუაციურ კონტექსტში და ამიტომ “ქცევის მნიშვნელობა — ესაა მისი მნიშვნელობა კონტექსტში” (Berry 1999).

იგივე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი ფილიპინული მკვლევარი D. Ho, როცა ნერს: “ინდივიდთა ქცევის ახსნამდე მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს ურთიერთობათა კულტურული დეფინიცია; მხოლოდ ასე მოვფინება ნათელი სოციალურ ურთიერთობები ნაგულისხმევ ნორმატულ მოლოდინებსა და ქცევის ნეებს” (David Y.F.Ho. 1998).

ხელის დაქნევა ან ჰაეროვანი კოცნა გაუგებარია, სანამ არ გავიგებთ მის სპეციფიკურ მნიშვნელობას კონტექსტში. შესაბამისად, ეს ქცევა Berry -ს ესმის, როგორც ღირებულების ethnic-ური გამოვლინება (Berry J.W. 1999).

ნორმები და მორალური ღირებულებები ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებაში — სწორედ მათი მეშვეობით ხორციელდება ინდივიდთა და ჯგუფთა ცხოვრების რეგულაცია. ინდივიდები იზიარებენ თავინანთი კულტურის მისწოდებებსა და იდეებს, ხოლო ჯგუფები, და განსაკუთრებით, პირველადი (ელემენტარული), გადამწყვეტ როლს ასრულებენ მათი შეთვისება-გაძლიერების მექანიზმების ფუნქციონირებაში. ორივე — ნორმაც და ღირებულებაც, “ჩანსულია” საზოგადოებაში, ამასთან, ნორმის მიდევნება მხოლოდ გარე ფუნქცია არ არის — ინდივიდი თავისი თავის მიმართაც იყენებს სანქციებს ჯგუფის ნორმების შესატყვევისად (Мендра A. 2000 გვ. 111-118)

ბოლო პერიოდის კვლევათა მონაცემებით, ინდივიდუალიზმი-კოლეგივიზმი ჯგუფურ დონეზე განიხილება, როგორც ღირებულებები, მაგრამ ისინი მოიაზრება გარკვეულ “შეტალირებულებებად”, რომელიც თავის თავში აერთიანებს ქცევის სტერეოტიკებისა და რწმენების ფართო ქლასტერს: მოტივაციებს, პოზიციებს, მორალურ და იდეოლოგიურ ღირებულებებს.

კველაზე ხშირად მიმართავენ ე. ნ. ზოგად ღირებულებებს: უსაფრთხოებას, ნესიერებას, ნარმატებას, სოლიდარობას (რაც საერთოდაა მიღებული სოციოლოგიურ კვლევებში; იხ. Мендра A. 2000). გარდა ამისა, უფრო ზუსტადაა ოპერაციონალიზებული სხვა ღირე-

**ბულებებიც:** დამოუკიდებლობა-მორნილების (დაქვემდებარების), ზნეოპრივი ნორმები, კულტურული სკრიპტები, ადათები და სხვ.

არსებობს ლირებულებათა მრავალი განსაზღვრება. მთავარი ნიშნები, რომლებსაც მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს, შემდეგია:

1. ესაა რწმენები, მაგრამ არა ობიექტური, “ცივი იდეები”— გააქტივურებული ლირებულებები გრძნობებს ინვეცს;

2. ლირებულებები მიმართულია სასურველ მიზნებზე (მაგალითად, თანასწორობაზე) და შესაბამისი ქცევის ფორმებზე, რომლებიც ამ მიზნებს წინა პლანზე წამოსწევს;

3. ლირებულებები გამოდის სპეციფიკური სიტუაციისა და ქცევის ფარგლებიდან; მაგალითად, მორჩილება შესაძლებელია სამსახურშიც, სკოლაშიც, სპორტშიც, ბიზნესშიც, ოჯახშიც, მეგობრებთანაც და უცნობებთან;

4. ლირებულებები — ესაა ქცევის, ადამიანთა ან მოვლენათა შესარჩევი სტანდარტები;

5. ლირებულებათა მოწესრიგებული სისტემა აყალიბებს ლირებულებათა პრიორიტეტების სისტემას, რომლის საშუალებითაც შეიძლება კულტურათა და ინდივიდთა დახასიათება.

## § 2 ლირებულებათა გაზომვა: მეთოდი და სპეციალური კროსკულტურული პრობლემები

ლირებულებებს სწავლობენ ინდივიდთა გამოკითხვით. კულტურაში ლირებულებების კვლევასთან მიმართებაში იკვეთება შემდეგი პრობლემები:

1. ჯერ ერთი, ინდივიდუალურ, კულტურულ პიროვნებას შეიძლება გაცნობიერებული არც ჰქონდეს აბსტრაქტულად განსაზღვრული ლირებულებების სისტემა. ამიტომ ზოგი მკვლევარი არჩევს მათზე იმსჯელოს არავერბალური ქცევიდან გამომდინარე, სპეციფიკურ კითხვებზე პასუხების მიხედვით, ან კულტურული პროდუქტების (მაგალითად, ეინფორმებზე, ლიტერატურაზე) ანალიზზე დაყრდნობით. მაგრამ ასეთი არაპირდაპირი გზით მსჯელობაც და დასკვნების გამოტანაც პრობლემურად მიიჩნევა მკვლევრის მიერ ინტერპრეტაციისას მიკერძოების შესაძლებლობის გამო.

Rokich-მა მკვლევართა შერის ლირებულებების მიმართ ინტერესი განაახლა იმით, რომ თავის მიღებობაში დაეყრდნო იმ ლირებულებებს, რომელსაც ადამიანი გაცნობიერებულად იყენებს გადაწყვეტილების მიღებისას და მისი გამართლებისას. მის მიერ შექმნილ ტესტში (RVS Rokeach Value Survey) ჩართული ლირებულებები განიხილება, როგორც საყოველთაო; Rokich-ის მიერ მოცემული ლირებულების ცნება “უნდა”-ს კატეგორიას არ გულისხმობს. მისი

გაგებით, “ლირებულება — ესაა იმის მყარი რწმენა, რომ ქცევის ან სამყაროს მდგომარეობათა გარკვეული ფორმები პიროვნებისთვის ან საზოგადოებისთვის უფრო მეტად უპირატესია, ვიდრე რომელიმე სხვა” (განსაზღვრება მოტანილია *Лурье С. В. Историческая этнография-с Митецким*. Гл. 79).

ამ ტესტის პროცედურა მარტივია: რესპონდენტები ჩამონათვალში მიწოდებულ თვრამეტ ლირებულებას ალაგებენ მათი სუბიექტური მნიშვნელობის მიხედვით ორი მწერივად, ხოლო ამის შემდეგ სხვადასხვა კულტურაში მიღებულ მონაცემებს ერთმანეთს ადარებენ. შემდგომში ეს ტესტი გამოიყენეს როგორც ერების, ასევე ერთაშორისი ურთიერთობების შესასწავლად.

2. მეორე პრობლემა უკავშირდება მნიშვნელობათა შეფარდებას ანუ საკითხს, აქვს თუ არა საკვლევ ლირებულებას ერთი და იგივე მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურასა და ენაში — ამაში დარწმუნების შესაძლებლობას საუკეთესო თარგმანიც კი არ იძლევა. მეორეს მხრივ, ერთი კულტურის ლიკალური ლირებულების შესწავლა ვერაფერს გვეტყვის იმაზე, თუ რა მნიშვნელობისა და გავლენის მქონეა ეს ლირებულება სხვა კულტურებში.

ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი მეთოდი ასეთია: ჯერ მკლევარი ადარებს ერთ ლირებულებას სხვადასხვა კულტურაში, კერძოდ, როგორ ესმით — პოზიტიურად, ნეგატიურად თუ ნეიტრალურად; თუ სხვადასხვა კულტურაში ამ ლირებულების გაგება ერთნაირია, მაშინ მასთან დაკავშირებულ მონაცემთა შორის კორელაციაც ადგევატური იქნება, ან პირიქით; მეორე მეთოდია პან-კულტურულ ანუ კულტურისგარეშე ფაქტორთა ანალიზი; ასეთ შემთხვევაში ყველა კულტურული ჯგუფის ინდივიდთა მონაცემების ერთიანი ფაქტორული ანალიზი გახდება.

### § 3. ანალიზის დონეები ლირებულებათა შესწავლაში

ლირებულებათა კროსკულტურული შესწავლა გახდება ანალიზის ორ დონეზე: ინდივიდუალურზე და კულტურულზე.

კულტურულ და ინდივიდუალურ დონეზე ლირებულებათა შესწავლაში გარკვეული ურთიერთობიმართება არსებობს. ორივე დონის ანალიზზე მიმართვას აქვს გარკვეული უპირატესობა; ისინი გვეხმარება სტერეოტიპთა, კულტურებს შორის და კულტურაშივე არსებულ განსხვავებებათა გამოვლენაშიც.

ინდივიდუალურ დონეზე ლირებულება გვევლინება მოტივად შიზიანთან მიმართებაში და ცხოვრებაში ნარჩმართველი პრინციპის როლს ასრულებს. სხვადასხვა ლირებულებათა ურთიერთობიმართება ასახავს კონფლიქტი-უკონფლიქტობის ფსიქოლოგიურ დინამიკას,

იგი ვლინდება კოველდღიურ ცხოვრებაში ღირებულებათა მიდევნების სუბიექტურ გამოცდილებაში.

ღირებულებები კულტურის დონეზე საქმაოდ რთული გასაგებია. აյ ისინი სოციალური მახასიათებლის ფუნქციას ასრულებს და წარმოადგენს სოციალურად გაზიარებულ აბსტრაქტულ იდეებს იმის თაობაზე, რა არის კარგი, სწორი თუ ცუდი საზოგადოებაში ან კულტურულ ჯგუფში. სოციალური ინსტიტუტებიც ასევე ქცევისა და მიზნების კულტურულად ღირებულ პრიორიტეტებს წარმოაჩინს — ღირებულებათა ურთიერთმიმართება ასახავს კონფლიქტი-უკონფლიქტობის სოციალურ დინამიკას, რაც აისახება საკუთარი მიზნების მიმდევარ სოციალურ ინსტიტუტებში.

#### § 4. რატომ იკვლევენ კულტურის შესასწავლად. პიროვნებას

სხვადასხვა კულტურაში პიროვნების კვლევა, შინაგანი მიმზიდველობის გარდა, სხვა მიზეზების გამოცაა საინტერესო. კვლევები ავლენს:

1. პიროვნების მარეგულირებელ მოდელთა ისტორიულ და კულტურულ კონტექსტებს ბევრი მეცნიერი შეისწავლიდა სხვადასხვა მასალაზე და ყველა მათგანმა აღნიშნა დასავლური მოდელების შეზღუდულობა არადასავლური კულტურების შესწავლისას. ამ უკანასკნელთათვის რეგულირების ადგილობრივი კონცეფციების გამოყენება უფრო სასურველია თეორიულადაც და პრატიკულადაც: ამ კონცეფციებს გარკვეული თეორიული ცელისას შეტანა შეუძლიათ პიროვნების თეორიაში, პრაქტიკულად კი მათ საბაზისო ფუნქცია ენიჭებათ ადგილობრივი თერაპიისთვის, შეფასებებისთვის და სხვა სოციალურ-საგანმანათლებლო მიზნებისთვის (Berry..., 1990).

2. სხვადასხვა კულტურიდან პიროვნების კვლევის მონაცემები აადვილებს ჰიპოთეზებისა და დასკვნების ჩამოყალიბებას პიროვნების აგებულებისა, სტრუქტურისა და დინამიკის კულტურული უნივერსალიების შესახებ. კვლევების შემდეგ წარმოქმნილი ჰიპოთეზების შემოწმება შეიძლება კრისკულტურული საკვლევი მეთოდების გამოყენებით. ამგვარი მიდგომა კი აფართოებს ალტერნატიული კონცეფციების წარმოქმნის შესაძლებლობას, ამცირებს არაადგილობრივი კონცეფციების ზეგავლენას და კვლევებში გაზომვის დამახინჯვების შესაძლებლობებს — დასკვნა უფრო დამაჯერებელია, როცა იგი მრავალ და განსხვავებული ხალხების შესწავლას ეყრდნობა, ეიდონ მაშინ, როცა ერთ ადგილობრივ პოპულაციასა და ერთი ქვეყნის მონაცემს.

3. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები ავლენს ენის როლს პიროვნების კვლევაში.

ინდივიდუალობის შესწავლის ლოგიკური საფუძველი იგივეა, რაც კულტურებს შორის ფსიქოკურ განსხვავებათა შესწავლისა. Berry-ს, Poortinga-ს, Segall-ისა და Dasen-ის მიერ 1992 წელს ეს ამოცანა განისაზღვრა, როგორც:

1. ერთ კულტურაში შექმნილი თეორიებისა და კონცეფციების გადატომა და შემოწმება სხვა კულტურებში;

2. კონკრეტულ კულტურებში ისეთი ფსიქოლოგიური ფენომენებისადმომზენა, რომელიც სხვაგან შეიძლება არც არსებობდეს;

3. ნინა ორი ფუნქციის ინტეგრაცია განსხვავებათა უკეთ გამოსავლენად.

ამ სამი ფუნქციიდან მკვლევრებს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პირველი — ჰადატანისა და შემოწმების ფუნქცია.

პიროვნების კვლევა კულტურაში, ამასთანავე, შესაძლებელს ხდის განსხვავებების აღმოჩენას etic-ურ და emic-ურ სტრატეგიებს შორისაც.

მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ინდივიდუალობის შესწავლაში ყველაზე გავლენიანი ორი სფეროა:

1. მოძღვრება პიროვნულობის სტრუქტურისა და შეფასების შესახებ;

2. ინდივიდუალიზმ/კოლექტივიზმის ორიენტაციის (ანუ კულტურის) და Self-ის ურთიერთმიმართების კვლევა.

გარდა ამისა, კულტურასა და Self-ის გაგებას შორის კავშირის გამოვლენა იმ თეორიების განვითარების საშუალებას იძლევა, რომელიც ფსიქოლოგიურ ცვლადებს ქცევასა და პანკულტურასთან აკავშირებს. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეცნიერები, რომ უნდა შეისწავლებოდეს როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური დონეები (Stephanie D. Grimm; A. Timothy Church; Marcia S. Katigbak; Jose A.S.Reyes; 1999 )

## § 5. რით მსჯელობენ სხვადასხვა კულტურის ნარმობადგენლებს შორის განსხვავებაზე?

### ა) კაუზალური ატრიბუცია და კულტურა

კაუზალურ ატრიბუციაში, პირველ რიგში, გულისხმობენ ადამიანების მიერ ქცევის აღქმისას მისი მიზეზების ან შედეგების მინერას.

კულტურის გავლენის შესანავლად მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა კვლევები კაუზალურ ატრიბუციაზე. კვლევებმა უკვე

დიდი ხანია გამოავლინა, რომ ამ მიწერას ტენდენციური ხასიათი აქვს, რაც მეცნიერებაში აღინიშნა ტერმინით “დისპოზიციური ტენდენციურობა”.

აღმოჩნდა, რომ კაუზალური ატრიბუციის სამი პარამეტრია ყველაზე მნიშვნელოვანი:

1. თავისი უსუსურობის მიზეზს ადამიანი ეძებს ან თავის თავში, ან სიტუაციის ხასიათში; პირველ შემთხვევაში მიზეზი შენა-განა ან პერსონიფიცირებულია, მეორე შემთხვევაში კი მიზეზი აღიქმება გარეუგანად ან ყველასთვის უნივერსალურად;

2. უსუსურობა შეიძლება მიენეროს სტატიფიკურ სიტუაციურ ფაქტორებს, ან გარე და შიდა სამყაროს უფრო ზოგადგარემოებებს;

3. სიტუაციის თავისებურებები შეიძლება აღქმული იყოს შე-დარებით მუდმივად და სტაბილურად, ან დროებითად და არასტა-ბილურად.

ასე ყალიბდება კაუზალური ატრიბუციის სამი მახასიათებელი: შენაგანი-გარეგანი, სპეციფიკური-გლობალური, სტაბილური-არასტაბილური.

მიიჩნევა, რომ ატრიბუციის, რომელსაც ადამიანი მიმართავს, განსაზღვრავს მრავალგარ შედეგს. მაგალითად, თუ სიტუაციის უმართვობა მიენერება შენაგან ფაქტორებს, იგულისხმება, რომ ამას თვითშეფასების დაცემა უფრო მეტად მოჰყვება, ვიდრე მაშინ, როცა ატრიბუცია გარე ფაქტორებს მიენერება; როცა მიწერა რამე გლობალურ ფაქტორებზე გახდება, უფროა მოსალოდნელი უსუსუ-რობის განვრცობა სხვა სიტუაციებზე, ვიდრე იმ შემთხვევებში, როცა კონტროლის უკმარისობა მიენერება უფრო კონკრეტულ, სიტუაციურ და სპეციფიკურ ფაქტორებს.; თუ კონტროლის უკ-მარისობა სტაბილურ ფაქტორებს მიენერება (მაგალითად, სუსტი უნარები ან რთული სასწავლო პროგრამა), უფროა მოსალოდნელია დასწავლილი უსუსურობის სიმყარე დროში, ვიდრე მაშინ, როცა არასტაბილურ ფაქტორებს მიენერება (ვთქვათ, დღეს სტუდენტი ცუდად იყო ან არ გაუმართლა).

კაუზალურ ატრიბუციას მიმართავენ მოტივაციაში, სტერეო-ტიპების მოქმედებისას, ემოციებში და მორალურ მსჯელობაში (Первина Л. Джон О. 2000; 500—502).

იმის მიუხედავად, რომ მრავალი კვლევაა ჩატარებული კაუზალური ატრიბუციის შესწავლით ადამიანისა თუ ჯგუფების განსახვავებლად, ბოლო დროს გაისმის სკეპტიკური და დაეჭვე-ბული ხმები ამვეარი ატრიბუციის ასე საყოველთაობის თაობაზე. და ეს ეჭვი უპირველესად ეთნოლოგების, სხვადასხვა კულტურებთან მომუშავე მკვლევრებიდან ნამოვიდა. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ მიზეზობრიობის მიმართ ინტერესი სწორედ დასავლური კულტურის სენია, შესაბამისად, ამ პრობლემასაც ევროპოცენტრიზმის სურ

უდის — ხომ არსებობს ხალხი, რომელიც სულაც არ ნაღვლობს იმაზე, რომ მოვლენებს მიზეზობრივი ახსნა მოუძებნოს. ამერიკელი მეცნიერის — Pepiton-ის უკიდურესი პოზიციით, საყოველთაო რწმენა იმის თაობაზე, რომ “ყველა ხალხი ქცევას მიზეზებს მიაწერს”, შესამოწმებელია; და მართლაც ნონსენსი და უაზრობა იქნებოდა ატრიბუციის პროცესების შესწავლა იქ, სადაც ასეთი პროცესი საერთოდ არ არსებობს. მისი შეხედულებით, აზრი ატრიბუციის საყოველთაობაზე თვით დასავლეთელი მკვლევრების ამ საკითხით ძლიერი ინტერესის ნაყოფია, რასაც საკმაოდ წარმატებით ავრცელებენ იმ მონაცე — თანამოაზრე სტუდენტების მეშვეობით, რომლებზეც თვითვე ხშირად ატარებენ კვლევებს; სინამდვილეში ადამიანები ბევრად უფრო იშვიათად მიმართავენ მიზეზთა სპონტანურ ახსნას, ვიდრე მკვლევრები ვარაუდობენ.

მაგრამ მკვლევართა დიდი უმრავლესობის თვალსაზრისით, მიზეზი წარმოადგენს ყველა ეპოქისა და კულტურის ძირითადი სემანტიკური ინვენტარის უნივერსალურ კატეგორიას, თუმცა კი ფაქტია, რომ სხვადასხვა კულტურა მასში სხვადასხვაგარ შინაარსა დებს (Гуревин А.Я. 1984).

ბრიტანელი მკვლევრის — Bond-ის დასკვნით, რომელმაც ბევრ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევები გააანალიზა, სრულიად განსხვავებული კულტურების წარმომადგენლები ახერხებენ კაუზალური ატრიბუციის პროცესს, თუ მათ ამის გაკეთებას სთხოვენ.

კაუზალურ ატრიბუციასთან დაკავშირებით კროსკულტურული პრობლემატიკის მკვლევრები ასეთი პრობლემების წინაშე დადგებიან:

1. რა სიხშირით მიანერენ მიზეზებს ამა თუ იმ კულტურაში. მკვლევრებსამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ არა აქვთ;
2. კულტურაში კაუზალური ატრიბუციის ტიპის გამოყენების სიხშირე.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე აშშ-ში აქტიურად მუშაობდნენ იმის შესწავლაზე, თუ როგორ ასკვინიან პიროვნულ თვისებებზე და ქცევაზე. უახლესი კულტურათაშორისო გამოკვლევები ავლენს, რომ ბევრი შესცოდეს ეთნოცენტრიზმით და კულტურის თუ სუბკულტურის ფაქტორიც ხშირად ანგარიშგაუნეველი დარჩა.

## **ბ) კონტროლის ლოკუსი და კულტურული ვარიაციები**

კვლევები ადასტურებს, რომ მაიძულებელი და დამსჯელი კონტროლი მთელს მსოფლიოშია და მისი იდეა უნივერსალურია, მაგრამ მისი გამოვლინებები — კულტურულად განსხვავებული.

Roter-ის მიხედვით, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ადამიანს შეუძლია ქცევის სრული მოღელის შექმნა. ასე დაი-

ბადა კონტროლის არა შინაგანი, არამედ გარეთ ადგილის ქონის იდეა. შინაგანი და გარეგანი კონტროლის დონის განსასაზღვრავად მან ჩამოყალიბა ორგანზომილებიანი ინცენტუარი; მისი ვარაუდით, რაც უფრო მეტად გახდება ინდივიდი შინაგანზე ორიენტირებული (ინტერნალური), მით უფრო ნაკლებ ავლენს გარეგან მახასიათებლებს. ამგვარი გაების საფუძველზე ჩამოყალიბდა ოპერეტის შინაგან-გარეგანობის (ინტერნალობა-ექსტერნალობა) ინდიკატორი ცნებათა ერთობლიობა.

ინტერნალობა-ექსტერნალობა. ასახავს გენერალიზებულ მოლოდინს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებაში დაჯილდოვებისა და დასჯის დეტერმინანტებთან. ერთ პოლუსზე დგანან ადამიანები, ვისაც სჯერა, რომ შეუძლიათ ცხოვრების მოვლენების კონტროლი, ეს შინაგანი ლოკუს კონტროლი ანუ ინტერნალურობაა; შეორებზე ისინი, ვისაც მიაჩინია, რომ ცხოვრებაში წარმატება და მარცხი გარე გარემოებათა შედევგია — შემთხვევის, იღბლის (გამართების) ან ბედის. ეს გარე — კონტროლის ლოკუსი, ანუ ექსტერნალურობაა; შესაბამისი სკალები შემუშავებულია ინდივიდუალური განსხვავებების შესასწავლად იმის აღქმაში, სადათავსებს ადამიანი კონტროლს, კერძოდ, დასჯა-ნახალისებას შინაგანი კონტროლის ქვეშ მყოფად აღიქვამს თუ გარეგანი კონტროლის ქვეშ მყოფად (Первин Л. Джон О. 2000: 75-76).

მევლევრები მიუთითებენ, რომ ლოკუსის იდეის კონცეფტუ-ალიზაციისას თავის დროზე არ იყო გათვალისწინებული სოციალიზაციის და კულტურის ის მოდელები, რომელიც გავლენას ახდენს ნორმებსა და ქცევებზე და რომელიც ჯგუფისა თუ ინდივიდის მიერ აღქმულია კონტროლს დაკვემდებარებულად. Roter-ისავე აღიარებით, არსებობს გარეგანი კონტროლის სულ მცირე ორი ტიპი — დაცვითი და კონგრუენტული, ამასთან, ავტორი თვითვე აღიძნავდა, რომ მის სკალებს აკლია სპეციფიურობა და წინასწარი ვალიდურობა.

ფენომენის კულტურული ძირის, არსის აღიარება გულისხმობს, რომ კონტროლის უნივერსალური კონსტრუქტის კონცეფტუალიზაცია და ქცევის ნარმოჩენა უნდა მოხდეს სოციალიზაციის მოდელებისა და სოციოკულტურული წანამძღვრების შესაბამისად. ასეთი „სპეციფიურ-კულტურული“ კონტროლის ნიმუშია მისი „მექსიკური ვარიანტი“ — აფექტური ლოკუსი, რომელიც ინდივიდს აძლევს ირგვლივმყოფებით მანიპულირების შესაძლებლობას თავისი აფილაციური და კომუნიკაციური უნარებით: კარგი ნიშნების მიღებას მოსწავლე მასწავლებლის მიმართ ზრდილობიანობის და „ნეისირად ქცევის“ შედევგად მიიჩნევს, ე.ი. მიიჩნევს, რომ თავისი ბედის კონტროლ შეუძლია სხვების კონტროლით; ამგვარი კონტროლის ტიპი უფროსებთანაც გამოვლინდა. მკვლევარი ასკუნის,

რომ ასეთი კონტროლი სტაბილურ შიდაკულტურულად ღუნძციონ-ალურ თვისებას წარმოადგენს (Rolando Dias-Loving, 1998).

კონტროლის ადგილის განსაზღვრისთვის მკვლევრებმა შემ-დგომში გამოიყენეს სამი ინდიკატორი: შინაგანი კონტროლი, იღ-ბალი და მნიშვნელოვანი სხვები; ამას გარდა, გამოყენეს კონტროლი ორი სახე: პერსონალური, რომლის არსებობაც თავისი თავის მი-მართ სჯერა პიროვნებას, და იდეოლოგიური — მისი არსებობა სჯერა ჯგუფის უმრავლესობას.

ეს ორი უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კულ-ტურათა შორის განსხვავებების აღმოსაჩენად.

## **გეზოტივაცია — მიღწევის ორიენტაცია, როგორც კულტურული მახასიათებელი**

მიღწევის ორიენტაცია ადამიანს უბიძვებს, სხვაზე უკეთ აკვ-თოს რამე. ბოლო პერიოდის მკვლევრებმა (McClelland-) მიღწევის ორიენტაცია განსაზღვრეს, როგორც ალგებრული სხვაობა: სუბი-ექტის წარმატების შენარჩუნების მყარ მოტივაციას მინუს წარუ-მატებლობის თავიდან აცილების მყარი ტენდენცია; წარმატების მიუხედავად, ამ მოტივაციის გაზომვაში სხვადასხვა მკვლევარმა გამოავლინა გარკვეული შეუსაბამობანი.

ამ თემატიკის მონათესავე თემატიკა იმას ეხება, როგორ ხსნიან ადამიანები თავიანთ გამარჯვებასა და მარცხს.

### **ვაინერის მოდელი**

ვაინერის მიღწევის ატრიბუციის მოდელის სახელით ცნობილი ტექნიკა ყველაზე ხშირად გამოიყენება კულტურათა შორის განსხ-ვავებების გამოსავლენად.

Weiner- მიიჩნევს (1990-1996), რომ არსებობს მიზეზობრივი ახს-ნების საში პარამეტრი. პირები დაკავშირებულია Rotter-ის უკვე აღნიშნულ შინაგან და გარეგან ლოკუსთან. მას ენოდა მიზეზო-ბრიობის ლოკუსი; მეორე — სტაბილურობა ეხება მიზეზის რაგ-ვარობას — მუდმივი და შედარებით ფიქსირებულია თუ, პირიერი, არასტაბილური და ცვალებადი; მესამე მახასიათებელი ეხება მიზეზის კონტროლირება/უკონტროლობას. ამ სამი პარამეტრით შეიძლება დავახასიათოთ ის ოთხი მიზეზი, რომელსაც ადამიანი მიანერს თავის წარმატება-წარუმატებლობას:

1. ამოცანის სირთულე;
2. უნარები;
3. ძალისხმევა;
4. ილბალი(გამართლება)

ამ შოდელის შემქმნელისა და მისი თანამშრომლების მიერ აშშ-სა და ჩილეში ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა, რომ ჩილელები გარე მიზეზებს უფრო მეტად გარედ აღიქვამენ, სტა-ბილურ მიზეზებს — უფრო ნაკლებად სტაბილურად, ხოლო კონ-ტროლირებად მიზეზებს — უფრო ნაკლებად კონტროლირებადად, ვიდრე ამერიკელები.

მაგრამ ვაინერის დასკვნა ეხებოდა არა განსხვავებებს, არამედ კულტურებს შორის მსგავსებას კაუზალური სამყაროს აღქმაში. მისი აზრით, წარმატებისა და წარუმატებლობის ატრიბუციები კულტურულად ვარირებადია, მაგრამ შეიძლება შედარდეს ლო-კუსის, სტაბილურობის და კონტროლირებაფობის თვალსაზრისით. მაგალითად, საქმეში წარუმატებლობას ამერიკელი ბიზნესმენი აღიქვამს ბირჟაზე დროებითი კრიზისის შედეგად, ინდოელი გლეხი კი მოუსავლიანობას გვაღვას აბრალებს; ორივე შემთხვევაში ატრი-ბუციის საფუძვლად ერთი და იგივე ტიპის მიზეზები დევს: ექსტერ-ნალური, არასტაბილური და უკონტროლო.

ეს მოდელი მრავალეროვან მკულევართა ეოლექტივმა გამოი-ყენა ინდოეთში, იაპონიაში, სამხრეთ აფრიკაში, აშშ-ში და იუკო-სლავიაში. აღმოჩნდა, რომ ყველა გამოკვლეული ჯგუფის წარმო-მადგვნლები თავიანთ წარმატებებს პირველ რიგში მიაწერდნენ ძალისხმევას (შინაგან, მაგრამ არასტაბილურ მიზეზს), და მხოლოდ ამის შემდეგ — უნარებს, გამართლებას და ამოცანის სირთულეს; რაც შეეხება წარუმატებლობას, იგი ყველა ქვეყანაში არასაკმარისი ძალისხმევის შედეგად მიიჩნიეს. უფრო გვიანდელ გამოკვლეულებში იგივე სტრატეგია გამოვლინდა ჩინელებთან და იაპონელებთან. მიღწევის ატრიბუციაში ჯგუფთაშორისი განსხვავებებიც გამოვ-ლინდა, განსაკუთრებით, იაპონელებთან და ინდოელებთან, რასაც ამ ქვეყნებში სოციალიზაციის თავისებურებებით ხსნიან; ერთოდ: იაპონიაში ლირსების მაღალი ლირებულება (აღზრდა, მოვალეობა ოჯახის ჩინაშე); ინდოელები კი ნაკლებად ინტერნალური აღმოჩნდ-ნენ წარუმატებლობის ატრიბუციაში და მეტად — წარმატების ატრიბუციაში, რასაც ამ ქვეყანაში კასტური სისტემის არსებობითა და თავისებურებით ხსნიან (მოტანილია სტეფანენკოს მიხედვით, გვ. 168-175).

#### **დ). ახსნის სტილი და კულტურული ვარიაციები**

აღმოჩნდა, რომ ახსნით სტილს თან მოსდევს მოტივაციური, ემოციური და ქცევითი ხასიათის შედეგები. პესიმისტური სტილი (უარყოფითი მოვლენების ინტერნალური, სტაბილური და გლობალური ახსნა) დაკავშირებულია სუსტ მოტივაციასთან, დაბალ

აკადემიურ მოსწრებასთან და უფრო ნეგატიურ ემოციებთან, ვიდრე ოპტიმისტური სტილი (Первин Л. Джон О. 2000; 77-83).

ი. კონი აღნიშნავს: ევროპული აზრი ადამიანის ქცევის ახსნას ცდილობს „შიგნიდან”, ზეობრივ პლანში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის მოტივს, იაპონიაში ქცევა გამოიყვანება ზოგადი ნესიდან, ნორმიდან — მთავარი ის კი არაა, რატომ იქცევა ადამიანი ასე, არამედ ის, იქცევა თუ არა ის საზოგადოებრივად მიღებული მოვალეობების იერარქიის შესაბამისად.

ცხადია, რომ სხვადასხვა კულტურის ნარმობადგენლებთან განსხვავები ვლინდება ატრიბუციების ახსნის სტილშიც, რაც არა ერთმა გამოკვლევამ დაადასტურა (Lee Y.T., Seligman M.E.P. 1997).

ამ მახასიათებლით კულტურების კვლევისას მკვლევრები განსაკუთრებით აღნიშნავენ მიღწევის მოტივაციის კონცეფტუალიზაციისა და საზომების გარევეულ კულტურულ მიკროძობულობას, რამდენადაც მიღწევის მოტივაციის ორიგინალური კონცეფტიია ჩამოყალიბდა იმ კულტურაში, სადაც სოციალიზაციური მოცემულები და პროცესები ნაახალისებს შეჯიბრს და ინდივიდუალისტურ ღირებულებებს. ამ მიდგომასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანია მკვლევართა გარევეული სიფრთხილე კვლევის არაალევატურობის (არავალიდურობის) საფრთხესთან დაკავშირებით ინდიკატორთა არარელევანტურობის (ამოცანის სირთულე, უნარები, ძალისხმევა, იღბალი—გამართლება) გამო. და მართლაც, თუ რომელიმე მათგანი კონკრეტულ კულტურაში ღირებული არ არის, მაშინ უაზრო გახდება, მავანის კონკრეტული მონაცემი, ვთქვათ, იმის თაობაზე, რომ გამართლების ფაქტორით ნარმატება/ნარუმატებლობის ახსნაში არავითარი სხვაობა არ გამოვლინდა.

ამას გარდა, ატრიბუციის განსხვავებას ენათა განსხვავებაც განაპირობებს; მაგალითად, რუსულში ჭარბადა არააგენტური წინადადებები ანუ კონსტრუქციები მიცემითი ბრუნვით, სუბიექტით, აგრესუე უპირო კონსტრუქციები («Его убило мопнией», «его пикорадило»). თხრობაში მათი გამოყენებისას იგულისხმება, რომ „გაუგებარი და იდუმალი მოვლენები ჩვენს გარეთ გახდება არა იმიტომ, რომ ვიღლაც რაღაცას აკეთებს”, ან კიდევ, „ჩვენში (შინაგანად) მიმდინარე მოვლენები იმიტომ არ ჩნდება, რომ ასე გვინდა”. ეს არააგენტურობა ლექსიკასაც ახსიათებს, რაც ვლინდება ზმნებში „უდალის” ტიპისა, რომელთა მნიშვნელობა იმაზე დაიყვანება, რომ მოვლენა ადამიანის თავს თითქოსდა თავისთავად მოხდა (ქართულში: შემოეჭამა, შემოაკვდა, შემოელახა და ა.შ.). რუსი მეცნიერის — სტეფანენკოს აზრით, ეს მცირე მონაცემებიც საკმარისია იმის სავარაუდოდ, რომ რუსები, მაგალითად, სხვა უფროპელ ხალხებზე უფრო მეტად მიანერენ თავის თუ სხვის მიღწევებს გარემოებებს.

მკვლევართა აზრით, მიღწევის მოტივაციის შესწავლისას კულტურული კონტექსტი და ამ მოტივაციის კულტურული მნიშვნელობა განსაკუთრებით გასათვალისწინებელია (A. T. Church, W. J. Lonner, 1998).

როგორ ხსნიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები წარმატება-ნარუმატებლობის მიზეზებს?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მკვლევრები ბევრს მუშაობენ სხვადასხვა კულტურაში ამ საკითხის საკვლევად ადეკვატური ინსტრუმენტის შემუშავებაზე. ერთ-ერთი კვლევით, მაგალითად, გამოვლინდა, რომ ამერიკელები მიღწევის მიზეზად მიიჩნევენ უნარებს, ინდოელები — ტაქტიანობას. *emic* — ური მიღვიმოთ ამ მონაცემთა შედარება არ შეიძლება. ვაინერის სამპარამეტრიანი მოდელი კი ასეთ კროსკულტურულ მონაცემთა შედარების შესაძლებლობას იძლევა — ამ პოზიციიდან, ვთქვათ, უნარებიც და ძალისხმევაც შენაგანი, სტაბილური და კონტროლირებადია.

Rolando Dias-Loving-მა და მისმა თანამშრომლებმა მიღწევის მოტივაციის გასაზომად ესპანური ინსტრუმენტი შექმნეს, რომელიც ეფუძნებოდა ესპანური კულტურისთვის ადეკვატურად ოპერაციონალიზებულ მისალებ ქცევებსა და მათ სემანტიკას.

მონაცემებმა გამოავლინა ორივე კულტურაში — აშშ-შიც და მექსიკაშიც — მიღწევის ორიგინტაციის ინდიკატორებად მიჩნეული მახსასათებლების — ოსტატობის, შრომის და შეჯიბრების არსებობა; თუმცა კი სამივე პარამეტრის კონცეპტუალური განსაზღვრებები ვარგისი აღმოჩნდა მექსიკური კულტურისთვის ვალიდური ფსიქომეტრიული ინსტრუმენტის ჩამოსაყალიბებლად, კვლევამ აგრეთვე გამოავლინა საზომთა ეკვივალენტური ესპანური თარგმნის არავალიდურობაც. საბოლოოდ, Dias-Loving — ის მიერ ჩატარებულ კვლევაში ცნებათა ოპერაციონალიზაცია ორივე კულტურისთვის იდიოსინკრეტული (*emic*), ხოლო თეორიული კონსტრუქცია — ზოგადი გამოვიდა (etic).

მექსიკურ კულტურაში ჩატარებულმა ამ კვლევამ, უნივერსალური კონტროლის ტიპის გარდა, მექსიკელი ბავშვების ურთიერთებებიაში გამოავლინა ორიგინალური, „მექსიკური“ გარეგანი კონტროლის სახეც (Rolando Dias-Loving, 1998).

საქმე ისაა, რომ პიროვნების ინსტრუმენტულ შესაძლებლობებზე დაყრდნობით კონტროლის შენაგანი პოზიცია მოითხოვს გარემოზე პირდაპირ მანიპულაციას, მაგალითად, „მე ვსწავლობ კარგი ნიშნების მიღებას“; ამის საპირისპიროდ, კონტროლის გარეგანი პოზიცია აღნერს ადამიანის რჩევას, რომ სოციალური და გარემომცველი ძალები განსაზღვრავს მათ მიღწევებს; მაგალითად, ბავშვი ამბობს: „ჩემი ნიშნები იღბალზეა დამოკიდებული“. მექსიკურ კვერსიაში მკვლევრებმა, კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით,

შეიტანეს შინაგან-მგრძნობელობითი (ემოციური) კონტროლის ქვესალა. ასეთი შინაგან-მგრძნობელობითი (ემოციური) კონტროლი მოითხოვს გარემოთი არაპირდაპირ მანიპულაციას სუბიექტის აფილაციური და კომუნიკაციური შესაძლებლობების გამოყენებით — “თუ მასწავლებელს თავს მოვაწონებ, კარგ ნიშანს დამიზრუს”.

ორიგინალური თეორიული კონცეფციის თვალსაზრისით, ეს სკალა გარეგანი კონტროლია, რომელსაც მნიშვნელოვანი სხვები ახორციელებს; სოციოულტუროცენტრული პოზიციიდან კი სხვების საშუალებით (თუ მათ მოტივაციის რეალიზაცია შეუძლია) ანუ გარემოთი მანიპულირება მიზნის მისაღწევად დასაშვებია. ეს მონაცემი ისეთ მახასიათებლს ავლენს, რომელიც ადამიანის ზოგადი განვითარების შედეგი კი არა, არამედ კულტურულად განპირობებული და ჩამოყალიბებული თვისებაა.

ამგვარი ემოციური კონტროლის განზომილება, მკედვერის დასკვნით, მექსიკური კულტურული სოციალიზაციის ტრადიციული პროცესის შედეგია და ამ კულტურის სიკოცხლისა და სოციოკულტურული ფილოსოფიის ბუნებრივი შემადგენელი ნანილი. ეს მსოფლმხედველობა კარნახობს აფილაციურ მორჩილებას და “მე”-ს (Self-ის) ელასტიურ და მიმსგავსებით სტილს. ზრდილობა და პატივისცემა აქ ცენტრალურია. იყო ბეჭინიერი, მხიარული, მშვიდი, მყარი თუ თპტიმისტი სოციალურად უპირატესი ლირებულებების სისტემისა და მიბაძვითი სტილის გამოხატულებაა. მსგავსი კულტურული კონტექსტი, სადაც სიცოცხლის ფილოსოფია კარნახობს აფილაციურ მორჩილებას და “მე”-ს (Self-ის) მოქნილ, მიმბაძველობით სტილს, იმ პოპულაციებს ახასიათებს, სადაც ცხოვრების დონის შეფასება მჭიდროდ უკავშირდება ინტერპერსონალური ურთიერთობების მაღალ ღირებულებას.

## § 6. პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული გახასიათებლები

იმის მიუხედავად, რომ უკვე განხორციელებული ქცევის საფუძველზე ვერც პროფესიონალები და ვერც არაპროფესიონალები ახერხებენ ადამიანის ქცევის ზუსტ პროგნოზირებას და ამგვარ ვითარებას მრავალი კვლევა ადასტურებს, ადამიანთა უმრავლესობას, როგორც ჩანს, კვლავ ღრმად სჯერა, რომ პიროვნული თვისებების ცოდნა მაინც ვარგისა ახალ სიტუაციაში ქცევის ნინასწარმეტყველებისთვის. ამიტომაა, რომ ამ მიზნით ყველაზე ხშირად სწორედ ადამიანის თვისებების აღმნერ ტერმინებს იყენებენ; ამ საქმეში ენაც დიდ როლს ასრულებს, რადგან ქცევასთან მიმართებაში გამოყენებადი ეპითეტები თავისუფლად გამოიყენება ადამიანის მიმართაც. მაგალითად, “მტრულ ქცევას” “მტრულად განწყობილი”

ადამიანი ჩადის; "დამოკიდებული" ქცევა "დამოკიდებულ" ადამიანს ახასიათებს და ა.შ.

რაღა მაინცადამაინც პიროვნული თვისებები ხვდება ყურადღების ცენტრში? ნისბეტი და როსი ამ შეკითხვას მარტივად და მოკლედ პასუხობენ: რასაც ყურადღებას აქცევ, რამე თვისებასაც იმასვე მიანერ ფიგურა-ფონის პრინციპით.

პიროვნების თვისებების შესწავლა ბოლო პერიოდში ცხადყოფს, რომ ამ მიმართვას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მეტიც, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პიროვნების თვისებათა ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია.

### "დიდი ხუთეული"

სხვადასხვა კულტურაში ბოლო პერიოდის კვლევები პიროვნულ თვისებებზე დაყრდნობით მიმდინარეობს ხუთფაქტორიანი მოდელის გამოყენებით ანუ "დიდ ხუთეულზე" დაყრდნობით.

1963 წელს ამერიკელმა მეცნიერმა გოლდბერგმა ირგვლივმყოფ ადამიანთაგან მიღებული შეფასებების (ანუ იმ პიროვნულ თვისებათა, რომელთაც ამერიკელები მიმართავდნენ ექსპერიმენტის დროს თავისი თავისა და სხვების აღარისებად) მონაცემები ფაქტორული ანალიზის მეთოდით დამუშავა და აღმოჩინა ხუთი პიროვნული ბაზისური ფაქტორი. მსგავსი ხუთფაქტორიანი შედეგი მუშაობის ულინდებოდა სხვა გამოკვლევებშიც სრულიად განსხვავებული წყაროებითაც; 1981 წ. თავისი და ბევრი სხვა მკვლევრის მონაცემთა ანალიზის შემცვევ მონაცემთა თანხვედრით გათცებულმა გოლდბერგმა დაასკვნა, რომ "როგორც ჩანს, ინდივიდუალურ განსხვავებათა სტრუქტურირების ნებისმიერი მოდელი ასე თუ ისე დაიღის ამ პარამეტრთა რაღაც "დიდი ხუთეულის" მსგავსზე". ასე მიიღო მან სახელწოდება "დიდი ხუთეული".

McCrae-მ და Costa-მ (1990, 1994) აღმოჩინეს, რომ ხუთივე ფაქტორი საკმაოდ სანდო და ვალიდურია და შედარებით სტაბილურად შენარჩუნდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ხუთფაქტორული მოდელი საბაკარაკო ენის მონაცემებზე დაყრდნობით შექმნეს. იგი მისაღები აღმოჩნდა პიროვნების სტრუქტურის აღარისებად. იმავდროულად, ბევრმა კვლევამ უჩენება, რომ პიროვნების ლექსიკური განზომილებები ძალზე გვანან კითხვითი სკალების მონაცემთა ანალიზით აღმოჩინილ მახასიათებლებს.

რადგან დიდი ხუთეულის მკვლევრები არ შეხებიან ამ თვისებათა ზოგადობისა და მისს გავრცელების სფეროს პრობლემას, მან უზრუნველყოფილობის პოზიციები მოიპოვა. "დიდი ხუთეული" სასწრაფოდ ითარგმნა პოლანდურად, გერმანულად, იტალიურად და სხვა ევროპულ ენებზე, აგრეთვე ჩინურად, ფილიპინურად, იაპონურად.

"დიდი ხუთეული" ეყრდნობა იმ თვისებებს, რომელსაც ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ცხოვერებაში. გოლდბერგი მიიჩნევს, რომ ადამიანების აზრით, რაღაც ინდივიდუალური განსხვავებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთქმედებაში და იგონებენ ტერმინებს ამ თვისებების გამოყენების შესამსუბურებლად; თვისებათა განსაზღვრე-

ბებში არის ინფორმაცია ისეთ ინდივიდუალურ განსხვავებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ან ჩვენი ჯგუფის კეთილდღეობისთვის; ამდენად, ისინი სასარგებლობა პროგნოზირებისა და კონტროლისთვის, რადგან გვეხმარება სხვების საქციელის წინასწარ გათვალისწინებაში და ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შედეგების კონტროლირებაშიც. ისინი გვეხმარება პასუხი გავცეთ ისეთ შეკორეცხვებზე, რომელითაც შესაძლებელია მნიშვნელოვან სიტუაციათა ფართო სპექტრში ადამიანის მოსალოდნელი ქცევის წინასწარმეტყველება.

თუ უნივერსალური შეკითხვები არსებობს, მოსალოდნელია, რომ ყველა ენაში პიროვნების თვისებების ერთნაირი საბაზის პარამეტრებიც უნდა არსებოდეს. ამ პიპოოზზას ფუნდამენტური ლექსიკური პიპოოზზა ენოდა.

მკვლევრებს ძალზე მნიშვნელოვანად მიაჩინიათ ამ უნივერსალური სტრუქტურის თეორიული კონტექსტიც, რამდენადაც დასაბუთდება ქცევითი ნიმუშების განსაზღვრულობა ბუნების ზემოქმედებით კულტურის ისტორიის განმავლობაში. თუმცა კი ადამიანის ბუნებაში იმაზე მეტია, რასაც მასში ვგვლისხმობთ; საზოგადოება შეიძლება ხასიათდებოდეს ინოვაციურობით და ცვლილებებზე ორიენტაციით, ტრადიციით და კონფორმულობით, მაგრამ ეს ვერაცერს ვეტყვის ინდივიდთა მორის განსხვავებებზე გამოცდილებისადმი ღიაობის თვალსაზრისით — აღნიშნავს R.R.McCrae.

სურფაქტორული მოდელი გარკვეული აზრით იმ ფაქტის ასახვაა, რომ ყველა ადამიანური არსება ერთი განვითარებულ ნარმოლისგა. მაგრამ პიროვნული თავისებურებების მნიშვნელოვანი პლასტი სწორედ კულტურამ ნარმოლვა და მისი გავლენის ქვეშა დღესაც — კულტურა უკამათოდ მნიშვნელოვანია, როცა საკითხი ეხება თვისობრივი შეგუების განვითარებას, რაც ნიშნავს პიროვნულობას აზროვნებაში, გრძნობებსა და ქცევებში (R.R.McCrae et all... 1998).

ჰოგანი (1996) ამტკიცებს, რომ ადამიანი ვითარდება, როგორც ჯგუფურად მცხოვრები ბიოლოგიური გვარი, სადაც რეპროდუქციული ნარმატებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სტატუსთა იერარქიულობაში შესაბამისობა და სოციალური აღიარება. სოციალური ინტერაქცია ემყარება გაცვლით პროცესებს, სადაც ეალუტა სტატუსი და აღიარებაა, ეს მიზნები ურთიერთმიმართ დინამიურ დაძაბულობაშია; ერთის სოციალური სტატუსი იზრდება მეორის ხარჯზე, რადგან სხვათა მოთხოვნებზე დაუკემდებარება ნარმატების შანსს ამცირებს.

ჰოგანის დასკვნით, ადამიანი სხვების ქცევას აკვირდება და მერე იქმნის თეორიას საკუთარი ქცევის ტენდენციებზე. ასე ადგენს თავის რეპუტაციას, რომლის დაცვასაც ყოველგვარად ცდილობს. სხვისის რეპუტაცია აქ რესურსია. ამას გარდა, ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნულობის კონცეფციაც; იგი ნაილობრივ ითვალისწინებს ბიოლოგიური სისტემებისთვის დამახასიათებელ რეალურ ქცევით ტენდენციებს, რომელიც ინდივიდუალური განსხვავებების, მაგალითად, ტემპერამენტის მიხედვით, ცვალებადობს. თუმცა ყველა ცდილობს სოციალური დაჯილდოების მოპოვებას, ჰოგანის აზრით, ადამიანი ძირითადად ადაპტიურად მოქმედებს და ჯილდოსაც ცვალებადი ნარმატებით მოიპოვებს.

სხვათა მიერ ადამიანის შეფასება მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტი დასკვნების გაყეოთხბის შესაძლებლობას იძლევა ქცევის ტენდენციებზე და ადამიანის რეპუტაციაზე.

ეყოლულუციონისტური ნარმოლგენებით (**Bliss** 1996), ინდივიდუალური განსხვავებები არსებობს, რადგან ეს განსხვავებები ბუნებრივი შერჩევის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ეყოლულუციონისტების მტკიცებით, ბუნებრივი შერჩევა თავს იყრიდა მექანიზმის კომპლექსებში, რომელთა ფუნქცია იყო შეგუების პროცესის გადაჭრა. ბევრი მათგანი სოციალური გარემოს განონასწორებაზე მიმართული — მეცნიერის პოვნა, ბავშვების აღზრდა, სტატუსური იერარქიის შეთანხმება. ასეთი მიღებამა ანუ ადაპტაციის პრობლემურობა ადამიანებს შორის განსხვავებებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს (მაგალითად, პოტენციურ ლიდერებს შორის განსხვავება), ვიდრე ადამიანური ბუნების უნივერსალურ თვისტებს (მაგალითად, ორი ფეხის ქონა). **Bliss**-ის აზრით, ბუნებრივი შერჩევა გამოვლინდება იმ მექანიზმებში, რომელთა ფუნქციაა სხვები ინდივიდუალურ განსხვავებათა განვითარება.

შეგუების ორ ძირითადი ტიპი არსებობს: სტრატეგიული ნინა-ალმდეგობა და სტრატეგიული დახმარება. დახმარება გულისხმობა იმ ადაპტიური პრობლემების გადაჭრიას, რომელიც ეხება მოკავშირის მოძიებას; სტრატეგიული ნინაალმდეგობა გულისხმობას სხვების ინტერესებთან შეჯახებისას წარმოქმნილი კონლინგტის გადაჭრას. ხუთფაქტორული მოდელი აერთიანებს ამ ორ ტიპს. (**Пірвін Л., Джон О.** 2000, 285-326).

მაგალითად, მექსიკულებისთვის დამახასიათებელი თვითკმაყოფილი, **Self**-ის ელასტიკური, მიგუებითი სტილი სოციალური ჯგუფის წევრთა ფუნდამენტური მახასიათებელია, განსაუკრობებით, ოჯახის დონეზე. ეს ვითარება ხსნის იმ ფაქტს, რომ "თავს მოქონვა" (მლიქენელობა) — მახასიათებელი, რომელიც ამშ-ში უსიმაშითოდ აღიქმება, მექსიკაში, სადაც დადებითი პიროვნული ურთიერთობები ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეს ნარმადეგნებს, ამგვარი გადაჭარება სასურველ ინტერპრესონ-ალურ თვისტებად მიიჩნევა (**R. Dias-Loving**).

ადამიანები პიროვნულ თვისტებებზე ინფორმაციას აგრეთვე იყენებენ საკუთარი მდგომარეობების გასაგებადაც. მაგალითად, ძლიერად დომინანტურ ადამიანებს შეუძლიათ პირადი წარმატებების მიღწევა; ძალზე ძალისას — ჯგუფური წარმატების მიღწევა (**K. McDonald** 1998).

უნდა აღინიშნოს, რომ ხუთ ფაქტორული მოდელით პიროვნების კვლევა კულტურაში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. სხვადასხვა კულტურაში ჩატარებული კვლევებით გამოვლენილი მონაცემები ძალზე ხშირად ადასტურებს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები პიროვნების კონსტრუირებას ხუთ ფაქტორული მოდელის შესაბამისად ახდენენ.

ამ სტრუქტურის უნივერსალურობა იმითაც დასტურდება, რომ ყველა კულტურაში მოახერხეს ეკვივალენტთა დიდი რაოდენობის პოვნა და ფაქტორიზება. **McCrae**-ს და **Costa**-ს მონაცემებით (1997), ეს მოდელი უცვლელი აღმოჩნდა არა მარტო სხვადასხვა ენაში, არა-მედ სრულიად განსხვავებული გვარის ენებშიც კი. ასეთი უნივერ-

სალობა კი იმ ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ პიროვნების სხვა ასპექტებიც შეიძლება ფართოდ განივრცოს კულტურებს შორის.

A. T. Church და W. J. Lonner (1998), რომლებმაც სერიოზულად იმუშავეს ხუთფაქტორიანი მოდელის შემონბებაზე ფილიპინურ კულტურაში, აღნიშნავენ, რომეს მოდელი წარმოადგენს პიროვნული თავისებურებების ორგანიზაციას რაღაც სახით, თავისებურებები კი არის “იხდივიდუალური განსხვავებების საჩვენებლად აზროვნების, გრძნობების, ქცევათა თანმიმდევრობის ტენდენციებში”. მაგალითად, ალტრუიზმი უკავშირდება სხვათა დახმარებას, სულგრძელობას, ხელგაშლილობას; თავმდაბლობა განიხილება თავისთავადობის (Self) ნიველირებად ქცევებში და დამოკიდებულებებში; ნდობა ასახავს მოლოდიზმბს სხვათა ქცევებსა და განზრახვებთან მიმართებაში. ეს თავისებურებები პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტებია და სიტუაციური თანმიმდევრულობა და დროში სტაბილურობა ახასიათებთ.

პიროვნული თავსებურებები ენაში წარმოდგენილია ზედსაარ-თავი სახელებით, თანაც ერთსა და იმავე სახელს სინონიმებიც გააჩნია, ამიტომ, ჩვეულებრივ, ოპერირებენ ფაქტორული სტრუქტურებით, რომლებიც იქმნება მსგავსი კონნოტაციური მნიშვნელობების ერთ სტრუქტურად გაერთიანების შედეგად. მაგალითად, ალტრუისტს თავმდაბლობისა და ნდობის ტენდენციაც გააჩნია; ალტრუიზმი, თავაზიანობა და ნდობა ქმნის ფაქტორს, ე.ნ. დამყოლობას. ასე შექმნილი თვისებები მხოლოდ ერთ ფაქტორს უკავშირდება. ალტერნატიული მოდელია ე.ნ. მბრუნავი(circumflex), რომელშიც თვისება აღინერება არა ერთ, არამედ ორი ფაქტორის გადაკვეთაზე, ამ ორ ფაქტორთან მიმართებაში — ვთქვათ, „დამყოლობა“ ”ვქსტრავერ-სიის“ პარამეტრითაც აღინერება.

მაგრამ ხუთფაქტორული მოდელის გამოყენებას თან ახლდა წარუმატებლობებიც. პირები რიგში, ისინი დაკავშირებული იყო თარგმნასთან. ამ წარუმატებლობამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პიროვნული სტრუქტურა კულტურული კონტრუქციაა; ამიტომ სწორედ კულტურული კონტექსტის ანალიზმა უნდა წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომლითაც კულტურა პერსონალურ თავისებურებებს აყალიბებს.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ავლენს, რომ აზიურ ენებში პიროვნების თვისებების აღმნიშვნელი ტერმინების სემანტიკური სივრცე ჰგავს ინგლისურ ენაში ანალოგიურ სემანტიკურ სივრცეს.

მაგრამ მკვლევრები აღნიშნავენ გარკვეულ შეუსაბამობებსაც. მაინც დგას საკითხი არადასავლურ კულტურულ ჯგუფთათვის ამ სემანტიკური სტრუქტურის რელევანტობის თაობაზე, შირ უფრო, რომ პიროვნების საზომებში ბევრი რამ კულტურული კვლევისთვის

გამოუსადეგარია — ეს მოდელი შეიქმნა იმ კულტურის მონაცემთა საფუძველზე, რომლის მენტალობაშიც პიროვნება მოიაზრება სხვებისგან გამიჯნულად, ხოლო განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ურთიერთშეგავსი ენობრივ-სემანტიკური სტრუქტურების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ხალხის ცხოვრების სულ გამოცდილებასაც ეკვივალენტურად ასახავს.

მექსიკელი მკელევრის, Rolando Dias-Loving-ის აზრით, პიროვნების თვისებების შესწავლა და გაზომვა მოიცავს ორ ფუნდამენტურ კომპონენტს: ცნობილი მკელევრების ნაშრომებში გაძხეული პიროვნული მახასიათებლებისა და საზომვების კონცეფციუალიზაციას, ერთის მხრივ, და ამ თვისებათა სანდო გაზომვას, მეორეს მხრივ, რისთვისაც ხშირად ფსიქომეტრიულ სკალებსა და ინვენტრის იყენებენ; ამის შემდეგ ჩატარებულმა კონკრეტულმა კელევამ შესაძლოა გამოავლინოს ბაზისური თვისებები; თვისებათა გაზომვა მოითხოვს ამ თვისებათა ინდიკატორების მკაფიო დანაწევრებას და ფორმულირებას, რასაც შემდეგ უნდა მოჰყევს ფსიქომეტრული ანალიზი: კორელაციებისა და ქცევათა შესწავლა.

McCrae-სა და Costa-ს მიერ გამოვლენილი თვისებები ახალი საზომის გამოვლენას, ცხადია, არ ნიშნავს. ამგვარად, თვით უნივერსალურად მიჩნეულ თვისებათაგანაც ზოგი ბაზისურია და ზოგი — არა.

თვისებებზე მომუშავე მკელევრები მიიჩნევენ, რომ პიროვნული თვისებების გამოყენება სასარგებლოა კროსკულტურულ კელევებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს მეთოდთან დაკავშირებული კორექტულობის მოთხოვნები: "კულტურის შესწავლისას არ პოზიციის სიმყარისთვის მეთოდის ვალიდურობა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც კულტურის "შიგნიდან" საკელევად, ისე "გარე" დამკეირვებლის პოზიციიდანაც" (Dias-Loving); რაც შეეხება თვისებების გამოყენებას, მათი განსაზღვრა უნდა მოხდეს კროსკულტურული პოზიციიდან; ასეთი სახის მონაცემებისა და კულტურისთვის ადეკვატური ინსტრუმენტის ერთობლიობა ვალიდურად სანდოა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში.

სიურთხილე ამ მოდელის მიმართ დღემდე იმის დაუსაბუთებლობის შედეგია, რომ თვისებათა ერთი და იგივე ერთობლიობა ერთნაირად გასაგებია ყველა კულტურაში — ჯერჯერობით ვერ დასტურდება, რომ ეს ლექსიკური სტრუქტურა პიროვნების სტრუქტურის იდენტურია.

ხუთი ფაქტორიდან რუსეთში დადასტურდა ოთხი ფაქტორის სიმყარე (Степаненко Т. Г. 2000; გვ. 134).

## რეზიუმე

მოძღვრება ლირებულებათა შესახებ სპეციფიკური ლირებულებების მეშვეობით აღნერს იმ გააზრებულ კულტურულ განსხვავებებს, რომელიც ჯგუფებს შორის არსებობს და ინტერპრეტირებულია კულტურულ, ისტორიულ, სოციოეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ განსხვავებათა აღმნერი ტერმინების გამოყენებით.

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი ჯგუფურ დონეზე განიხილება, როგორც ლირებულებები, მაგრამ ისინი მოაზრება გარკვეულ “მეტალირებულებებად”, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ ქცევის სტერეოტიპებისა და რნმენების ფართო კლასტერს: მოტივაციებს, პოზიციებს, მორალურ და იდეოლოგიურ ლირებულებებს.

კულტურაში ლირებულებების ევლევის პრობლემა და კავშირებულია იმასთან, რომ აბსტრაქტული ლირებულებების სისტემა შეიძლება კულტურის მატარებელს გაცნობიერებული არც ჰქონდეს, გარდა ამისა, დასადგენია, საკვლევ ლირებულებას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს თუ არა სხვადასხვა კულტურასა და ენაში.

ლირებულებათა კროსკულტურული შესწავლა მიმდინარეობს ანალიზის ორ დონეზე: ინდივიდუალურზე და კულტურულზე; ლირებულებების ანალიზზე დაყრდნობით აიხსნება განსხვავებები კულტურულ ფენომენებსა და კულტურებს შორის, აგრეთვე ვლინდება კულტურაში არსებული განსხვავებები. ლირებულებათა შესწავლა მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ თვალსაზრისითაც, რომ მათი ურთიერთმიმართება ასახვს კონფლიქტი-უკონფლიქტობის სოციალურ დინამიკას, რომელიც ვლინდება ყოველდღიურად ლირებულებათა მიდევნების სუბიექტურ გამოცდილებაში.

ლირებულებებს სწავლობენ გამოკითხვის მეთოდების, აგრეთვე ექსპერიმენტის გამოყენებით.

კროსკულტურულ კულევები მიმართავენ პიროვნების შეხწავლასაც; პიროვნების მარეგულირებელ მოდელთა ისტორიული და კულტურული კონტექსტების შესწავლის მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერები აღნიშვნენ დასავლური მოდელების შეზღუდულობას არადასავლური კულტურულ-პიროვნული ტიპის შესწავლისთვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც უფრო სასურველად მიიჩნევა რეგულირების ადგილობრივი კონცეფციების გამოყენება. ამას გარდა, პიროვნების კვლევა კულტურის შესასწავლად საჭიროდ მიიჩნევა ზოგადი მეცნიერული თვალსაზრისითაც: სხვადასხვა კულტურიდან მონაცემები პიროვნების შესახებ ქმნის ალტერნატივული კონცეფციების ნარმოქმნის შესაძლებლობას, ამცირებს არაადგილობრივი კონცეფციების ზეგავლენას და კვლევებში გაზომვის დამახინჯების შესაძლებლობებს. პიროვნების კვლევა კულტურაში, ამასთანავე,

შესაძლებელს ხდის განსხვავებების აღმოჩენას *etic*-ურ და *emic*-ურ სტრატეგიებს შორისაც.

ადამიანებს შორის განსხვავებაზე კულტურის მიხედვით მსჯელობენ კაუზალური ატრიბუციის სამი მახასიათებლით (შინაგანი გარეგანი, სპეციფიკური-გლობალური, სტაბილური-არასტაბილური), ინტერნალობა-ექსტერნალობით (ანუ ადამიანის ნარმოდგენით იმის თაობაზე, აკონტროლებს თუ ვერა თავისი ცხოვრების მოყლენებს), მიღწევის ორიენტაციით (ზეუროგორ ხსნის ადამიანი გამარჯვებასა და მარცხს), აგრეთვე ახსნის სტილით. კულტურების კვლევისას მკვლევრები განსაკუთრებით აღინიშნავენ მიღწევის მოტივაციის კონცეპტუალიზაციისა და საზომების კლასიკური (ევროპური) მოდელების კულტურულ მიკერძოებას, ამიტომ მიიჩნევა, რომ მიღწევის მოტივაციის შესწავლისას განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კულტურული კონტექსტი და ამ მოტივაციის კულტურული მნიშვნელადობა.

ბოლო პერიოდში კულტურის შესწავლაში აქტიურად მიმართავენ პიროვნების თვისებების ხუთფაქტორიან მოდელს ("დიდ ხუთფულს"), რომელიც გულისხმობს ხუთ განზოგადებულ პარამეტრს: ნევროტიზმს, ექსტრავერსიას, გამოცდილებისადმი ღიაობას, კეთილგანწყობასა და შეგნებულობას. მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები პიროვნების კონსტრუირებას ხუთფაქტორული მოდელის შესაბამისად ახდენენ; ხაზი გაესმის იმ ფაქტს, რომ პიროვნული სტრუქტურა კულტურული კონსტრუქციაა და ის მექანიზმები, რომლითაც კულტურა პერსონალურ თავისებურებებს აყალიბებს, სწორედ კულტურული კონტექსტის ანალიზით უნდა ნარმოჩინდეს.

თვისებებზე მომუშავე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პიროვნული თვისებების გამოყენება სასარგებლოო კროსკულტურულ კვლევებში, მხოლოდ მეთოდთან დაკავშირებული კორექტულობის მოთხოვნების დაცვით: კულტურის შესწავლისას *etic* პოზიციის სიმყარისთვის მეთოდის ვალიდურობა ერთნაირად მნიშვნელოვნად მიიჩნევა როგორც კულტურის "შიგნიდან" საკულევად, ისე "გარე" დამკვირვებლის პოზიციიდანაც.

## დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ დირებულებათა მთავარი ნიშნები. რა არსებოთ პრიბლემები დგება დირებულებათა კროსკულტურული კვლევისას?

2. ჩამოაყალიბეთ და აღწერეთ ის მახასიათებლები, რომელიც გამოიყენება კულტურაში პიროვნების შესასწავლად და კულტურული განსხვავებების აღსაწერად.

3. დაასახელეთ ის ძირითადი პრობლემები, რომელიც დადგება კულტურის კვლევისას.

## გასაცნობი ლიტერატურა

1. Smith p.b. and Schwartz Sh. H. Values. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol. 3, 1996, pp. 77 -119
2. R.R.McCrae,P.T.Costa JR. Gr.H. del Pilar, J-P. Rolland, W. D. Parker. Cross-Cultural Assessment of the five-factor model. The Revised NEO Personality Inventory. Journal of cross-cultural psychology. Vol. 29, No.1, January 1998 171-188
3. Church, W. J. Lonner. The Cross-Cultural perspective in the study of Personality. Rationale and Current Research. Journal of cross-cultural psychology. Vol. 29 No.1, January 1998 32-62
4. K.McDonald. Evolution, Culture, and the five-factor model. Journal of cross-cultural psychology. Vol.29, No.1, January 1998 119-149
5. Stephanie D. Grimm; A. Timothy Church; Marcia S. Katigbak; Jose A.S.Reyes. Self-Described Traits, Values, and Moods Associated with Individualism and Collectivism. Journal of cross-cultural psychology. Vol.30, No.4, July 1999 466-500
6. Первина Л. Джон О. Психология личности. Теория и исследования, «Аспект-Пресс», М, 2000

## ძირითადი ცნებები

კორელაციური კვლევა — მიღვომა კვლევაში, როცა იზომება უკვე არსებული მონაცემები და დგინდება კავშირი მათ შორის ექსპერიმენტული კვლევა — კვლევის სტრატეგია, როცა ექსპერიმენტატორი ცვლადებით მანიპულირებს და აინტერესებს ზოგადი კანონები; მიზანია მიზეზ-შედევობრივი კავშირის დადგენა ცვლადებს შორის

კონგრუენტული — როგორსის მიერ შემოტანილი ცნება, რომელიც აღნერს კონფლიქტის არარსებობას საკუთარი თავის აღქმასა და რეალურ სუბიექტურ გამოცდილებას შორის

ხუთფაქტორიანი მოდელი — მკვლევართა შეთანხმება, რომ არსებობს ხუთი საბაზისო ძარამეტრი (ფაქტორები) აღამიანის ყველა თვისების აღსანერად

“დიდი ხუთფაქტორი” — ხუთი განზოგადებული პარამეტრი, რომელიც ქმნის ხუთფაქტორიან მოდელს (ექსტრავერსია, ნევროტიზმი, გამოცდილებისადმი ღიაობა, კეთილგანწყობა და გაცნობიერებულობა)

კონტროლის ლოკუსი — როტერის მიერ შემოტანილი ცნება, რომელიც აღნერს დაჯილდოება-დასჯის შესახებ ადამიანის გენერალიზებულ მოლოდინს ან რწმენას იმის თაობაზე, როგორ აღიქვამს ინდივიდი ცხოვრებისეულ მოვლენებს — თავისი ძალისხმევის შედეგად თუ გარედან კონტროლირებულად კაუზალური ატრიბუცია — მიზეზის მიწერა; დასწავლილი უსუსურობის თანამედროვე თეორიაში ატრიბუცია ფასდება სამი პარამეტრით: ინტერნალური (პერსონალიზებული) — ექსტერნალური (უნივერსალური); სპეციფიკური — გლობალური და სტაბილური — არასტაბილური

ინტერნალობა-ექსტერნალობა — ანუ შინაგანი — გარეგანი კონტროლის ლოკუსები — პიროვნული სეალა იმის გასაზომად, რომ ადამიანი აკონტროლებს მისი ცხოვრების მოვლენებს (ინტერნალური ლოკუს-კონტროლი), საპირისპიროდ რწმენისა, რომ ცხოვრებისეული მოვლენები გარე, ექსტერნალური ფაქტორების (შემთხვევითობა, გამართლება) შედეგია

## თავი 4.

### “ინდივიდუალიზმი/კოლერტივიზმი”— თანამედროვე კონცეპციები

#### § 1. კულტურის განზომილებები

მრავალი ცდა არსებობს ამა თუ იმ კულტურის ისეთი სპეციფიკური თავისებურებების პოვნისა, რომელიც ყველა მის ელემენტის მსჯვალავს და ვლინდება კულტურის წარმომადგენელთა ქცევაში. ეძიებენ ერთ ან რამდენიმე ლერძულ თავისებურებებს ანუ კულტურის მახასიათებლებს — განზომილებებს.

თანამედროვე მეკულურები ხშირად მიმართავნ უკეთ ჩატარებული კვლევების ე.ნ. მეტაანალიზს, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ან რომელიმე სფეროში ძირითად ტენდენციებს ავლენენ.

ერთობის ასეთი კვლევის შედეგად მეკულურებმა გამოყენეს კულტურის რამდენიმე განზომილება, რომელიც სხვადასხვა ავტორთა მიერ არის შეთვაზებული.

აღმოჩენდა, რომ თანამედროვე ეტაპზე ძირითადად კულტურის განზომილებებად მიიჩნევა მახასიათებლები:

1. ინდივიდუალიზმი—კოლექტივიზმი ანუ ორიენტაცია ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მიზნებზე;

2. ტოლერანტობის ხარისხი კულტურაში მიღებული ნორმებიდან გადახრის მიმართ (“აღვირის მოქმედების” ან “ლაგამის ამოდების” ხარისხი ნორმებსა და ინდივიდუალიზმის);

3. განუსაზღვრელობის თავიდან არიდება და შესაბამისად, ფორმალური წესების მოთხოვნილება;

4. მასკულინობა—ფემინურობა ანუ კულტურაში იმ თვისებათა შეფასება, რომელიც ქალებისა და მამაკაცებისთვის სტერეოტიპულად განიხილება, აგრეთვე ტრადიციული გვნდერული როლების წახალისების ხარისხი;

5. ადამიანის ბუნების შეფასება, როგორც “კარგის”, “ცუდის” ან “შერეულის”;

6. კულტურის სირთულე, მისი დიფერენცირების ხარისხი;

7. ემოციური კონტროლი, ექსპრესიულობის დასაშვები ხარისხი;

8. დისტანცია კონტაქტების დროს ანუ ურთიერთობის დროს დასაშვები სიახლოეს ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი ამ მახასიათებელთაგან სწორედ კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის პარადიგმის ფარგლებში იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი.

## § 2. Gert Hofstede-ს მოდელი: ინდივიდუალიზმი — კოლექტივიზმი — კულტურული განზომილება

პოლარდივლი მეცნიერის G. Hofstede -ს გამოკვლევამ, რომელიც მან 1980 წელს ჩატარა ღირებულებით ორიენტაციებზე, დაინკო ახალი ერა კულტურათა ემპირიულ შესწავლაში. ეს გამოკვლევა დღემდე რჩება ყველაზე ფართო მოკულობის კვლევად ქვეყანათა და გამოკითხულ რესპონძენტთა რაოდენობის მიხედვით.

G. Hofstede -მ მსოფლიოს 40 ქვეყანაში ანერტირების მეთოდით გამოკითხა კორპორაცია ABM-ის 116000 თანამშრომელი და იკვლევდა მორალურ კლიმატს ამ ფირმაში. პირობითად მის მიერ “ჰერმესად” ნოდებული გამოკვლევა ორჯერ ჩატარდა — 1967 და 1973 წელს. მიღებული მონაცემები დამუშავდა ფაქტორული ანალიზის მეთოდით. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი — “კულტურის შედეგები” გამოქვეყნდა 1980 წელს. Hofstede-ს აზრით, ერთი რეგიონის ხალხს დაახლოებით ორმოცდაოთხი ტიპის მენტალური პროგრამა აქვს, რომლებსაც იზიარებს თავისი რეგიონის ხალხთან; კოლექტივიზმი, მისი აზრით, ხაზოგადოდ გაზიარებულ მახასიათებელთა ინტერაქციული აგრეგატია და განსაზღვრავს გარემოს შესახებ ჯვარულ პასუხებს. მან სწორედ ამას უწოდა კულტურა.

ამ გამოკვლევაში G. Hofstede -მა შეისწავლა თოთხმეტი ძირითადი საკითხი, რომლებიც შემდგომში განაერცო ორმოცდაცამეტ ეროვნულ კულტურაზე და სამ რეგიონზე (G. Hofstede, 1980; 1983). ანალიზის ერთეულად მან აიღო ის სახელმწიფოები, სადაც გამოკითხვა ჩატარდა, ხოლო სახელმწიფოები რანჟირებულ იქნა რესპონძენტთა მიერ. რანჟირების პრინციპი იყო მოქალაქეთა მიღწეულება ინდივიდუალიზმისკენ.

სწორედ ამ კვლევაში ჩამოაყალიბა G. Hofstede -მ პირველად ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ცნებები, რომელიც შემდგომში სხვა მკვლევრებმა განავრცეს და უფრო დააზუსტეს.

G. Hofstede -ს მიხედვით, “ინდივიდუალიზმი მხარს უჭერს ისეთ საზოგადოებას, სადაც ინდივიდებს შორის კავშირი არამყარია; თითოეულისგან მხოლოდ საკუთარი თავისა და თავისივე ოჯახის პატრიონობას ელიან”, მისთვის დამახასიათებელია “ინდივიდთა ემოციური დამოუკიდებლობა ჯგუფისგან, ორგანიზაციისგან ან სხვა კოლექტივისგან” (ციტირებულია Triandis H.C 1994 Hui C. H. Triandis H.C 1986 -ის მიხედვით), ხოლო “კოლექტივიზმი მხარს უჭერს ისეთ საზოგადოებას, სადაც ადამიანი დაბადებიდანვე და მთელი ცხოვრების განმავლობაში ძლიერად დამაკავშირებელ შედა ჯგუფებში არიან გაერთიანებული; ეს ჯგუფები მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავს მათ უკამათო ლოიალურობის სანაცვლოდ”.

G. Hofstede -მხალეთა ღირებულებების ემპირიულ შესწავლაზე დაყრდნობით კულტურის კონცეფცია ჩამოაყალიბა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის მისეული განსაზღვრებები გარევაული აზრით, მისივე საკუთარი ღირებულებების სისტემის ასახვაა და მისი "დასავლური პროგრამირებულობიდან" გამოდის.

აღნიშნულმა კულევამ გამოავლინა, რომ ანალიზისას საქმე გვაქვს ორ დონესთან: ინდივიდის დონესთან და კულტურის დონესთან.

ღირებულებათა მათემატიკურმა ანალიზმა გამოავლინა ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც კულტურას აღნიერს, როგორც შედარებით დამოუკიდებელი მახასიათებლები (მათ ჩვეულებრივ ორთოვონალურ ანუ დამოუკიდებელ ფაქტორებს უნდებენ); ეს მახასიათებლები, G. Hofstede -ის აზრით, შეიძლება განხილულ იქნეს კულტურის მახასიათებელ განზომილებად ანუ ისეთ რაიმედ, რაც ყველა მოვლენას მსჯალავს კულტურაში და კულტურის ნებისმიერ მოვლენაშია ასახული. ისინი თავს ავლენს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში — ოჯახურ ურთიერთობებში, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურებში, განათლების სისტემში და ა.შ.

ამგვარად, გამოყოფილი ოთხი განზომილება ინტერპრეტირებული იქნა, როგორც:

1. კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმი — ასახავს ინდივიდსა და ჯგუფს შორის ურთიერთმიმართებას; ინდივიდუალისტური ორიენტაცია გულისხმობს იმ რნენას, რომ თითოეულ ადამიანს თავის-თავადი ღირებულება აქვს, უნდა იღვანოს პირადი პოტენციალიზაციის რეალიზაციისთვის, სოციალური წესის მიუხედავად, ცდილობდეს თავისი დამოუკიდებელი მოსაზრებების კულტივირებას; კოლექტივისტური ორიენტაცია — პირიქით, ასახავს კოლექტიურის პრიორიტეტს ინდივიდუალურთან შედარებით;

2. ძალაუფლებრივი დისტანცია — ასახავს საზოგადოების ე.წ. "დაბალი ფენების" მიმართებას სოციალური უთანასწორობისადმი; იმ კულტურებში, სადაც ეს დისტანცია მოკლეა, რეალურად მოქმედებს იურიდიული კანონები და წესები — აქ ადამიანები ხელისუფლებას მისი კომპეტენტურობის მიხედვით ემორჩილებიან და არა მისი თავისითავადი ღირებულების გამო;

3. გაურკვევლობისგან გაქცევა (თავის არიდება) — ესაა ადამიანთა კონცეფციური დამოუკიდებულება იმ სიტუაციებისადმი, რომელთაც ძნელად პროგნოზირებადადად მიიჩნევენ. კულტურების ერთმანეთისგან გარჩევა შეიძლება იმის მიხედვით, როგორ რეაგირებენ მისი წარმომადგენლები განუსაზღვრელობაზე; ცდილობენ გაექცნენ ამ განუსაზღვრელობას თუ ითმენენ მას. იმ კულტურებში,

კულტურებში, სადაც განუსაზღვრელობის მოთმენის ხარისხი დაბალია (განუსაზღვრელობას ვერ იტანენ, არ უყვართ), ადამიანი ახალ სიტუაციაში, ახალ გარემოში უფრო მეტ შფოთს გრძნობს. ჩვეულებრივ, ასეთ კულტურებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილ ნორმებს, წესებს და რიტუალებს;

4. მასკულინობა-ფემინურობა — გულისხმობს სქესთა სოციალური დიფერენცირებულობის ხარისხს. კულტურის წარმომადგენლებს ისინი ეძლევა ხაგულისხმევა ნორმატული ორიენტირების სახით და თავს ავლესამინს სხვადასხვაგვარი ძალით.

უნდა აღინიშნოს, რომ G. Hofstede –ის შრომაში მასკულინობა-ფემინურობა უპრალოდ სტანდარტული ფსიქოსოციოლოგიური აზრის მატარებელი ცნებები არაა, ისინი ამ თეორიაში ახორციელოვნურ კატეგორიებად გვევლინება. ჩვენ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. აյ კი აღვნიშნავთ, რომ ყველა ჩამოთვლილი მახასიათებელი აფიქსირებს განსხვავებას არა ინდივიდებს, არამედ კულტურებს შორის, ამიტომაც G. Hofstede –ის მიღვომას მიიჩნევენ კულტურა-დონის ანალიზად.

ინტერპრეტირებული პარამეტრების მიხედვით G. Hofstede –მა შესძლო მოეცა კულტურათა მონათესავე ჯგუფები. ასე, მაგალითად:

ძალაუფლებრივი დისტანციის მახასიათებლის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ეს დისტანცია “ვრძელია” მაღაიზიაში, პანამაში, არაბულ ქვეყნებში, ვენესუელაში, ინდოეთში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ხოლო “მოკლეა” — ავსტრიაში, იზრაელში, დანიაში, შვეციაში, აშშ-ში და სხვა; განუსაზღვრელობისადმი მომთმენობა მაღალია სინგაპურში, დანიაში, ჰონგ-კონგში, შვეციაში, დიდ ბრიტანეთში და სხვ, ხოლო დაბალი ხარისხია საბერძნეთში, ჰორტუგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, თურქეთში.

რაც შეეხება მასკულინობა-ფემინურობას, კულტურის ამ მახასიათებელს მოგვიანებით G. Hofstede-მა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და სწორედ ამ კვლევის შედეგებს გაგაცნობთ (G. Hofstede 1998, pp.16-17, 175):

მასკულინური საზოგადოებები ფემინურისგან განსხვავდება ბევრი სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლით და ეს განსხვავება გამოდის გენდერული სტრატიფიკაციისა და სქესებს შორის ურთიერთობების ფარგლებიდან.

მასკულინური კულტურების პირველადი ლირებულებითი ორიენტაციები განსხვავდება პირადი მიღწევების მაღალი შეფასებით; მაღალი სოციალური სტრატეგია მიიჩნევა პირადი წარმატების დადასტურებად; ფასობს ყველაფერი დიდი და მასშტაბური; ბავშვებს ასწავლიან ძლიერებით აღირთოვანებას; ხელმოცარულებს გაურბიან; წარმატების დემონსტრაცია კარგ ტონად მიიჩნევა; აზროვნება რა-

ციონალურობისაკენ ისწრაფვის, ოჯახში როლების დიფერენციაცია ძლიერია, ადამიანი ბევრს აკეთებს თვითპატივისცემის გასაძლიერებლად.

ფუმინური კულტურების პირველადი ღირებულებითი ორიენტაციები, პირიქითა, ნინ წამოსწევს კონსენსუსის აუცილებლობას, ღირებულია სხვაზე ზრუნვა; უფრთხილებიან სხვათა გრძნობებს; გამოკვეთილი ორიენტაცია სხვათა მომსახურება; ლამაზად მიიჩნევა პატარა; სიმპათიაა ჩაგრულთა მიმართ; ღირებული და დაფასებულია თავმდაბლობა; აზროვნება ინტუიტუისკენ იხრება; ბევრს ნიშავს რაიმე ერთობისადმი, ჯგუფისადმი კუთვნილება.

ეს ბაზისური განსხვავებები საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების სხვადასხვა სფეროშიც აისახება. თუმცა კი მასკულინობა-ფუმინურობის დონე კულტურაში ისტორიულად მეტი—ნაკლებად მყარია, მაინც შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოებების მიხედვით. მაგალითად, ომები, პოლიტიკური კრიზისები, ეროვნულ გრძნობათა აღმასვლა მეტრძოლი გმირების მოთხოვნილებას ქმნის, რაც, ცხადია, მასკულინობის ღირებულებას ზრდის.

Hofstede-ი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე ქვეყანა სრულიად განსხვავებულად შეიძლება აღინიუროს ამ პარამეტრებით ცალ-ცალკე. მაგალითად, ერთი პარამეტრის მიხედვით მას შეიძლება მაღალი მონაცემი ჰქონდეს, ხოლო მეორის მიხედვით — ნაკლები; ამასთან, მონაცემები მასკულინობა-ფუმინურობის მიხედვით, სრულიადაც არაა სავალდებულო, შესაბამისობაში იყოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ან სიმდიდრესთან, ანუ მდიდარი და პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანა მასკულინურს არ ნიშნავს, ხოლო ფემინურობა მაინცადამაინც რაიმე აზრით უძლურების კორელაცი არაა. მაგალითად, “მასკულინური” აღმოჩნდა იაპონია, ავსტრია, იტალია, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, მექსიკა, ვენესუელა და ა.შ.; “ფუმინური” აღმოჩნდა სკანდინავიის ქვეყნები: შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, პორტუგალია და ა.შ.

კიდევ ერთხელ აღნიშნავ, რომ Hofstede-ის თვალსაზრისით, მის მიერ ინტერპრეტირებული ფაქტორები ორთოგონალური ანუ ურთიერთდამოუკიდებელი ფაქტორებია. სნორედ ამის გათვალისწინებით აღნიშნავდა ავტორი, რომ ამ ოთხეულიდან რომელიმე ერთის მიხედვით მაღალი მონაცემი არ ნიშნავს ასეთივე მაღალ მონაცემს რომელიმე სხვა მახასიათებლის მიხედვით. ამიტომ, როცა სპეციალურ ლიტერატურაში მასკულინობას ზოგჯერ ინდივიდუალიზმთან აიგივებენ, ხოლო ფემინურობას — კოლექტივ-იზმთან, კონცეფუციის ავტორი ყოველთვის აღნიშნავდა ამგვარი გაგების უმართებულობას და ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მათე-

მატიკური დახასიათებით ეს ორი პარამეტრი ურთიერთდამოუკიდებელია, და ამიტომ, კოლექტიური საზოგადოება შეიძლება იყოს მასკულინური და პირიქით. მისი პოზიციით, ყოველი საზოგადოება თითოეული მახასიათებლის მისეული თვისობრიობით ხასიათდება და ამდენად, უნიკალურიცაა.

Hofstede — ის მიერ გამოყოფილი კულტურული განზომილებები დან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პირველმა — კოლექტივიზმა — ინდივიდუალიზმა, თუმცა კი თვით ავტორი თავის კვლევაში ორგანიზაციის შესწავლის პრობლემატიკიდან, კერძოდ, სამუშაოსა და მის გარშემო არსებული (პირადი და ოჯახური ცხოვრება, სამსახურში თვითორეალიზაციის შესაძლებლობები, სამუშაოს ფიზიკური პირობები და სხვ) პრობლემატიკიდან ამოდიოდა, ამიტომაც იგი აღნიშნავდა, რომ მისი კვლევის მონაცემებს ბევრ საკითხთან დაკავშირებით აზრი აქვს ორგანიზაციის შესწავლის კონტექსტში და არა უშუალოდ კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის, როგორც კულტურის ზოგადი მახასიათებლის, თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, ანალიტიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ მის მიერ შემოთავაზებული ორგანიზაციასთან დაკავშირებული ორი განზომილება — “ინდივიდუალური თავისუფლება” და “ორგანიზაციაზე მიჯაჭვულობა” კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის კონკრეტციის პოზიციონაც გამოსადევია.

Hofstede-ის გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო კულტურა — დონის ანალიზით კავშირის გამოვლენა საზოგადოების ინდივიდუალისტურ ორიენტაციასა (“ინდივიდუალიზმსა”) და ეკონომიკური განვითარების დონეს შორის. იმის მიუხედავად, რომ ამ ორ ცვლადს შორის მიზეზობრივი კავშირის ვრცელისა საფუძვლიანად არყევს კოლექტივისტური ქვეყნების დინამიკური ეკონომიკური ზრდა, “კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის” კონკრეტციის ანალიტიკოსები ეკონომიკის სფეროში ინდივიდუალიზმის ტენდენციის აღიარებას მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

### § 3. Triandis-ის კონცეფცია — სუბიექტური კულტურა და კულტურული სინდრომი.

ბეერი მეცნიერი ეთანხმება მოსაზრებას, რომ კულტურა არსებობს ინდივიდის შიგნითაც და გარეთაც. კულტურის ეს ორი ასპექტი — გარე და შიდა — უმჭიდროესას ურთიერთებული იყო.

ინდივიდის გარეთ არსებულ კულტურაში მოიაზრებენ ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს — რელიგიურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, განათლების სისტემას, ესთეტიკურ პროდუქტებს (ხელოვნება, დრამა, ლიტერატურა). მიიჩნევა, რომ გარე კულტურის შესწავლა მომავლის საქმეა.

ინდივიდის შეგნით კულტურა მოცემულია რწმენის, ღირებულებების, ინტერაქციული მოდელების და სხვა ელემენტების სახით.

ჯგუფი, ჯგუფური კუთვნილება, ნორმები, როლები და სხვა ელემენტები ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში და საემაოდ როლს საზოგადოებრივ სტრუქტურასა და მიმართებებს ქმნის.

მაგალითად, „როლის“ ცნება. ი. კონი აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებათმცოდნეობაში ფართოდ გამოყენებული ეს ცნება ძალზე მრავალმნიშვნელოვანია.

სოციალური ფსიქოლოგია ამ ცნებას გამოიყენებს ქცევის განმეორებადი, სტანდარტიზებული ფორმებისა და წესების ასაბანერად. სოციალური როლის სპეციფიკა მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული იმ რეალობით, რომ ორი ან მეტი ადამიანის კონკრეტული ურთიერთობები უყველთვის გარკვეულ სოციალურ გარემოში გახდება. შრომის განაწილების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, საზოგადოების კლასებად დანაწილება, სოციალური ინსტიტუტები და ქცევის ნორმები მოცემულია როგორც გარე, ობიექტური რეალობა; ადამიანი, როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს ამ ვითარების მიმართ, ობიექტურ რეალობას ან გარიშს უნდა და თავის ქცევას შეუთანადებს.

ი. კონი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ეკონომიკა, სოციოლოგია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები პრინციპულად აბსტრაქტოდებიან ადამიანის ინდივიდუალობისგან. ამიტომ სოციოლოგიაში როლის ცნება უსახურ სოციალურ ფუნქციას ან ნორმას აღწერს, რომლის შესრულება აუცილებელია მოცემული კონკრეტული პოზიციის ქვენე ინდივიდისთვის

მაგრამ საზოგადოებას, სოციალურ ინსტიტუტებს ფილტრთა მთელი სისტემა აქვთ ამა თუ იმ საქმისთვის ხასიათის შესარჩევად. ქცევა კი არის სტანდარტიზებული, მაგრამ ამ სტანდარტიზაციის ბუნებაა განსხვავებული სხვადასხვა ტიპის კულტურაში. ამიტომ ადამიანის ქცევაში ყოველთვისაა რაღაც „წინასწარ მოცემული“, სტანდარტიზებული საზოგადოების ისტორიითა და წინა გამოცდილებით; შესაბამისად, კულტურაც ქმნის „წინასწარ მოცემულ“, „საზოგადოებითა და წინა გამოცდილებით სტანდარტიზებულ“ როლებს (КОН И.С. 1999; 192-193).

ჯგუფი მზა როლებით არის კუთვნილებითი ჯგუფი; როლის შესრულების ნესს განსაზღვრავს რეფერენტული ჯგუფი; კუთვნილებითი ჯგუფი და რეფერენტული ჯგუფი აუიქსირებს ღირებულებებსა და ნორმებს, შესაბამისად, ისინი როლთა თანმიმდევრობის ფუნქციაა; ტრადიციულ საზოგადოებაში როლთა მცირე რაოდენობაა, ინდუსტრიულში — მეტი. როლთა რაოდენობრივობასთანაა დაკავშირებული როლთა მრავალგვარი და მრავალ-

რიცხოვანი ურთიერთგადაკეთა და ურთიერთმიმართებები. სწორედამ სირთულის გამო სოციოლოგებისა და ეთნოლოგების მიერ როლური მიმართებები სხვადასხვაგვარად აღიქმება და აღინერება (Menдра A. 2000 გვ. 95).

სოციალურ როლთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ნორმის ფუნქციონირება საზოგადოებაში. მას სამი ინდიკატორი აქვს: საზრისი, მოქმედება და სოციალური ქცევა. თუ საზოგადოებრივი აზრი დომინირებული გახდება, იგი ნორმის ძალას შეიძენს — “რეალობისგან მოწყვეტა ნორმათა სოციალურ ეფექტურობას ძირს უთხრის” (Menдра A. 2000; გვ. 117).

სოციალური როლის ნორმატულ სტრუქტურაში მოაზრობული მოთხოვნების ხასიათის მიხედვით გამოიყოფა აუცილებელი, სასურველი და შესაძლებელი ქცევების ნორმები ანუ მოლოდინები: “საჭირო”, “სასურველი” და “შესაძლებელი”. მათი რეალიზაციისთვის ნებაგატიურ სანქციებსაც მიმართავენ და პოზიტიურსაც.

სოციალური როლები იმ მოთხოვნათა (ნორმათა) ერთიანობაა, რომელსაც საზოგადოება უყვენებს გარევეული სოციალური პოზიციის მქონე ინდივიდებს.

ნორმათა ინსტიტუციონალიზაცია და რიტუალიზაცია ინტერიორიზაციის გზით და სანქციათა რთული სისტემის წყალობით გახდება. ნორმის პატივსაცემად და სანქციების გამოსაყენებლად ყველა ჯგუფს სხვადასხვაგვარი მექანიზმი აქვს. დაჯილდოებისას ამა თუ იმ ნორმის გამოყენება განპირობებულია ურთიერთქმედების მიზნით. კუთვნილებითი და რეცერვნტული ჯგუფის ნორმები ინდივიდზე გაცილებით უფრო ძლიერად ზემოქმედებს, ვიდრე საზოგადოების ნორმები (Menдра A. 2000 გვ. 126).

უხდა გამოიყეოთს, რომ ინსტიტუციონალური ნორმების უმრავლესობა იურიდიულად სანქცირებული არაა — უბრალოდ, ესაა “სხვების მოლოდინთა ფორმალიზაცია თითოეულ ადამიანთან მიმართებაში”.

ჯგუფის მიერ დადგენილი ნესები და ნორმები გარკვეულ მოლოდინებს ემსახურება — ლირებულება თვით მათშია კონცენტრირებული და ამის წყალობით — შედარებით სტაბილური; ნორმები ჯგუფის ცალკეული წევრის ცნობირებაში მყარდება და ამ სიმყარის შესანარჩუნებლად სანქციებიც არსებობს.

ჩვეულებრივ, ერთი ნორმა კი არ ინსტიტუციონალიზდება, არა-მედ ნორმათა სისტემა. იგი ცვალებადია ეპოქების და სოციალური ჯგუფების მიხედვით. არსებულ სისტემაში ნორმები როლზეა დამკიდებული.

ნორმების შესატყვევისობა და ნორმათა მიდევნება — ორი სხვადასხვა პრობლემაა. არსებობს ნორმები, რომლებსაც ყველა დებულობს სხვადასხვა სიტუაციაში; მაგრამ ბევრი ადამიანი ნორ-

მას არ მისდევს — ადამიანები ან ისე იქცევიან, როგორც ნორმა კარნახობს, ან მათ უგულებელყოფენ. ამიტომ საზოგადოებას გარე-ველი მომთმხნობაც ახასიათებს — ყველა სოციალურ სისტემაში მის წევრებს არ აიძულებენ ნორმების უზადოდ მიდევნებას.

შეხედულებათა სიუფართოვე ან მომთმხნობის ხარისხი ჯგუფის ან სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ჯგუფის პოზიცია გავლენას ახდენს ტოლერანტობაზე — არ არსებობს საზოგადოება, სადაც ყველა მოქმედება იდეალურად კონტროლირებადია ან ავტომატურად სანქცირებადი — ყველგან არსებობს რაღაც ხარისხის ბუნდოვანება (გაურკვევლობა), რომელიც გულისხმობს ნორმების გამოყენებისამდი ტოლერანტობას. ამგვარი ბუნდოვანება აუცილებელია ჯგუფის ან ინსტიტუტის უუნქციონირებისთვის. ტოლერანტობის ხარისხი ასევე სოციალური ჯგუფისა და კულტურის მახასიათებელია

ძალზე საინტერესოა, რომ ცნობილი ფრანგი სოციოლოგის — მენდრას ალნიშვნით, ზოგიერთი მკვლევარი ადრეც გამოყოფდა როლთა რო ტიპს: დამოუკიდებელს და დამოკიდებულს. პირველი გულისხმობს, რომ მის გვერდით ზუსტად განსაზღვრული კონტრ-როლები არსებობს (მაგალითად, მნერალი და მკითხველი); დამოუკიდებული როლი კი თავის გვერდით გულისხმობს ზეგავლენის, კონტროლისა და ძალაუფლების მექანიზმებს ( მენდრა A. 2000 გვ. 100-102).

რაიმე როლის შესრულებისას ინდივიდს ამ როლთან მეტნა-ლები იდენტიფიკაციის ტენდენცია აქვს.

## სუბიექტური კულტურა — “კულტურული სინდრომი”

“ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” თანამედროვე მკვლევართაგან უნდა გამოიყოს ნარმომობით ბერძენი ამერიკელი მკვლევარი, ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელი, Harry Triandis. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შიდა კულტურის ელემენტებს, რომელსაც სუბიექტური კულტურა უნდა.

Triandis-ის აზრით, “სუბიექტური კულტურის” შესწავლისა და გაზომვის დახმარებით შესაძლებელია იმ კავშირის ახსნა, რომელიც არსებობს კულტურულ ინსტიტუტებს, ფსიქიურ პროცესებსა და ქცევას შორის. ამიტომ იგი მის შესწავლას მიიჩნევს კულტურის შესწავლის ძირითად საგნაც.

“სუბიექტური კულტურა” Triandis-ის მოდელში უმთავრესი ცნებაა; მასში იგი მოიაზრებს კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ ისეთ წესებს, რომელთა მეშვეობით ამ კულტურის წევრები შეიმეცნებენ ადამიანის მიერ შექმნილ სოციალურ გარე-

მოს. ასეთი კოგნიცია გულისხმობს სოციალური ობიექტების კატეგორიზაციას, იმას, თუ რომელ და როგორ კავშირებს გამოყოფენ ადამიანები კატეგორიებს შორის; “სუბიექტური კულტურა” მოიცავს აგრეთვე იმ ნორმებს, როლებს, მოლოდინებსა და სტატუს-პრესტიუსის სისტემას, რომელიც ტიპურია და აქტუალურად ფუნქციონირებს კონკრეტულ კულტურაში. ამა თუ იმ კულტურის წევრებს ქცევის იმგვარი მოდელები და სუბიექტური კულტურა უყალიბდებათ, რომელიც მხოლოდ ამ კონკრეტულ სოციალურ გარემოში ფუნქციონირებს. ესაა სოციალური სამყაროს განსხვავებული ხედვა და იგი განაპირობებს ადამიანთა ქცევასაც და სხვისი მოქმედების აღქმა-შეფასებასაც. ინდივიდის ქცევის მოდელები და სუბიექტური კულტურები მხოლოდ გარკვეულ სოციალურ გარემოში ქმნავთ.

პიროვნულობა ცალკეული ინდივიდისთვის ნიშნეულ ქცევის მოდელებს გულისხმობს. ასევე, ცალკეულ კულტურულ ჯგუფს მისთვის დამახასიათებელი ქცევის მოდელები აქვს. მაგალითად, ცნობილია, რომ სამხრეთ ამერიკელები უფრო ექსპრესიულები არიან, ვიდრე ანგლოსაქსები. ამგვარად, ეთნიკური ჯგუფი იმ ინდივიდებიდან შედგება, რომლებსაც ქცევის საკუთარი მოდელები და სუბიექტური კულტურები აქვთ. ქცევის მოდელები იმ უნარების, ჩვევებისა და პრედისპოზიციების შემცველია, რომელიც თავს ინდივიდის სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედებისას იჩინს. სუბიექტური კულტურები, ამგვარად, ნორმების, ღირებულებების, მიმართებების ერთობლიობაა.

სუბიექტური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია ეთნიკური ჯგუფის ენა, რადგან ენა ამ უკანასკნელის აზროვნების ისტორიაში განხორციელებულ ძალისხმევას აირეკლავს და მტიდრო კავშირშია მის კოგნიტურ და ემოციურ კატეგორიებთან, რომლებიც სამყაროს გააზრების კონცეპტუალიზაციისას გამოიყენება.

ეთნიკური კულტურების მახასიათებელი ელემენტები, ქცევის მოდელებისა და სუბიექტური კულტურის ჩათვლით, იმ გარკვეულ გარემოშია ფუნქციონირებას, რომელშიც ეს კულტურული ჯგუფი დიდი ხნის მანძილზე არსებობდა. მაგალითად, არქტიკის მცხოვრებთა თავისებურებები — დამოუკიდებლობა, საკუთარი თავის რჩმენა, ნაკლები ემოციურობა და ურთიერთქმედების ცუდად განვითარებული უნარი აქ ნადირობით, როგორც ძირითადი საქმიანობით, არის განპირობებული; ნადირობა უფრო ინდივიდუალურ ქმედებას მოითხოვს. შეორეს მხრივ, იმ საზოგადოებებში, სადაც სოფლის მეურნეობაა უფრო მეტად განვითარებული, ჯგუფურ აქტივობას ენიჭება მეტი უპირატესობა. გამოკვლევები ავლენს, რომ ამგვარ ჯგუფთა ნევრებს ნაკლებად განმრჩევი ჰერცეპტული და კოგნიტური სტილი უვითარდებათ. მათი პიროვნულობა დაბალი

ემოციურობით, სხვებზე დამოკიდებულებით, ინტერაქციის კარგი უნარით გამოიირჩევა. ადამიანები, ნაელებად განმოჩევი კოგნიტური სტილით, ჩვეულებრივ, ისეთი საქმიანობისადმი იჩინენ მიღწეულებას, რომელიც ურთიერთობის კარგ უნარს მოითხოვს (მაგალითად, ვაჭრობა). ისინი კი, რომელთაც მკვეთრად განმოჩევი კოგნიტური სტილი აქვთ, შესაბამის პროფესიებს იჩინევენ (თვითმფრინავის მართვა, აეროფორტოგრაფია და ა.შ.).

ამგვარად, „სუბიექტურ კულტურაში“ *Triandis-i* მოიაზრებს იმ ნარმოდგენების, იდეების, რწმენებისა და ლირებულებების ერთობლიობას კულტურაში, რომელსაც ადამიანები “თავისად” მიიჩნევენ, რომელიც აერთიანებს ადამიანებს და უშუალოდ განსაზღვრავს კულტურის ნარმობადგენელთა ქუცვასა და მოღვაწეობას (*Triandis H.C. 1995; 6-7.*)

*Triandis-i* მიიჩნევს, რომ კულტურა შესწავლით უნდა იქნეს ორივე დონეზე: კულტურის დონეზეც და ინდივიდის დონეზეც; ორივე — კულტურა-დონისა და პიროვნება-დონის ანალიზისთვის საჭიროა განსხვავებული, მაგრამ მონათესავე კონცეფციების გამოყენება.

*Triandis-i*-ს მიხედვით, ყოველ საზოგადოებაში ადამიანი გარკვეული გზებით აღიქვამს ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს ნაწილს. სუბიექტურ კულტურაში მოაზრებული შინაარსის (საზოგადოების იდეები, თეორიები, პოლიტიკა, ესთეტიკა, მეცნიერება, ეკონომიკა, აგრეთვე ნორმები, როლები, მოლოდინები, სტრუქტიპები და ა.შ.), გარემოს მოვლენათა განსასჯელად სოციალური სტანდარტები ადამიანის მიერაა ჩამოყალიბებული, ამასთან, ისინი აყალიბებს იმ საშუალებებს, რომლითაც ადამიანი ამ გარემოს აღიქვამს.

კულტურის განზომილება სხვადასხვა ელემენტს მოიცავს. განსხვავებულია მათი რაოდენობაც სხვადასხვა მახასიათებელში. სწორედ ეს ელემენტებია საზოგადოებაში ინდივიდის ქცევის მარეგულირებელი ფუნქციის შემსრულებელი — როგორ მახასიათებელთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ლირებულებები, ნორმები, ადათები, როლთა თავისებურებები და ურთიერთმიმართებები განიხილება საზოგადოების სტრუქტურის ლერძული (საყრდენი) მახასიათებლის (განზომილების) იმ შემადგენელ ელემენტებად, რომელიც ასახულია და თავმოყრილი, იმავდროულად გამოვლინდება და თავს იჩინს კულტურული თავისებურებები.

ყველა კულტურას აქვს კატეგორიზაცია, ასოციაციები და რწმენები აყალიბებს შინაგანი ლოგიკის მქონე ურთიერთშეთავსებად სტრუქტურებს. ამ კატეგორიათა შინაარსი და კატეგორიზაციის საფუძველიც კულტურების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, ფერის აღსანიშნვად ინვლისურ ენაში

4000 ტერმინია მაშინ, როცა არსებობს ენები, სადაც ანალოგიური მოვლენის ალსანიშნავად მხოლოდ ორმოცი ტერმინი გამოიყენება.

ეატეგორიზაცია ფუნქციონირებს იმიტომ, რომ გარემოდან მომდინარე მრავალფეროვანი შთაბეჭდილებების გამარტივების შესაძლებლობას იძლევა. უმარტივესი გზაა ორად გაყოფა, ხოლო კატეგორიები ერთმანეთს მსგავსების ნიშნით უკავშირდება. მაგალითად, ცნება "დემოკრატია" ასოცირებული იყო კატეგორიასთან "სოციალიზმი" იმ კულტურებში, სადაც ძლიერი გავლენა ჰქონდა დემოკრატიულ-სოციალისტურ პარტიას. *Triandis*-ი აღნიშნავს, რომ კულტურისთვის მნიშვნელოვანი "საყრდენი" სიტყვების ასოციაციების შესწავლით შესაძლებელია კულტურული თავისებურებების შესწავლა (*Triandis H.C. 1994; გვ.87*).

რწმენებს შეფასებითი და კუნოტაციური კომპონენტები აქვთ. ამიტომ კულტურის შესასწავლად ძალზე მნიშვნელოვანია იმის შესწავლაც, თუ რას გულისხმობენ ამ კულტურის ნარმობადგენლები სხვადასხვა "საყრდენ" სიტყვებში.

მოლოდინები ასახავს კულტურის მატარებელთა ძირითად გამოცდილებას, ხოლო ნორმები ნარმობადგენს "იმის შესახებ იდეებს, თუ ჯგუფის კონკრეტული წევრისთვის რას ნარმოადგენს ქცევა (*Triandis H.C. 1994; 100-101*). ნორმები განსაკუთრებით ავლენს კულტურულ სპეციფიკას.

ნიმუშად იგი განიხილავს ნორმის ფუნქციონირების თავისებურებას სხვადასხვა კულტურაში.

მაგალითად, განანილების ნორმა, როგორც სუბიექტური კულტურის ელემენტი, ყველა კულტურისთვის სპეციფიკურია და ამიტომ მასში აისახება კულტურის სპეციფიკა, ხოლო ქცევა ავლენს "სუბიექტურ კულტურულ ნორმას განანილებაში"; თანასწორობისა და მოთხოვნილების ნორმა სხვადასხვაგვარად მოქმედებს განსხვავებულ კულტურებში. თრიანდისი აღნიშნავს, რომევრ კულტურაში ხშირია სიტუაცია, როცა სახელმწიფოს კანონები არარეალისტურად ან ტრადიციულ არს მოქმედულად არის განხილული. სარდინიაში, მაგალითად, თანასწორობის სპეციფიკური გაგებაა, შესაბამისად, თანასწორობის ნორმაც "სარდინიურად" გაიგება. მაგალითად, "ლმერთს უნდა, რომ ყველა ჩვენგანს თანაბრად ჰქონდეს; თუ ვინმეს მეტი აქვს, ვართმევთ ანუ ვპარავთ ასევე ღმერთის ნებით"; "მოპარვის" ნორმა თავშია, სარდინიელთათვის იგი მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციის მქონეა, რომელიც იტალიის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდეც არსებობდა (იქვე; გვ.100). ამიტომ, აღნიშნავს *Triandis*-ი, ხანიერი ტრადიციული ნორმების მქონე კულტურებში არსებობს ორი ნორმატული სტრუქტურა: ტრადიციული და სახლმწიფოებრივი. ამას გარდა, ნორმები მკვეთრად განსხვავდება

სუბკულტურების მიხედვითაც. ამის მაგალითთა ინდოეთი თავისი მკვეთრი კასტური სისტემით.

ნორმის თავისებურება ახასიათებს ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებს. მაგალითად, ორი თანამშრომელი, რომლებმაც ერთობლივ შრომაში გარკვეული ანაზღაურება მიიღო, ფულის განაწილებისას გამოავლენს თავის კულტურულ თავისებურებებს: თუ ისინი ინდივიდუალისტური კულტურის წარმომადგენლები არიან, ფული განაწილება მის მიხედვით, ვის რა წელილი მიუძლვის სამუშაოს შესრულებაში, რადგან ამ კულტურაში მოქმედებს სამართლიანობის ნორმა; კოლექტივისტური საზოგადოებისთვის კი დამახასიათებელია თანასწორობის ნორმა, ასეთ შემთხვევაში ფული განაწილება თანაბრად.

Triandis-ი აღნიშნავს, რომ ამ ნორმების გარდა საზოგადოებაში სხვაგვარი ნორმებიც ფუნქციონირებს, მაგალითად, მოთხოვნილების ნორმა — თუ ორი მუშაკიდან ერთ-ერთის ოჯახი ძალზე ლარიბია, შეიძლება გადაწყვეტონ, რომ ლარიბს მეტი უნდა მიეცეს; პრივილეგიების ნორმა — მეტი აიღოს მან, ვინც უფრო მაღალი და პრესტიჟული წარმომავლობისაა და ა.შ. ამგვარი ნორმები “დაუწერელია”, მაგრამ არსებობს და ფუნქციონირებს ყველა საზოგადოებაში; სუბიექტური კულტურის ეს დაუწერელი ნორმები არცთუ იძვიათად შეიძლება სახელმწიფოს კანონსაც ენინააღმდეგობოდეს, მაგრამ Triandis-ის სიტყვებით, “ადამიანის თავშია” შენარჩუნებული და რეალურად არეგულირებს ქცევას.

მომდევნო ეტაპზე Triandis-მა თავის თეორიულ კონცეფციაში ჩართო Self-იც.

Triandis-ი დიდ ყურადღებას უთმობს პიროვნების კულტურულ სტრუქტურას; მისი კონცეფციის მიხედვით, Self-ი სწორედ სუბიექტური კულტურის ელემენტია, რომელსაც ამ კულტურის წევრები იზიარებენ. Self-ი არის დანაწევრებული “მე”, რომელიც თავს აშკარად თუ ფარულად ავლენს, მაგალითად, ფრაზებში: “მე” აქტიური და “მე” — პასიური. ამ (კულის) განსაზღვრების მიხედვით, ყოველგვარი სოციალური Self-ში იყრის თავს, მაგალითად, მოტივაცია — “მომნონს”. “მნამს”, “მიზნად დავისახე” (“განვიზრახე”); ნორმები — “ჩემს ჯგუფში ხალხი ასე უნდა მოიქცეს”; როლები — “მამაჩემი ასე იქცევა”; ღირებულებები — “ჩემი აზრით, თანასწორობაა მთავარი” და სხვ.

Self-თან დაკავშირებული, მისი შესატყვეისი ინფორმაცია ადგილად გასაგებიცაა და გავრცელებადიც, დამკვიდრებული აზრისთვისაც უფრო დადგებითი და მისაღებია; მაგალითად, “მე რაღაც უნდა გავაკეთო” უფრო მისაღებია მაშინ, როცა დამკვიდრებულ

აზრს შეესაბამება. Self-ი აქტიური აგენტია, რომელიც ღებულობს ნიმუშებს, ინფორმაციულ დირებულებებს და ასე ქმნის ქცევას.

Self-ის სპეციფიკა გამომდინარეობს კულტურის სპეციფიკი-დან, ამიტომაცაა, რომ Self-ის სირთულეს, კომპლექსურობას Triandis-ი დამოკიდებულად მიიჩნევს კულტურის ღირებულებებზე.

იგი გამოყოფს Self-ის სამ ასპექტს: ინდივიდუალურს, კოლექტურს და საზოგადოებრივს; გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადამიანი სხვადასხვა კულტურულ გარემოში სტანდარტად, ნიმუშად მიიჩნევს სხვადასხვაგვარ “Self”-ს, რომელიც მისთვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ქცევას წარმომობს (Triandis H.C. 1989).

Self-ები განსხვავდება ხამი კომპონენტით: ინდივიდუალურით, კოლექტურით და საზოგადოებრივით. ინდივიდუალური მოიცავს ცოდნას საკუთარი თვისებების, მდგრამარეობისა და ქცევების შესახებ (მე სუბიექტური ვარ, პატიოსანი ვარ, ჯოუტი ვარ); კოლექტური არის რომელიმე კოლექტივის ცოდნა, აღიარებული შეხედულება “მე”-ს შესახებ (ოჯახი, თანამშრომლები, ტომი – “ჩემი ოჯახი ფიქრობს, რომ მე” და ა.შ.); საზოგადოებრივი კი არის საზოგადოებრივი აზრის ცოდნა “მე”-ს შესახებ (“ხალხი ფიქრობს, რომ მე სუბიექტური ვარ”). ინდივიდუალური “მე”, ამგვარად, “მე”-ს შეფასებაა თავისივე თავის მიერ; საზოგადოებრივი “მე” შეფასებამება საზოგადოებრივი ერთიანობის მიერ “მე”-ს შეფასებას; კოლექტური კი შეესაბამება “მე”-ს შეფასებას სპეციფიკური რეფერენტული კვლეულის მიერ.

გაბატონებულ “Self”-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოს შექმნაში. “Self” გაბატონდება სოციალურაციის პროცესში აღზრდის კულტურულ მოდელებზე დაყრდნობით, და თავის მხრივ, აისახება სოციალურ ქცევაში. Self კულტურულად იცელება და სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაა; “Self”-ის სტრუქტურა წამყვანია და წარმართავს ქცევას, როგორც აქტიური აგენტი, იღებს ნიმუშებს, ინფორმატულ ღირებულებებს და ქმნის ქცევას. რაც უფრო მეტი მზა მოდელია, მით უფრო იოლია ქცევის დაქვემდებარება — დეტერმინირება; ერთნაირი დამოკიდებულებები ასევე წარმოშობს ერთნაირ ქცევებს. მაღალი სოციალური სტანდარტის (Self-მონიტორის) მიმდევარი ადამიანები სხვანაირი გრძნობების, მიმართებების მქონე და ქცევების განმხორციელებლები არიან, ვიდრე სტერეოტიპული ნიმუშების მიმდევრები. განსხვავებული ქცევითი ნიმუშები თავს ავლენს სოციალური მოტივაციის ყველა ასპექტში.

Triandis-ის აზრით, Self-ი სწორედ ამ სამ ჰიპოსტასში უნდა შეისწავლებოდეს კულტურის შემდეგი სამი განზომილების (მახასიათებლის) მიხედვით:

1. ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი
2. დახურული/ღია
3. მარტივი/რთული

**Self**-ის ტიპის გაბატონება დამოკიდებულია ამ სამი მახასიათებლის რთული ურთიერთეონფიგურაციით ნარმოქმნილ კულტურულ სპეციფიკაზე. მაგალითად, რთულ კულტურებში გაბატონებულია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი **Self**-ები და ნაკლებად ხმირია კოლექტური, როგორც ნიშუმი, ხოლო კულტურული თანასწორობა მიღწევა საზოგადოების სიმჭიდროვით. რაც უფრო კომპლექსურია **Self**-ი ანუ რაც უფრო მეტად მოიცავს თავის თავში კონკრეტული **Self**-ის ტიპისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, მით მეტი შანსი აქვს, იქცეს სანიმუშოდ. გაბატონებული **Self**-ი კი თავისთავად იწვევს მოცუმული კულტურისთვის ბუნებრივ ("ნორმალურ") ქცევას. **Triandis**-ი აღნისავს, რომ ერთ კულტურაში შეიძლება თანაარსებობდეს **Self**-ის სხვადასხვა ნიშუმი.

ამგვარად, **Self**-ის სამივე ასპექტი — ინდივიდუალური, საზოგადოებრივი და კოლექტური დაკავშირებულია ინდივიდუალიზმთან და კოლექტივიზმთან, ხოლო სოციალური სიმჭიდროვე — თავისუფლებასა და კომპლექსურობასთან.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე სტატუსი. ურთიერთობითი და მოვალეობები ადამიანებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექტივისტურ კულტურებში, სწორედ შუდმივ სტატუსს ემყარება და ინდივიდის ქცევაზე კონკრეტული სოციალური ჯგუფების — ნათესავების, მეზობლების, კოლეგების — უზარმაზარ გავლენას განსაზღვრავს.

სუბიექტური კულტურის ელემენტებიდან **Triandis**-ი ასევე განიხილავს სტერეოტიპებს და გამოყოფს მათ განმასხვავებელ ნიშნებს; კომპლექსურობას (მრავალგვარი იდეის ერთიანობა); სიცხადეს (ჯგუფის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნის შესაბამისობა ჯგუფთან); სპეციფიკურობას (მახასიათებელი ნიშნის სპეციფიკურობის ხარისხი ჯგუფთან მიმართებაში); ვალიდურობას (ობიექტური სოციალური ცოდნისა და სტერეოტიპის შესაბამისობა); ღირებულებას (სტერეოტიპის შეფასებითი ატრიბუტები) (**Triandis**-1994; გვ.107-108). იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ჯგუფის მნიშვნელობაც ვარირებს თვით კოლექტივისტურ კულტურებში. მაგალითად, სამხრეთი იტალიაში ყველაზე მნიშვნელოვანია მცირე ჯგუფი, კერძოდ, ოჯახი.

სოციალური ქცევა ცვალებადია კულტურების მიხედვით.

**Triandis**-მა შემოიტანა ტერმინები "ალოცენტრისტი" და "იდეოცენტრისტი" შესაბამისი კულტურული ტიპის აღსანიშნავად, მაგრამ ისინი ვერ დამკვიდრდა; მათ ნაცვლად, ჩვეულებრივ, იყენებენ ინდი-

ვიდუალისტს ან კოლექტივისტს, ან ავტონომიურს და დამოკიდებულს (მიჯაჭვულს). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიცია „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი“ ანალიზის ორივე დონეზე გამოიყენება.

1993 წ. Triandis-მა შემოიტანა ცნება „კულტურული სინდრომი“ (Triandis H.C. 1995; გვ.7). . ამ ცნებაში იგი მოიაზრებს სუბიექტური კულტურის ელემენტების ერთობას, რომელიც გაერთიანებული და ორგანიზებულია რაიმე თემის ირგვლივ. ამ კოხცეფციის ავტორის მითითებით, ინდივიდუალიზმის კულტურულ სინდრომს ნარმალდებს ორიგნტაცია ავტონომიური ინდივიდზე, ხოლო კოლექტივიზმის კულტურულ სინდრომს — ორიგნტაცია რაიმე კოლექტივზე (ოჯახზე, ტომზე, ეთნოსზე, საზოგადოებაზე, რელიგიურ ჯგუფზე და ა.შ.).

Triandis— მა პირველმა სცადა კონსტრუქტის — „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი“-ს განსაზღვრა უკვე ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით. 1984 წელს მან Hofstede-თან ერთად საინტერესო ექსპერტული გამოკვლევა ჩაატარა: საკუთარ და სხვა მკვლევართა კვლევის მონაცემებზე, აგრეთვე ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის შესახებ ორმოცდაექვსი ფსიქოლოგისა და კულტურან-თოროპოლოგის იმპლიციტური თეორიის ანალიზზე დაყრდნობით Triandis-ი შეეცადა შეეჯამებინა განსხვავებები ამ ორი ტიპის კულტურას შორის: ჯერ მათ კოლექტივიზმი განსაზღვრეს, როგორც ზრუნვა, ხოლო შემდეგ მსოფლიოს ყველა კუთხეში ოთხმოცდაერთ ფსიქოლოგსა და ანთროპოლოგს სთხოვეს ნარმოედგინათ თავიანთი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ უპასუხებდნენ ინდივიდუალისტები და კოლექტივისტები შვიდ კითხვას, რომელიც ზრუნვის სხვადასხვა ასპექტს მოიაზრებდა და გამოყოფდა (Triandis H.C 1994 Hui C. H. Triandis H.C 1986).

ამ მონაცემთა დამუშავების შემდეგ მიიღეს ოთხი ნამყვანი ფაქტორი:

1. ოჯახური ერთიანობა (“ბავშვები ქორწინებამდე მშობლებ-თან ერთად უნდა ცხოვრობდნენ”);
2. დამოკიდებულება—ურთიერთმიჯაჭვულობა (“მინდა ვცხოვრობდე ჩემი მეგობრების ახლოს”);
3. ავტონომიურობა-თავდაჯერებულობა (“მარტო მუშაობა სჯობს ჯგუფში მუშაობას”);
4. ძიდა ჯგუფებისგან განცალეცვება (“ოჯახის ერთი წევრის პატიოსნება არ ნიშანავს ყველა წევრის პატიოსნებას”).

ამ კვლევით ანალიზის კულტურულ და ინდივიდუალურ დონეზე განსხვავებული შედეგები გამოვლინდა: “ოჯახური ერთიანობის” და “შიდაჯგუფური განცალეცვების” ფაქტორებმა უკვე ახსნა კულტურებს შორის არსებული განსხვავებები, ხოლო ურთიერთმიჯა-

ჭვულობამ, სოციაბილურობამ და თავდაჯერებულობამ — ინდი-  
ვიდუალურ დონეზე არსებული განხეთქილებები.

კოლექტივისტურ კულტურუბში ადამიანებს შორის კავშირე-  
ბიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რაც აღინიშნება სიტყვით  
“მზრუნველობა”. რაც უფრო მეტ მზრუნველობას იჩინენ ადამიანები  
სხვების მიმართ, მით უფრო ურთიერთობით ჯაჭვულად გრძნობენ თავს  
და მით უფრო მეტად კოლექტივისტივისტები არიან.

აქ ქცევის უმნიშვნელოვანესი რეგულატორი ჯგუფური ნორმე-  
ბია. ნორმები ნაახალისებს ჯგუფზე დამოკიდებულებას: ფულის და  
საგნების სესხება — გათხოვება ხელს უწყობს ორმხრივობაზე და-  
ფუძნებულ ურთიერთობებს. კოლექტივიზმში ადარღებთ საკუთარი  
გადახვეტილებებისა და მოქმედებების გავლენა მნიშვნელოვან  
“სხვებზე”; სოციალური იდენტურობა უფრო მნიშვნელოვანია,  
ვიდრე პიროვნული, ხოლო სოციალური აღქმის საბაზისო ერთე-  
ულია ჯგუფი.

კოლექტივისტის ღირებულებებია ტრადიციების მიღევნება,  
დამჯერობა, ვალდებულების განცდა.

სოციალური ქცევა კოლექტივისტურ კულტურაში შიდა ჯგუ-  
ფის ნორმების ფუნქციაა. კოლექტივისტურ კულტურაში ურთიერ-  
თობები უფრო მშობლიური, მონესრიგებული და ინტიმურია, ამას-  
თან, ხანგრძლივი და მდგრადი.

სტატუსზე დაყრდნობით Triandis-ი გამოყოფს კოლექტივიზმის  
ორ ტიპს:

1. ვერტიკალურს — აქ აქცენტირებულია ჯგუფის წევრთა  
იერარქია. თვითგამორკვევა ასეთ დროს ემყარება იერარქიაში იმ  
ადგილს, სადაც ფიზიკური და სოციალური სივრცე განიხილება  
ტერმინებით “პატივსაცემი-ნაკლებად პატივსაცემი”;

2. პორიზონტალური ტიპი. აქ აქცენტი ერთიანობასა და  
ურთიერთობიჯაჭვულობაზე; დამახასიათებელია სოლიდარობა ერთ-  
მანეთის მიმართ.

Self-ის განსხვავებული კონცეფციები ასევე თავს გამოავლენს  
პორიზონტალურად და ვერტიკალურად მოწყობილ ადამიანურ  
ურთიერთობებიც. ვერტიკალური კოლექტივიზმი გულისხმობს იე-  
რარქიულ შიდა ჯგუფში გათქვეფილ Self-ს, პორიზონტალური  
კოლექტივიზმი კი — იგივე ურთიერთდამოკიდებულ Self-ს, ოღონდ  
როგორც თანასწორ შიდა ჯგუფის წევრს. ვერტიკალური ინდივიდუ-  
ალიზმი გულისხმობს აკტონომიურ Self-ს არათანასწორ ინდივიდთა  
ჯგუფში, ხოლო პორიზონტალური ინდივიდუალიზმი — დამოუ-  
კიდებელ Self-ს თანასწორ შიდა ჯგუფში.

Triandis- აღნიშნავს, რომ კოლექტივისტურ კულტურაში გადა-  
წყვეტილება მიიღება კონსენსუსით, ინდივიდუალურში კი — და-  
მოუკიდებლად (Triandis-; 1994; გვ. ორიორი7).

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა Triandis-ი სოლიდარობას მიაწერს პორიზონტალურ კოლექტივიზმს, ერთიანობა, ურთიერთმიჯაჭვულობა და ა სოლიდარობა ახასიათებს იმ ტრადიციულ კულტურებსაც, რომლებიც ძირითადად ვერტიკალური კოლექტივიზმის პრინციპითაა აგებული, მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში ადილთა საზოგადოებას (Бражников Б. Х. 1983).

ინდივიდუალისტურ კულტურაში ქცევა უფრო სოციალური განწყობებით რეგულირდება, ვიდრე ჯგუფური ზნეობრივი ნორმებით. არსებული ნორმები წაახალისებს ჯგუფისგან დამოუკიდებლობას; მიღებული არაა ფულის სესხება ან გასესხება; მატერიალური რესურსების განაწილებისას პრევალირებს სამართლიანობის ნორმა, რომლის მიხედვითაც ჯილდო საქმეში ინდივიდუალური წვლილის შესაბამისია.

ადრეული კვლევების მიხედვით, კულტურის ინდივიდუალისტურ თუ კოლექტივისტურ ორიენტაციას ხშირად განსაზღვრავდნენ მიღწევის ორიენტაციის თავისებურების მიხედვით — მიჩნიანდა, რომ კოლექტივიზმისთვის დამახასიათებელია ამ ორიენტაციის დაქვემდებარება შიდა ჯგუფის ინტერესებზე, ხოლო პირადი მიღწევის აღიარება შიდა ჯგუფის ინტერესებისგან დამოუკიდებლად გაგებული იყო ინდივიდუალიზმად.

საბოლოოდ, Triandis-მა (1994) გამოყო კულტურის ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ხასიათის ძირითადი მახასიათებლები:

#### **კოლექტივიზმი:**

1. Self-ის გაგება შიდა ჯგუფის ასპექტის შემცველად;
2. ქცევაში საერთო ნორმებითა და ალიარებული, მიღებული ვალდებულებებითა და მოვალეობებით ხელმძღვანელობა;
3. ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვნად შიდა ჯგუფის აღიარებისა და დაჯილდოების მიწნევა.

#### **ინდივიდუალიზმი:**

1. Self-ის კონცეფცია, რომელიც ავტონომიურია ნებისმიერ ჯგუფთან მიმართებაში;
2. სოციალური ქცევის განსაზღვრულობა განწყობებით და ინდივიდუალური, პირადი პროცესებით;
3. ურთიერთობებში უმთავრესია პირადი მიღწევები და ლირსებები.

Triandis-ის დასკვნით, ინდივიდუალიზმის ძირითადი მახასიათებლებია შიდაჯგუფური განცალკევება, ემოციური დამოუკიდებლობა და კონკურენტულობა, ხოლო კოლექტივიზმის ძირითადი მახასიათებელი ატრიბუტებია ოჯახური ერთიანობა და სოლიდარობა.

ამას გარდა, *Triandis*-ის აზრით, კულტურის ამ ორ ტიპს თავისი კორელაციები აქვს, კერძოდ, ინდივიდუალიზმის ძლიერი კორელაცია ეკოლოგიური მახასიათებელი: გლეხი მინათმოქმედები უფრო მეტად კოლექტივისტები არაან, ვიდრე მონადირეები; აგრეთვე სოციეტიალური სირთულე — რაც უფრო რთულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერად ინდივიდუალისტურია.

რაც შეეხება კოლექტივიზმის კორელაციებს, *Triandis*-ის მიხედვით, ესენია: სოციეტალური სიძმიდროვე, აშკარა შედაჯუფური-გარეჯგუფური განსხვავებები, უფრო მიწერილი, ვიდრე მიღწეული სტატუსის მქონე შიდა ჯგუფები, საზოგადოების გამოკვეთილი იერარქიულობა, კორეფული მმართველობა, შიდა ჯგუფური პარმონია, ნაკლები შემოქმედებითობა, ძლიერი და უკეთესი სოციალური მხარდაჭერა, ნაკლები დანაშაულებრიობა და სოციალური პათოლოგია, სუსტი ეკონომიკური განვითარება და ნაკლები მოდერნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ "სუბიექტური კულტურის" კულევისას და დაგება სხვადასხვა კულტურაში ძილებულ მოხაცემთა შედარების პრობლემა — ძალზე ხშირად გამოვლინდება ფაქტები, რომლის ანალოგი და ეკვივალენტი სხვა კულტურებში, შესაძლოა, ძნელად მოიძებოს. ამიტომ კონკრეტულ კულტურაში *Triandis*-ი იკვლევდა სუბიექტური კულტურის თავისებურებებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში; შემდეგ კი აანალიზებდა ცალკეულ ჯგუფთა მონაცემებს, რომლებსაც მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს ადარებდა.

ან კიდევ. სუბიექტური კულტურის შესავლით *Triandis*-მა და მისმა თანამშრომლებმა საბერძნეთში დაადგინეს, რომ პიროვნულ თვისებათა იერარქიაში პირველ ადგილზე დგას "ფილოტიმოსი", რომელიც ფილოლოგიურ ავტოპორტრეტებში ადამიანთა 74%-მა გამოიყენა.

"ფილოტიმოსი" — ესაა ფართო სულის, თავაზიანი, ნალდი, კეთილშობილი, ამაყი, ხელგაშლილი, პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი, რომელიც ირგვლივმყოფებს ისე ექცევა, როგორც მას სურს, რომ მოქცეოდნენ; მას სპეციფიკური თვისებები აქვს, მაგალითად, ფილოტიმოსი არ დაქორნინდება, სანამ თავის დას მზითვს არ მოუმზადებს და არ გაათხოვებს ("ჰატრონს ჩააბარებს").

"ფილოტიმოსი" სპეციფიკური პერძნული მოვლენაა, შესაძრებლად რთული სხვა კულტურათა მონაცემებთან. მსგავს ვითარებებში აღინიშნება, რომ თუმცა კი შესაძლოა, ასეთი ვალდებულებები დის მიმართ სხვა კულტურებში არ იყოს, მაგრამ არსებობს სხვა ნორმები, რომელიც სოციალურ ქცევას არეგულირებს, ხოლო სემანტიკურ სივრცეში ცნება "ფილოტიმოსი" ისეთ ადგილს იკავებს, რომლის მსგავსი სხვა ენებშიც მოიძებნება — მსგავსი ქმედების მოტივად ხალხი სხვადასხვა კულტურიდან ასახელებს მოვალეობას,

ლირსებას, პატივისცემას, ე.გ. იგივე კატეგორიის ტერმინებს, რაც Triandis-ს აქვს ჩამოთვლილი (Berry J.W at al., 1992).

#### § 4. Hofstede-ს კონცეფციის შემდგომი დამუშავება

კონსტრუქტის — "ინდივიდუალიზმი—კოლექტივიზმი" — ნაყოფიერებამ კულტურათა შესწავლაში სტიმული მისცა შემდგომ კვლევებს, როგორც თეორიულს, ისე ემპირიულს.

Hofstede-ს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა ერთ-ერთი ნარმატებული გზაა ემპირიული კვლევით კულტურებს მორის განსხვავებების აღმოსაჩენად. მას დიდი გამოხმაურება მოჰყავა.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ეს მოძლველება მრავალნაირად იქნა გადახედულიც და შემონბებულიც, და ბევრი ნარმოდგენაც გადახალისდა, Hofstede-ს მოძლველებას, ანალიტიკოსთა აზრით, "უნიკალური მნიშვნელობა" ჰქონდა იმის ნინასწარმეტყველებისთვის, თუ როგორ მოიცევა ინდივიდთა პოპულაცია. გარკვეული ერიტიკის მიუხედავად, Hofstede-ს მოძლველება დღემდე ყველაზე გავლენიან მოძლველებად ჩრდება (Berry et all; 1992).

შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ფაქტორებს "კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმი" და "ძალაუფლებრივი დისტანცია" ურთიერთის მიმართ, მხოლოდ უარყოფითი კორელაციური მიმართება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სულ მთლად ორთოგონალური ანუ დამოუკიდებელ ფაქტორებს არ ნარმოადგენს. ასეთივე მიმართებები აღმოჩნდა სხვა ფაქტორებს შორისაც, მაგალითად, "ძლიერი ინდივიდუალიზმი" (ჩრდილო აშშ და ევროპელები) — მცირე "ძალაუფლებრივი დისტანცია", "სუსტი ინდივიდუალიზმი" — ძლიერი "ძალაუფლებრივი დისტანცია".

1982 წელს გამოიცა ნაშრომი ლირებულებებზე, რომელშიც გამოიყენეს RVS-ის შეცვლილი ვერსია. კვლევები ჩატარდა აზითსა და წყნარი ოკეანის ცხრა ქვეყანაში. მეცნიერობის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა — Bond-მა ეს მონაცემები კვლავ გაანალიზა Hofstede-ს მიდგომაზე დაყრდნობით. ამჯერად გამოიყო კულტურის მახასიათებელი ხეთი განზომილება, რომელთაგანაც თხზი სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა Hofstede-ის მიერ გამოყოფილ მახასიათებლებთან. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა კიდევ ორი ლირებულება; ისინი აღმოჩნდა იმ ფაქტორთა შემადგენლობაში, რომელსაც კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმის იგივეობრივად განიხილავენ. ეს ორი ლირებულებაა "აბალელებელი ცხოვრება" და "სილამაზის სამყარო", რომლებიც Hofstede-ის გამოკვლევაში არ იყო. ამის მიუხედავად, სხვადასხვა ინსტრუმენტით ჩატარებულ ამ ორ გამოკვლევას შორის დადგენილი შესაბამისობა მიჩნეულია დამაჯერებლად.

მომდევნო კვლევებში განსაკუთრებულად პრობლემურად იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ შეკვლევრები ჩვეულებრივ დასავლურ ინსტრუმენტებს იყენებდნენ. საერთოდაც, ინსტრუმენტის ვალიდურობის პრობლემამ დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ხმამაღლალი ულერადობა შეიძინა.

საქმე ისაა, რომ Hofstede-მა, როცა თავისი ცნობილი გამოკვლევა ჩაატარა, გამოიყენა დასავლური ინსტრუმენტი და სწორედ ასე მიღებული მონაცემების განზოგადებით მიიღო ცნობილი ოთხი განზომილება. ცხადია, ინსტრუმენტს გავლენა უნდა მოეხდინა მონაცემებზე.

ამ სერიოზულმა უკმარისობამ აფიქრებინა მკვლევრებს არადასავლური ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც მონიდებული იქნებოდა, უფრო ადგევატური გზით შეესნავდათ არადასავლური კულტურები. ამგვარად, მეცნიერებმა emic-ური მიდგომის გზა ირჩიეს და ჩინური კულტურის შესნავლა ჩინურსავე ღირებულებებზე დაყრდნობით გადაწყვიტეს. ასე შეიქმნა ორმოცსაკითხიანი “ჩინური ღირებულებების” კითხვარი 1987 წელს.

CVS (Chinese Culture Connection) ოცდაორ ქვეყანაში დაეგზავნა სტუდენტებს. მონაცემთა იგივე, Hofstede-სეულ მიდგომაზე დაყრდნობით დამუშავების შემდგომ კვლავ გამოიყო ოთხი განზომილება; ამჯერად Hofstede-ს განზომილებათა შესაბამისი აღმოჩნდა სამი: “სოციალური ინტეგრაცია” “ინდივიდუალიზმის” შესაბამისი აღმოჩნდა დადასტიტუციით პოლუსზე და “ძალაუფლებრივი დისტანციისა” — “უარყოფით პოლუსზე; ”გულგახსნილობა” “მასკულინობა-ფემინურობის” შესაბამისი აღმოჩნდა, ხოლო “მორალური დისციპლინა” — “ძალაუფლებრივი დისტანციისა”. ამ კვლევით გამოყენილი მეოთხე ფაქტორი — “კონფუციანური შრომის დინამიზმი”, აგრეთვე Hofstede-ს “გაურკვევლობისგან გაქცევა” — დამოუკიდებელი დარჩა და არც ერთ სხვა ფაქტორთან არ დაკავშირდა.

ამ კვლევამ გამოავლინა ახალი ფაქტიც, კერძოდ, ახალი კონცეფტუალური განზომილება — “კონფუციანური შრომის დინამიზმი”. ეს განზომილება მაღალ კორელაციაში, ხოლო ინდივიდუალიზმი — დაბალ კორელაციაში აღმოჩნდა ეკონომიკურ ზრდასთან.

მთლიანობაში, ამ კვლევამ განამტკიცა Hofstede-ს ზოგიერთი მახასიათებელი, და მათ შორის, პირველ რიგში, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი.

Bond-მა და მისმა თანამშრომლებმა 1987 წელს ჩინური ღირებულებები ჩამოაყალიბეს, ხოლო 1988 წელს პანკულტურული ფაქტორების ანალიზით გამოიყო ორი ღირებულება: სოციალური ინტეგრაცია/არსობრივი კულტურა და რეპუტაცია/სოციალურ-მორალური ღირებულებები.

ხელახალი გაანალიზების შემდეგ ამ მკელევარმა “სოციალური ინტეგრაცია”, როგორც ბაზისური ლირებულებითი მახასიათებელი, განასხვავა „კულტურული არსისგან“ (ჭეშმარიტი ბუნებისგან). ამ უკანასენელის სემანტიკა გულისხმობს გულახდილობის, ტოლერანტობის, შეჯიბრის უარყოფის ლირებულებებს; ეს ლირებულებები არსობრივად განსხვავდება შიდა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი ლირებულებებისგან — „ტრადიციის პატივისცემა“ და „კულტურული უპირატესობა“ (Kagitcibasi, Rerry & all, 1992).

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის განხომილებით კულტურათა დახასიათებას ცდილობენ კულტურის სხვადასხვა სფეროს შესწავლით. მაგალითად, პოლიტიკის სფეროში კულტურის შესწავლა ნაცადი იყო Rokich-ის მიერ შექმნილი ლირებულებათა საკელევი ტესტით.

Rokich-ის მიხედვით, თავისუფლება და თანასწორობა ორთოგონალური ფაქტორებია; მათი მნიშვნელადობა განსაზღვრავს პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ქცევას კულტურაში. Braithwaite-მ 1994 წ. Rokich-ის ლირებულებათა ფაქტორული ანალიზის მეთოდით დამუშავების შემდეგ გამოავლინა კიდევ ორი სხვა ლირებულებითი ორიენტაცია: „ერთაშორისი ჰარმონია და თანასწორობა“ და „ეროვნული ძლიერება და ნესრიგი“. მას აგრეთვე დაემატა „სოციალური ლირებულებები“ (მაგალითად, „სამართლებრივი ნესი“). მისი დასკვნით, ამგვარი ლირებულებითი ორიენტაციები საფუძვლად უდევს ინდივიდუალურ პოლიტიკურ მიმართებებსა და ქცევებს.

## § 5. Fiske-ს კონცეფცია სოციალურობის ფორმების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, Triandis-ი ერთმანეთისგან განასხვავებდა კოლექტივიზმის ორ ტიპს: ვერტიკალურს — სოციალური ჯგუფის წევრთა იერარქიის პრიორიტეტულობაზე დაყრდნობით და პირიზონტალურს, სოციალური ჯგუფის ერთიანობისა და ურთიერთმიჯაჭვულობის პრინციპით. სწორედ ეს კონცეფცია დაეფო საფუძვლად ამერიკელი კულტურანთობოვის — Alan Fiske-ს კონცეფციას სოციალურობის ოთხ ელემენტარულ ფორმაზე.

Alan Fiske აღნიშნავს, რომ მეცნიერება დიდხანს მიიჩნევდა ადამიანს ასოციალურ ინდივიდუალისტად (ფრონდი-ბიოლოგისტები, სკინერი — სოციალური კოგნიტივისტები). ფსიქოლოგისტები სოციალურ ურთიერთობებს არასოციალური მიზნების ინსტრუმენტულ საშუალებებად ან ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაქმაყოფილების შემზღვევლად მიიჩნევდნენ. ამგვარად, ინდივიდი და სიტუაცია დიდხანს იყო სოციალური ფსიქოლოგის ძირითადი

გასაანალიზებელი ერთეული და არ შეისწავლიდა სოციალურ ურთიერთობებს.

ავტორის პოზიციით, სოციალური ცხოვრება არის ურთიერთობის მოძიების, შექმნის, დამყარების, გამართლებისა და სანქციონირების პროცესი; ამიტომ ადამიანები მუდმივად არიან ორიენტირებული სხვა ადამიანებთან ურთიერთობებზე.

სოციალური ცხოვრების ცალკეული სფერო იმართება სხვადასხვა პრინციპით. ადამიანები იყენებენ სხვადასხვა სოციალურ სქემას საგანთა გაცვლისას ან კოლექტური გადაწყვეტილების მიღებისას?

Fiske-ს მიხედვით, სოციალური ცხოვრების ყველა სფერო შეიძლება ორგანიზებულ იქნეს ოთხი ელემენტარული მოდელით: კოლექტური გაზიარება, ძალაუფლების განაწილება, თანასწორობა და საბაზო ფასდება. სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებაში აღმოჩენილი იყო ამ ელემენტარულ ფორმათა მიხედვით სოციალური ურთიერთობების ერთი ან მეტი სახე.

1. კოლექტური გაზიარება. ურთიერთობები ეფუძნება კონცეფციას, რომლის მიხედვით ჯგუფის წევრი ადამიანები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და ერთანაირები არიან; მნიშვნელოვნად მიიჩნევა კოლექტურობა და ანგარიშში არ აგდებენ აშკარა ინდივიდუალობას. ასეთ გაზიარებით ურთიერთობებში ადამიანები თავს ზოგადი არსის მატარებელ-გადამცემად მიიჩნევთ (მაგალითად, სისხლი) და ამიტომ მსგავსივე ადამიანის მიმართ სიკეთისა და ალტრუიზმის გამოვლენას ბუნებრივად თვლიან. კოლექტური გაზიარების ძირითად კომპონენტებს მტკიცრო ნათესაური კავშირი აერთიანებს. ჯგუფის წევრთა შორის კავშირის ნარმოქმნასა და განტერიცებაში უმნიშვნელოვანესია რიტუალები თავიანთი სტრუქტიპული და განმეორებადი მოქმედებებით.

სპეციულური ურთიერთობებისას ადამიანები კატეგორიებად იყოფიან და ქმნიან ეკვივალენტურ ერთმნიშვნელოვან კლასებს, რომლებშიც ისინი სოციალურად თანასწორნი არიან, თუმცა კი სხვა კონტექსტში შეიძლება განსხვავდებოდნენ კიდევ.

ურთიერთობათა ასეთ კონტექსტში ადამიანები მატერიალურ ობიექტებს განიხილავენ ყველასთვის საერთოდ. საზოგადოებათა უმრავლესობაში მატერიალურ საგანთა ამგვარი განაწილება გახდება ახლო ნათესაობაში, ზოგჯერ კი — სხვა ერთობებშიც. ამ ურთიერთობებში ადამიანები მიიღებენ იმას, რაც სჭირდებათ და იმას გასცემენ, რაც შეუძლიათ — მითითებული არაა, რამდენი უნდა გასცენ ან მიიღონ. მაგრამ ყოველი პიროვნება ვალდებულია უწილადოს იმას, ვინც ითხოვს ან ვისაც სჭირდება; აქ იყენებენ რე-

სურსებს, რომელსაც თემის საკუთრებად მიიჩნევენ. ამგვარ ურთიერთობებში ადამიანები თავის თავს ჯგუფთან აიგივებენ და სურთ ეკუთვნოდნენ მას. რაც უფრო ძლიერია ჯგუფის ნევროა ერთმანეთთან მსგავსება, მით უფრო ძლიერია ჯგუფის ზეგავლენა.

შესაბამისად, ამგვარი სოციალური ჯგუფის ნარმოქმნის საფუძველი მსგავსებაა. ისინი იქმნება მაშინ, როცა უმნიშვნელოვანესია საერთო ბუნება, არსი — კასტა, ეთნიკური ჯგუფი, სისხლი, ტყუპები, ძმობა, და ა.შ. ამგვარ ჯგუფებში ჯგუფთან ბუნებრივი იდენტიფიცირებულობის განცდა აქვთ; სწორედ ეს განცდა გარდა მნის ადამიანთა ერთობლიობას ჯგუფად და იმავდროულად ჯგუფის ნევრს Self-ის მნიშვნელობას ანიჭებს — იგი, ფაქტიურად ინდივიდზე მაღლა მდგომ მთელშია გათქვეული და ადამიანები კოლექტივთან იგივდებიან.

2. ძალაუფლების განაწილება. ასეთი ურთიერთობა დაფუძნებულია იმ ადამიანთა შორის ასიმეტრიულობაზე, რომელიც გარკვეულ იერარქიულ, სოციალურ სისტემაში წრფივი წესრიგით არიან რანჟირებული. ძალაუფლების განაწილების ძირითადი სოციალური ფაქტი ისაა, რომ ერთი პიროვნება მეორეზე მაღლა ან დაბლა დგას. მაღლა მდგომებს აქვთ პრესტიული, პრეროგატივა და პრივილეგია და აკონტროლებენ ქვეშევრდომთა ქცევის ბევრ ასპექტს. ამ მოდელით ერთმანეთის განსასხვავებლად ადამიანები ძირითადად სივრცულ წესრიგს მიმართავენ (მაგალითად, მეტყველებაში იყენებენ მრავლობით ფორმას საკუთარ თავზე საუბრისას). ამ მოდელით მრავალ ტრადიციულ საზოგადოებაში იმართება ურთიერთობები განსხვავებული რანგის მქონე ადამიანებს შორის (ჭარში, თაობათა შორის, გენდერში). ძალაუფლების განაწილება უფრო მეტია, ვიდრე მეტანიზმი, რომლის საშუალებითაც ინდივიდები ერთმანეთს ზღუდვებნ; იგი იმავდროულად ის ძალაა, რომელიც ადამიანებს უფრო მაღლა საფეხურზე ორგანიზებული სოციალური ერთობების შესაქმნელად აკავშირებს. იმ ეულტურებში, სადაც ადამიანთა დაყოფა ძალზე მნიშვნელოვანია, Self-ის არსია იერარქიაში ადგილის ცოდნა — ძირითადი მახასიათებელია ადამიანის ავტორიტეტი და ის, თუ ვის ემორჩიდება. რელიგიაში გამოხატული მსხვერპლმენირვა ძალაუფლების განაწილების სახესხვაობაა, მაგრამ აქ უმთავრესია უმაღლესი არსების რჩქენა.

3. თანასწორობის დაყოფა ძალზე მნიშვნელოვანია, Self-ის არსია იერარქიაში ადგილის ცოდნა — ძირითადი მახასიათებელია ადამიანის ავტორიტეტი და ის, თუ ვის ემორჩიდება. რელიგიაში გამოხატული მსხვერპლმენირვა ძალაუფლების განაწილების სახესხვაობაა, მაგრამ აქ უმთავრესია უმაღლესი არსების რჩქენა.

თანასწორობის დამყარების სტრუქტურა თავისებურია. კულტურათა უმრავლესობაში იგი განხილულია მნიშვნელოვან სოციალურ ფორმად და ამიტომ ეს მოდელი ვანსხვავდება ურთიერთობის სხვა ფორმებისგან. თანასწორობა ხშირად ჯგუფებს შორის შრომის განაწილების ორგანიზაციის საფუძველია. მისი დამამყარებელი ინსტიტუტები ადამიანს სხვებისთვის სამუშაოდ ითრევს, ხოლო ადამიანები, თავის მხრივ, მათთვის მუშაობენ. ამგვარად, მიზნის მიღწევაში ყველა ერთმანეთს ეხმარება.

თანასწორობის დამყარების პროცესები უპირატესი ჯგუფის არსებობას არ გულისხმობს, ეს მოდელი თავისთავად აკავშირებს ადამიანებს. თანასწორობის საფუძველზე ბევრი სოციალური ჯგუფია შექმნილი მთელს მსოფლიოში — ინდივიდსა და ჯგუფს შორის დაბალანსებული და ეგალიტიარული ურთიერთობები ძალზე მნიშვნელოვანია.

რამეს ეწოდება ნორმა, როცა იგი განიხილება როგორც გარეგანი, საზოგადოებიდან მომდინარე იძულება; რამეს ეწოდება მოტივი, როცა იგი ინდივიდისგან მომდინარედ აღიქმება; იმავე ძალას ეწოდება მორალური პრინციპი, როცა იგი საყოველთაო ვალდებულებად მიიჩნევა. თანასწორობის მოდელს აღნერენ ამ ტერმინებით. ეს მოდელი მორალური პრინციპია — იგი საკუთარი წესებით იმორჩილებს, ავალდებულებს ადამიანთა სურვილის მიუხედავად. იგი არის მოტივიც, როცა ერთი პიროვნება უფრო მეტად მისდევს მას, ვიდრე სხვები და ქცევაც განსაზღვრულია საკუთარივე ნებით. თანასწორობის მოდელი ნორმაა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთისგან მოელიან და რომლის ფუნქციებსაც სოციალური სტრუქტურისთვის აუცილებლობად მიიჩნევენ. ეთიკის თვალსაზრისით, ეს მოდელი ბევრი მორალური სისტემის საფუძველია.

4. საბაზრო ფასდება. ეს ურთიერთობა ემყარება სოციალურ ურთოერთობებში პროპორციულობის პრინციპს. ისნრაფენიან პროპორციულობისა და შეფარდებისკენ; ითვლიან დანახარჯებს და მოგებას; ის, თუ რას მიიღებს ადამიანი ურთიერთობისგან, იმაზეა დამოკიდებული, რა ჩაფი მასში. ფული ხშირად მედიუმია. ამ პრინციპით ხორციელდება ხანმოკლე, უფრო ხშირად, ოფიციალური და ზერელე ურთიერთობები. საბაზრო ფასდება ძალზე მნიშვნელოვანია დაავლეურ საზოგადოებებში. ამ მეაცრად ეკონომიურ გაცვლით მოდელს ზოგიერთი მკლევარი ასოციალური პირადული ინდივიდუალიზმის გამოხატვად მიიჩნევს. პროპორციულობის პრინციპის გამო ეს მოდელი განსაკუთრებულია — საბაზრო ფასდების მიხედვით მოქმედი ადამიანები ამა თუ იმ ფასეულობის დასადგენად სწორედ პროპორციულ სტანდარტებს მიშართავენ, ხოლო საგანთა

გაცვლის წესი უშუალოდაა დაკავშირებული ამ საგანთა მნიშვნელობასთან.

დანარჩენი შემთხვევები, რომელიც ამ მოდელებით არ იმართება, ასოციალური ან არარეალური ურთიერთებების გადაწყვეტილების დროს ადამიანებს რაიმე მიზნის მისაღწევ საშუალებად იყენებენ, არარეალური ურთიერთებებისას კი ისინი ერთმანეთის წარმოდგენების, მიზნების და ა.შ. იგნორირებას ახდენენ (ადამიანთა უმრავლესობა მსოფლიოში სწორედ ასეთ ურთიერთობებში იმყოფება).

ამ თახი საბაზისო მოდელით აღნერილია ძირითადი ფსიქოლოგიური, ონტოგენეტური, სოციალური და კულტურული თვისებები. Fiske მიჩნევს, რომ ძნელად მოიძებნება პირადი ურთიერთობები, ჯგუფები ან ინსტიტუტები, რომელიც მხოლოდ ერთი მოდელით ურთიერთებებს — ძირითადად გამოიყენება ამ მოდელთა კომბინაციები. ავტორი აღნიშნავს, რომ მათგან არც ერთის გაანალიზება არ შეიძლება მხოლოდ ცალკეული, მისთვის დამახასიათებელი თვისებით, რადგან თითოეული მათგანი საკუთარის გარდა, სხვა მახასიათუბლებსაც საჭიროებს. იმის მტკიცება, რომ ადამიანის ქცევა მხოლოდ ამ მოდელებით აიხსნება, ძნელია, რადგან ქცევაზე მრავალი სხვა ფაქტორი ზემოქმედებს. მაგრამ ფაქტია ის, რომ:

ამ მოდელებს მორალური და ლეგალური ხასიათი აქვს, რამდენადაც ადამიანებს სწავლა, რომ მათ უნდა მისდიონ და სხვებისგანაც იგივეს მოითხოვენ;

მოდელთა მიღევნება სოციალური კონფლიქტის ძირითადი წყარო — თავს ესხმიან მათ, ვისაც ამგვარ ელემენტარულ ურთიერთობათა დამრღვევად მიიჩნევენ;

ურთიერთობის მოდელში ადამიანები მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ინსტინქტურად ერთვებიან;

არც ერთი სხვა შემოთავაზებული მოდელი არ ფუნქციონირებს ისეთი წარმატებით, როგორც ეს თახი.

ამ მოდელებით აღნერილი ურთიერთობები მყარი საფუძველია ურთიერთობათა და ინსტიტუტთა უმრავლესობისთვის — ისინი არსებობს ელემენტარულ სოციალურ ერთობაშიც და რთულ საზოგადოებებშიც.

## § 6. ლირებულება — Schwartz-ის კონცეფცია

იზრაელელი კულტურანთოროპოლოგის — Shalom Schwartz-ისეული მიდგომა ლირებულებებისადმი კულტურულ დონეზე (Schwartz and Ross, 1995; Smith p.b. and Schwartz Sh. H. 1996) სრულიად განსხვავდება მიდგომისგან “ინდივიდი-დონე”.

ბოლო პერიოდში კულტურასა და ღირებულებებთან და-  
კავშირებული ნაშრომებიდან Schwartz-ის ნაშრომი (1992, 1994) გან-  
საკუთრებით უნდა გამოიყოს; იგი ეხებოდა ღირებულებათა ში-  
ნაარსასა და სტრუქტურას.

Schwartz-ი აღნიშნავს, რომ არსებობს ასობით ღირებულება,  
რომელიც დამახასიათებელია საზოგადოებისთვის ან ცალკეული  
კულტურული ჯგუფისთვის. მათ შორის ზოგიერთი ყველა სა-  
ზოგადოებისთვის საერთოა, ზოგიერთი კი — მხოლოდ ცალკეული  
მათგანისთვის.

Schwartz-ის აზრით, ღირებულებათა ტიპები ორი დონეზეა მო-  
ცემული — ინდივიდის და კულტურის დონეზე.

ყველა კულტურაში არსებობს ბაზისური ადამიანური ღირე-  
ბულებები, რომელიც ასახავს ადამიანის არსებობისთვის უნივერ-  
სალურ მოთხოვნილებებს (მაგალითად, ბიოლოგურ მოთხოვნილე-  
ბებს) და ადამიანს გაცნობიერებული მიზნის სახით ეძლევა.

სწორედ ეს, კონკრეტული ღირებულებით გამოხატული მოტი-  
ვაციური მიზანი განასხვავებს ღირებულებებს ერთმანეთისგან.

ადამიანის არსებობისთვის საბაზისოდ მას მიაჩინა სამი უნი-  
ვერსალური მოთხოვნილება: ბიოლოგური, სოციალურ ურთიერ-  
თობებში ყოფნის და ჯგუფური ფუნქციონირების მოთხოვნილებები.  
ამ უნივერსალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით Schwartz-  
მა მიზნის მიხედვით გამოყო მოტივაციურად განსხვავებული ათი  
ღირებულებრივი ტიპი, რომელიც მევლევარმა მოაქცია ათ შესა-  
ბამის ჯგუფში; კითხვარში ეს ღირებულებები მინოდებულია ორ-  
მოცდათექვსმეტი მსჯელობის სახით. ეს საბაზისო ათი ღირე-  
ბულება შემდეგია:

1. ძალაუფლება — სოციალური სტატუსი, დომინანტობა ადა-  
მიანებსა და რესურსებზე;

2. მიღწევა — სოციალური სტანდარტების გათვალისწინებით  
პიროვნული ნარმატებისკენ სწრაფვა;

3. ჰედონიზმი — ტებობა (გრძნობითი დაქმაყოფილება);

4. სტიმულაცია — ამაღლელებელობა და სიახლე;

5. Self-ზე მიმართვა — ფიქრისა და ქცევის დამოუკიდებლობა;

6. უნივერსალიზმი — ხალხისა და ბუნების საკეთილდღეო  
გამგებიანობა, ტოლერანტობა, დამცველობა;

7. კეთილგანწყობა (გულმონაცალება) — იმ ადამიანთა კეთილ-  
დღეობაზე ზრუნვა, ვისაც ახლობლად მიიჩნევს;

8. ტრადიცია — კულტურული და რელიგიური ადათ-წესების,  
იდეების პატივისცემა და გადაცემა — შესრულება;

9. ეონფორმულობა — სხვათათვის ზიანის მომტანი და  
მოლოდინების გამცრუებელი ქცევებისა და იმპულსების შეზღუდვა;

10. უსაფრთხოება — საზოგადოების, ურთიერთობებისა და Self-ის სტაბილურობის დაცვა.

1995 წელს ეს თეორია შემონმდა ორმოც ქვეყანაში. Schwartz-ისა და Sagiv-ის მიერ. Schwartz-ი მიუთითებს, რომ ამ ორმოცდათექსმეტი მსჯელობიდან ორმოცდაოთხი მაინც ყველა ქვეყანაში გასაგებია (J.Schwartz Shalom; 1994). ამ კვლევაში 44000-მა რესპონდენტმა მნიშვნელობის მიხედვით დაალაგა ის ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს ცხოვრებაში.

ამ ღირებულებათა სისტემის კონცეპტუალურად დასაზუსტებლად Schwartz-მა ჩამოაყალიბა ღირებულებათა ურთიერთობის დინამიკის თეორია. იგი მიუთითებს, რომ ღირებულებათა ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ღირებულებათა ტიპებს შორის თანხმობა/კონფლიქტის დინამიური ურთიერთობიმართება. ჩამოთვლილ ღირებულებათაგან ერთ-ერთის მიმდევარ ქცევებს, ჩვეულებრივ, თან მოსდევს ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები; ეს შედეგები შეესაბამება ან ენიხააღმდეგება ღირებულებათა სხვა ტიპებს. მაგალითად, მიღწევაზე ორიენტირებული ქცევა შეიძლება კეთილგანწყობას უპირისპირდება.

შემდგომში (Schwartz; 1992, 1994) Schwartz-მა ეს სტრუქტურა ნარმოადგინა ორი ბიპოლარული განზომილებით:

1. ცვლილებისადმი გახსნილი, რომელიც მოიცავს სტიმულირებას და

Self-ზე მიმართულობას, უპირისპირდება კონსერვაციას (ტრადიცია, კონფორმულობა, უსაფრთხოება) და Self -ის გაძლიერებას (ძალაუფლება და მიღწევის ორიენტაცია);

2. Self-ტრანსცენდენტულობა (უნივერსალურობა-კეთილგანწყობა) — უპირისპირდება ჰედონიზმს, რომელიც მოიცავს ცვლილებებისთვის გახსნილობასაც და Self-ის გაძლიერების ელემენტებსაც.

ბოლო პერიოდის ნაშრომებში Schwartz-ის თეორია ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

ღირებულებების შესასწავლად აუცილებელია სამი პაზისური სოციეტალური პრობლემის განხილვა:

1. ურთიერთობა ინდივიდსა და ჯგუფს შორის: რამდენადაა პიროვნება ავტონომიური ან ჯგუფში ჩართული?

2. ადამიანის პასუხისმგებლობა: რა მოტივაციითაა შესაძლებელი, გაითვალისწინოს ადამიანმა სხვისი კეთილდღეობა და მასთან შეთანხმების აუცილებლობა?

3. კაცობრიობის როლი ბუნებრივ და სოციალურ სამყაროში: მორჩილება, შეგუება თუ ექსპლოატირება?

მისი აზრით, კულტურული ადაპტაცია მიმართულია ამ პრობლემათა გადაჭრაზე. ყოველგვარი ადაპტაცია ასახულია ღირე-

ბულებათა ურთიერთმოქმედ ქსელში, რომელსაც Schwartz-ი ღირებულებათა ტიპს უწოდებს. ასეთია ბიპოლარულად აღნერილი სამი კულტურული განზომილება:

1. "კონსერვატიზმი—ავტონომიურობა". კონსერვატიზმის პოლუსიდან კულტურაში პიროვნება განიხილება კოლექტივში ჩართულად, იგი თავს აიგივებს ჯგუფთან და მის პრინციპებს ცხოვრებაში ატარებს. მისთვის დამახასიათებელ ღირებულებათა ტიპებიდან სპეციფიკური ღირებულებებია სოციალური წესრიგი, ტრადიციების პატივისცემა, ოჯახის უსაფრთხოება და Self-დისციპლინა; ამ განზომილების ავტონომიური პოლუსიდან პიროვნება განიხილება სრულიად თავისუფალ, ავტონომიურ მოვლენად.

Schwartz-ი განასხვავებს ავტონომიურობის ორ სახეს: ინტელექტუალურს და აფექტურს. ინტელექტუალურისთვის დამახასიათებელია ღირებულებები: ცნობისმოყვარეობა, ფართო პორიზონტი, შემოქმედებითობა; აფექტურისთვის დამახასიათებელია ღირებულებები: დადებითი აფექტურის მიღევნება; აღფრთოვანების მომგვრელი, გრძნობითად დატვირთული მჩქეფარე ცხოვრება.

2. "იერარქიულობა—ეგალიტარიზმი". ძლიერად იერარქიზებულ კულტურებში მინქრილი როლების იერარქიული სისტემა სამოქმედო მოტივაციას უქმნის სოციალურ სუბიექტს. სოციალიზაციის პროცესი მიმართულია იმაზე, რომ ადამიანისგან თავისი როლების შესაბამისი, სანქციონირებულ მოვალეობათა ღირსეული შესრულება. ღირებულებათა ეს ტიპი ასახავს ძალაუფლების, როლებისა და რესურსების — სოციალური ძალაუფლების, ავტორიტარულობის, სიმდიდრის არათანაბარი განაწილების ლეგიტიმურობას; ამისგან განსხვავებით, მაღალი დონის ეგალიტარული კულტურა ინდივიდს განიხილავს მორალურად თანასწორ, ბაზისური ინტერესების სხვასთან გამზიარებელ ადამიანურ არსებად — აქ ადამიანები საყოველთაო კეთილდღეობისთვის ერთიანდებიან. მეგარი ღირებულებების ტიპი ასახავს პირადი ინტერესებიდან აბსტრაქტორებას და ორიენტაციას თანასწორობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე. სოციალიზაცია იმ კულტურებშია მიმართული ეგალიტარისტულ ღირებულებზე, სადაც პიროვნება განიხილება თავისუფალ არსებად და არა ავტონომიურად, რამდენადაც სრულიად ავტონომიურ არსებას არ გააჩნია სხვებისადმი არავითარი ბუნებრივი მოვალეობები.

3. "ძალაუფლება—პარმონია". იმ კულტურებში, სადაც ძალაუფლება ძალზე მნიშვნელოვანია, ადამიანი ორიენტირებულია ბუნებისა და სოციალური სამყაროს დამორჩილებასა და შეცვლაზე, კონტროლირებასა და მის გამოყენებაზე პიროვნული ან ჯგუფური ინტერესების სასარგებლოდ. ღირებულების ეს ტიპი ასახავს Self-ის

განმიტებულებას ამბიციურით, წარმატებით, კომპეტენციით; ამისგან განსხვავებით, პარმონიაზე ძლიერად ორიენტირებული კულტურა სამყაროს იღებს ისე, როგორიც არის და ცდილობს მის შენარჩუნებას ამგვარი სახით. ლირებულებათა ეს ტიპი ასახავს გარემოში პარმონიისკენ სწრაფვას — ბუნებასთან ერთიანობას, გარემოს დაცვას, მშვენიერების სამყაროს.

Sshwartz-ი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდის თეორიული და ემპირიული კვლევები საკმაოდ ართულებს ვითარებას კულტურათა დასახასიათებლად გარევული მახასიათებლების ორაზროვნების გამო. იგი მიუთითებს დიხოტომია — “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის”, როგორც ურთიერთსაპირისპირო საბაზისო ლირებულებების, უკარიობაზე. მისი არგუმენტებია:

1. არსებობს ლირებულებები, რომელიც ერთნაირად ემსახურება როგორც ინდივიდის, ისე ჯგუფის ინტერესებს და ქცევას ნებისმიერ კულტურაში არეგულირებს, მაგალითად, სიბრძნე;

2. ნებისმიერ თანამედროვე კულტურაში არსებობს მნიშვნელოვანი უნივერსალური ლირებულებები, რომელიც, თუმცა კი თავისი არსით კოლექტივისტურია, ჯგუფური მაინც არ არის, მაგალითად, სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა, მშვიდობის დაცვა.

ემპირიული კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ ზოგიერთი ლირებულება იმათგან, რომელიც ამ ორი ტიპის კულტურიდან ერთ-ერთის ტიპურ მახასიათებლად მიიჩნევა, სინამდვილეში ორივე ტიპის კულტურისთვის მნიშვნელოვანია. მაგალითად, მიღწევის მოტივაციის ძლიერ ტენდენციას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ ინდივიდუალისტურ ორიენტაციებს, მაგრამ იაპონებულები და ჩინელებიც ასევე იღტვიან მიღწევისკენ; სხვა საკითხია, რომ კოლექტივისტებისთვის მიღწევის მოტივაცია უფრო მეტად სოციალურ ჯგუფთანაა დაკავშირებული, ხოლო მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებებია კულტივირებული, მაგალითად, კოოპერაცია და თვითდაკანიზებაც კი (Rolando Dias-Loving, 1998).

Shwartz-მა აღნიშნა, რომ გამოკვლევები არ ადასტურებს ინდივიდუალიზმის ნავარაუდევ კავშირს პედონიზმთან, ხოლო კოლექტივიზმისა — უსაფრთხოებასთან.

გარდა ამისა, Sshwartz-ი გამოყოფს თვით კოლექტივისტური საზოგადოებების სხვადასხვა ტიპს. იგი აღნიშნავს, რომ კოლექტივისტური საზოგადოებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, როგორ სოციალურ ჯგუფებზე არიან ისინი ორიენტირებული — მცირეზე თუ დიდზე. ამასთან, იგი სთავაზობს სხვა სახელწოდებას ინდივიდუალისტური და კოლექტივისტურის ნაცვლად: შესაბამისად, შემთხვემებულური საზოგადოება და კომუნალური საზოგადოება. ამ შემთხვევაში ანალიზის ერთეულია არა ლირებულებითი მახასიათე-

ბლები, არამედ სოციალური სტრუქტურა. იგი მიუთითებს, რომ ინდივიდის თრიენტაცია ინტერესებზე (ჯგუფი, ან Self) საკმარისი არ არის საზოგადოებათა კლასიფიკაციისთვის, რადგან ამ კლასიფიკაციონის საერთოდაც აზრი ეკარგება ზოგიერთ კულტურაში; იდეალურ კომუნალურ საზოგადოებებში, მაგალითად, მცირერიცხოვან ტომებში, ინდივიდი ჯგუფთან იმდენად ძლიერად შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, რომ თავისი ინტერესების მქონე ინდივიდის არსებობა თითქმის ნარმოუდგენელია.

## ლირებულებათა კორელატები

Schwartz-ის გამოკვლევებით ვლინდება ლირებულებების სოციალური ფონით განპირობებულობა. ამასთან, განსხვავებები ვლინდება გარევეული სოციოლოგიური მახასიათებლების მიხედვით.

მაგალითად, ახალგაზრდები, უფროსებთან შედარებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ღიაობით ლირებულებებს (სტიმულაცია-ჰერონიზმი) და ნაკლებს — კონსერვატივულს (ტრადიცია, კონფორმულობა და ჰერონიზმი); ეს ვითარება ერთა უმრავლესობისასა დამახასიათებელი (Schwartz; 1992). საერთოდ, ახალგაზრდები უფრო ინდივიდუალისტური ლირებულებების მიღევნების ორიენტაციას ავლენენ, ვიდრე კოლექტივისტურისას.

განათლებულები იმავე ლირებულებებს მისდევენ, რასაც ახალგაზრდები; გამოვლინდა, რომ განათლების ფაქტორი დადგებითად ზემოქმედებს Self-ზე მიმართულ ლირებულებებზე და უარყოფითად — კონფორმისტულ ლირებულებებზე იტალიაში, იპონიაში, პოლონეთსა და აშშ-ში. მიღწეული სტატუსიც იგივეს მეტყველებს, რასაც განათლება.

დაბოლოს. ქალაქის მცხოვრები, სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით, უფრო ინდივიდუალისტურ ტენდენციას ავლენენ, ვიდრე კოლექტივისტურს და მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ცვლილებისადმი ღიაობასა და უნივერსალისტურ ლირებულებებს, ვიდრე კოლექტივისტურს.

## რეზიუმე

კულტურების დასახასიათებლად ცდილობენ ისეთი სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენას, რომელიც ყველა მის ელემენტს მსჭვალავს; მათ ხშირად დერძულ, საყრდენ განზომილებებს უწოდებენ. იგულისხმება, რომ ასეთი არსობრივი სპეციფიკური თავისებურებების მომცველი მახასიათებლები ანუ განზომილებები აისახება კულტურის ყოველგვარ გამოვლინებაში, ქცევაში და სო-

ციალური ცხოვრების ყველა სფეროში — ოჯახურ ურთიერთობებში, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურებში, განათლების სისტემაში და ა.შ.

თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გამოკვლევა გახდა პოლანდიელი მეცნიერის — G. Hofstede -ს “კულტურის განზომილებები”; ამ კვლევით მან კულტურის დასახასიათებლად გამოავლინა ოთხი კულტურული განზომილება: კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმი (ინდივიდსა და ჯგუფს შორის ურთიერთიმიმართება); ძალაუფლებრივი დისტანცია (საზოგადოების ე.ნ. „დაბალი ფერხის“ მიმართება სოციალური უთანასწორობისადმი); გაურკვევლობისგან გაქცევა (ადამიანთა ეროვნური დამოკიდებულება ძნელადპროგნოზირებადი სიტუაციებისადმი) და მასკულინობა — ფერმინურობა (კულტურის მასკულინური და ფერმინური ორიენტაციები).

Hofstede -ს გაგებით, ინდივიდუალისტური ორიენტაცია გულისხმობს იმ რწმენას, რომ თითოეულ ადამიანს თავისთავადი ღირებულება აქვს, უნდა იღვანოს პირადი პოტენციალის რეალიზაციისთვის, სოციალური წნევის მიუხედავად, თავისი დამოუკიდებელი მოსაზრებების კულტივირებას უნდა ცდილობდეს; კოლექტივისტური ორიენტაცია — პირიქით, ასახავს კოლექტიურის პრიორიტეტს ინდივიდუალურთან შედარებით. Hofstede-ს განზომილებებიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პირველმა — “კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმ”-მა, რომელიც კულტურათა კლასიფიკაციისა და თავისებურებების დასახასიათებლად ძალზე ნაყოფიერ კონსტრუქტად მიიჩნევა.

Hofstede-ს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა ერთ-ერთი ნარმატებული გზაა ემპირიული კვლევით კულტურებს შორის განსხვავებების აღმოსაჩენად. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მკვლევართა შემდგომი მუშაობა ნარიმართა ამ განზომილებათა შემონვებისა და დაზუსტებისკენ. მნიშვნელოვანი მონაცემები მიიღეს Hofstede-ს განზომილებებით აღმოსავლური კულტურების შესწავლისას. Triandis -ის კონცეფციაზე დაყრდნობით ამერიკელი კულტურანთობოლოგის — Alan Fiske-ს მიერ ჩამოყალიბდა ძალზე მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელშიც განზოგადებულია სოციალური ურთიერთებების ოთხი ელემენტარული ფორმა.

“ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” თანამედროვე კონცეფციებიდან უმნიშვნელოვანესია Harry Triandis. — ის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კულტურის განზომილებაა “კულტურული სინდრომი” — რამე თემის ირგვლივ გაერთიანებული და ორგანიზებული შიდა ანუ “სუბიექტური კულტურის” ელემენტების ერთობა; Triandis. — ის თვალსაზრისით, “სუბიექტური კულტურის”

შესწავლისა და გაზომვის დახმარებით შესაძლებელია იმ კავშირის ახსნა, რომელიც არსებობს კულტურულ ინსტიტუტებს, ფსიქიკურ პროცესებსა და ქცევას შორის. ამიტომ იგი მის შესწავლას მიიჩნევს კულტურის შესწავლის ძირითად საგნად.

“სუბიექტური კულტურა” მოიცავს ნორმებს, როლებს, მოლოდინებასა და სტატუს-პრესტიუსის სისტემას, რომელიც ტიპურია და აქტუალურად ფუნქციონირებს კონკრეტულ კულტურაში. პიროვნების კულტურული სტრუქტურაც სუბიექტური კულტურის ელემენტია, რომელსაც ამ კულტურის ნევრები იზირებენ — Self-ის თავისებურებებს Triandis-ი კულტურის ღირებულებებზე, აღზრდის კულტურულ მოდელებზე დამოკიდებულად მიიჩნევს.

Triandis.—ის თვალსაზრისით, კოლექტივისტურ კულტურებში ადამიანებს შორის კავშირებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია “მზრუნველობა”. რაც უფრო მეტი მზრუნველობას იჩენენ ადამიანები სხვების მიზართ, მით უფრო ურთიერთმიჯაჭვულად გრძნობენ თავს და მით უფრო მეტად კოლექტივისტივისტები არიან; ქცევის უმნიშვნელოვანესი რეგულატორია ჯგუფური ნორმები, რომელიც განამტკიცებს და წახალისებს ჯგუფზე მიჯაჭვულობას; კოლექტივისტის ღირებულებებია ტრადიციების მიდევნება, დამჯერობა, ვალდებულების განცდა.

Triandis-ი გამოყოფს კოლექტივიზმის ორ ტიპს: ვერტიკალურს — ჯგუფის იერარქიული სტრუქტურით განპირობებულს, და ჰორიზონტალურს — ჯგუფის ერთიანობითა და ურთიერთმიჯაჭვულობით განპირობებულს. მისი აზრით, სოციეტალური სირთულე განაპირობებს საზოგადოების ძლიერ ინდივიდუალისტურ ორიენტაციას.

ძალზე გავლენიან თანამედროვე კონცეფციად მიიჩნევა Schwartz-ის ღირებულებათა კონცეპცია; ამ კონცეფციით, ღირებულებებს ერთმანეთისგან განასხვავებს კონკრეტული ღირებულებით გამოხატული მოტივაციური მიზანი; ღირებულებათა ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ღირებულებათა ტიპებს შორის თანხმობა — კონფლიქტის დინამიკური ურთიერთმიმართება — ერთ-ერთი ღირებულების მიმდევარ ქცევებს, ჩვეულებრივ, თან მოსდევს ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები; ადამიანის არსებობისთვის საბაზისოდ მას მიაჩნია სამი უნივერსალური მოთხოვნილება: ბიოლოგიური, სოციალურ ურთიერთობებში ყოფნის და ჯგუფური ფუნქციონირების. საბაზისო ათ ღირებულებაზე დაყრდნობით მან გამოყო ბიპოლარულად აღნერილი სამი კულტურული განზომილება: ”ერთსერვატიზმი—ავტონომიურობა”, რომლის მიხედვითაც პიროვნება განიხილება ან კოლექტივში ჩართულად, ან სრულიად თავისუფალ, ავტონომიურ მოვლენად; ”იერარქიულობა/ეგალიტარიზმი”, რომელიც აღნერს იერარქიულ

(სოციალური ძალაუფლების, ავტორიტარულობის, სიმდიდრის არათანაბარი განაწილების ლეგიტიმურობა) ან ეგალიტარულ კულტურას (ინდივიდს განიხილავს მორალურად თანასწორ, ბაზისური ინტერესების სხვასთან გამზიარებელ ადამიანურ არსებად); “ძალაუფლება—პარმონია”, რომლის მიხედვითაც აღინიშვნება ერთი მხრივ, პიროვნული — ჯგუფური ინტერესების სასარგებლოდ ბუნებისა და სოციალური სამყაროს დამორჩილებასა და მის გამოყენებაზე ორიენტირებული კულტურა, მეორე მხრივ, პარმონიაზე ძლიერად ორიენტირებული კულტურა, რომელიც სამყაროს იღებს ისე, როგორიც არის და უცვლელად ცდილობს ასეთი სამყაროს შენარჩუნებას. Schwartz-მა დასვა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი კოლექტივისტური საზოგადოების ტიპების შესახებ.

### **დავალებები:**

1. ჩამოაყალიბეთ და დაახასიათეთ. Hofstede -ს მიერ გამოყოფილი კულტურის ოთხი განზომილება
2. რა არის „სუბიექტური კულტურა“ და „კულტურული სინდრომი“? რა განსხვავებაა მათ შორის?
3. დაასახელებთ არსებითი მომენტები Schwartz-ის კონცეფციაში, რომლებიც, თქვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურათა ემპირიულ კვლევაში.
4. გააანალიზეთ, რა მიმართულებით მიმდინარეობს შემდგომი კვლევები Hofstede -ს, Triandis-ის და Schwartz-ის კონცეფციებზე დაყრდნობით.

### **გასაცნობი ლიტერატურა**

1. Мендра А. Основы социологии. М. 2000
2. Triandis H.C. (1989). The Self and Social behavior in Differing Cultural Contexts. Psychological Review, Vol. 96, No.sami, pp. 506-520
3. J.Schwartz Shalom H. Beyond Individualism/Collectivism: New Cultural Dimensions of Values. Individualism and Collectivism, ed. by Kim U., Triandis H.C. Kagitcibasi C., Choi S.Ch., yoon G. 1994, 85-123
4. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw-Hill, 1994 გვ. 87-142
5. Triandis H.C. Individualism and Collectivism. Westview Press, 1995 გვ. 1-16

6. Smith p.b. and Schwartz Sh. H. Values. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol. 3, 1996, pp. 77 -119
7. Hofstede and Associates. Masculinity and Femininity. The Taboo Dimension of Nationalen Cultures. Sage Publications, 1998, pp.16-17, 175
8. Fiske A. P. (1990). The four elementary forms of sociality: framework for unified theory of social relations. Psychological Review, 99, pp. 689-701

## **ძირითადი ცნებები**

**კულტურის განზომილება — კულტურის სპეციფიკური თავისებურებების ამსახველი მთლიანობითი მახასიათებელი, რომელიც ყველა მის ელემენტს მსჯვალავს და კონიდება კულტურის ყოველგვარ მოვლენაში, მათ შორის ადამიანთა ქცევაში**  
**ძალაუფლებრივი დისტანცია — საზოგადოების "დაბალი ფენების" დამოკიდებულება სოციალური უთახასწორობისადმი**  
**გაურკვევლობისგან გაქცევა — ადამიანთა ემოციური დამოკიდებულება ძნელად პროგნოზირებადი სიტუაციებისადმი**  
**მასკულინობა — ფემინურობა (Hofstede — ს გაგებით) — კულტურის ანალიზი მასში მასკულინური და ფემინური ორიენტაციების მიხედვით**

**სოციალური ჯგუფები — ერთმანეთზე სისტემატურად ურთიერთქმედი ინდივიდთა ჯგუფები; ჯგუფის სიდიდისგან დამოუკიდებლად, ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ჯგუფის წევრთა საერთო იდენტურობის ცნობიერება.**

**სოციალური ინსტიტუტები — სოციალური მოღვაწეობის ძირითადი სახეები, რომელიც ხორციელდება მოცემული საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მიერ. ინსტიტუტები. მოცავს ნორმებსა და ღირებულებებს, რომელსაც მისდევს უმრავლესობა.**

**ნორმები — გარკვეულ სოციალურ ერთობლიობაში მიღებული ქცევის წესები; ნორმები ანესებენ ან კრძალავენ ქცევის გარკვეულ ტიპს. ნორმები მტკიცდება სანქციებით, დაწესებული არაფორმალური მიუღებლობით, დამთავრებული ფიზიკური დასჯითა და სიევდილით.**

**სოციალური პოზიცია — მოცემული ჯგუფის ან ერთობლიობის ფარგლებში ინდივიდის სოციალური იდენტურობა**

**"კულტურული სინდრომი" — კულტურის განზომილება Triandis — ის მიხედვით, რომელიც ნარმოადგენს რაიმე თემის ირგვლივ გაერთიანებული და ორგანიზებული შიდა ანუ "სუბიექტური კულტურის" ელემენტების ერთიანობას**

**“სუბიექტური კულტურა”** — კონკრეტული კულტურისთვის ტიპიური და მხოლოდ ამ კულტურაში აქტუალურად ფუნქციონირებადი ლირებულებების, ნორმების, როლების, მოლოდინების, სტატუსების/პრესტიჟის სისტემათა ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების ქცევასა და ურთიერთდამოკიდებულებებს

**ვერტიკალური კოლექტივიზმი** — კოლექტივიზმი, რომელიც ემყარება საზოგადოების იერარქიულ ჯგუფურ სტრუქტურას

**პორიზონტალური კოლექტივიზმი** — კოლექტივიზმი, რომელიც ემყარება სოციალურ ჯგუფთა შიგნით ერთიანობასა და ურთიერთშეჯაჭვულობას

**ეგალიტარიზმი** — უტოპიური სოციალიზმის თეორიის ნაირსახეობა; ეს თვალსაზრისი ასაბუთებს ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობის თანასწორობის აუცილებლობას; საყოველთაო გათანაბრება მიიჩნევა სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის ძირითად პრინციპად

## 01205.

# პიროვნება და კოლექტივისთური /იღებისუალისტური კულტურა

## §1. ადამიანი, როგორც კულტუროლოგიური პრობლემა

პიროვნების თეორიაში კულტურული კანონისა და ინდივიდუალური თვითცნობიერების დიალექტიკა განსაკუთრებით რთული პრობლემაა. საკითხს იმის თაობაზე, საიდან იწყება პიროვნება, სვამენ არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ ისტორიკოსებიც, კულტუროლოგებიც, სოციოლოგებიც, ეთნოლოგებიც, ლიტერატურამცოდნებიც — ყველა, ვისაც აინტერესებს ადამიანის სახის ეფოლუცია კულტურაში თუ პიროვნების სოციალური ტიპის ცვლილებები (Koh I. C.1999; 223—254).

“მე”- პოლისემანტიკურია. “მე”-ს იმანენტური ბიმოდალურობიდან, სუბიექტად და ობიექტად მისი გაორებულობიდან გამომდინარე, მეცნიერები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ერთმანეთისგან გამოყონ:

1. მოქმედი, აქტიური, ეგზისტენციალური “მე” ანუ ფსიქიკის მაორგანიზებელი პრინციპი და მარეგულირებელი საწყისი;

2. რეფლექსიური, ფენომენოლოგიური, კატეგორიალური “მე”, ანუ ინდივიდის წარმოდგენა თავის თავზე, მის თვითცნობიერებაში არსებული “მე” ხატი.

ზოგჯერ, „ცნებით-კონცეფტუალური“ ან რეფლექსიურისგან გასამიჯნად ჩამოათვლილ უმატებენ მესამე მოძუსს — განცდად “მე”-ს ანუ “მე”-ს განცდას, რომელიც ყალიბდება სხვადასხვაგვარი თვითგანცდისა და შეგრძნებების საფუძველზე.

წარმოდგენა საკუთარ თავზე ადამიანური რეფლექსიურობის გამოვლენის ერთ-ერთი არსობრივი მომენტია. იგი გულისხმობს სხვისგან განსხვავებას და გარე სამყაროდან ფიზიკურ გამიჯნულობას. ფიზიკური სხეული უნივერსალური სქემაა ინდივიდის დროსა და სივრცეში ორიენტაციისთვის.

სოციალურ მეცნიერებებში ხშირად გამოიყენება ცნება “სქემა” ანუ “ფიგურა”.

Neisser-ის მიხედვით, გარე სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულება კოგნიტურია (შემეცნებითია), ეს პროცესი ყველაფერთან მიმართებაში არსებობს, ამიტომ ადამიანური კოგნიცია ესება ყველა პროცესს, რომლის სამუალებითაც მიღებული სენსორული ინფორმაცია იცვლება, მცირდება, დეტალიზდება, ინახება, აღდგება და გამოიყენება.

Fiske-სა და Taylor-ის მიხედვით, კოგნიციაში სქემის სახითაა წარმოდგენილი მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი კონკრეტული წარ-

სული გამოცდილებაც და "სხვების", საგანთა და მოვლენათა შესახებ აბ-სტრაქტული ცოდნაც; სქემა, იმავდროულად, მოვლენათა რაღაც კატეგორიის მოსალოდნელი ატრიბუტების და მათ შორის არსებული კავშირების ცოდნასაც მოიცავს (მოტანილია 6.სუმბაძე. სოციალური სქემა. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, № 3, 2000, თბილისი, გვ. 41-61).

გამოყოფენ Self-ის ე.ნ. ეკოლოგიურ ასპექტს: Self- ალიქმება ფიზიკურ გარემოსთან მიმართებაში — მე ვარ აქ, ამჟამად და საქმის მქეობებით. ასეთი განცდა — ეკოლოგიური და ფიზიკური, ყოველ ადამიანში ისეთ ინტერნალურ (შინაგან) აქტივობა — ცნობიერებას უზრუნველყოფს, რომელიც არ შეიძლება სხვებისთვისაც იყოს ცნობილი; ესაა ინდივიდის ოცნებები, გრძნობები და საერთოდ, ცნობიერების ნაკადები. სწორედ ამ გაუზიარებლის გაცნობიერებას მიჰყავს ადამიანი საკუთარი თავის განცდამდე. ესაა Self-ის უნივერსალური ასპექტი.

ეგზისტენციალური "მე"-ს განვითარების დონეზე მსჯელობენ, ერთის შხრივ, იმით, რომ აკვირდებიან თვითრეგულაციას, ქცევის თანმიმდევრულობას, იმპულსური ქცევის კონტროლს; მეორეს შხრივ — სოციალურ დამოუკიდებლობას, ინიციატივანობის ხარისხს, გარე წნების მიმართ გამძლეობას, მიზნისკენ სწრაფვას, მიღწევის ორიენტაციას.

რეფლექსური "მე"-ს შესწავლის ძირითადი წყაროა თვითაღწერების ენა, რომელიც მოიცემა სოციალური და პიროვნული პერსონალის კონტექსტში, ხოლო სუბიექტის განცდათა გასაგებად გამოიყენება ემოციათა ლექსიკონი, პიროვნების აზრობრივ წარმონაქმნათა სისტემა და სხვ.

რესი მეცნიერი ი. კონი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ექსპერიმენტულ გამოკვლევებშიც კი ასეთ ინდიკატორთა და მის უკან მდგომ მოვლენათა გამიჯვნა ძალზე პირობითია, კულტუროლოგიაში კი — სულაც შეუძლებელი: აქ "მე" გაიგივებულია ცნებებთან — "პირი" ან "პიროვნება" და გულისხმობს მეტნაკლებად ავტონომიურად მოქმედ სუბიექტს. მაგრამ "როგორ რაკურსშიც არ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი, როგორც კვლევის ობიექტი — სოციოლოგიურში, ფსიქოლოგიურში თუ კულტუროლოგიურში, ყოველთვის განიხილება, როგორც სუბიექტი ანუ აქტიური, ცნობიერი, მიზანდასახული, თავისუფალი და ამის გამო, უნიკალური საწყისი".

Self-კონცეფცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური პერცეფციის, ეკოლუციის და კომუნიკაციის ცენტრი, არამედ როგორც კულტურულ წორმებსა და ლირებულებებთან გადაჯაჭვული მოცემულობაც.

ცხადია, რომ ფილოსოფიურ-იდეოლოგიური კონსტრუქციების გაიგივება სოციალურ-ფსიქოლოგიურ რეალიებთან არ შეიძლება,

მაგრამ კულტურის ლირებულებითო ორიენტაციები ეი ყოველთვის დაკავშირებულია ექსპრესიულ ქცევასთან.

ნებისმიერ შემთხვევაში დასკრიპტული კატეგორიები განუყრელ კავშირშია აქსიოლოგიურთან და მათი გაგება შეუძლებელია ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გარეშე. იმ ნორმატული კანონების გამოვლენა, რომელითაც ფიქსირდება სასურველი ან მისაღები ქცევების წესები კულტურაში, აგრეთვე ამ წესებზე აგებული და ლეგიტიმირებული ფსიქოლოგიური თვისებებისა და ქცევების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი კულტუროლოგიური კვლევისთვის (Koh И.С. 1999; 223 — 254).

ადამიანის განხილვა კულტუროლოგიურ ჭრილში მოითხოვს სპეციფიკის გათვალისწინებას, რომელსაც განსაზღვრავს კულტურული კონტექსტი თავისი ისტორიითა და სოციალური თანაცხოვრების ფიქსირებული ნორმატული სისტემით. აღიარებულია, რომ კულტურა თავის სპეციფიკურ დას ასვამს ინდივიდისა და სოციალური ჯაგუფის ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს. აქედან გამომდინარეობს ადამიანის კულტუროლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები.

ანთროპოლოგები აღნიშნავენ (და არა მხოლოდ დღეს), რომ დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროში პიროვნების გაგება ეყრდნობა არსებობის პიროვნული საწყისის განსხვავებულ გაგებას. განმასხვავებელი ასპექტი სპეციფიკურია კულტურების მიხედვით. Self- მრავალგვარად შეიძლება იყოს აგებული და ნარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთი კროსკულტურული შეხედულება ეყრდნობა დიურკჰამის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც Self- საერთოდაც სოციალური ფაქტორების პროდუქტია; მოსი კი პირდაპირ აცხადებს, რომ Self- ძნელად განსაზღვრადი და ცვალებადი სოციალური კატეგორია. Self-ის შინაარსი და სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება კულტურების მიხედვით; საზოგადოებრივი Self-იც, რომელიც სხვა ადამიანებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად ჩნდება, ასევე ცვალებადია სხვადასხვა კულტურის მიხედვით.

თანამედროვეობის კულტურული პიროვნების ყველაზე ცნობილი მეცნიერები, ამერიკელი Hazel Markus და იაპონელი Shinobu Kitayama თვალნათლივ, ემპირიული კვლევის მასალებით აჩვენებენ ინდივიდის ფორმირებაში კულტურული კონტექსტის უზარმაზარ როლს. ეს პროცესი მიმდინარეობს კულტურულ კონტექსტში გაზიარებული პიროვნული იმიჯის, პიროვნების გაგების და მოდელის შესაბამისად. ისინი, თავის მხრივ, სოციალური რეალობის შემადგენლი ნაწილებია და ასახულია კონკრეტული კულტურული სამყაროს გამოცდილებაში, სოციალურ სიტუაციებში, ინსტიტუტებში. კონკრეტულ კულტურულ სამყაროში მცხოვრებ ადა-

მიანებს კულტურის შესაბამისი ფსიქოლოგიური ტენდენციები უყალიბდებათ.

დაახლოებით ასი ნლის განმავლობაში, 1880 წლიდან 1980 წლამდე, 5000-მდე სტატია გამოქვეყნდა Self-ის შესახებ და აღნიშნავდნენ მის შემოსაზღვრულობას, ავტონომიურობას და კონტექსტიდან განცალკევებას. ეს იყო დასავლური გაერთიანება.

შუა საუკუნეებში სიტყვას „ინდივიდი“ ინგლისურ ენაში რადიკალურად განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. იგი გამოიყენებოდა სამების ყოველი წევრის აღსანიშნავად. შემდგომ ეპოქებში იგი განიხილება ავტონომიურ, სოციალური კონტექსტისგან დამოუკიდებელ და ანალიტიკური აზროვნების შესატყვის წოვლენად; ასეთი ინდივიდის მაღალი ლირებულება დეკარტედან მოდის.

დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში ადამიანის შესახებ მოძღვრება ეფუძნება ინდივიდუალიზმის ონტოლოგიას. აქ არსებობს ადამიანის განსხვავებულობისა და უნიკალურობის რჩმენა. პიროვნება შემოსაზღვრული, უნიკალური, მეტ-ნაკლებად ინტეგრირებული მოტივაციური და კოგნიტური უნივერსუმია ცნობიერების დინამიური ცენტრით — ემოციებით, შეფასებებით, მოქმედებებით. იგი, როგორც დისერტაციული მთელი, ორგანიზდება და უძირისპირდება სხვებს, როგორც ასევე მთელს, აგრეთვე სოციალურსა და ბუნებრივ კონტექსტს. ცხადია, რეაგირებს სოციალურ გარეშორე, მაგრამ ეს რეაქცია მიმართულია მხოლოდ საკუთარი თავის, Self-ის რეალიზაციაზე, მის უკეთ გახსნასა და გამოვლინებაზე.

ევროპული კულტურული ტრადიცია ადამიანის ავტონომიურ სუბიექტად განხილვით ხაზს უსვამს „Self“-ის ერთიანობას, მთლიანობასა და იგივეობას ყველა მის გამოვლინებაში; ბევრი ადრინდელი ანთროპოლოგის თვალსაზრისით, ინდივიდუალობა სწორედ პიროვნების ცნობიერების (ფსიქიკის) ერთიანობის განმაპირობებელი შინაგანი აზრიბუტების სისტემის განცდაა. „Self“-ის მრავლობითობა და დანაწევრება აღიქმება ავადმყოფურად და არანორმალურად. ევროპამერიკული მოდელის მიხედვით, პიროვნება სოციალური მოთხოვნებისა და მოლოდინების შესატყვის ინდივიდუალური ტენდენციების ნაზავია: პიროვნება სოციალური ცოდნაა, როგორც ადამიანები იძენენ პირადი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის პროცესებში. ამ გაერთიანებით, იგი ადაპტიურია, რადგან ორიენტირებულია სოციალურ ცხოვრებაში პრობლემების გადაჭრაზე (Hazel Markus; Shinobu Kitaiama, 1998).

Markus-ისა და Kitaiama-ს აზრით, ყველა მიდგომა, პიროვნების როგორ განსაზღვრებასაც არ უნდა იძლეოდეს, შეიძლება გადმოვცეთ შემდეგი იდეების სახით:

1. ადამიანი ავტონომიური არსებაა და განისაზღვრება გარკვეული თვისებებით, პროცესების ერთიანობით;

2. შინაგანი თვისებებისა და პროცესების კონფიგურაცია განსაზღვრავს და განაპირობებს ქცევას. ეს ნიშნავს, რომ ქცევის წყარო თვით ინდივიდშია, ამიტომ მისი გაგება ქცევაზე დაკვირვებით შეიძლება;

3. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაგანი თვისებების კონფიგურაციით, შესაბამისად, ინდივიდუალური ქცევაც განსხვავდება. ეს განსხვავება კარგია;

4. ადამიანის ქცევა პრინციპულად უცვლელია სიტუაციის მიხედვით და სტაბილურია დროში, რადგან სწორედ ქცევაში ავლენს იგი თავის თავს. ეს უცვალებლობა და სტაბილურობა კარგია;

5. პიროვნების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მისი წყალობით გახდება შესაძლებელი ქცევის წინასწარმეტყველება და კონტროლი.

ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობით, ინდივიდი პირველადი ფაქტია, საზოგადოება და შესაბამისად, მისი მიმართება ჯგუფთან — მეორადი. დასავლური გაგებით, ქეშმარიტ პიროვნებაში მისი ატრიბუტები ინტეგრირებული მთელის სახით წარმოგვიდგება ერთ სისტემაში. მას აქვს მკაფიო საზღვრები, სტაბილურია დროში და შეუძლია წინაღუდვეს სხვების ზეგავლენას — სხვები ქმნიან სიტუაციურ კონტექსტს, ან უბრალოდ მისი ნაწილია, შეიძლება არც იქნიონ დიდი გავლენა პიროვნებაზე. სიტუაციურად ცვალებადი ქცევა, ამ თვალსაზრისით, უაზროდ და პათოლოგიურადაც კი აღიქმება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მოქნილად ან პასუხისმგებლობის გამოვლინებად.

თეორეტიკოსთა აზრით, ინდივიდის ლირებულება და მასზე ფოკუსირება მოდის განმანათლებლობის ეპოქიდან, რომელმაც წინ ნამოსწია კანტისული ინდივიდის ცნება და თავისუფალი ნების მნიშვნელობა; ინდივიდუალიზმიც ასევე კარტეზიანული მსოფლმხედველობისა და ანალიტიკური აზროვნების პირმშოდ მიჩნევა, რომელიც მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან Self-სა და სხვებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის გამოკვლევათა მონაცემები კი ადასტურებს პიროვნების ამგვარი კონცეფციის უქმარობას. უამრავმა მეცნიერმა აღნერა ტრადიციული დასავლური მიდგომისგან ხშირად რადიკალურად განსხვავებული კონცეფცია. ესაა ე.ნ. დამოკიდებული Self-ის კონცეპცია, რომელიც უფრო პოლისტურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე ანალიტიკურთან.

ი. კონი აღნიშნავს გაუგებრობას, რომელსაც გამოხატვენ კითხვები: იაპონელებს პიროვნული საწყისი აქვთ ნაკლებად გამოხატული თუ თბილქტური ტერმინებით “მე”-ს გამოხატვის სურვილი არა აქვთო.

ანთროპოლოგებმა დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ საკუთარი თავის ამგვარი გაგება დღევანდელ ეტაპზე აღმოსავლურ კულტურებს უფრო ახასიათებთ, იგი გამოდის ამ კულტურათა ყველაზე დიდი ლირებულებისგან — ურთიერთობებში ჰარმონიის შენარჩუნებისგან; ასეთი გაგება სრულიად საპირისპიროა დასავლური ინდივიდუალიზმის სულისკვეთებისა, რომლის მიხედვით Self დადებითი ლირებულებაა, ხოლო ემპირიული „მე“-ს ელიმინირების აღმოსავლური განწყობა (მაგალითად ბუდისტური „თვითობისგან განთავისუფლება“) — სრულიად ანტიპერსონალური.

Self-ის არადასავლური გაგება ყვრდნობა მონისტურ ფილოსოფიურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ადამიანი მოიაზრება დანარჩენი ბუნების მსგავსი სუბსტანციისგან ნარმოქმნილად. ურთიერთობა Self-სა და სხვებს, სუბიექტსა და ობიექტს შორის ძალზე მჭიდროა. ასეთი მსოფლმხედველობისთვის ნორმატული იმპერატივი ინდივიდებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შენარჩუნებაა. ამგვარი გამოცდილება განიხილება სოციალური ურთიერთობის ნაწილად, როცა ინდივიდი აღიარებს და ღებულობს იმ ფაქტს, რომ მის ქცევაზე სხვები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ. პერსონა, ამ გაგებით, არის „ცვალებადი, მოქნილი, სხვებზე მიჯაჭვული არსება; პიროვნება არ არის დამოუკიდებელი და ავტონომიური, მეტიც, ადამიანები ფუნდამენტურად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული“. Self-ი არც არის და არც შეიძლება იყოს გამოყოფილი სხვებისგან და სოციალური გარემოსგან.

ეს გაგება შეიძლება გადმოიცეს ასე:

1. ადამიანი ურთიერთდამოკიდებული არსებაა და სოციალურ ურთიერთობა—მიმართებათა ნაწილი;

2. ქცევა შედეგია და პიროვნების პასუხი მასთან ურთიერთებულებაში მყოფ სხვებზე; ქცევის ნებარო ურთიერთობებშია და ამიტომ მისი გაგება მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებში შეიძლება;

3. სოციალური კონტექსტი ცვალებადია; ინდივიდუალური ქცევაც ცვალებადია სიტუაციების მიხედვით. სოციალური კონტექსტისადმი ასეთი მერძნობელობა და, შესაბამისად, ცვალებადობაც კარგია;

4. პიროვნების შესწავლა კარგია, რადგან სწორედ მისი საშუალებით გახდება შესაძლებელი ქცევის მიმართებითი და ინტერპერსონალური ბუნების გაგება.

პიროვნების კონცეფციებს შორისასეთი განსხვავება, ცხადია, სოციალურ და კულტურულ პირობათა მთელ კომპლექსთანაა დაკავშირებული.

ძენ-ბუდიზმი სხვა აღმოსავლური რელიგიების მსგავსად, ადამიანის პრობლემის ფორმულირებას ახდენდა არა ობიექტურ-ანალიტიკურ ("რა არის ადამიანი"), არამედ სუბიექტურ-ინტერიტურ

(“ვინ ვარ მე”) პლანში. ამ თვალთახედვით, ობიექტურ თვითდაკვირვებას არავითარი ლირებულება არა აქვს, ემპირიული ეგზისტენციალური “მე” კი ცდილობს გაითქვიფოს განუსაზღვრელ და განუპირობებელ აბსოლუტურ “მე”-ში. ამ ალტერნატიულ მოდელში უმნშვნელოვანებია ის, რომ სხვებს კი არ გამოეყო, არამედ მოერგო; შეასრულო მოვალეობები და იქცე ინტერპერსონალურ ურთიერთობათა ნაწილად; პრინციპულად არ არის ლირებული ადამიანის სიმყარე ან განსხვავება იმ ფონზე, სადაც მყარია სოციალური ორგანიზაცია — ქცევის წინასწარმეტყველება ურთიერთქმედების მიზანი სულაც არაა. აღმოსავლურ მოძღვრებათა ძირითადი მიზანია ადამიანის ეულტივაცია სოციალურ ადამიანად. თავის დასამკეიდრებლად ადამიანი ჯგუფის — ოჯახის, ერთობის ნაწილი უნდა იყოს. ადამიანები ერთმანეთს განიხილავენ სოციალურ როლთან მიმართებაში (მამად, ბიად, მეზობლად და ა.შ.). პიროვნება აქ თავისთავადი ლირებულების მქონედ კი არ განიხილება, არამედ კერძო მოვალეობათა და პასუხისმგებლობის “ნასკვად” და უმჭიდროეს კავშირშია ინდივიდის ოჯახზე და ჯგუფზე კუთვნილებასთან. შესაბამისად ყალიბდებოდა ადამიანის თეოთურობიერებაც: ტრადიციულ საზოგადოებებში “მე” ხატი ერწყმოდა მოსალოფნელი როლური ქცევის გარკვეულ კონცეფციას, რომელიც ინდივიდის ცნობიერებაში იდეალიზებული იყო, როგორც ინტერიორიზებული ნორმებისა და დადგენილებების სისტემა. ამიტომაც “მე” იდეალი კონცეპტუალიზებულ იქნა, როგორც იდეალიზებული როლური ქცევის განსაკუთრებული ფორმა (კონი წერს: ადამიანი თავს მაინცადამაინც მშვიდად ვერ იგრძნობდა, თავისი “მე” თავისივე როლისგან გამოყოფილად რომ წარმოედგინა). ჯგუფის გავლენის ქვეშ ყოფნა აქ დადებითი მოვლენაა და პიროვნულობის კრახად არ განიცდება, პირიქით — ზეგავლენის ქვეშ ყოფნა თვითკონტროლის, მოქნილობისა და სიმნივეს ნიშანია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ-ისტორიული შინაარსის თვალსაზრისით მეცნიერები ყოველთვის უსვამდნენ ხაზს იმას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოცენებული ადამიანის კონცეფციები შინაგან ნათესაობასაც ამჟღავნებს. ა. კონრადი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ პუმანიზი სინამდვილეა როგორც ციცერონისთვის, ისე კონფუციანელობისთვისაც, მხოლოდ შინაარსია განსხვავებული. შესასაუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში, ჩინეთშიც და იტალიაშიც უარყოფდნენ ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა ადამიანის სულიერ თავისუფლებას. თავისუფლებას ძირითადად ეწინააღმდეგებოდა დოგმატიზმი, როგორც ჭეშმარიტებისადმი დამოკიდებულების პრინციპი და სქოლასტიკა — როგორც ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი. ჩვეულებრივ, უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტუ-

ლად იმაზე მიიმართებოდა, რაც კონკრეტულ საზოგადოებაში ამ ორ მოვლენას უქმნიდა საყრდენს და უმაგრებდა გვერდს ძალაუფლების (სახელმწიფო თუ სასულიერო) მეშვეობით; ჩინეთში — კონფუ-ციანობა ანუ ფილოსოფია, იტალიაში კი — კათოლიკოზმი ანუ რე-ლიგია. მაგრამ უარყოფის ობიექტი არავითარ შემთხვევაში არ იყო არც თვითონ ფილოსოფია და არც თვითონ რელიგია, არამედ მხოლოდ მათი პრეტენზიები იმაზე, რომ რომლიმე მათგანი ჭეშ-მარიტების ერთადერთი წყაროა (Konrad A; 1972).

Markus და Kitaiama ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ "პიროვნების ეს ორი მოდელი არ არის შიშველი რეალობის უბრალოდ შემომსაზ-ლვრავი ჩარჩოები; ისინი იმავიდროულად სტრუქტურაში აქცევს მთელ პიროვნულ გამოცდილებას" (Hazel Markus; Shinobu Kitaiama, 1998), ამერიკელი მევლევრები — პერვინი და ჯონსი კი აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს კონცეპტუალური განსხვავება პიროვნების ორ მოდელში ქმნის კვლევაში აუცილებელი გაზომვის სირთულეებსაც (Первина Л. Джон О. 2000 გვ. 248)

## § 2 პიროვნების კულტურული მოდელები და ინდი-ვიდუალიზმი/კოლექტივიზმი

ტერმინებით — დამოუკიდებელი და დამოკიდებული Self — Hazel Markus-მა და Shinobu Kitaiama-მ ერთმანეთისგან განსხვავეს ინდივიდები, ვინც თავის თავს დამოუკიდებელ აგენტად მიიჩნევს იმათვან, ვინც თავის თავს სხვებთან მიჯაჭვულობაში განიხილავს. მათი დასკვნით, ამ განსხვავებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს სოციალურ კონიციაში.

H. Markus და Kitaiama აღნიშნავენ, რომ Self-ის ინდივიდუალის-ტური მოდელი, ერთი შეხედვით, "ბუნებრივი და ცხადი", გამოსა-დევი ტრადიციული დასავლური მიდგომებისთვის და პიროვნების მოდელების საფუძველი, სრულიადაც არ არის პიროვნების ერ-თადერთი მოდელი და ერთადერთი პასუხი კითხვაზე: "რა არის პი-როვნება"; შესაბამისად, პიროვნების ურთიერთდამოკიდებული მო-დელი ვერ თავსდება ინდივიდუალიზმის მეთოდოლოგიურ ჩარ-ჩოები.

ეს მოდელი, დასავლურისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, ამტკიცებს, რომ ადამიანი ავტონომიური კი არა, ფუნდამენტურად მიჯაჭვულია სხვა ადამიანებზე, ხოლო თავისთავადობა (Self-) — არ არის და არც შეიძლება იყოს გამოყოფილ "სხვებისგან" და სო-ციალური გარემოსგან.

(ცნობილი თანამედროვე ფილიპინელი მევლევარი David Ho ტერმინს — "მიჯაჭვულობის ორიენტაცია" — იყენებს სო-

ციალური ქცევის მოდელების სპეციფიკურობის აღსანერად კოლექტივისტურ კულტურებში.

ინდივიდთა შორის მიჯაჭვულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ისტორიულად, ადამიანური ბუნების ფორმირებისთვის, არამედ თანამედროვეობაშიც.

ტრადიციულ კულტურებში ინდივიდის მიჯაჭვულობა და მიკუთვნებულობა გარეეულ სოციალურ ჯგუფზე გადამწყვეტია პიროვნების ფუნქციონირებაში. ტრადიციული იაპონური მსოფლმხედველობა, მაგალითად, პიროვნებას აღიქვამს, როგორც მრავლობითობას, რამდენიმე ავტონომიური "მოვალეობათა წრის" ერთიანობად: "ჩუ" — იმპერატორის მიმართ მოვალეობა; "კო" — შშობლების მიმართ; "გირი" — იმ ადამიანთა მიმართ, რომელებმაც მისთვის რაღაც გააკეთეს; "ჟინ" — ადამიანებისა და ერთგულების მიმართ მოვალეობა; "ნინჟიო" — საკუთარი თავის მიმართ მოვალეობები. ევროპელები პიროვნებას აფასებენ მთლიანობაში და მის საქციელს სხვადასხვა სიტუაციაში ერთი და იგივე არსის გამოვლინებად მიიჩნევენ, იაპონიაში კი ადამიანის შეფასება უცილობლად გულისხმობს შესაფასებელ "ქცევათა წრესთან" შეთანადებას. Markus და Kitaiama ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების არსებობას მიჯაჭვულობის ორიენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად მიიჩნევენ; მათი აზრით, იგი მოითხოვს მუდმივ ჩართულობას, რასაც მიდი "სხვისი როლის აღბას" უნიდებდა. იგი გულისხმობს იმის ფიქრის უნარს, რასაც სხვები ფიქრობენ, იმის გრძნობის სურვილს, რასაც სხვები გრძნობენ, ამ ინფორმაციის უთქმელად ათვისებას და სხვათა დახმარებას მათი სურვილების დაკმაყოფილებისა და რეალიზაციისათვის. კავშირების შენარჩუნება მოითხოვს "მე" პერსპექტივის შეკავებასა და გადამუშავებას "სხვისი პერსპექტივიდან"; მისი მოთხოვნაა "სხვების" აზრების ნაკითხვა და იმის ცოდნა, რასაც სხვები ფიქრობენ და განიცდიან, თუ ადამიანს სურს, რომ იზრუნონ მასზე და ესმოდეთ მისი, პიროვნების დამოუკიდებელი მოდელის საპირისპიროდ, როცა ინდივიდი "იმას ამბობს, რასაც ფიქრობს" (Hazel Markus; Shinobu Kitaiama, 1991).

Ho აღნიშნავს, რომ უკვე გამოკვლეულია ბევრი კონსტრუქცია, რომელიც აღნერს ადამიანთა ურთიერთმიჯაჭვულობას: იაპონური კონსტრუქცია "ამაე", რომელიც გარდაუვალი შმნიდან — "ამაერუ" ნანარმოები არსებითი სახელია და ნიშნავს "სხვაზე დამოკიდებული და მისი კეთილმყოფელობის იმედად ყოფნას". ასევე გამოკვლეულია კორეული კონსტრუქციები — "ცოორი" (ჯგუფი, რომელსაც ვეკუთვნი), "ჩვენ" და "ცხეონგ" (ადამიანური მიჯაჭვულობა) — ჯგუფში ურთიერთობის მოდელის ელემენტი, სადაც "ცხეონგ" ემოციურ ნებოსავით მოქმედებს და წევრებს ერთიანობაში კრავს; კარგად ცნო-

ბილი ჩინური კონსტრუქცია “სახე” განისაზღვრება, როგორც “საპასუხო თანხმობა, პატივისცემა, რომელსაც ორივე მხარე კიდეც გასცემს და კიდეც მოელის ურთიერთობისგან”; სულ სხვაა ნინასარ-განსაზღვრულობასა და ფატალურობაზე დამყარებული “კუან” — ნათესაობა, იმთავითვე განსაზღვრული ურთიერთობა ან მიზეზი ასეთი ურთიერთობისა —ეს ტერმინი ხსნის კულტურულად ნინას-ნარ გაპირობებულ (ნათესაობას, მტრობას) ინტერპერსონალურ ურთიერთობებს; ფილიპინური პიროვნების საყრდენსა და ძირითად ღირებულებას ნარმოადგენს “კაპვა” (ადამიანური თანაარსება), რომელიც არც ადამიანის თავისითავადობის თპოზიციაა და არც ამ თავისითავადობის დამოუკიდებელ ერთეულად მაღიარებელი; “კაპვა” არის self-ისა და სხვების ერთობა და გულისხმობს იდენტურობის თანაზიარობას; აქედან ნარმოდგება თანაარსებადი ადამიანის განცდა, რომელიც თან გასდევს ფილიპინულების სოციალურ ურთიერთქმედებას (A.Timothy Charch. 1987). ადამიანის თავისითავადობის მსგავსი გაგების ნაირგვარი ვარიანტებია სხვა აზიურ კულტურებშიც. კონფუციანიზმი, დაოიზმში, ბუდიზმშა და ინდუიზმში არსებული იდენტურობის კონცეფციები, დასავლურისგან განსხვავებით, მკაფიოდ არ გამოყოფს self-სხვებს ან ინდივიდუალურ იდენტურობას.

ამგვარი კონსტრუქციების არსებობა ავლენს პიროვნების მიჯაჭვულობით, ურთიერთდამოეკიდებულებით მოდელს. მსგავსი კონსტრუქციებისა და კონცეპტების გამოვლენა და შესხვავდა სხვადასხვა კულტურაში ძალზე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიურადაც, რადგან ქმნის ეთნომეთოდოლოგიურად ვალიდური კონსტრუქციებისა და მეთოდების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

დღეს მეცნიერები იმ პოზიციას იზიარებენ, რომ არაინდივიდუალისტური კონსტრუქტების ცოდნა მეცნიერებას გაათავისუფლებს ინდივიდუალიზმზე დაფუძნებულ დასავლურ კონსტრუქციებზე დაყრდნობისგან.

ემპირიული კელევებით გამოვლენილი და დასაბუთებულია პიროვნების ორი მოდელის არსებობა, რომელიც გაბატონებულია ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ორიენტაციის მქონე კულტურებში. ხაზი გაესმის დასავლური პიროვნული მოდელის უკმარისობას პიროვნების შესწავლაში,

ამგვარი მოდელის ფარგლებში Self-ის განცდა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და სრულყოფილია სოციალურ ურთიერთობებში მონანილეობით. იაპონელი — მიუთითებენ მკვლევრები, მხოლოდ სხვებთან კონტექსტში გახდება სრულყოფილი ადამიანი. ასეთი თვალსაზრისი Self-ზე მას ახასიათებს, როგორც სოციალური კონტექსტის მსგავსს. ადამიანის ქცევის მოტივირებაში საფუძველია სხვებთან მორგება, მათთან ურთიერთობის ნაწილად ქცევა. ადა-

მიანისთვის ურთიერთობის მიზნის მიღწევა დამოკიდებულია კონტექსტის ბუნებაზე და, ნანილობრივ მაინც, ამ კონტექსტში სხვების ყოფნაზე, ამიტომ ინტერნალური თვისებებიც გაიგება, როგორც სიტუაციურად განპირობებული და სიტუაციურად სპეციფიკური.

დამოკიდებული Self-ის იდენტური ტერმინებია “სოციოცენტრიკი”, “ჰოლისტი”, “კოლექტივისტი”, “ელოცენტრიკი”, “კონტექსტური”, “ურთიერთობითი” და სხვ.

Self-ისთაობაზე ამგვარი თვალსაზრისი საერთო აღმოჩნდა სრულიად განსხვავებული კულტურებისთვის როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში; ამ კონსტრუქტის თავისებურებები აღნერილია არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც (ესპანეთი, ალბანეთი), სამხრეთ ამერიკაშიც (მექსიკა, ინდიელები), აფრიკაშიც და ა.შ. მექსიკაში Self-ის ემპირიული კვლევით გამოვლენილია მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი შედეგი: სოციალური და ემოციური მახასიათებლების დიდი წონა, რომლებიც ურთიერთობებთანაა დაკავშირებული.

მკვლევრები გამუდმებით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ დასავლეური პიროვნულობის მოდელის თვალსაზრისით ურთიერთდამოკიდებული Self-ი არ გაიგება. ამ პოზიციას იზიარებს თანამედროვე მკვლევართა დიდი უმრავლესობა, რომლებიც თვითონ უშუალოდ შეხებიან არადასავლურ კულტურებში პიროვნების შესწავლის პროცესში. მაგალითად, A. T. Church და W. J. Lonner აღნიშნავენ, მართებული არ არის ფილიპინელებს დასავლური ივტონომიურობის გავების პოზიციიდან შეხედო და სხვებზე მიჯაჭვულად, დამოკიდებულად აღიქვა — უმჯობესია ეს მიჯაჭვულობა გაგებული იქნეს, როგორც სიმჭიდროვე, კორპორაციულობა, პატივისცემა და მოვალეობა, რადგან ფილიპინური კულტურა ის კულტურაა, სადაც დამოუკიდებლობასა და Self-ის თვითკმარობაზე უფრო მეტად ოჯახი და ურთიერთობები ფასობს (A. T. Church, W. J. Lonner, 1998).

ბუნებრივია, რომ ემპირიული სურათის შექმნისას სირთულეებიც იქმნება და განსხვავებებიც ვლინდება.

თანამედროვე კვლევები თვით კოლექტივისტურ ორიენტაციებში განსხვავებული შინაარსობრივი მახასიათებლების არსებობასაც ავლენს. მაგალითად, მექსიკაში გამოვლინდა, რომ აქ არსებობს სპეციფიკური ურთიერთობრივი და ემოციური განმასხვავებლები; მექსიკელმა მკვლევარმა — Dias-Loving-მა მათ შესაბამისად უწოდა აფილაციური სოციაბილურობა (ზრდილობა, თავაზიანობა) და ექსპრესიული სოციაბელურობა (მეგობრულობა, კომუნიკაბელურობა); სპეციფიკურობა გამოვლინდა იმაშიც, რომ ეს მდგომარეობები ამ კულტურის ნარმომადგენელთათვის განიცდება დიფერენცირებულად: თვით კონკრეტულ მდგომარეობებად (მა-

გალითად, ბედნიერი, მხიარული), ინდივიდთა შორის გრძნობებად (მოყვარული, ფაქტი) და ემოციურ სიჯანსალედ (მშვიდი).

კულტურაში პიროვნების (თუ პიროვნებაში კულტურის) ცველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს საკვლევ და გამზომი ინსტრუმენტთა უკარისობას „კულტურული“ პიროვნების შესწავლისას; განსაკუთრებულად აღნიშნება ის ფაქტი, რომ პიროვნების შესახებ დასავლური სულისკეთებით გამსჭვალულ შრომებში აღნერილი საზომები, გამოყენებული ძირითადად პიროვნული თვისებების შეფასებასა და მათ ფაქტორულ ანალიზთან მიმართებაში, დასავლური პიროვნების შემთხვევაში უფრო გამოსადევი, ვიდრე „არადასავლეთელისთვის“.

### § 3. „ვის უკეთ იცნობ?“ ანუ ვის ადარებს ადამიანი თვის თავს

ეს ამბავი დაიწყო 1977 წელს ამერიკელი მეცნიერის — ე. ტევერ-სკის აღმოჩენით: მან გამოავლინა ადამიანის მიერ რაიმეს შეფასებისას უცნაური ტენდენცია, კერძოდ, ექსპერიმენტში მონანილე ადამიანების აზრით, თურმე მადრიდი უფრო ჰგავს ნიუ-იორკს, ვიდრე ნიუ-იორკი მადრიდს; ტურა უფრო გაგონებს ძალს, ვიდრე პირიქით და ა. შ. ეს მოვლენა ცნობილია საგანთა მსგავსების შეფასების ასიმეტრიულობის ფენომენის სახელით. მას ხსნან ადამიანის ტენდენციით, ეტალონად იგულისხმოს უფრო დიდი, მნიშვნელოვანი და ასოციაციებით დატვირთული საგნები; სწორედ ამის გამო დაასკვნიან, რომ ნაკლებად მნიშვნელოვან და თვალშისაცემ ობიექტს მასთან მეტი მსგავსება აქვს. ეს აღმოჩენა საფუძვლად დაედო შემდგომში კვლევებს, რომელიც ცნობილია პრობლემად — „ვის უკეთ იცნობ?“.

ამ სულისკეთებით გამსჭვალული კვლევები ავლენს ამერიკელთა აღქმაში იმის ფიქრის ტენდენციას, რომ სხვები უფრო მათ ჰგავთ, ვიდრე თვითონ ისინი — სხვებს. დასავლეთში ჩატარებულ კვლევათა მონაცემებით, ადამიანი სხვას, როგორც ნესი, თავისთავს უდარებს — თავისი თავი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია და იმიტომ.

ამგვარად, შედარებით უმნიშვნელო, კოგნიტურად ლარიბი „მე“ უფრო მნიშვნელოვანი „მე“-ს მსგავსად განიცდება (Роcc, Р. Нисбет. 2000; გვ. 300).

Hazel Markus-მა და Shinobu Kitayama-მ 1991 წელს ამ პრინციპზე დაყრდნობით ჩატარეს კვლევა სხვადასხვა კულტურული ტიპის სპეციულის გამოსავლენად. მათი ჰიპოთეზები ეყრდნობოდა შემდეგ არგუმენტაციას: რამდენადაც დამოკიდებული Self-თვის „სხვები“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია, სოციალური გარემოცვის

გასაგებად და ცოდნისთვის აუცილებელი გახდება ინტერაქციის პროცესში სხვების გაგება. აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია ურთიერთობის მონაწილე “სხვებისა” და იმ სოციალური სიტუაციების შესახებ ცოდნა, სადაც ამგვარი ურთიერთობები ხორციელდება.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა Self-სა და სხვას შორის მსგავსების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ტიპური ამერიკელის მონაცემებით, Self- უფრო მეტად განსხვავდება “სხვა”-სგან, ვიდრე “სხვა” — Self-ისგან; კერძოდ, Self-ის წარმოდგენა მეხსიერებაში უკეთაა დამუშავებული და დიფერენცირებული, ვიდრე “სხვა”. როცა ადამიანებს ეკითხებიან განსხვავებაზე Self-ისა და “სხვა”-ს შორის, მათ უფრო ნაკლებად ამსგავსებენ, ვიდრე მაშინ, როცა მსგავსებაზე ეკითხებიან. აღმოსავლური და დასავლური ქვეყნების სტუდენტთა მონაცემების შედარებით გამოვლინდა, რომ დასავლელებისთვის Self- ძლიერ განსხვავებულად აღიქმება “სხვა”-სგან და პირიქით. იგივე დასტურდება სხვა კვლევებითაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დასავლურ კულტურაში საკუთარ თავზე ცოდნა უფრო დიფერენცირებულია და უკეთაა დამუშავებული, ხოლო აღმოსავლურ კულტურებში — ცოდნა სხვაზე. კროსკულტურული განსხვავებების უფრო დაწვრილებით შესწავლა ადასტურებს, რომ დამოკიდებული Self- უფრო ავლენს სხვების ნედომის უნარს (იხ. ტრიბუციის ფუნდამენტური შეცდომის შესახებ).

ამგვარად, დამოკიდებული Self-ის მქონენი თავის თავს სხვას ადარებენ და ეს მათი კულტურული თავისებურებაა — ისინი სხვას უფრო მნიშვნელოვნად და ყურადღების ღირსად მიიჩნევენ, ვიდრე საკუთარ თავს.

#### §4. “ავტოპორტრეტი” — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი

ინდივიდუალისტი: “ჩვეულებრივ, ადვილად მიმყოლი და თავისუფალი სულისა ვარ. მჯერა, რომ ძალზე ოპტიმისტი ვარ — ცოტა რამ თუ გამტეს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ ვშეოთავ; თუ რამეს ხელი მოვკიდე, ვცდილობ, ძალზე კარგად ვაკეთო — ბოლომდე თუ არ დავიხარჯე, ე.ი. ღირებული არაფერი გამიკეთებია; ზოგჯერ იმედგაცრუებული ვრჩები, მაგრამ ბოლოს მაინც იმედიანად ვარ.”.

“მომზონს დადებითი ენერგიით დატვირთული ცხოვრება — მრავალი რამაა სანახავი და შესაგრძნობი. მიყვარს გაურკვევლობა, მომწონს უნიკალურობა და განუმეორებლობა; მეგობრულიც ვარ და ზოგ სიტუაციაში — ძალზე თავდაჯერებულიც”.

დამოუკიდებელი Self განისაზღვრება როგორც მტკიცე, შეკრული, თავისთავადი და სოციალური კონტექსტიდან გამოყოფილი;

დამოუკიდებელი Self-ის კონსტრუქტის შემადგენელია:

1. სიმარჯვე, უნარიანობა, საკუთარი აზრები და გრძნობები;
  2. უნიკალურობა და საკუთარი თავის გამოვლენა;
  3. შინაგანი შესაძლებლობების რეალიზაცია და ამაღლება,
- პირადი ნარმატებებით გამორჩევა;
4. კომუნიკაციაში პირდაპირობა.

სხვებთან მიმართებაში ინდივიდუალისტები მეტ უპირატესობას ანიჭებენ თავის იდეაბს, გრძნობებს, ქცევას, ნარმატებებს, ვიდრე სხვების აზრს მათ შესახებ. ამდენად, სხვებთან ურთიერთობაში უფრო მეტად ითვალისწინებენ პირად შესაძლებლობებსა და ატრიბუტებს და ნაკლებად — რელატიურ და კონტექსტურ ფაქტორებს.

კოლექტივისტი: "ყველაფერს ვაკეთებ შეძლებისდაგვარად, მაგრამ ამით სხვებს არ ვანუხებ. ზოგჯერ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვღებულობ, მაგრამ როცა საქმე ჩემს ახლობლებს (ჯგუფს) ან ძალზე მნიშვნელოვან საკითხს ეხება, საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის ვინმესთან მოთათბირების შემდეგ ვღებულობ".

"მე უკონფლიქტო და სანდომიანი ვარ ადამიანებთან ურთიერთობებში; ჩემს ინტერესებს კი გამოვხატავ, მაგრამ კონფლიქტებს ყოველთვის ვერიდები; ისე ვიქცევი, რომ ადამიანმა ჩემს გვერდით თავი მშვიდად იგრძნოს".

"სწრაფად ვერ ვწყვეტ, რა გავაკეთო; ხშირად სხვების გავლენის ქვეშ ვერცხვი; ვერ ვენინაალმდევები ასაკით და სტატუსით ჩემზე უფროს და პატივსაცემ ადამიანებს; ჩემს ირგვლივმყოფებთან მაშინაც კი ვთმობ (კომპრომისზე მიღდივარ), როცა ეს ჩემთვის უსიმოა; თუ გადაწყვეტილების მიღება მიზირს, სხვების აზრს ვეყრდნობი; სხვების აზრი ჩემს შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია და ვითვალისნიერ კიდეც საქციელში. მინდა უშფოთველად ვიცხოვო. ვმშვიდები, როცა ისეთი ვარ, როგორც ყველა".

დამოუკიდებული Self მოქნილი, ცვალებადია და გულისხმობს:

1. გარე, საზოგადოებრივ თვისებებსა და მახასიათებლებს; სტატუსს, როლს, ურთიერთობებს;

2. კუთვნილების განცდას;

3. თავისი ადგილის ცოდნას და მისაღები, სავალდებულო ქცევების პრიორიტეტს;

4. არაპირდაპირობას, ნართაულობას ურთიერთობებში, ორიენტაციას სხვების აზრების გაგებაზე და მათი "წაკითხვის" უნარს.

როცა საკუთარ თავზე ფიქრობენ, იკვეთება რომ "მე" და "სხვა" ერთმანეთშია გადახლართული — Self — იც და "სხვა"-ც არამც თუ გამოცალებული, განპირობებულიც კია სიტუაციით (კონტექსტით), ამდენად, "კონტექსტს ყალიბის ფუნქცია აქვს". და-

მოკიდებული Self-ის მთავარ მისწრაფებად და შესაბამისად, ნარ-მატება—მიღწევად მიიჩნევა ჰარმონიული ინტერპერსონალური ურთიერთობების შექმნა-ნარმართვის და მრავალგვარ სიტუაციათა რეგულირების უნარი. ყურადღებიანობა, მზრუნველობა, სხვათა ფიქრისა და გრძნობის თანავრძნობა ნიშნავს სხვისი აზრების წაკითხვის უნარს; ამგვარად, დამოკიდებული Self- სხვა ადამიანზე, სხვებთან ურთიერთობებზე ორიენტირებული; ქცევას ენთექსტური ფაქტორები არეგულირებს (Hazel Markus; Shinobu Kitaiama. 1998.)

1990 წ. Cousins-ის კვლევაში გამოყენებული ტესტის – “ვინ ვარ მე” — მონაცემების მიხედვით, იაპონელებმა 4-ჯერ ნაკლები აპ-სტრაქტული ფსიქოლოგიური თვისება ჩამოთვალეს (მაგალითად, “მე აპტიმისტი ვარ”), და სამი-ჯერ მეტი სოციალური როლი და კონტექსტის გარიანტი (მაგალითად, “დრამწრის წევრი ვარ”), ვიდრე ამერიკელებმა; როცა კონკრეტული კონტექსტები მიიჩნევს, მაშინ იაპონელები მეტად მოიმართნენ საკუთარი თავის პიროვნული ატრიბუტებით აღნერაზე — “სახლში ზოგჯერ ზარმაცი ვარ” ან “სკოლაში შრომისმოყვარე ვარ”.

Cousins-ის მტკიცებით, ეს პატერნი მაშინ შეიძენს აზრს, როცა იაპონური კულტურის ეონტექსტში განიხილავ — იაპონელთა ქცევა ხომ სოციალური კონტექსტითა განპირობებული; ამერიკელები კი პირიქით — თავის თავს ვინმესათან ურთიერთობებისა და რამე სპეციფიკური კონტექსტისგან სრულიად დამოუკიდებელი თვისებების მატარებლად ხდავავნო.

იმის მიუხედავად, რომ ადამიანები ყველა კულტურაში ახერხებენ თავიანთი თავის აღნერა-შეფასებას რაღაც თვისებებით, Hazel Markus-სა და Shinobu Kitaiama-ს აზრით, სხვადასხვაგვარ პიროვნულ თვისებათა რეფლექსია და მათი ფიქსაცია ინდივიდუალისტური კულტურებისთვის უფრო “ბუნებრივია”, რადგან ამერიკელები, როგორც სჩანსო — ამბობენ ისინი – “კულტურულად უფრო რუტინულად ჩართულნი არიან თვითდაკვირვებისა და თვითგამორკვევის პროცესში” და თვითდახასიათებისას უფრო აქტიურად იყენებენ ფსიქოლოგიური მახასიათებლების აღმნერ ტერმინოლოგიას, ვიდრე აზიელი რესპონდენტები (H. Markus და S. Kitaiama. 1998).

აღმოჩნდა, რომ განსხვავებულად აღნერენ თავის თავს არა მარტო დასავლურ-აღმოსავლური კულტურის ნარმომადგენლები, არამედ ერთი და იგივე ეროვნების ხალხიც კი, თუ ისინი განსხვავებულ კულტურულ გარემოცვაში ცხოვრობენ. მაგალითად, Bond-ის და Cheung-ის მონაცემებით (1983ამი), რომელებმაც პასუხები მოკრიბეს ცნობილი “ორი მდგომარეობის” ტესტის შეკრთხვაზე — “ვინ

ვარ მე?” —, აღმოჩნდა, რომ ჰონგ-კონგელი და ამერიკელი ჩინელები თავის თავს განსხვავებულად აღწერენ — ამერიკელი ჩინელები საკუთარი თავის დახასიათებისას უფრო მეტად მიმართავენ თვისे�ბრივ მახასიათებლებს, ჰონგ-კონგელი ჩინელები კი — უფრო მეტად იმ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ცხოვრობენ. სხვა კვლევებით, ამერიკელები ძირითადად საკუთარ თვისებებს აღწერენ, ხოლო იაპონელები თავის თავს სოციალური კონტექსტის მოშველიებით წარადგენენ.

ამის შემდეგ დაინტერესდნენ ამ პიროვნული ტიპების (Self-ების) კონტექსტისადმი მგრძნობელობით; კვლევებით აღმოჩნდა, რომ ამერიკელები და აზიელები ამ ორიენტაციაშიც სხვადასხვაგვარად ავლენენ თავს.

H. Markus—სა და S. Kitaiama -ს 1998 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტში რესპონდენტთა ორივე ჯგუფი ავსებდა თორმეტი წინადაღების ტესტს თოხ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში: მარტო, მეგობართან ერთად, ჯგუფში სხვა სტუდენტებთან ერთად და პროფესორის კაბინეტში.

აღმოჩნდა, რომ იაპონელები თავს ახასიათებენ ყოფითი, ყოველდღიური ქცევებით, მაგალითად, “მე მიყვარს ნაყინი”, “შაბათ-კვირას მუსიკას ვუსმენ” და მსგავსი; ხოლო ამერიკელები — ფსიქოლოგიური ატრიბუტებით.

Hazel Markus-ი სტუდენტებს სთხოვდა თავისი თავის აღნერას, შემდეგ კი ეს დახასიათებები შეადარა ერთმანეთს ორი ორიენტაციის მიხედვით:

1. Self-ზე ფოკუსირებული — ექსპერიმენტის მონანილეთ მიენიღებოდათ თვისებათა ჩამონათვალი, ხოლო ისინი პასუხობდნენ, რამდენად შეეფერებათ მათ ეს თვისებები; ამის შემდეგ თავისუფალ დახასიათებებს იძლეოდნენ;

2. “სხვა” Self-ზე ფოკუსირებული — თავს აღწერდნენ სხვების თვალით ანუ იმ ნარმოდებულის მიხედვით, რომელიც, შათი აზრით, სხვებს აქვთ მათ შესახებ.

ორივე ტიპის დახასიათებას იძლეოდნენ კონტექსტშიც და კონტექსტის გარეშეც.

ამგვარად, პასუხები განაწილდა კატეგორიებად: “მე ვარ” და “სხვების აზრით (მოლოდინით), მე ვარ”. ამ ექსპერიმენტში Self-იდენტურობის კონცეფცია გაიზომა მოკლე თვითდახასიათებებით.

მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ თუმცა კი რესპონდენტები აღსანერად ერთი და იგივე ცნებებს იყენებდნენ (მაგალითად, მე ვარ “ბედნიერი”, “მოყვასი” და სხვ), პირველი ექსპერიმენტის მონაცემებით, ამერიკელები თავს მოიაზრებენ პრიციპულ და მდგრად იდენტურობად და უმეტესად ფიქრობენ, რომ სხვებიც ასე-თად მიიჩნევენ; იაპონელებმა კი გამოავლინეს იმ ვითარების გაცნო-

ბიერებულობა, რომ ურთიერთობებში ჩართული და სხვების შესაბამისად მოქმედი Self-იდენტურობა განსხვავდება თავისთავად Self-იდენტობისგან: ის სხვაა, ეს — სხვა.

## § 5. “სხვების პორტრეტი” — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი

Shweder-ისა და Bourne-ს 1982 წლის მონაცემებით, კულტურული ხასიათის განსხვავებები ვლინდება არა მხოლოდ საკუთარი თავის აღნერაში, არამედ სხვების აღქმა — აღნერის მონაცემებშიც. 70 ინდივიდის და 17 ამერიკელის მიერ საკუთარი მენცყოლის თავისუფალი აღნერის შედარებამ გამოავლინა, რომ ამერიკელთა 72%-მა თავისი მენცყვილე აღნერა კონტექსტისგან თავისუფალი პიროვნული თვისებებით, ხოლო ინდივიდუალური პიროვნული 50%-მა მიმართ, დარჩენილმა ნახევარმა კი ისევ კონტექსტი მოიძველია.

ტიპური ამერიკული აღნერა: “მავანი ეგოისტია”; ანალოგიური სიტუაციის ტიპური ინდივიდუალური აღნერა: “მავანი მერყეობს, როცა ოჯახს ფული უნდა მისცეს”.

ამერიკელი და ეთნოპელი სტუდენტების მიერ სხვების აღნერისას ანალოგიური შედეგები გამოვლინდა: ამერიკელებმა სხვები დაახასიათეს შესაძლებლობების, ცოდნის, ემოციური კატეგორიების ტერმინებით (“მავანი ჭკვიანია, შეუძლია რაიმეს შექმნა”), ხოლო ეთიოპელებმა — სხვებთან ურთიერთობის აღმნერი ტერმინებით (“მავანს მეზობლებთან მასლაათი უყვარს”) ან მისი შეხედულებებისა თუ რჩმენების მიხედვით (“მავანი ქვეყანაში არსებული მმართველობის წინააღმდეგია”).

Miller-ის მონაცემებით, რომელმაც ამერიკელებისა და ინდივიდუების მიერ სხვების აღნერები შეადარა, ამერიკელი სხვისი აღნერისას სამჯერ მეტად იყენებს თვისობრივ ატრიბუტებს, ხოლო ინდივიდი — ორჯერ მეტად კონტექსტურ მიმართებებს. სხვა სიტყვებით, ამერიკელი აღნერისას ქცევის სიტუაციურ ახსნას იძლევა, ინდივიდი კი — პერსონალურ-ურთიერთობრივს (Rocc, P. Nicbet. 2000; გვ. 301-302).

ურთიერთდამოკიდებული Self-ის კონსტრუქტში ურთიერთობების ორმხრივი ხასიათის ნარმოსადგენად ტრიანდისი ასეთ სიტუაციას ნარმოსახავს: ლანჩზე ამხანაგი გვენვია. ჩვეულებრივ, მეგობარს სთავაზობენ რამდენიმენაირ საჭმელს და ამით მას არჩევანის საშუალებას აძლევენ, რადგან მასპინძელი უშვებს, რომ მეგობარს არამც თუ არჩევანის უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა ეს არჩევანი გააკეთოს თავისი შინაგანი ატრიბუტების — თავისი სურვილების მიხედვით; მეგობარიც ასევე ირჩევს სწორედ იმიტომ, რომ იგივეს ვარაუდობს. ეს სცენარი ბუნებრივია დამოუკიდებული

Self-ის თვალსაზრისით. რა მოხდებოდა, იაპონელი მეგობარი რომ გვნეოდა? კითხვაზე "რას ისურვებდი?" მცირე გაოგნების შემდეგ შესაძლო პასუხი იქნებოდა გაურკვეველი განცხადება "არ ვიცა". და ეს მოხდებოდა ურთიერთდამოკიდებული Self-ის ვარაუდის გამო — მასპინძელი მოვალეა "წაიკითხოს" მეგობრის ფიქრები და ის შესთავაზოს, რაც, მისი აზრით, მეგობრისთვის საუკეთესოა. ხოლო სტუმრის მოვალეობაა, მადლიერებით მიიღოს სასურველი და ეცადოს, ახლო მომავალში მასპინძელს ასევე უპასუხოს. იგივე სიტუაციაში ურთიერთდამოკიდებული Self-ის სცენარი შემდეგი იქნებოდა: "მე შენ ის მოგიმზადე, რაც უფრო გიყვარს, რადგან მახსოვდა, რომ ნინა ეგირაში სწორედ ამას ნატრობდი", და სტუმარიც უპასუხებდა: "დიდი მადლობა, მე ეგ ნამდვილად ყველაფერს მირჩევნიან".

სოციალურ კოგნიციაში კულტურული განსხვავებები გამოვლინდა იმის მიხედვითაც, რას აქცევენ ყურადღებას. ტროფიმოვის, ტრიანდისისა და გოტოს ექსპერიმენტში (1991) კავკასიელ და ჩინელ სტუდენტებს სთხოვეს ყურადღება ორი ნუთით ორ რაიმეზე გადატანათ და ამის შემდეგ შეავსებინეს "20 მდგომარეობის" ტესტი; ექსპერიმენტის ერთი პირობა იყო, ეფიქრათ იმ საგნებზე, რომელიც მათ ოჯახთან აკავშირებდათ, მეორე კი — საგნებზე, რომლებიც მათ თავიანთი ოჯახისგან განასხვავებდათ. განმასხვავებელზე ფიქრის შემდეგ ჩინელებმა ძირითადად თვისობრივი მახასიათებლები გამოიყენეს, ხოლო ოჯახზე ფიქრის შემდეგ კავკასიელებმა — მეტი როლური მახასიათებელი.

ინდივიდუალისტი უფრო სწრაფია, ვიდრე კულტურულისტი? Markus და Kitayama (1997) აღნიშნავენ, რომ თვითაღნერისას ამერიკელები უფრო სწრაფად ირჯებიან, ვიდრე იაპონელი სტუდენტები, თითქოს ამერიკელებს გლობალურად და პრაქტიკულად აქვთ უფრო დიდი პრაქტიკა თვითაღნერაში. მათივე აღნიშვნით, სხვა შრომებიც იმას ამტკიცებს, რომ ჩრდილო ამერიკაში ინდივიდუალური თვისებები და მახასიათებლები ადამიანისთვის იმდენად ადგილად მისაღწევი და გასაგებია, რომ კონკრეტული ქცევის გაგებაც და ინტერპრეტაციაც სპონტანურად გახდება შესაბამისი თვისობრივი ტერმინების გამოყენებით.

## § 6. "სხვები" და კულტურული კონტექსტი

Triandis-მა, McCusler-მა და Hui-მ (1990) 20 ნინადადების ტესტის გამოყენებით სხვადასხვა კულტურაში აღმოჩინეს, რომ ჯგუფისადმი კუთვნილების განცდა უფრო ძლიერია ჩინელებთან, ვიდრე ამერიკელებთან.

პიროვნების ინდივიდუალურ ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფენომენს, რომელიც აღინიშვნება ცნებით "სხვები". სოციოლოგები განსაკუთრებით აღნიშნავენ "სხვების" დიფერენციაციის მნიშვნელობას — ყველა "სხვა" უნდა გაბირჩეს იმ სხვებისგან, რომლებთანაც პიროვნება აფექტურ და კონკრეტულ ურთიერთობებითაა. "სხვები" სხვადასხვაგარია; მათთან ადამიანი თანდათანობით შედის პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სხვადასხვაგვარ დასტანცირებულ ურთიერთობებში. საზოგადოება აძგვარად ქმნის თავის ქცევით ეოდს. "სხვები" — ის ცნებაა, რომელშიც ასახულია და რომლითაც აღინიშვნება ინდივიდის მიმართებები საზოგადოებასა და სოციალურ გარემოცვასთან"; "ჩვენ" ჯგუფის მიერძოება ვლინდება ასაკის, სქესის, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად (Gudykunst, 1989, მითითებულია **Майерс Д.** -ის მიხედვით, გვ. 303).

**Tajfel**-ის კლასიკური მოძლევრების მიხედვით, ეთნიკურ ჯგუფები გაბატონებულია რნბენათა სტერეოტიპული სისტემა, რომელიც საკუთარ ჯგუფს მიაწერს დადებით, ხოლო სხვა ჯგუფს — უარყოფით თვისებებს; მაგრამ თავის ჯგუფებს ადამიანები მხოლოდ დადებით თვისებებს არ მიაწერენ. ასე, მაგალითად, დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფებმა შეიძლება სამი რამ მოიმოქმედონ:

1. შეიძლება შედარების ახალი საფუძველი მოძებნონ, რომელიც უფრო სასურველ შეფეხებს მოუტანთ; ტრადიციული ჩაცმულობის ხაზგასმა; საკუთარი ენის სიცოცხლისუნარიანობის ხაზგასმა. ამ გზას **Tajfel**-მა "სოციალური შემოქმედებითობა" უწოდა.

2. წევრი ტოვებს თავის ჯგუფს და უერთდება უფრო დადებითი თვისებების მატარებლად აღქმულ ჯგუფს; ამას "სოციალური მობილობა" ეწოდება;

3. ინდივიდი ცდილობს თავისი საკუთარ ჯგუფის ზოგიერთი მახასიათებლის შეცვლას, რაც მომავალში მისი უფრო სასურველი გზით განვითარებას გამოიწვევს. მას "სოციალური ცვლილება" ეწოდა.

აქედან გამომდინარე, ჯგუფის წევრი საკუთარ ჯგუფს სხვებზე მაღლა ყოველთვის არ აყენებს.

მიერძოებისკენ მიდრეკილი ვართ მაშინაც, როცა "ჩემი" ჯგუფი გარემომცველ ჯგუფებთან შედარებით უფრო მცირე და დაბალი სტატუსის მქონეა, რადგან უფრო ძლიერად ვგრძნობთ ჩვენს კავშირს მასთან.

ამგვარ იდენტურობას ეფუძნება ე.ნ. "შუამავალი უმცირესობების" ჯგუფური თავისებურებები, რომელიც თვის დროზე შესანიშნავად აღნერა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ნოვატორმა — კურტ ლევინმა ებრაელების მაგალითზე.

კოლექტივისტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ არ-იან ის „სხვები”, ვისთანაც ურთიერთქმედებენ.

Hazel Markus; Shinobu Kitaiama (1991) აღნიშნავენ, რომ და-მოკიდებული მე არ ინტერესდება ყველა „სხვა”-ს მიზნებით, მოთ-ხოვნილებებითა და სურვილებით; იგი ძლიერ შერჩევითია და ძირი-თადად „ჩვენ” ჯგუფის ნევრობთან ურთიერთობით ხასიათდება. ეს ის სხვები არიან, ვისთანაც ინდივიდი საერთო ბედს იზიარებს – ოჯახის ნევრობი, ერთი და იგივე მყარი სოციალური ჯგუფის ნევრები და სხვ.

„შენი ოჯახი და კლანი პასუხისმგებელია თავის ნევრებზე და მათი ქცევა საერთო დიდება და საერთო სირცხვილია. ამიტომ შენი ჯგუფისთვის რამე სასახლო გააკეთე. იყავი ტრადიციების ერთ-გული; პატივი ეცი უფროსებს და „უფროსობას”; ჰარმონისეკნ ის-ნრაფე და სხვას სახალხოდ ნუ გააკრიტიკებ. ლიიალური იყავი შენი ოჯახის, კომპანიის, ერის მიმართ; კოლექტივში იცხოვრე და ნუ იფიქრებ, რომ შენი მეობა სოციალური კონტექსტის გარეშე არსებობს”. განსაუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური, თემური ურთიერთობები და ლირებულებები. პირველადი სოციალური ჯგუფი — ოჯახი, ნათესავ-მეზობლები — არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სოციალურ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებ-ლად და ნახალისებისთვის, აგრეთვე უმთავრესი არბიტრი „სასურველის”, „დასაშვებისა“ და „ნარმოუფგენლის“ გასარჩევად. ამგვარად, შიდაჯგუფური ნორმები და შიდაჯგუფური როლური ურთიერთობებია ქცევის აღმდევრელი მოტივაციური ძალაც და უპირველესი წყაროც, „თავისებური კომპანიი“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქმედებათა მიმართულებას.

ინდივიდუალისტებისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ჯგუფური კუთვნილება სტატუსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია (მაგალითად, კლუბის, ერთობის, „ძმობა-დობის“ სტუდენტური გაერთიანებების ნევრობა), კოლექტივისტები ერთმანეთის მიმართ უფრო ინდიფერენტული არიან, ადამიანის იდენტიფიკირებისთვის პირობენულობაზე უფრო ძლიერი ნიშანია სტატუსი, თუმცა სოციალური ჯგუფის უზარმაზარი ლირებულების გამო არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის ჯგუფური კუთვნილებაც. „სხვებთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლექტივისტებს, ინდივიდუალისტებთან შედარებით, ურთიერთობა ნაკლებ ხალხთან აქვთ, მაგრამ უფრო ღრმა და ხანგრძლივი.

Markus და Kitaiama აღნიშნავენ, რომ კოლექტივისტურ კულტურებში ურთიერთობები ინდივიდის მიერ განიხილება არა ინდივიდუალური მიზნის რეალიზაციის საშუალებად, არამედ მიზნად. ინდივიდუალისტებისთვის აუცილებელია სხვებთან ურთიერთობების შენარჩუნება, დაფასება და ამ ურთიერთობათა მოთხოვნილება. სხვებ-

თან კავშირების შენარჩუნება გულისხმობს ცნობიერებაში სხვების გამუდმებით არსებობას და მათ მოთხოვნილებებზე, სურვილებსა და მიზნებზე ფოკუსირებას. ზოგჯერ სხვათა მიზანი ცნობიერებაში იმდენად ფოკუსირდება, რომ ისინი პერსონალურ მიზნებად აღიქმება. კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდის მიზნები შეიძლება ძალიანაც განსხვავდებოდეს სხვების მიზნებისგან, მაგრამ კიდევ “სხვათა” მიზნების, მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკავშირდება აუკანვა-ფილება აუცილებელი მოთხოვნა გახდება მისი საკუთარი მიზნების, მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკავშირდოფილებლად. სხვისი მიზნის ხელშეწყვილის დროს ინდივიდის მიზანზე ზრუნავს ის პიროვნება, რომელთანაც ეს ინდივიდი ურთიერთქმედებს. აქედან გამომდინარე, ადამიანები აქტიურად ცდილობენ სხვათა მიზნების ხელშეწყვილას და ორმხრივი თანამშრომლობით საკუთარი მიზნების პასიურად მიღწევას. ინდივიდის მიერ საკუთარი მიზნის მიღწევა პასიურია და გაშუალებული “სხვებით” — მთავარი სხვათა მიზნებზე ზრუნვაა. სხვების მოქმედებათა ამგვარი პასიური მონიტორინგის შანსის უარყოფის დროს იაპონელები დისკომფორტს უფრო მეტად გრძნობენ, ვიდრე ამერიკელები. მაგრამ მკვლევართა აღნიშვნით, მართებული არაა ურთიერთდამოებიდებული Self-ის კონსტრუქტის შესახებ “რომანტიზმებული” ნარმოდგენა, თითქოს იგი ყოველთვის შეხმატებილებულია სხვათა ინტერესებთან; ისინი აღნიშნავენ, რომ ძალზე ხშირად გულისხმიერი და კომპერაციული მოქმედებები მხოლოდ მაშინ მუდავნდება, როცა არსებობს სხვათა კუთილი მიზნებისა და ზრახვების რჩება, კერძოდ კი ურთიერთობისა და ორმხრივი მხარდაჭერის ვალდებულების ნდობა”.

იაპონიაში მოხვედროლი უცხოელები ხშირად აღნიშნავენ ზრდილობიანობით საკვეყნოდ განთქმულ იაპონელთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდათა, საკამაოდ უხევ ქცევას ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით, უცხოელებთან. აღნერილ თვისებებს ისინი ამჟღავნებენ მირითადად თავიანთი ჯგუფის ნეკრებთან, სხვა ჯგუფის ნეკრებთან მათი ქცევა კი, ზოგირთი მევლერის ანალივია რომ მოვიშველით, ინდივიდუალისტების ქცევას ჰგავს. ამდენად, ძნელია იმის განზოგადება, რომ სხვების დახმარებისა და კონფლიქტის არიდებისკენ სწრაფა კოლექტივისტების უსირობო მახსისათებელია — ყოველივე ეს უმეტესნილად ჯგუფისადმი ერთგულების ასახვა და ჯგუფური ჰარმონიის შენარჩუნების სურვილია. უცხოებთან ეს ნორმები არ მოქმედებს.

“სხვებთან” მიმართებას ბევრი ემპირიული კვლევა მიეძღვნა. ერთ-ერთი მათგანია Kruunenberg — ისა და I. Kashima — ს ბოლოდროინდელი კვლევა, რომლებმაც “სხვებთან” მიმართების კროს-კულტურული განსხვავებები შეისწავლეს ავსტრალიელ და იაპონელ ბავშვებთან. ისინი დაეყრდნენ Man-ის, Mitcui-ს, Beswick-ის და Hartmoni-ს მიერ კვლევის შედეგებს, რომლებიც ეხებოდა ინტერპერ-

სონალური აღქმის ნიმუშებს ამ ორ კულტურაში. მათი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინტერპერსონალურ ნიმუშთა როგორც ზოგადი (უნივერსალური), ისე კულტურულად სპეციფიკური ნიმუშების გამოვლენა.

თავის დროზე *Man-i-s*, *Mitsui-i-s* *Beswick-i-s* და *Harmoni-i-s* მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ (1994) აჩვენა, რომ იაპონელი ბავშვების თაობაზე გაბატონებული სტერეოტიპი, რომ ისინი უზომო პატივს სცემენ უფროსებს, გაზიადებული და მცდარია. რეალურად კი, როგორც კვლევით აღმოჩნდა, ავსტრალიელ ბავშვებთან შედარებით, ისინი, მშობლებით დაწყებული (ძიდა ჯგუფი) და მეზობელი ბავშვებით (გარე ჯგუფი) დამთავრებული, სრულიად სხვადასხვაგვარად გამოხატავენ და განიცდიან პატივისცემას სხვადასხვა ადამიანის მიმართ.

ამ მკვლევრებმა დაწერილებით შეისწავლეს კავშირი გარკვეულ მოქმედებებსა (მაგალითად, დახმარების შეთავაზება მაშინ, როცა სხვას მძიმე ტვირთი უჭირავს) და კონტექსტს შორის. მათ კვლევაში მონაწილეობდა 11-12 წლის ასაკის 184 იაპონელი და 173 ავსტრალიელი ბავშვი, რომლებიც ავსტრენენ თრი ტიპის კითხვარს: პირველში ბავშვებს 3-ბალიან სკალაზე უნდა აღეზიშნათ, როგორ მოიქცეოდნენ გარკვეული კონკრეტული ადამიანების (6 მიზნობრივი პირის) — დედის, მამის, მასწავლებლის, საუკეთესო მეგობრის, მოზრდილი მეზობლის და თანატოლი მეზობლის — მიმართ. ყოველ კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში მიეწოდებოდათ 7, პატივისცემის გამოხატველი მოქმედების ჩამონათვალი შემდეგი სახით:

1. პატივისცემით საუბარი;
2. დახმარების შეთავაზება, როცა მას მძიმე ტვირთი აქვს;
3. მისთვის სიმართლის თქმა მაშინაც კი, როცა ეს შენთვის საზიანოა;
4. მისი მითითებით ისეთი რამეს გაკეთება, რაც არ გინდა;
5. მისთვის ადგილის დათმობა გადაჭედილ ავტობუსში;
6. თავაზიანად მისალმება;
7. მისი დაცვა იმ დროს, როცა აერიტიკებენ.

მეორე კითხვარი არსებითად იმეორებდა პირველის მასალას, მხოლოდ ამ შემთხვევაში რესპონდენტები პასუხობდნენ იმაზე, თუ ჩვეულებრივ რას აკეთებენ ხოლმე ამ კონკრეტულ პირებთან მიმართებაში აღნერილ სიტუაციებში.

ამგვარად, კვლევას ოთხდაქტორიანი დიზაინი ჰქონდა:  
კულტურა (ავსტრალია-იაპონია) — ფორმა (ვაკეთებ- უნდა ვაკეთებდე)

მოქმედება/ქცევა — პიროვნება

კულტურა განხილული იყო შუალედურ ფაქტორად, ხოლო ქცევა, ფორმა და მიზნობრივი პიროვნებები — შუალედურ ფაქტორზე დამოკიდებულ ცელადებად.

შედეგების მიხედვით, მიზნობრივ პიროვნებებთან მიმართებაში პატივისცემის ხარისხის დადგენის შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი მახასიათებელი:

კულტურული ეფექტი — იაპონელმა ბავშვებმა სხვების მიმართ ნაკლები პატივისცემა გამოავლინეს, ვიდრე ავსტრალიელებმა;

კულტურა — მიზნობრივი პიროვნებისადმი მიმართებასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა გამოავლინა, რომ მშობელ-მასწავლებელთა ანუ უფროსების და თანატოლების მიმართ პატივისცემაში მეტი განსხვავებაა იაპონელი ბავშვების ჯგუფში, ვიდრე ავსტრალიელებთან.

ბავშვთა ორივე ჯგუფი — იაპონელებიც და ავსტრალიელებიც აღიარებს, რომ სხვების მიმართ ნაკლებ პატივისცემას იჩინენ, ვიდრე უნდა იჩინდენ; ამის მიუხედავად, გამოვლინდა, რომ პრესკრიფციასა და დესკრიფციას შორის მეტი განსვლაა ავსტრალიელ ბავშვებთან.

P.Krunenberg-მა და I. Kashima -მ "მოქმედება/მიზნობრივი პიროვნება"-ზე დაფუძნებული ცხრილი სამი ძირითადი კუთხით შეისწავლეს:

1. საერთო იაპონურ და ავსტრალიურ კონტექსტურ ნიმუშთა სტრუქტურაში;

2. ამ სტრუქტურის კულტურულად სპეციფიკური ასპექტები;

3. მსგავსება—განსხვავება “ვაკეთებ—უნდა ვაკეთებდე” სტრუქტურაში.

შედეგებმა აჩვენა, რომ იაპონური და ავსტრალიური კულტურებისთვის საერთო სტრუქტურა ინტერპრეტირდება სოციალური სტატუსისა და სოციალური დისტანციის ტერმინებით შიდა და გარე ჯგუფების გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს:

1. სიმართლის თქმა და პატივისცემით საუბარი ოპოზიციური ქცევები აღმოჩნდა. ბავშვები სიმართლეს უფრო მეტად ახლო ადამიანებს (მამა, დედა, საუკეთესო მეგობარი) უუბნებიან, ვიდრე უცხოებს, მაგრამ მეტი პატივისცემით უსაუბრებიან დიდ დისტანციაზე მყოფ, გარეშე პირს, ვიდრე ახლობელს ანუ შიდა ჯგუფის წევრს.

2. მორჩილების აქტი (ანუ ის გააკეთო, რასაც მიგითოთებენ) უფრო მეტად ვლინდება მაღალი სტატუსის და ლეგიტიმური უფლების მქონე პირებთან მიმართებაში (მამა, მასწავლებელი), ვიდრე დაბალი სტატუსის (თანატოლი მეზობელი, მეგობარი) ან სოციალურად დაშორებულ, დისტანცირებულ პირებთან (მოზრდილი მეზობელი) მიმართებაში; ესაა სოციალური დისტანციისა და სოციალური სტატუსის ერთობლივი ზემოქმედების ეფექტი.

3. სოლიდარობის აქტი (კრიტიკის დროს დაცვა) უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდა ახლო ან თანასწორი სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში (დედა, ახლო მეგობარი), ვიდრე მაღალი სტატუსის (მასნავლებელი) ან სოციალურად განსხვავებულ, დიდ დისტანციაზე მყოფ (მოზრდილი მეზობელი) ადამიანებთან მიმართებაში;

4. მისაღმების აქტი უფრო თავაზიანი ფორმით მუღლავნდება სოციალურად მეტ დისტანციაზე მყოფი ბირების (მოზრდილი მეზობელი, თანატოლი მეზობელი) მიმართ.

ავტორთა აზრით, ამ ანალიზის შედეგად გამოვლენილი მოდელები მთლიანობაში შეესაბამება „კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის“ დღეს მიღებულ თვალსაზრისს. კერძოდ:

1. იაპონელმა ბავშვებმა გამოამულავნეს კოლექტივისტური ტენდენცია, მაგალითად, მისაღმების აქტი მეტი პატივისცემითაა გაედენითილი, როცა იგი შიდა ჯგუფის მოზრდილი წევრებისკენაა (დედა, მამა) მიმართული, ვიდრე დანარჩენი მიწოდებული მიზნობრივი პიროვნებების მიმართ;

2. თავაზიანად და მეტი პატივისცემით საუბრის მანერა მოზრდილ მეზობლებთან უფრო, ეილრე დანარჩენებთან, იაპონელებს მეტად ახასიათებთ, ვიდრე ავსტრალიელებს; სიმართლესა და საიდუმლოსაც ისინი უფრო შიდა ჯგუფის მოზრდილ წევრებს უმხელენ და არა „სხვებს“, მაშინ, როცა ავსტრალიელები ასე უფრო ხშირად „სხვებთან“, მაგალითად, მოზრდილ მეზობლებთან იქცევიან და „ხაზგასძლად გულწრფელები“ არიან, რაც ინდივიდუალისტურ ტენდენციაზე მიანიშნება.

გარდა ამისა, მკვლევრები მიუთითებენ გარევეულ ასპექტებზე, რომელთა ახსნა კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის ტერმინებით არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მაგალითად, ავსტრალიელი ბავშვები პატივისცემით უფრო ხშირად ესალმებიან თანატოლ და მოზრდილ მეზობლებს, ვიდრე მათი იაპონელი თანატოლები; ისინი ასევე მეტი პატივისცემით ესაუბრებიან საუკეთესო მეგობრებს. მკვლევართა აზრით, მეზობლებისა და ამხანაგების მიმართ პატივისცემის მაღალი მაჩვენებელი შეიძლება კულტურის მახასიათებელ სპეციურ ნიშნად იქნეს მიჩნეული.

მკვლევართათვის მოულოდნელი აღმოჩნდა იაპონელ ბავშვთა მონაცემი იმის თაობაზე, რომ ისინი ნაკლებად მორჩილი აღმოჩნდნენ მშობლებისა და ტენდენციური, ის აკეთონ, რასაც არა ოჯახის წევრები, არამედ მათი მეზობლები (მოზრდილი ან ტოლი) ან საუკეთესო მეგობრები ეუბნებიან, ამით ისინი ავსტრალიელებისგან განსხვავდებიან.

ეს მონაცემი — მშობლებისადმი ნაკლები და ოჯახის გარე წევრებისადმი მეტი მორჩილება, ეხმაურება ადრე ჩატარებულ

კვლევებსაც, სადაც განხილული იყო სპეციფიკურად იაპონური გარემოს ორი სახე: "უჰი" (შიდა) და "სოტო" (გარე). "უჰი" ის გარემოა, სადაც ბავშვებს "ამაერუ" — ს უფლება აქვთ ანუ შეუძლიათ მშობლების ნებართვით მეტი თავისუფლება ჰქონდეთ და თავიანთი გრძნობები სპონტანურად გამოხატონ, ხოლო "სოტო" — ში — პირიქით: ისინი ვალდებული არიან, იყვნენ მორჩილი, რადგან ამ გარემოში მოეთხოვებათ ფორმალური წესების შესრულება და შესაფერისი, ზომიერი ქცევა.

სისტემაში "ვაკეთებ — უნდა ვაკეთებდე" განსხვავება ძირითადად გამოვლინდა ერთი მხრივ, მორჩილებასა და მეორე მხრივ, კრიტიკის დროს დაცვის აქტს, შორის მამასთან და მასნავლებელთან მიმართებაში.

ავსტრალიელი ბავშვების განცხადებით, ისინი მამებს უფრო ემორჩილებიან, ვიდრე უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ მამებს უფრო უნდა იცავდნენ, ვიდრე იცავენ, და პირიქით მასნავლებელთან მიმართებაში: მას უფრო უნდა ემორჩილებოდნენ და უფრო ნაკლებად უნდა იცავდნენ.

ავსტრალიელი ბავშვების მიღწეულება, მეტი პატივი სცენ მეგობრებსა და მეზობლებს, აკტორთა აზრით, ამ კულტურის სპეციფიკურ მხარეზე მიუთითობს; შესაბამისად, "კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმის" პარადიგმის ფარგლებში ვერ აიხსნება ავსტრალიელთა პატივისცემისა და იაპონელთა მორჩილების მაღალი ხარისხი არა ოჯახის წევრებისადმი, არამედ ოჯახის გარეთ.

## § 7. თვითპატივისცემა ანუ ვინ უფრო მეტად სცემს პატივს თავის თავს — ინდივიდუალისტი თუ კოლექტივისტი?

თვითპატივისცემის დონე მეტ — ნაკლებად შესნავლითა დიდ სოციალურ ჯგუფებში — კულტურულში და რასისტულში.

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის მკელევრები დაინტერესდნენ ამ მახასიათებელთან კულტურული ტიპის კავშირით.

Markus- ისა და Kitaiama-ს ვარაუდით, გარკვეული გამოვლენილი კანონზომიერებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი Self-ის მქონეთა თვითპატივისცემა უნდა ეფუძნებოდეს უნიკალურობის შეგრძნებასა და თვითგამოხატვას, ხოლო დამოკიდებული Self-ის მქონეთათვის — კუთვნილებას, ჯგუფში ჩართულობას, მასში ადგილს, ვალდებულებების ქონას და პარმონიის შენარჩუნებას. ამგვარად, თეორიულად შესაძლებელია იმის დაშვება, რომ თვითპატივისცემა კავშირშია კულტურით გაპირობებულ Self-სტრუქტურასთან.

გარდა ამისა, ისევ ემპირიული კვლევების მონაცემებით, სხვა კულტურული განსხვავებებიც არსებობს პიროვნულობის გამოვლინებებში, მაგალითად, ამერიკელები ნარმატებასა და პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ, ჰოზგ-კონგელი ჩინელი სტუდენტები კი ნარმატების პირობად პირად აქტიურობას ნაკლებად მიიჩნევენ; ამასთან, ისინი ძლიერად რეაგირებენ მაშინ კი არა, როცა პირადად მათ შეურაცხყოფენ, არამედ მაშინ, როცა მათ ჯგუფს შეურაცხყოფენ.

ამ და მსგავსი მონაცემებიდან გამომდინარე, მეცნიერებმა კვლევით შეამოწმეს ორი პიროვნება:

1. რაც უფრო ინდივიდუალისტურია კულტურა, მით უფრო მჭიდრო კავშირია დამოუკიდებელ Self-სა და თვითპატივისცემას შორის;

2. რაც უფრო კოლექტივისტურია კულტურა, მით უფრო მჭიდრო კავშირია დამოუკიდებულ Self-სა და თვითპატივისცემას შორის.

Self- აქ გაგებული იყო, როგორც აზრების, გრძნობების და ქცევის ერთაზობა (თანავარსკვლავედი) "სხვებთან" კავშირში და "სხვებისგან" დამოუკიდებლად.

ემპირიულმა კვლევამ ეს პიპოთეზები არ დაადასტურა. ამ ფაქტის ასახსნელად მკვლეერები მიუთითებენ ორ სავარაუდო მიზეზზე: თვითპატივისცემის ფენომენის შესაძლო უნივერსალურობაზე, ან კიდევ გამზომი ინსტრუმენტის უვარვისობაზე მოცემული შემთხვევისთვის.

ამგვარად, კვლავ ბუნდოვანია საკითხი: ვინ მეტ პატივს სცემს თავის თავს?

## § 8. ემოციები და ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი.

ემოციათა შესწავლა კულტურათა შესწავლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ მიიჩნევა. შეცნიერებაში უკვე დიდი ხანია დაგდენილია, რომ სოციოკულტურული ზეგავლენის შედეგად ადამიანი შეიძნეს ექსპრესიულ ჩვევებს, აფიქსირებს გარევეული ტიპის ურთიერთყავშირს გამტიზიანებელსა და ემოციას შორის; პროსოციალური ქცევის მოტივად უცილობლად მიიჩნევა აჯექტური რეაქცია. სწორედ ემოციები ადეტერმინირებს კონკრეტულ თანმხლებ ქცევით პატერნებს (Kerron მ. ივარდ; 2000 გვ. 31; 382).

ევოლუციონისტური და ბიოლოგისტური თეორიები განცდად ემოციებს, ყველას თუ არა, ბაზისურს მაინც, მიანერენ უნივერსალურობას; სოციალური კოგნიტივისტები მათ უფრო სოციალურად ნარმოქმნილად მიიჩნევენ და არა ბიოლოგიურ მდგომარეობებად.

კულტურათა კვლევისას მეცნიერებს აინტერესებთ:

1. ინდივიდები ყველა კულტურაში ერთი და იგივე ემოციებს განიცდიან?

2. არსებობს განსხვავებები ემოციათა განცდის, გამოხატვის სიხშირის, ინტენსივობის და ა.შ. მიხედვით სხვადასხვა კულტურაში?

კულტურების კვლევაში ხშირად იყენებენ ემოციებისადმი და-მოკიდებულების ტესტს. რესპონდენტებს რამდენიმე შეკითხვას აძლევენ, უჩვენებენ რაიმე (ფოტო, ვიდეო) მასალას დაეკითხებიან: “რომელი ემოციაა თქვენთვის ყველაზე უფრო გასაგები (გაუგებარი)?”, ”ყველაზე მეტად რომელი ემოციის გეშინიათ?” და ა.შ.

უფრო ადრინდელმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომყველა დანარჩენ გამოკითხულ კულტურულ ჯგუფებთან შედარებით, ბერძნებისთვის ყველაზე ადვილად იდენტიფიცირებადი (გასაგები) აღმოჩნდა სირცევილი. ეს შედეგი იმით ახსნეს, რომ ისინი ურთიერთობის მოყვარე და ემოციურად ექსპრესიული ხალხია: გახსნილობის გამო ტკბებიან ურთიერთობით, თავდაჯერებულობა კი ეხმარებათ, წინააღმდეგობა გაუწიონ სირცევილის გამომწვევ წყაროს.

ამის საპირისპიროდ, იგივე ემოცია ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი აღმოჩნდა იაპონელებისთვის და ამ ფაქტის ახსნაც იაპონური კულტურის სპეციფიკაზე დაყრდნობით მოხდა: აქ სირცევილი, პირველ რიგში, ოჯახის სახელს უკავშირდება და, ამდენად, ადამიანისთვის მისი პროვოკირება დიდი ცოდვასთანაა მიმღელი. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ იაპონელებს ყველაზე უფრო ეჭინიათ “ზიზღის”; ეს უკანასკნელი მიზეზ-შედეგობრივ მიმართებაშია სირცევილთან, “ზიზღის” გამოწვევა იაპონელისთვის შერცხვენის (“თავის მოქრის” ) ტოლფასია — სამურაის კოდექსით, თუ კაცს ზიზღით შეხედეს, ან ის უნდა მოკლას, ვინც შეხედა, ან თავი უნდა მოიკლას (Kerron E. Izard; 2000, გვ. 358-359).

სხვადასხვა ემოციის მიმართ ეთნიკური განწყობების კვლევამ გამოავლინა, რომ ევრონარმომავლობის ამერიკელებს ჩინურ-იაპონური წარმომავლობის ამერიკელებთან შედარებით, სირცევილის იდენტიფიკაცია კიდევ უჭირთ და ცუდადაც ესმით (იგივე; გვ. 360).

კულტურული განსხვავებები აისახება ემოციების აღმნერი კატეგორიების მრავალფეროვნებაშიც. სხვადასხვა კულტურაში განცდად ემოციათა ბუნებასა და ხასიათზე ინფორმაციის წყაროა ამ კულტურების ემოციური ლექსიკონი. ეთნოგრაფიული და ლექსიკური კვლევების მიხედვით არსებობს დიდი განსხვავება სხვადასხვა ქვეყანაში ემოციური ლექსიკონის მოცულობაში, თუმცა ასეთი კვლევები ცოტაა.

ცხადია, ეს ვითარება ინტერპერსონალურ ურთიერთობათა სტილზეც ახდენს გავლენას (Triandis H.C. 1994).

ბოლო პერიოდის კვლევებიდან ემოციათა კულტურული სპეციფიკის შესწავლაში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს H. Markus — მა და S.Kitaiama — მ, რომლებმაც ემოციების თაობაზე ეთნოლოგთა და ემპირიკოს-მკვლევართა მონაცემების გაანალიზების გარდა, ეს ფენომენი ემპირიულად ძევინავლება.

H. Markus — მა და S.Kitaiama — მ აღმოჩინეს, რომ კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურებში ემოციები მათი მნიშვნელობის მიხედვითაც განსხვავდებიან და გამოვლენის თვალსაზრისითაც. მათ კულტურის ტიპის მიხედვით ერთმანეთისგან გაარჩიეს ორი კატეგორიის ემოცია: ეგო-ფოკუსური და “სხვაზე” — ფოკუსური.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ბრაზი, ფრუსტრაცია და სიამაყე. მათი უმთავრესი რეფერენტია ინდივიდის შინაგანი მახასიათებლები, დამოუკიდებელი Self- “ექსპერტია” ემოციების განცდისა და გამოსახატავად — ისინი ხელს უწყობს Self-კონსტრუქტის, როგორც ავტონომიური მთლიანობის განმტკიცებას.

შინაგანი ატრიბუტების გამოვლენაში ინდივიდი საზოგადოებაში შეიძლება მიიყვანოს კოოპერაციული სოციალური ინტერაქციის რღვევასთან, რასაც ინტერპერაციონალური კონფრონტაცია, კონფლიქტი და პირდაპირი აგრესიაც კი შეიძლება მოყვეს. ასეთი შედეგი კი დამოუკიდებული Self-თვის ძალზე მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს, რამდენადაც მისი მიზნები მკვეთრად განსხვავდება დამოუკიდებელი Self-ის მიზნებისგან. ამდენად, ეგო-ფოკუსური ემოციები უფრო მეტად და ხშირადაც თავს ავლენს ინდივიდუალისტურ კულტურებში.

“სხვაზე” — ფოკუსური ემოციების — სირცხვილი, სიმპათია, ინტერპერაციონალური ერთობის გრძნობა — უმთავრესი რეფერენტი სხვა ადამიანებია. ისინი უფრო მნიშვნელოდი და აქტიურად ფუნქციონირებადია კოლექტივისასტურ ქადაგებში. ესაა სხვათა მიმართ მგრძნობიარობის, სხვათა პერსპექტივიდან ხედვის, ურთიერთდამოკიდებულების ხელმემყობი ემოციები. ამ ტიპის ემოციათა განცდა აძლიერებს ურთიერთობათა მნიშვნელობას, მომავალ კოოპერაციულ ქცევას, მოქმედებათა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობებს. ამიტომ დამოუკიდებული Self-კონსტრუქტი სწორედ ისეთი ემოციების განცდასა და გამოხატვას მართავს, რომელიც მიმართულია Self-კონსტრუქტის, როგორც ურთიერთდამოკიდებული მთლიანობის შენარჩუნებაზე და განმტკიცება-გაძლიერებაზე.

ავტორები კოლექტივისტური საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ემოციებთან დაკავშირებით აღნიშნავენ ერთ დამაფიქრებელ ნიუანსს. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის Self- კონსტრუქტი ამუხრუქებს ინდივიდის მიერ შინაგანი მდგომარეობების გამოხატვას, ამ-

დენად, ემოციები, რომელიც საზოგადოებისთვის მიუღებელია და ხელს უშლის ინდივიდის განმტკიცებას, ამჟღავნებენ ამბივალენტობის, ხოლო შეძვომ — საზოგადოებისთვის მისაღები პოლუსის განმტკიცების ტენდენციას. ასეთი ამბივალენტურობა — გაუბედაობა, მორცხვობა, რომელიც დამოუკიდებელი Self-თვის ნეგატიურად აღიქმება, დამოკიდებული Self-თვის “ცხოვრების ბიზნესია”, რადგან სხვებთან კავშირის შენარჩუნებასა და შექმნას უწყობს ხელს. ამგვარად, ეგო-ფოკუსური ემოციები კოლექტივისტურ კულტურებში ინტერპერსონალური ურთიერთობების მეორად და თანმხლებ შედეგად განიცდება — მათ ქცევის რეგულატორის პრივილეგიური სტატუსი არ მიენიჭება.

საერთოდ, ანთროპოლოგთა მონაცემებით, სოციალური რეალობა ისე კონსტრუირდება, რომ ინდივიდი არ მიმართავს ნეგატიური ეგო-ფოკუსური ემოციების ძლიერ განცდას. ანთროპოლოგთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს კოლექტივისტურ საზოგადოებებში ამ ვითარების თვალსაჩინოებას. მაგალითად, ტაიტიში სიბრაზის ძალიანაც ეშინიათ და არც გამოხატავენ, ხოლო ესკომისები, იმ სიტუაციაშიც კი, რომელიც ამერიკელებში სპონტანურ ლანძლვა-გინებას ინვევს, სიბრაზეს არც ამჟღავნებენ და არც ახსენებენ, ხოლო უცხოელთა მიერ გამომჟღავნებული აგრესის მიმართ იყენებენ სიტყვას — “ბაგშეური”. მართალია, არ ასწავლიან “ბუნებრივი” სიბრაზის დათრგუნვას, მაგრამ ისწავლება სხვებით დაინტერესება, პატივისცემა, ნებისმიერ სიტუაციაში თავაზიანობის ღირებულება; სწორედ ამის შედეგად მიიჩნევენ ნაკლებ აგრესიულობას ამგვარ კულტურებში.

H. Markus — მა და S. Kitaiama — მ გამოავლინეს და გაანალიზეს ემოციათა აღმნერი ტერმინები და მათი სპეციფიკა იაპონიაში. მათ გამოავლინეს ისეთი ცნებები, რომლებიც სხვების არსებობასწინასწარ ვარაუდობენ; მაგალითად, “amae” — თანმხლები იმედის განცდა, რომელშიც “სხვა” უარსებითესი ატრიბუტია, “fureai” — სხვებთან წარმატებაზე უფრო ძლიერი პოზიტიური კავშირის განცდა, “oime” — ინტერპერსონალური იზოლაცია და კონფლიქტი, ვალდებულების უქონლობის განცდასთან დაკავშირებული, “shitashimi” — ფამილიარულობა, “tukeagari” — საეუთარი თავის მნიშვნელადობის გამო გაფხორვა (“ცხვირაბზეკილობა”) და სხვ. იაპონელები განსაკუთრებით ადიფერენცირებენ იმ ემოციებს, რომლებიც მომდინარეობს სხვა ადამიანის მიმართ ვალდებულების განცდისგან, შესაბამისად, ამ კულტურაში დავალებულობა სხვა ადამიანისგან ძლიერ ემოციებს იწვევს.

ავტორთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ჩართულობა-ჩაურთველობის განზომილება არის ემოციურ მდგომარეობათა აღმნერი ტერმინების

ძირითადი მაკლასიფიცირებელი ნიშანი (Hazel Markus; Shinobu Kitayama, 1991).

ემოციები სპეციფიკური აღმოჩნდა საზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვითაც. მაცუმონტოს მიერ ხუთ კულტურაში ემოციების კვლევამ გამოავლინა, რომ ძლიერად იერარქიზებულ კულტურებში, სადაც Self- ურთიერთდამოკიდებულია, სიბრაზის, შიშისა და სევდის გამოვლინების ინტენსივობა დაბალია, იმავდროულად, ასეთ კულტურებში, ავტორის აზრით, სავარაუდო ამგვარ ემოციათა ნაკლებად ადეკვატური იდენტიფიცირება.

მაცუმონტოს კვლევის შედეგებით, რომელიც მან ხუთ ქვეყანაში ჩაატარა, ემოციები მნიშვნელოვან კავშირშია საზოგადოების ზოგიერთ მახასიათებელთან. მაგალითად, ემოციები უფრო დათრგუნულია იერარქიულ საზოგადოებებში; იერარქიულობასთან ერთად, ისინი უფრო ძლიერადა შეჭიდული საზოგადოებაში ძალაუფლებრივ დისტანციასთან ან ვერტიკალურ კოლექტივიზმთან, ვიდრე Self-ის ჟიპთან, ან ე.წ. ურთიერთობრივ ანუ პორიზონტალურ კოლექტივიზმთან. (Berry J.W et all... 1992).

ემოციათა გამოხატვის სიხშირესა და გამოვლენაშიც არსებობს კულტურული განსხვავებები. სახის ექსპრესიულ გამომეტყველებასაც და მის მისალებობა-მიუღებლობასაც კულტურული კონტექსტი განაპირობებს. ამ მოვლენას Ekman-მა და Friesen-მა ემოციების "ჩვენების" კულტურულად განპირობებული წესები უწოდეს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად ბოლო პერიოდის ნაშრომები ამ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნება "თავისი" და "სხვა" ჯგუფის მნიშვნელადობა.

Matsumoto თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა კულტურაში ენიჭება იმის დასწავლას, თუ რამდენად შეიძლება "თავისიანებთან" და "უცხოებთან" ემოციების ჩვენება.

ასე, მაგალითად, ამერიკელებმა უფრო მისალებად მიიჩნიეს მრისახნების, ზიზლის და შიშის გამოვლინება ნათესავებთან და მეგობრებთან და არა უცხოებთან, რომელთა თანდასწრებითაც მათ ყოველთვის ოპტიმისტური გამომეტყველება უნდა ჰქონდეთ. უნგრეთში, პოლონეთში და აშშ-ში ჩატარებულ ექსპერიმენტში კი აღმოჩნდა, რომ პოლონელებმა და უნგრელებმა "თავისიანებთან" დადებითი ემოციების ჩვენება არჩიეს, ხოლო "უცხოებთან"—უარყოფითი ემოციებისა — აღმოსავლეთ ევროპელების აზრით, ასე გუნებას არ გაუფუჭებენ თავისიანებს (Matsumoto D. 1996). ამ მონაცემით, ისინი კოლექტივისტები არიან.

ჩინელები და ამერიკელები სხვადასხვა სიტუაციაზე ბრაზდებიან. მათ მიერ აღნერილი სიბრაზის გამომწვევი სიტუაციები ერთმანეთისგან განსხვავდება: Stipek-ის, Weiner-სა და Li-ს მონაცემებით (1989), ამერიკელები აღნერენ სიტუაციებს, რომელიც პირადად

მათ გადახდათ, ჩინელები კი — სიტუაციებს, რომელიც სხვა ადა-  
მიანებს გადახდათ.

## § 9. ვინ უფრო მეტად და როგორ შფოთავს?

მეცნიერთა ჯგუფი (T.M. Singelis, M.H. Bond, W.F. Sharkey, H.Siu Yiu Lai) შემთხვევით არ დაინტერესდა ამ საქითხით, როცა 1999 წელს მას სპეციალური კვლევა მიუძღვნეს.

საქმე ისაა, რომ შფოთვა ემოციური თვალსაზრისით ნების-  
მიერი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი მომენტია. იგი მნიშვნელოვანი  
ფაქტორია სოციალზაციაშიც და ეხმარება ბავშვს კულტურული  
ნორმების შეთვისებაში, რაც გახდება სანციისბითა და საზოგადოე-  
ბის მიერ სხვადასხვა მარეგულირებელი მექანიზმებით. ბუნებრივია,  
რომ სხვების მიერ ინდივიდის შეფასება კულტურაში მჭიდროდაა  
დაკავშირებული შფოთიანობასთან. „სხვების“ არსებობა შეიძლება  
იყოს რეალური, ნაგულისხმევი ან წარმოსახული, მაგრამ თვით  
„არსებობის“ ფაქტი ნებისმიერი სახით, ყოველთვის აუცილებელი  
პირობაა შფოთისთვის — „იგი ქცევას, მისაღებ კონფორმიზმსა და  
სხვის სიამოვნებას შორის არსებული კავშირის ასახვაა“; გადამწყ-  
ვეტი ისაა, სხვაზე რა შთაბეჭდილებას ტოვებდ.

მკლევართა აღნიშვნით, „სხვაზე მგრძნობიარე“ და საზოგა-  
დოებრივ იმიჯზე ძალზე მზრუნველი სუბიექტები უფრო შფოთი-  
ანები არიან, ვიდრე თავის თავზე და მეობაზე ორიენტირებული.

კლასიკური გამოკვლევებით, დასავლურ კულტურაში ცნო-  
ბილია, რომ Self-შფოთიანობა კორელაციაშია ენზაიტთან, მორცე-  
ვობასთან, ნევროტულობასთან, უარყოფითი შეფასების შიშთან,  
სოციალურ-ფისიკოლოგიურ ენზაიტთან და აქცენტირებასთან სო-  
ციალურ შედარებზე.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, შფოთიანობა სოციალურ  
კონტექსტთან დაკავშირებით ემსახურება სოციალურ ლირებულე-  
ბებს და შემგუებლის ფუნქციას ასრულებს; სწორედ ამიტომ  
კოლექტივისტურ კულტურებში განსაკუთრებითაა შესაძლებელი  
შფოთის ქცევა ისეთ უნარად, რომელიც აჩენს ჯგუფური ნორმების  
შესრულებისა და ჯგუფში განმტკიცების მოთხოვნილებას, ეს ორი  
კომპონენტი კი ნარმატის აუცილებელი პირობაა.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით Singelis-მა და Sharkey-მ აღ-  
მოაჩინეს (1995), რომ შფოთი პოზიტიურ დატვირთვას შეიძენს და-  
მოკიდებული Self-ისთვის და ნეგატიურს — დამოუკიდებელი Self-  
ისთვის.

ამ მოსაზრებებსა და მონაცემებზე დაყრდნობით, მკლევართა  
ჰიპოთეზით, ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებს

შორის განსხვავებების გამოვლენა შესაძლებელია შფოთიანობის დონის მიხედვით.

კვლევაში გამოიყენეს ოთხნაწილიანი კითხვარი:

1. Singelis-ის (1994) SCS-სკალა რესპონდენტთა აზრების, გრძნობებისა და ქცევების გასაზომად; მასში ორივე ტიპის Self- მოცულებია ცალკეულ განზომილებებად; დამოუკიდებლობის სუბსკალა შედგება სამი პუნქტისგან და სხვადასხვა კონსტრუქციას აღნერს, მაგალითად, “შომწონის ვიყო უნიკალური და სხვებისგან ბევრი რამით განსხვავებული”; მიჯაჭვულობის სუბსკალა შედგება ორი პუნქტისგან — “ჩემი ბეჭინიერება დამოეცდებულია ჩემს გარშემო მყოფთა ბეჭინიერებაზე”. შეფასებისთვის გამოიყენება 7-ბალიანი სკალა “მთლიანად ვეთანხმები — სულ არ ვეთანხმები” საზღვრებით.

2. Modigliani-ს 26-პუნქტიანი შფოთიანობის სკალა, მაგალითად, “წარმოიდგინე, ხალხმრავალ ადგილზე წაიქეცი და ჯიბიდან ნავაჭრი ამოგიცვიუდა”; პასუხი აქაც ფიქსირდებოდა 7-ბალიან სკალაზე (“სულ არ ვიუხერხულებ — ძალიან ვიუხერხულებ”);

3. Rosenhberg-ის Self-ის პოზიტიური და ნეგატიური შეფასების გამზომი თვითპატივისცემის სკალა, შედგებოდა ათი პუნქტისგან (“მე სხვაზე უფრო ლირსეული ადამიანი ვარ”); გამოიყენეს 4—ბალიანი სკალა საზღვრებში “მთლიანად — სრულიად არ ვე-თანხმები”.

4. დემოგრაფიული ბლოკი.

კითხვარი ორენვეანი იყო(ინგლისური და ჩინური); რესპონდენტები შეირჩა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ეთნოეთულ-ტურული ჯგუფებისადმი კუთვნილების პრინციპითაც და შეიქმნა სამი საკვლევი ჯგუფი: 1) ჰონგ-კონგელი ჩინელები — ჰომოგენური კოლექტივისტური ჯგუფი; ორი) კონტინენტული ინდივიდუალისტები — ამ ჯგუფში თავი მოიყარა იმან, ვინც თავი ეპროამერიკელებთან გააიგივა; სამი) შუალედური ჯგუფი — პავაილი აზიელ-ამერიკელები, კონტინენტზე მცხოვრები ჩინელები, იაპონელები, კორეელები და ამერიკელი ფილიპინელები.

შედეგების მიხედვით, გამოვლინდა შფოთიანობის ორი ტიპი: Self — შფოთიანობის და ემპათიური შფოთიანობის; აღმოჩნდა, რომ “დამოუკიდებელი Self ” უფრო მჭიდროდ უკავშირდება Self — შფოთიანობას, ხოლო “დამოკიდებული Self ” — ს ორივე ტიპის შფოთიანობა ერთნაირად ახსიათებს. (T.M. Singelis, M.H. Bond, et all; 1999).

## §10. ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა — კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი

ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომის პრობლემის შესწავლაში კულტურის ტიპის მიხედვით, ცნობილი ამერიკელი მეცნიერების — Nisbett-ისა და Ross-ის აღნიშვნით, დასავლეთელი მეცნიერებისთვის საემაოდ მოულოდნელი შედეგები გამოავლინა.

ჯერ Joan Miller-ის მიერ 1984 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ინდოელები მომზდარი მოვლენის სიტუაციური და კონტექსტური ფაქტორებით ახსნისკენ ამერიკელებზე უფრო მეტად არიან მიღწეული.

თავის ექსპერიმენტში Miller-ი ექსპერიმენტის მონაწილეებს სთხოვდა ცოტა ხნის წინ რომელიმე კარგი ნაცნობის მიერ ჩადენილი “კარგი” ან “ცუდი” საქციელის ჯერ აღნირას, მერე ახსნას. ეს ახსნები მკვლევარმა დაყო კატეგორიებად. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ზოგადი, პიროვნულ-დისპოზიციური (“გულუშვი” ან “მოუქნელი”) და კონტექსტური (“იქ ბელოდა” ან “არავინ იყო, რომ დახმარებოდა”) ახსნები. აღმოჩნდა, რომ ნეგატიურ ან გადახრილ ქცევას ამერიკელები ზოგადი, პიროვნულ-დისპოზიციური ტერმინებით ხსნიდნენ 45% შემთხვევაში, ხოლო ინდოელები — 15 %.

ანალოგიურად აახსნევინეს დადგებითი და პროსოციალური ქცევებიც. ამერიკელები დისპოზიციურ ახსნას მიმართავდნენ 35% შემთხვევაში, ხოლო ინდოელები — 22%; გადახრილი ქცევის ას-ახსნელად ინდოელები კონტექსტით ახსნას მიმართავდნენ 32% შემთხვევაში, ხოლო ამერიკელები — 14%; პროსოციალური ქცევის ახსნისას — ინდოელები კონტექსტს 49% შემთხვევაში იყენებდნენ, ამერიკელები კი — 22% შემთხვევაში.

ამ ახსნებს შორის განსხვავებები თვითონ აღნერილი ქცევების განსხვავებებით რომ არაა გამოწვეული, ამას საჩვენებლად მკვლევარმა საკონტროლო (Nisbett-ისა და Ross-ის სიტყვებით “ელეგანტური”) შეპირისპირებას მიმართა: მან ამერიკელ მონაწილეებს იმ ქცევების ახსნა სთხოვა, რაზეც ინდოელები დაპარაკობდნენ. ამერიკელებმა ეს ქცევებიც იგივე პირობორციული კანონზომიერებებით ახსნეს, რითაც “საკუთარი” ქცევები — იგივე თანაფარდობით გამოიყენეს დისპოზიციური და კონტექსტური ტერმინები (Ross, P. Hiscbet, 2000; გვ. 301-303).

ნიშნავს ეს მონაცემი იმას, რომ კოლექტივისტები, ინდივიდუალისტებთან შედარებით, ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომას ნაკლებად უშვებენ? ან რამდენად “ფუნდამენტურია” ეს შეცდომა?

ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა რომ ნამდვილად “ფუნდამენტურია”, ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ ორივე ტიპის კულტურაში — ინდივიდუალისტურშიც და კოლექტივისტურშიც იგი

სერიოზულ დაცს ადებს ადამიანის ქცევას. მაგალითად, ბრიტანეთში, ინდოეთში, ავსტრალიასა და აშშ—ში მკელევრებმა გამოაქცინებს, რომ ადამიანთა ატრიბუცია (ანუ მოვლენისთვის მიზეზების მიწერა) განსაზღვრავს მათ პოზიციას დარიბებისა და უმუშევრების მიმართ. ის, ვინც სილარიბებსა და უმუშევრობას თვით ადამიანთა პირად თვისებებს მიანერს (“უბრალოდ, ზარმაცები არიან, ამიტომაც არავითარ თანაგრძნობას არ იმსახურებენ”), როგორც ნესი, ისეთ პოლიტიკას მიესალმებიან, რომელიც დარიბებსა და უმუშევრებს არ უთანაგრძნობს; ასეთ პოზიციაზე მდგომი ხალხის შეხედულებები იმათი შეხედულებებისგან განსხვავდება, ვინც მსგავს მდგომარეობას გარემოებების შედეგად მიიჩნევს (“მე და თქვენ რომ იძულებული ვყოფილიყავით, ასეთივე განათლებით, ასეთივე დისკრიმინაციის პირობებში ამ საშინელ სივინროვეში გვეცხოვრა, უკეთესი ვიქენებოდით?”).

ფრანგი მკვლევრები ბოვუა და დიუბუა აღნიშნავენ, რომ ატრიბუციასთან დაკავშირებით ვყელა კულტურაში მოქმედებს სოციალური მდგომარეობის, პრივილეგიის ფაქტორი. მათი აზრით, მაგალითად, საზოგადოების საშუალო კლასის “შედარებით პრივილეგირებული” ნარმობადგენლები უფრო მეტად იქნებიან მიდრეკილი ქცევის ახსნისენ მინაგანი ფაქტორებით განპირობებულად, ვიდრე ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ფენის ნარმობადგენლები (Majercs D 2000; გვ. 109-110).

დასავლეური და არადასავლეური კულტურების (უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა, ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურების) შედარება ავლენს, რომ არადასავლეურ კულტურებში ადამიანზე სიტუაციური ფაქტორების გავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლეურში. გარდა ამისა, კოლექტივისტური კულტურა უფრო მეტად, ვიდრე ინდივიდუალისტური, მიდრეკილია პიროვნება მისი მიღწევა-ნარმობატებლობებით განიხილოს გარემოებების კონტექსტში ეუთვილებითი ჯგუფისა და სტატუსის გათვალისწინებით; შესაბამისად, მოვლენათა აღქმა — ინტერპრეტაცია ინდივიდის მიერ უფრო მეტად გარემოებებს ითვალისწინებს და ნაკლებად — პიროვნების ინდივიდუალურ მონაცემებს. ამგვარი ვითარების გამო, ზემოთმოყვანილ ექსპერიმენტში, ვთქვათ, ინდოელთა მიერ სიტუაციის ბუნების უფრო ღრმა ნედლობა კი არ ვლინდება, არამედ ის, რომ ისინი სხვა რამეს, კერძოდ კი, ქცევის სიტუაციით განპირობებულობას ხსნიან — ასეთი ქცევა მათთვის უფრო ბუნებრივი და ჩვეულია. ორივე ფაქტორი ჭეშმარიტია, რადგან სიტუაცია ქცევის ძლიერი დეტერმინატორიც შეიძლება იყოს და უფრო თვალშისაცემი ამხსნელიც. ამგვარად, კოლექტივისტი ნაკლებად უშვებს ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას (Росс, Р. Нисбет, 2000; გვ. 300-301)

## §11. კოლექტივის ჭირობულები (ფილიპინელის მაგალითი)

ფილიპინელთა მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ფილიპინელთა ფსიქოლოგიური ფუნქციები უფრო რეცეპტიული ფორმითაა წარმოდგენილი, ვიდრე აქტიური კოგნიტური; მათი რეცეფციულობა ხასიათდება რეალობის მიმღებლობით, გამოცდილებისადმი ლიან-ბით, ინტეინტურობითა და არარაციონალურობით, მიზანზე აქტიური ორიენტირებულობით; ბუნებას უფრო ვგუებიან, ვიდრე ცდილობებ მასზე გაბატონებას; სამყაროსადმი ფატალისტური მიმართების მიუხედავად, შეუძლიათ მოვლენათა მსვლელობის ხელში აყვანაც.

გამოყოფენ მათ მნიშვნელოვან პიროვნულ თვისებებს (ლირებულებებს): საქმისათვის თავის მობმის უნარი, სირცხვილის განცდა ("სირცხვილის მდევარინი" ვახუშტი ბატონიშვილის ტერმინოლოგით), გულუხვობას, სიფრთხილეს, სხვათა განცდების თანაგრძნობას, მომთმენობას. ამას ვარდა: სტუმარობობულებას, აკურატულობასა და სისუფთავის მაღალ სტანდარტებს ადამიანის და სახლის მოვლაში.

უკელაზე მნიშვნელოვან ლირებულებებად იხსენიება მჭიდრო ოჯახური კავშირები, აუტორიტეტის პატივისცემა, Self-ის ემოციური კონტროლი, თავაზიანობა და მეგობრულობა, სხვების გათვალისწინება, სტუმარობობულება, სიმამაცე და გამტლეობა, ეკონომიკური პროგრესის სურვილი.

ბავშვებთან დაკავშირებით ფილიპინელები უკელაზე ხშირად ახსნებენ პატივისცემას, მორჩილებას, თავაზიანობას, თავმდაბლობას, თავდადებული შრომის უნარს, მზრუნველობას და სითბოს სხვების მიმართ; საქორნინო და მშობლურ როლებთან მიმართებაში — მეორე ადამიანისთვის მნიშვნელადობას (ლირებულებას), გაგებისა და ურთიერთობის უნარს, ეკონომიკური დაცვის უზრუნველყოფაზე ორიენტაციასა და შეძლებას.

ფილიპინელთა მკელევრები (Linch) განსაკუთრებით გამოყოფენ ფილიპინელთათვის დამახასიათებელ განონასწორებულ, ერთგვაროვან ურთიერთობებს, რომელსაც მიიჩნევენ ფილიპინელთა ბაზისურ სწრაფვად; იმავდროულად, იგი გამუალებელი მიზნობრივი ინსტრუმენტის როლს ასრულებს სოციალური გამართლების მისაღწევად. ესაა "სხვებთან ურთიერთობებში სიმსუბუქე კონფლიქტის გარეგნული ნიშნების თავიდან ასაცილებლად". იგი გულისხმობს მიმღებლობას რთულ ვითარებებშიც კი, სხვისი ქცევისადმი მიგუებას და სხვისი განცდებისადმი მგრძნობიარობას. უნდა აღინიშნოს, რომურთიერთობის ეს ტიპი თუმცა კი ლირებულია ფილიპინებზე, მაგრამ ძირითადად მამაკაცებისთვის, დაბალი განათლებისა და

სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდებისა და სოფლის მცხოვრებთათვის.

ურთიერთქმედების ურთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მკვეთრად გამოხატული ფორმაა *utang na loob*, რომელიც ითარგმნება, როგორც “სანყისი გალდებულების ვალი” ან “შადლიკრების ვალი”. ასეთი ურთიერთობა მაშინ მყარდება, როცა შეთავაზებული ძლვენი მიღება მავანის მიერ, მაგრამ შემდეგ კი მიმღებმა ან ვალი უნდა გადაიხადოს, ან ძლვენის მიმცემს ნებისმიერი თხოვნა უნდა შეუსრულოს. ამგვარად, გადახდას შეტყი ლირებულება მიეწერება, ვიდრე ჩატებას. ძლვენის მიღების უარყოფისას ან ამ ურთიერთობის დამყარებისას ჩართულია ძალზე მნიშვნელოვანი ემოციები და სირცხვილის გრძნობა. უმაღური, ვალდებულების არშემსრულებელი ინდივიდები სოციალურმა ჯვარმა შეიძლება დაავარიმოს ან გარიყოს კიდეც.

იმის მიუხედავად, რომ *utang na loob* ზოგადად დადებით ლირებულებად განიხილება, ზოგიერთი მას ქრთამის აღებასთან აიგივებს, ხოლო თანამედროვე ფილიპინელთა უმრავლესობას მის მიმართ საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს და ყველანაირად ცდილობს ამგვარი დავალიანების თავიდან არიდებას.

ასეთივე მნიშვნელოვანია ფილიპინურ პიროვნულობაში *hiya* და *amor* *proprio*. პირველი წარმოადგენს “საზოგადოებასთან ან მავანთან ურთიერთობისას გაჩენილ მტკივნეულ ემოციას, რომელიც ზღუდავს თავისთავადობას და მე-სთვის საფრთხედ აღიქმება”. იგი მოიცავს უკარისისბის, შფოთისა და თავისთავადობის ლირსების დაკარგვის საფრთხის განცდას. მისი ფსიქოლოგიური ბაზისია უსაფრთხოების ძიება არა საკუთარ თავში, არამედ სოციალურ ჯგუფში.

ამშ-ს ნორმებთან შედარებისას ფილიპინელებს ახასიათებენ ნაკლები ეგზგიბიციონიზმით (მეტი მოკრძალებულობით), დაბალი ავტონომიურობით ურთიერთობებში (*dlooyeri* მიჯაჭვულობით, მტიდრო ემოციური კავშირების მაღალი ლირებულებით), დაბალი აფილაციით (უცხოსთან პირისპირ ურთიერთობის მიმართ შეიოთით), *dlooyeri* დამცირება — *dlooyeri* ბატონობისკენ ორიენტაციით (*dlooyeri* პიროვნული ეონტროლისა და ავტორიტარიზმის სისტემისთვის უპირატესების მინიჭებით), დაბალი ჰეტეროსექსუალობით (სექსის საზოგადოებრივ მანიფესტაციაზე *dlooyeri* ტაბუთი); მტრული სურვილების ჩახშობით, *dlooyeri* აგრესიაზე ორიენტაციით (მესაძლოა *dlooyeri* აკრძალვა-კონტროლის გამო), უცვლელობის ტენდენციით და მეაცრი ნესრიგის მოთხოვნილებით (ძალზე სტრუქტურირებული, ტრადიციული გარემოს მოთხოვნილებით).

*Amor proprio* არის “პიროვნული ლირსების ძლიერი შეგრძნება” ან “მგრძნობელობა პიროვნული შეურაცხყოფისადმი” (“თავმოყვარეობა” — ქართული ტერმინოლოგიით). იგი გულისხმობს Self-პატივისცემას, მაგრამ არ საჭიროებს Self –დაჯერებულობას (ანუ თავდაჯერებულობას); როგორც პიროვნული ლირებულება, იგი მოიცავს პიროვნულ ლირსებას, Self-პატივისცემას (“საკუთარი თავის პატივისცემა”)<sup>1</sup> და სიამაყეს.

ფილიპინენდები მშობლების, უფროსებისა და ავტორიტეტების პატივისმცემელი ხალხის. ძირითადად ავტორიტარული სოციალურიაციის პრაქტიკა აქვთ: ბავშვებს ასწავლიან მოწმილებას, პატივისცემასა და სიკეთეს; პატივისცემის გამოსახატავად პიროვნება ლინგვისტურ ტერმინების გარდა იყენებს არავერბალურ ქცევა-საც, მაგალითად, ხელზე კოცნას.

სხვისი ავტორიტეტის პატივისცემასთან ერთად იბრძვიან საკუთარი ძალაუფლების, სტატუსისა და ავტორიტეტისთვის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქაც იგივე ქცევებს მიმართავენ, რასაც ამერიკაში მავანის ავტორიტეტის პატივისცემის შემთხვევაში.

ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები, ნათესაობის დიდი ღირებულება ასახულია ფრაზებში: “ფილიპინენდა უმაღლესი ღირებულება”, “სოციალური, ეკონომიკური და კულტურული აქტიურობის ცენტრი” და ა.შ. ოჯახის ქონა ნიშნავს ემოციურ და ეკონომიკურ დაცვა—მხარდაჭრას. მასში მოიაზრება შვილები და დიდი ოჯახები (სანათესაო).

ბავშვის აღზრდა ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა. აღზრდაში იგულისხმება მისი დაცვა, მასში პასუხისმგებლობის აღზრდა — გამომუშავება, ხელისწაკვრა და “ფეხზე დაყვენება”; იმავდროულად, ეს ავტორიტარული და კონტროლირებული პროცესია.

ფილიპინენდა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ჯგუფური კუთვნილების დიდი ღირებულება. დასახულური ავტონომიურობის გაგებით, ფილიპინენდები ძალზე დამოკიდებული არიან, მაგრამ მევლევრები მიუთითებენ, რომ მათი მიჯაჭვულობა სხვა ადამიანებზე, უმჯობესია, განხილულ იქნეს, როგორც სიმჭიდროვე, კორპორაციულობა, პატივისცემა და მოვალეობა. ოჯახი და ურთიერთობები დამოუკიდებლობასა და Self –ის თვითკმარობაზე უფრო მეტად ფასობს.

ამ კულტურაში ასეთი მიჯაჭვულობა და ურთიერთვალდებულებები არც თუ იშვიათად პროტესტსაც იწვევს. მაგალითად, სოფლელი ფილიპინელი ზოგჯერ საქმეში დამატებით ძალისხმევაზე ამბობს უარს იმ მოტივით, რომ გარკვეული ტრადიციების გამო შეიძლება ნაგებულიც დარჩეს, რადგან:

1. ადამიანმა უცილობლად უნდა გამოხატოს *pakikisama* — თავისი შემოსავალი უნდა გაუნანილოს ნათესავებს და მეზობლებს;

2. დევიაციას შეიძლება იმის ეჭვი და ჭორები მოყვეს, რომ თავისი თავი “მწვანე კიტრად” (“წითელ კოჭად”) მიაჩინია;

3. ისეთი რამის ქურდობის ეჭვი, რომელიც არ ჩანს (ვერ დაინახავ).

ფილიპინურ კულტურაში მნიშვნელოვან და ლირებულ მოტივაციად მიიჩინევენ: განათლებას, სამსახურში ნარმატებას, სოციალურ და ეკონომიკურ განმტკიცებას, ოჯახის შექმნას, ქარგ მეზობლურ და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და ასეთის შესაძლებლობას. უნდა აღიზიშხოს, რომ უმრავლესობისთვის განათლება ღირებულია არა იმდენად ცოდნისა და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის გამო, რამდენადც კუნივერსიური კეთილდღეობისა და სოციალური პრესტიჟის მოსაპოვებლად.

## რეზიუმე

ადამიანის განხილვა კულტუროლოგიურ ჭრილში მოითხოვს ისტორიითა და სოციალური თანაცხოვრების ფიქსირებული ნორმატული სისტემით განპირობებული კულტურული კონტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებას, რომელიც სპეციფიკურ დაღს ადებს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის ფუნქციონირების ზოგად კონინზომიერებებს. აქედან გამომდინარეობს ადამიანის კულტუროლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელიც უკავშირდება პიროვნებაში უნივერსალური ფსიქოლოგიური და სპეციფიკურ-კულტურულის ურთიერთგამიჯვნას. ერთ-ერთი უპირველესი ამ პრობლემაში კულტურათა მიხედვით ადამიანის არსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში არსებობს ადამიანის განსხვავებულობისა და უნიკალურობის რჩება. პიროვნება შემოსაზღვრული, უნიკალური, მეტნაკლებად ინტეგრირებული მოტივაციური და კოგნიტური უნივერსუმია ცნობიერების დინამიური ცენტრით — ემოციებით, შეფასებებით, მოქმედებებით. იგი, როგორც დისკრეტული მთელი, ორგანიზდება და უპირისპირდება სხვა ადამიანებს, როგორც ასევე მთელს, ავრეთვე სოციალურ და ბუნებრივ კონტექსტს. ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობით, ინდივიდი პირველადი ფაქტია, საზოგადოება და შესაბამისად, მისი მიმართება ჯგუფთან — მეორადი; Self-ის არადასავალური გაგება საპირისპირო პოზიციას ეყრდნობა და გამოდის მონისტური ფილოსოფიური ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც ადამიანი მოიაზრება დანარჩენი ბუნების მსგავსი სუბსტანციისგან ნარმოქმნილად. Self-ი არც არის და არც შეიძლება იყოს გამოყოფილი სხვებისგან და სოციალური გარემოსგან. შესაბამისად, არსებობს პიროვნების ორგვარი მოდელი, გაბატონებული ორი ტიპის კულტურაში — ინდივიდუალის-

ტურში და კოლექტივისტურში. H.Markus —მა და S.Kitaiama—მათ, შესაბამისად, უნოდეს დამოუკიდებელი Self და დამოკიდებული Self. ამ მოდელთა მიხედვით, პიროვნულ — კულტურული ტიპი სრულიად განსხვავებული ორიენტაციებისა და თვისებების მქონედ ავლენს თავს. დამოუკიდებელი Self განისაზღვრება, როგორც მტკიცე, შეკრული, თავისთავადი და სოციალური კონტექსტიდან გამოყოფილი; ორიენტირებულია ინდივიდუალურზე; აზრებსა და გრძნობებზე, უნიკალურობასა და შინაგანი შესაძლებლობების რეალიზაციაზე; ამის საპირისპიროდ, დამოკიდებული Self მოქნილი, ცვალებადია და ჩართულია სოციალურ კონტექსტში; ორიენტირებულია ჯგუფისადმი კუთვნილებაზე, სტატუსზე, როლზე, სავალდებულო ქცევებზე. ამგვარი გაგება გამომდინარეობს კოლექტივისტურ კულტურათა ყველაზე დიდი ლირებულებისგან— ურთიერთობებში პარმონიის შენარჩუნებისგან. ამდენად, Self —ის ინდივიდუალისტური მოდელი არ მიიჩნევა პიროვნების ერთადერთ მოდელად, შესაბამისად, პიროვნების ურთიერთდამოკიდებული მოდელი ვერ თავსდება ინდივიდუალიზმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. თანამედროვე მკვლევრები მიიჩნევენ, რომ კოლექტივისტური პიროვნების საკვლევად მიჯაჭულობის ორიენტაცია უნდა იქნეს მიიჩნეული მეთოდოლოგიურ პრინციპად, მთელი მისი სპეციფიკის განმსაზღვრელად.

ამ ორ კულტურულ ტიპს გარკვეული თავისებურებები აქვს:

დასავლელებისთვის Self- ძლიერ განსხვავებულად აღიქმება "სხვა"-სგან და პირიქით, რაც აჩვენებს, რომ დასავლურ კულტურაში უფრო დიფერენცირებულია და უკეთ დამუშავებული ცოდნა საუთარ თავზე, ხოლო აღმოსავლურ კულტურებში — ცოდნა სხვაზე. შესაბამისად, დამოკიდებული Self- უფრო ავლენს სხვების წვდომის უნარს; პიროვნულ თვისებათა რეფლექსია და მათი ფიქსაცია ინდივიდუალისტური კულტურებისთვის უფრო "ბუნებრივი" აღმოჩნდა — ინდივიდუალისტი ამერიკელები თავს მოიაზრებენ პრინციპულ და მდგრად იდენტურობად და უშეტესად ფიქრობენ, რომ სხვებიც ასეთად მიიჩნევენ; კოლექტივისტი იაპონელებისთვის კი ურთიერთობებში ჩართული და სხვების შესაბამისად მოქმედი Self-იდენტურობა განსხვავდება თავისთავად Self —იდენტურობისგან; თვითაღნერას ინდივიდუალისტები უფრო სწრაფად ახერხებენ, ვიდრე კოლექტივისტები; ინდივიდუალისტები თავის თავსაც და სხვებსაც კონტექსტისგან თავისუფალი პიროვნული თვისებებით აღნერენ, ხოლო კოლექტივისტები — კონტექსტის მოშევლიერით; ინდივიდუალისტებისთვის ადამიანის შესაფასებლად ჯგუფური კუთვნილება სტატუსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო კოლექტივისტებისთვის ადამიანის

იდენტიფიცირებისთვის პიროვნულობაზე უფრო ძლიერი ნიშანია სტატუსი, თუმცა სოციალური ჯგუფის უზარმაზარი ღირებულების გამო არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის ჯგუფური კუთვნილებაც.

კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურებში ემოციები მათი მნიშვნელობის მიხედვითაც განსხვავდებიან და გამოვლენის თვალსაზრისითაც; ამას გარდა, განსხვავებები აისახება ემოციების აღმნერი კატეგორიების დიფერენცირებულობაშიც.

კულტურის ტიპის მიხედვით არჩევენ ორი კატეგორიის ემოციას: ეგო-ფოკუსურს და „სხვაზე“ — ფოკუსურს. პირველი ხელს უწყობს Self-კონსტრუქტის, როგორც ავტონომიური მთლიანობის განმტკიცებას, ხოლო მეორე — ურთიერთდამოკიდებული Self-კონსტრუქტის მთლიანობის შენარჩუნებასა და განმტკიცება-გაძლიერებას; აქ ემოციათა აღმნერ ტერმინთა მნიშვნელობაში სხვების არსებობა ნინასნარ ივარუდება — ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ჩართულობა-ჩაურთველობის განზომილება ემოციურ ძლიერებისათვის აღმნერი ტერმინების ძირითადი მაკლასიფიცირებელი ნიშანია.

ემოციები მნიშვნელოვან კავშირშია საზოგადოების ზოგიერთ მახასიათებელთან; ისინი უფრო დათრგვუნდებია იერარქიულ საზოგადოებებში — აქ სიბრაზის, შიშისა და სევდის გამოვლინების ინტენსივობა დაბალია, იმავდროულად, ასეთ კულტურებში ვარაუდობენ ამგვარ ემოციათა ნაკლებად ადვეკატურ იდენტიფიცირებას. იერარქიულობის გარდა, ემოციები უფრო მეტადაა შექმნული საზოგადოებაში ძალაუფლებრივ დისტანციასთან ან ვერტიკალურ კოლექტივიზმთან, ვიდრე Self-ის ტიპთან, ან ე.ნ. ურთიერთობრივ ანუ პორიზონტალურ კოლექტივიზმთან.

ემოციების „ჩვენების“ კულტურულად განპირობებული წესებიდან აღინიშნება „თავისი“ და „სხვა“ ჯგუფის მნიშვნელადობა — კოლექტივისტები ეგო-ფოკუსურ ემოციებს მაღავენ თავისიანებთან, ხოლო ინდივიდუალისტები მათ დამაღვის საჭიროდ არ მიიჩნევენ; სიბრაზის გამომწვევი სიტუაციებიც ასევე ერთმანეთისგან განსხვავდება: ინდივიდუალისტები აღწერენ სიტუაციებს, რომლებიც პირადად მათ გადახდათ, კოლექტივისტები კი — სიტუაციებს, რომლებიც სხვა ადამიანებს გადახდათ. სხვების მიერ ინდივიდის შეფასების ღირებულება კულტურაში უკავშირდება შფოთიანობის ტიპს. გამოვლინდა შფოთიანობის ორი ტიპი: Self — შფოთიანობის და ემპათიური შფოთიანობის; „დამოუკიდებელი Self“ უფრო მჭიდროდ უკავშირდება Self — შფოთიანობას, ხოლო „დამოკიდებულ Self“ — ს ორივე ტიპის შფოთიანობა ერთნაირად ახასიათებს. მიიჩნევა, რომ არადასაცლურ კულტურებში ადამიანზე სიტუაციური ფაქტორების უფრო ძლიერი გავლენის გამო კოლექტივისტი ნაკლებად უშვებს ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას.

## დავალებები

1. რა პრობლემებთანაა დაკავშირებული პიროვნების კვლევა კულტურაში?
2. რომელი მახასიათებლებით აღწერენ განსხვავებებს ინდივიდუალისტსა და კოლექტივისტს შორის?
3. დაახასიათეთ ინდივიდუალისტი და კოლექტივისტი
4. თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება პიროვნების კულტურული მახასიათებლები კულტურას?

## გასაცნობი ლიტერატურა

1. Кон И.С. Социологическая психология, Москва-Воронеж, 1999 გვ. 223-254
2. Росс, Р. Нисбет. Человек и ситуация. «Аспект-Пресс», М, 2000 გვ. 299-327;
3. Hazel Markus; Shinobu Kitaiama. The Cultural Psychology of Personality. Journal of cross-cultural psychology. Vol.29, No.1, January 1998 63-87
4. Hazel Markus; Shinobu Kitaiama. (1991) Culture and the Self: Implications for Cognition, Emotion and Motivation. Psychological Review, 98, 224-253
5. A.Timothy Charch. Personality Research a Non-Western Culture: The Philippines. Psychology Bulletin. 1987.Vol. 102; No. 2, pp. 272-292
6. Кэррол Э. Изард . Психология эмоций. Санкт-Петербург, 2000

## ძირითადი ცნებები

**დამოუკიდებელი Self** — ინდივიდუალისტური კულტურებისთვის დამახასიათებელი პიროვნეული მოდელი, რომელიც პიროვნებას განიხილავს ავტონომიურ არსებად; იგი განისაზღვრება, როგორც მტკიცე, შეკრული, თავისთავადი და სოციალური კონტექსტიდან გამოყოფილი

**ურთიერთდამოკიდებული Self** — კოლექტივისტური კულტურულისთვის დამახასიათებელი პიროვნეული მოდელი, რომელიც პიროვნებას განიხილავს სხვა ადამიანებზე მიჯაჭვულ არსებად; დამოკიდებული Self მოქნილი, ცვალებადია და მნიშვნელოვნადა განსაზღვრული სოციალურ-კულტურული კონტექსტით

**“მიჯაჭვულობის ორიენტაცია”** — კოლექტივისტური კულტურისთვის დამახასიათებელი სხვა ადამიანებზე დამოკიდებულად

ყოფნის ფუნდამენტური ორიენტაცია, რომელიც განაპირობებს კულტურულ-კოლექტივისტური პიროვნების სპეციფიკას; ტერმინს იყენებენ სოციალური ქცევის მოდელების სპეციფიკურობის აღსანერად კოლექტივისტურ კულტურებში.

ეგო-ფოკუსური ემოციები — პიროვნების ინტერნალურ ატრიბუტებზე მიმართულ ემოციათა კატეგორია, რომელიც ხელს უწყობს Self-კონსტრუქტის, როგორც ავტონომიური მთლიანობის განმტკიცებას

“სხვაზე” — ფოკუსური ემოციები — გარე სოციალურ რეალობაზე, მათ შორის, სხვა ადამიანებზე მიმართულ ემოციათა კატეგორია, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთდამოკიდებული Self-კონსტრუქტის მთლიანობის შენარჩუნებასა და განმტკიცება-გაძლიერებას

ატრიბუტის ფუნდამენტური შეცდომა — თომას პეტრიგრუს მიერ შემოტანილი ტერმინი, რომელიც გულისხმობს დამკვირვებლის მიერ პიროვნული დისპოზიციების გადაჭარბებულად შეფასების, ხოლო სიტუაციის ზეგავლენის შეუფასებლობის ტენდენციას

## თავი 6.

# ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურის თავისებურებები

ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს აკავშირებენ უამრავ სოციალურ და ინდივიდუალურ მახასიათებელთან. მაგალითად, ინდივიდუალიზმი — კულტურული სირთულე, ეკონომიკური განვითარება, მოდერნულობა, დანაძალული და სოციალური პათოლოგია, სტრუსთან დაკავშირებული ავადმყოფობები, სოციალური ორგანიზაცია, მობილურობა, ჯგუფური ორიენტაციის ნაკლები მნიშვნელობობა, ოჯახის სიმცირე, სამართლებრივი ორიენტაცია, შიდა ჯგუფების სიმრავლე, შემოქმედებითობა, კოგნიტური სირთულე; კოლექტივიზმი დაკავშირებულია ყველაფერი ამის საპირისპიროსთან, ემატება კორუფციული მმართველობა და ტრადიციული ღირებულებები — მშიბელთა პატივისცემა, ქალთა დაქვემდებარება, ავტორიტეტის მორჩილება და ა.შ.

ანალიტიკოსთა აზრით, ამგვარი სიფართოვე საკმაოდ პრობლემურია, რადგან ბევრი დებულება დასაბუთებას მოითხოვს — ძალზე ხშირად ისინი ჩამოყალიბებულია არა ემპირიული მონაცემებზე დაყრდნობით, არამედ დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით

## §1.პროექტები — დისტანცია და ინდივიდუალიზმი /კოლექტივიზმი

პროექტები ეთნოლოგიის ის სფეროა, რომელიც ადამიანებს შორის დამოკიდებულებებს აღნერს მათი ერთმანეთის მიმართ სივრცული მიმართებების მეშვეობით.

ფსიქოლოგიური დისტანცია — ესაა ადამიანთა განცალკევების რაღაც დონე, რომელიც ჩვეულებრივ, იმ სირთულეთა რაოდენობაზე მსჯელობით გამოიხატება, რომელიც ურთიერთქმედებაში ჩნდება.

სოციალური დისტანცია ასახავს საზოგადოებაში ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის დამორჩილების ხარისხს.

სოციალური და ფსიქოლოგიური დისტანციის ცნებები საკმაოდ რთული ცნებებია. ისინი ასახავს პირადი და სოციალური ურთიერთქმედების მოდელს; ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სიახლოების, ერთმანეთის ღირებულებებისა და იდეალების მიმართ ორმხრივი სიმბათიერების ხარისხს.

ფსიქოლოგიური და სოციალური დისტანციის ინდიკატორებია:

1. საზოგადოების რომელი ფენაა მისაწვდომი სხვა ფენის ადა-  
მიანისათვის ჯუფებისთვის;

2. უთანასწორობის შინაგანი შეგრძნება, რომელიც ინდივიდს  
ან ჯუფსა აქვს საზოგადოების რაღაც ნაწილის მიმართ—  
ჩვეულებრივ, მისი ინდიკატორია ის, თუ რამდენად სიამოვნებს ადა-  
მიანს სხვა ადამიანთან (ფსიქოლოგიური დისტანცია) ან სხვა სო-  
ციალური ჯუფის ნარმობადგენელთან (სოციალური დისტანცია)

ურთიერთობა.

ძალზე ხშირად სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება ტერმი-  
ნები “პორიზონტური დისტანცია” და “ვერტიკალური დისტან-  
ცია” იმის აღსანიშავად, ადამიანები ერთი და იგივე სოციალურ-  
ეკონომიურ კლასებს ეკუთვნიან თუ სხვადასხვას (Болшой  
толковый психологический словарь. 2000гг. 284; 247).

აღმოჩნდა, რომ Self-ის კულტურული ტიპი სივრცითი მიმართე-  
ბებით ასახავს კულტურის თავსებურებებს. ასევე ნაყოფიერი ალ-  
მოჩნდა კულტურული სპეციფიკის გამოსავლენად სოციალური  
დისტანციის ცნებაც.

პოლლი არჩევს ოთხ სივრცულ ზონას, რომელიც პირადი  
ურთიერთობისას ჩნდება:

ინტიმური დისტანცია — 45 სმ მანძილზე, ესაა იმ მცირე  
რაოდენობის სოციალურ კონტაქტებში, სადაც დაშვებულია რეგუ-  
ლარული შეხება. მ ზონაში ურთიერთობენ მშობლები და შვილები,  
აგრეთვე შეყვარებულები;

პიროვნული დისტანცია (45-120 სმ), ესაა დისტანცია მეგო-  
ბრებსა და კარგ ნაცნობებს შორის, აქ ინტიმურობა დაშვებულია,  
მაგრამ — შეზღუდული;

სოციალური დისტანცია (120-360 სმ), რომელიც ჩნდება ფორ-  
მალური ურთიერთობის (მაგალითად, ინტერვიუს) დროს;

“სახალხო” დისტანცია (360 სმ) — დისტანცია აუდიტორიის ნი-  
ნაშე გამოსვლის დროს.

როცა დისტანციის დაშვებულ ნორმას არღვევენ და ხელყოფენ,  
ადამიანი თავს იცავს — ცქმუტავს, იშმუშება, უეან იხევს და  
მსგავსი; თუ მეორე ადამიანი ძალზე ახლო მანძილზე დგება, ადა-  
მიანი, როგორც ნესი, რაღაც ფიზიკური საზღვრის მსგავსს ქმნის  
(Гиденс 1997; გვ. 108).

მიუხედავად იმისა, რომ მოძღვრება პროექსემიკასა და კულ-  
ტურის ტიპს შორის კავშირის შესახებ ჯერ კიდევ დაუმუშავებელია,  
კვლევებით აშკარად ვლინდება, რომ ფიზიკური სიახლოვე ყველა  
კულტურაში ერთანაირად არ აღიქმება — მას რეალურად გააჩინა  
კულტურების თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი სემან-  
ტიკა.

შაგალითად, არაბეტისთვის და ლათინური ამერიკის ხალხებისთვის სიახლოეს ინტიმურობის გამომხატველია, დასავლეთ აზიაში კი სოციალურ იქრარქიაში განსხვავებათა მოხსნის სიგნალს წარმოადგენს.

*Triandis*- აღნიშნავს, რომ განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს გამოცდილებაში ეძლევათ სოციალური დისტანცია. სოციალურ დისტანციაზე გავლენას ახდენს ნორმები, ნარმოდგენები სწორ და არასწორ ქცევებზე. მაგალითად, იგი წერს, ნეპალელს თუ არ იცნობ, ან ნეიტრალური ხარ მის მიმართ, ან — არაობიერტური; თუ იცნობ, მაშინ უფრო რაციონალურად მსჯელობ და მიზიდულობაც მის მიმართ იზრდება. როცა ჯგუფები ერთმანეთისგან ძალაუფლების ფლობის მიხედვით განსხვავდება, ან ერთი მეორეს ჩაგრავს, სოციალური დისტანცია გვევლინება მექანიზმად ჯგუფებისთვის ადგილის მისაჩენად (*Triandis*; 1994; გვ. 257-258).

არავერბალური ქცევა კულტურის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თვალით ქცევა, რომელიც არავერბალური ქცევის ნაირსახეობას წარმოადგენს, ოპტიკო-კინეტიკურ ნიშანთა სისტემაზე დაფუძნებული ელემენტია და ფაქტზად განსაზღვრავს კულტურულ ურთიერთობის წიუანსებს — ზოგ კულტურაში მას მეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგში — ნაკლები.

მაგალითად, არაბებთან, ინდოელებთან, პაკისტანელებთან ახლო მხედველობითი კონტაქტი დადებითი სემანტიკის მქონეა, დასავლეთ აზიასა და აფრიკაში კი — დაუმორჩილებლობის და სიბრაზის გამოხატულებაა.

არაბ და ამერიკელ სტუდენტებზე დაკვირვებამ, რომლებიც წყვილებად იდგნენ და ერთმანეთთან მეგობრულად საუბრობდნენ, გამოავლინა საინტერესო თვალისებურებები: ამერიკელებთან შედარებით, არაბები პირდაპირ უყურებენ ერთმანეთს, უფრო ახლოს სხედან ერთმანეთთან, უფრო ახლო მხედველობით კონტაქტში არიან და უფრო ხმამაღლა საუბრობენ.

*Waston*-მა ეს ექსპერიმენტი კიდევ 31 ქვეყანაში ჩაატარა და სიახლოების მიხედვით ახეთი განლაგება მიიღო:

არაბული ქვეყნები, ინდოეთი, პაკისტანი, ლათინური ამერიკა, სამხრეთ ევროპა, დასავლეთი აზია და ბოლოს, ჩრდილო ევროპა ამერიკასა და აცეტრალიასთან ერთად.

ინგლისელების და ამერიკელების შედარებამ გამოავლინა, რომ ამერიკელები თვალებში მხოლოდ მაშინ უყურებენ ერთმანეთს, როცა იმაში დარწმუნება უნდათ, რომ პარტნიორმა კარგად (სწორად) გაუგო; ინგლისელებისთვის თვალით კონტაქტი უფრო ჩვეული რამაა: პარტნიორი იმის დასტურად, რომ უსმენს, თვალებს უნდა ახამხამებდეს, მაგრამ, ამასთან, თვალებში დაუინებით მზერა უხერხულად მიიჩნევა. რუსული კულტურა — პირიქით, არა მარტო

არარუსი, არამედ თვით რუს მეცნიერებითაც, ყველაზე “თვალებში მომზირალი” კულტურა (Стефаненко; 2000; გვ. 160).

იაპონიაში თვალები ურთიერთობის ნაკლებად მნიშვნელადი “ორგანიზაცია” აღმოჩნდა: აქ მიღებული არ არის ერთმანეთისთვის პირ-დაპირ თვალებში ცეკვია; ქალები თვალებში არ უყურებენ მამაკაცებს, მამაკაცები — ქალებს; იაპონელი ორატორი სადღაც გვერდით იყურება, ხოლო ქვეშევრდომი უფროსის საყვედურებს თვალდახრილი ღიმილით უსმებს (Пронников В.А. Ладанов И.Д.; 1985).

აღმოჩნდა, რომ კოლექტივისტურ კულტურებში შეხვედრა ნაცნობებს შორის უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ინდივიდუალისტურში (ორიმ წთ საშუალოდ); ისინი, ვინც უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, მეგობრობას უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ და თანაც ამტკიცებენ — ასე ახლოს იმიტომ ვზივართ, თანამოსაუბრე რომ მოგვწონსო.

წყვილთა სქესური შემადგენლობის მიხედვით მამაკაცური წყვილები ყველაზე ხშირი იტალიაში აღმოჩნდა და თანაც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან, ხოლო შერეული წყვილის წევრები კი ერთმანეთისგან ამერიკაში უფრო შორს დგანან, ვიდრე გერმანიასა და იტალიაში.

როგორ იქცევიან ადამიანები უცხოსთან მიმართებაში?

კოლექტივისტი ინდივიდუები ექიმის მოსაცდელში იმავე სქესის უცხოთა ახლოს ჯდებიან და საშუალებაც ხშირად აპარენ, ინდივიდუალისტი აკატრალიილები კი პირიქით — ყველასგან მაქსიმალურად მოშორებულ ადგილს ირჩევენ და სასაუბრო კონტაქტშიც ნაკლებად შედიან.

კულტურა ყველაფერში იჩენს თავს. Iahoda-მ 1982 წ. ისლამურ ქვეყნებში გრძელი ტანსაცმლის სემანტიკა იკვლია და აღმოჩინა, რომ გრძელი კაბის ტარება აძლიერებს სოციალური ვალდებულებების განცდას; იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო ფორმაზეც, რომელიც ინდივიდუალობის უნიფიცირებას კი ახდენს, მაგრამ სამაგინიროდ წინა პლანზე წამოსწევს იმ სოციალურ ვალდებულებებს, რომლის გამოხატულებაცაა სამხედრო ფორმა — ყველაზე ინდივიდუალისტურ ქვეყნებშიც კი ჯარი განამტკიცებს ურთიერთდამოყიდებულ ღირებულებათ სისტემას.

ინდივიდუალისტურ ქვეყნებში ადამიანი თავის დამოუკიდებლობას სწორედ დიდი ფიზიკური დისტანციით გამოხატავს, და ასე იცავს საეჭათა პიროვნულ სფეროს; ხოლო კოლექტივისტურ კულტურებში ადამიანები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ საკმაოდ ფიდ დიდ დისტანციას ინარჩუნებენ უცხოელთან მიმართებაში.

სოციალური დისტანცია უზიგვერსალური კონსტრუქტია და ყველა კულტურის თავისებურებებს აღნერს, მაგრამ ძალზე

მნიშვნელოვანია კულტურის სპეციფიკის გათვალისწინება მისი კელევისას. მაგალითად, გამოვლინდა, რომ ამ ცნების ავტორის — ბოგარდუსის მიერ შედგენილი კითხვარის შეკითხვები, მაგალითად, “მეზობლად ვისურვებდი...”, “მეგობრად ვისურვებდი”, “ოჯახს შევქმნიდი” და ა.შ. ამერიკულ კულტურაში მართლაც აღნერს სოციალური დისტანციის სპეციფიკას, მაგრამ არა ყველა კულტურაში.

ეს ვითარება იმ რეალობასთანაა დაკავშირებული, რომ ჯერ ერთი, ინდივიდი კულტურაში არსებულ ყველა ჯგუფთან არ იდენტიფიცირდება, მეორეც, ჯგუფებს შორის დისტანცია კულტურულად ძალზე სპეციფიკურია თავისი შინაარსით — ინდოეთში კასტებს შორის სოციალური დისტანცია და დასავლურ კულტურებში სოციალურ ფენებს შორის დისტანცია სრულიადაც არ არის ერთნაირი დისტანცირებულობა. ამიტომ კონტაქტის ზოგიერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება ერთ კულტურაში სოციალური დისტანციის გასაზომად, შეიძლება უაზრო აღმოჩნდეს მეორეში. მაგალითად, საბერძნეთში *Triandis*-ის აღნერით, ძალზე მნიშვნელოვანია “პარეა” ანუ სამეცნიერო ნრე და “თავის ნრეში შეყვანა” ( შესაბამისად, სოციალურ დისტანციას აქ ზომავდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლის შეყვანაზე თანხმობით ამ სამეცნიერო წრეში, ხოლო აშშ-ში — იმაზე თანხმობის ხარისხით, მავანი ნაცნობად რომ ეხილა თავის კლუბში); ინდოეთში სიახლოვის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია “პირადი ჭურჭლის შეხება” — ეს ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბემორჩენილი რიტუალური წაბილნების ასახვაა; ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიურ და სოციალურ დისტანციასაც აღნერს ის ფაქტი, ვინმე მავანის ჭურჭელს შეეხო თუ არა. ამგვარად, ინდოეთში ეს კონსტრუქტი რეალურად შეიძლება იქნეს გამოყენებული სოციალური დისტანციის საკულევად, ამერიკაში კი იგი უაზროა; *Triandis*-ი აღნიშნავს, სრული უაზრობა იქნებოდა ამერიკელის აზრის შესწავლა იმის თაობაზე, მის ჭურჭელს, ვთქვათ, თურქი რომ მიეკაროსო (*Triandis H. C. 1994*).

## §2. რისკენ მიერჩით გული ინდივიდუალისტებს და კოლექტივისტებს?

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი დასავლეთელი სოციალური მეცნიერის მტკიცებით, მატერიალური საკუთრება პიროვნებისთვის მისი იდენტურობის ასახვაა. ამიტომ დამოკიდებულება საკუთარი სახლისა და მიწის მიმართ ასევე აჩვენებს კულტურულ განსხვავებებს.

მკვლევრები აღნიშნავენ ამგვარი საკუთრების გარეფორმისა და მის მიმართ დამოკიდებულების განსხვავებულ გამოვლინებებს ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებში: სახლი ინდი-

ვიდუალისტურ კულტურებში მკაცრად შემოსაზღვრულია (კარნბი, ჭიძეარი, გისოსები), კოლექტივისტურში კი — ნაკლებად ჩაკეტილი, უფრო მეტად ღია სფეროა; მათი ხელყოფის მცდელობაზეც განსხვავებული რეაქციებია: სახლში შეჭრაზე ინდივიდუალისტურ კულტურებში უფრო აგრძისულად და აქტიურად რეაგირებენ, ვიდრე კოლექტივისტურში.

რაც შეეხება „საკუთრებრივ“ პრივილეგიებს, განსხვავებები აქაც გამოვლინდა: ინდივიდუალისტმა ამერიკელებმა საყვარელ საკუთრებად ყველაზე ხმირად დაასახელეს ფუნქციონალური საგნები, გართობის საშუალებები, პირადი სამკაულები, ფოტოსურათები და ხელოვნების ნიმუშები, ამასთან, ამერიკელთა 65%-მა არჩევანის კრიტერიუმშად პირადი მოვონებები დაასახელა. ამგვარად, საკუთრება მათთვის პირად, ინდივიდუალურ ისტორიასთანაა յავშირში.

კოლექტივისტი ნიგერიელებისთვის, კერძოდ, ქალებისთვის, საყვარელი საკუთრება საქორწინო ან საოჯახო ნიერებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, ხოლო მამაკაცებისთვის — რელიგიურ ობიექტებთან, შინაურ ცხოველებთან და იარაღებთან. ამგვარად, ნიგერიელებისთვის საკუთრება რომელიმე ცალკე ადამიანის პირადი ისტორიის ასახვა კი არ არის, არამედ საზოგადოებაში ოჯახის პოზიციური განმტკიცების ისტორიისა.

### წ 3. დასავლური სამყარო და ინდივიდუალიზმი

ყოველ კულტურულ ტრადიციას თავისი უპირატესობები აქვს. კონკურენტულ დასავლურ საზოგადოებაში ადამიანებს მეტი პირადი თავისუფლება აქვთ, მეტად ამაყობენ პირადი მიღწევებით და ნაკლებად არიან დამოკიდებული ორგვლივმყოფთა მოლოდინებზე. მათ უფრო მრავალფეროვანი პირადი ცხოვრება აქვთ, მათი ქცევაც უფრო სპონტანურია, სოციალური მობილურობა ასევე უფროა დამახასიათებელი ინდივიდუალისტური კულტურის სოციალური ჯგუფებისთვის, თუმცა ამ კულტურებშიც გარევეული კატეგორიების მიმართ ფიქსირებული ნეგატიური განწყობები, მაგალითად, რახა (კანის ფერი) ან გენდერი აფერხებს ამ კატეგორიის ქმედითობას.

ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი თავისუფლებაა ცხოვრების სტილის ამორჩევაში; ნახალისებულია გამომგონებლობა და შემოქმედებითობა.

მაგრამ ამ თავისუფლებას დამახასიათებელი პრობლემურობაც ახლავს. ცნობილი თანამედროვე გერმანელი სოციოლოგი ულრიხ ბეკი ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს რისკის საზოგადოებებს უწოდებს და მიიჩნევს, რომ "თანამედროვე სამყაროში უკიდურესო-

ბამდე მიუვანილი ინდივიდუალიზმი", სულ უფრო მეტად განიცდის "კონფლიქტური ხაზებისა და თემების თავისებურ პლურალიზაციას". მისი აზრით, ინდივიდუალიზაციის ძლიერი პროცესი ნიადაგს ამზადებს ახალი კონფლიქტებისთვის, იდეოლოგიებისა და კოალიციებისთვის. მსგავსი ვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ მომენტად, "მყარ კონფლიქტურ ხაზად" მას, მაგალითად, მიაჩინა ე.წ. თანდაყოლილი ნიშნები — რასა, კანის ფერი, სქესი, ეთნიკური კუთხით ილება და ა.შ. თვით ბუნებით განპირობებული ასეთი "უთანასწორობა", განსაკუთრებული ინდივიდუალიზაციის პირობებში, მისი პროგნოზით, გარკვეულ ირგვანიზაციულ და პოლიტიკურ შანსს მოიპოვებს და წინ გამოვა ორი ეპოქალური თემა: მუქარა, რომელსაც რისკის საზოგადოება თავისთავში მოიცავს, და ნინაალმდევობრიობა ქალებასა და კაცებს მორის, რომელიც აქამდე ოჯახის ფარგლებიდან არ გამოსულა (Бек უл. Общество риска 2000; გვ. 146).

გამოკვლეულზე დაყრდნობით მევლევრები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამყაროს დასავლურ ქვეყნებში ლირებულებები ერთნაირია და «მთის ქადაგების» 10 მცნებას ემთხვევა, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებებიც ვლინდება.

მაგალითად, დიდი საერთაშორისო გამოკვლევის შედეგად უან სტოტცელმა გამოავლინა, რომ თურმე დანიელები უფრო ბეჭნიერად გრძნობენ თავს ოჯახში, ვიდრე ფრანგები, ესპანელები და ბელგიელები; გერმანელები და დანიელები არჩევანში უფრო თავისუფალი აღმოჩნდნენ, ვიდრე იტალიელები და პოლანდიელები; სიქველეთაგან დასავლური კულტურის ყველა ხალხმა პირველ ადგილზე პატიოსნება დაყენა, ხოლო რაც შეეხება მეორე პოზიციას, აქ განსხვავებები გამოვლინდა — იტალიელებისთვის, ინგლისელებისა და ირლანდიელებისთვის კარგი მანერები აღმოჩნდა გადამწყვეტი, ფრანგებისთვის — მომთმერობა, ესპანელთა, დანიელთა და გერმანელთათვის კი — პასუხისმგებლობა.

სხვებთან ურთიერთობაში იტალიელებმა, ინგლისელებმა და ირლანდიელებმა ყველაზე დიდი ლირებულება მიანიჭეს კარგ მანერებს, ხოლო ფრანგებმა — მომთმერობას (Мендра А. 2000 გვ. 111).

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მეორე პოზიციაზე «გასული» ლირებულებები უფრო მეტად უახლოვდება ეროვნულ-ხასიათობრივ თავისებურებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენებ ქვეყანათაგან მხოლოდ ესპანეთი მიიჩნევა კოლექტივისტურ კულტურად. სხვებთან ურთიერთობა ქცევის ხოციალურ რეგულაციაში აქ გადამწყვეტ ფაქტორადაა აღიარებული. მკვლევრები აღნერენ ესპანელებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობრივ პატერნას — «სიმპათიკას», რომელიც გულისხმობს ორმხრივ პატივისცემას და სხვათა გრძნობების

გაზიარების უნარს. ადამიანს ახასიათებს ინტერპერსონალურ ურთიერთობათა დარეგულირება შეთანხმებით, სხვებისადმი მგრძნობიარობით და ქცევის მიგუებით. ესპანელები განსაკუთრებით ერიდებიან ურთიერთობის გაფუჭებას (Hazel Markus; Shinobu Kitaiama, 1991).

მიიჩნევა, რომ უნივერსალისტური ღირებულებები — სიმშვიდე მსოფლიოში, გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და ა.შ. უფრო გამოკვეთილია ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში.

47 ქვეყანაში Schwartz-ის გამოკვლევამ გამოვლინა განსხვავებები ღირებულებათა მნიშვნელობაში გენდერის მიხედვით: ქალები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უსაფრთხოებასა და კეთილგან-ნყობას, ხოლო კაცები — Self – ზე მიმართვას, სტიმულაციის, ჰე-დონიზმის, მიღწევისა და ძალაუფლების ღირებულებებს.

ამ გამოკვლევამ ისიც (ცხადყო, რომ გენდერი არ გამოდგება ინდივიდუალიზმ/კოლექტივიზმის ორიენტაციის დასადგენად (P.B. Smith and Shalom H. Schwartz; 1996).

ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი მარტობა, განკირნინება, მკვლელობა და სტრუქული მოძღვავა ინდივიდუალიზმი დეპრესიის მკეთრი ზრდის მიზეზად მიიჩნევა, რადგან უკავშირდება არსებობის უაზრობის განცდას, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა “იმასთან მიჯაჭვულობა არაა, რაც შენზე მეტია”.

#### § 4. კონფორმულობა და კოლექტივიზმი

გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ელიოტ არონსონი ერთ ადგილას წერს: “კონფორმულობა — კარგია თუ ცუდი? ამ ზოგადობით ეს შეკითხვა აბსურდია. მაგრამ, ჩვენი სურვილის მიუხედავად, ყველა სიტყვას შეფასებითი ასპექტიც აქვს. ამიტომ, როცა ადამიანს ინდივიდუალისტს ან კონფორმისტს ვუნოდებთ, ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ადამიანის “სიკარგეს და სიცუდეს”; თუმცა კი ამ სიტყვების შეცელაც შეიძლება: ინდივიდუალისტი შეიძლება შეცვალოს “ნორმიდან გადახრილით”, ხოლო კონფორმისტი — “ჯგუფურად მოთამაშით.”” (Aronson ვ. 1999; გვ. 37).

დასავლეურ კულტურებში კონფორმულობა ასოცირებულია მორჩილებასა და დამთმობლობასთან, რადგან ნახალისებულია თვითგამოხატვა და საკუთარი აზრის გატანა, ამიტომ კონფორმისტული გამოვლინებები უარყოფითად აღიქმება; მაგრამ იმ კულტურებში, სადაც ძალზე ფასობს პარმონია ურთიერთობებში, უმრავლესობის აზრისადმი მიმხრობა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს ტაქტიკანობად და სოციალურ სენზიტივურობად, დადებით და

სასურველ თვისებად, სოციალურ ღირებულებად და ნორმად. მაგალითად, Triandis-ი აღნიშნავს, იაპონელების ჯგუფი რესტორანი როცა ერთი და იგივე კერძს უკეთავს, ეს სოლიდარობად მიიჩნევა და არა კონფორმიზმად.

Matsumoto -ს მონაცემებით, ინდონეზიელები, ჩინელები და იაპონელები მისალებად და სასურველად მიიჩნევენ კონფორმულობას, მორჩილებას და დამთმობლობას (Matsumoto D. 1996); ტრიანდისიც ასევე აღნიშნავს აფრიკული ტომის — ბანტუს წევრებში ძლიერ კონფორმიზმს და სოციალიზაციის მეთოდთა სიკაცრეს (Triandis H.C.1995; 53-55); Dias-Loving მორჩილების მაღალ ღირებულებას აღნერს მექსიკულებთან და ა.შ.

მაგრამ კოლექტივისტთა კონფორმულობის საკითხი არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვერვენოს. მონაცემები უჩვენებს, რომ იაპონელები ამერიკელებზე უფრო ნაკლებად მიღრეკილი შეიძლება აღმოჩნდნენ კონფორმიზმისკენ იმ ექსპერიმენტებში, რომლებიც ამის კლასიკურ სქემაზეა აწყობილი.

Triandis-ი საინტერესო სიტუაციას აღნერს: მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილე იაპონელთა 34%-მა ანტიკონფორმული რეაქცია გამოავლინეს — ისინი სწორ პასუხებს იძლეოდნენ მაშინ, როცა ცრუ ცდის პირთა უმრავლესობა არასწორად უპასუხებდა. რა მოხდა? რატომ არ “იმუშავა” აშის კლასიკურმა სქემამ?

Triandis-ი ამ ვითარებას ხსნის იმით, რომ იაპონელებისთვის, ცნობილი კოლექტივისტებისთვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ე.ნ. “ცრუ ცდისპირები” სწორად უპასუხებენ თუ არა — მათთვის “უცხო” ხალხი, როგორადაც არ უნდა უპასუხებდეს, “ჩვენს” ჯგუფად არ განიცდება, ხოლო ექსპერიმენტატორის როლში მყოფი უცხოელი — მით უფრო. აქ არსებითია მისთვის მნიშვნელოვანი ჯგუფი მათთვის ახლო თემებით და ა.შ.

სრულიად სხვა შედეგებია მაშინ, როცა ექსპერიმენტს იაპონელი მეცნიერი ატარებს. ამის მაგალითია მატისუდას გამოკვლევა. იგი ეყრდნობოდა იაპონური კულტურის გარევეულ სპეციფიკას, რომელიც გამოიხატება ინტერერსონალური ურთიერთობის რამდენიმე ტიპში: “უში”, “სეკენი” და “სოტო”. ამ სამეულში ინტიმურობის ხარისხი და “სხვა”-ს მნიშვნელადობა, როგორც რეფერენტული ჯგუფისა, პირველიდან მესამესკენ მცირდება. მოკლედ, იაპონელები ღრმად განიცდიან “უშის” და სულ მთლად გულგრილები არიან “სოტო”-მიმართებაში.

მატისუდამ ცდის პირები სამი ტიპის ჯგუფად გაყო: ჯგუფი “უში” — “გულუბრყვილო” ცდისპირი და ცრუ ცდისპირები, რომლებიც იმათგან შეიქმნა, ვინც ორმხრივად აირჩია ერთმანეთი; “სეკენი” ზომიერი შექმიდულობის ჯგუფი იყო, რომელიც ექსპერიმენტის მო-

სამზადებელ ეტაპზე შედგა; "სოჭო"-ს წევრები არც მეგობრები იყვნენ და არც რაიმე თანამშრომლობის სიტუაცია ჰქონდათ შეფილულობის ჩამოსაყალიბებლად.

ამ ექსპერიმენტში მონაწილე იაპონელმა სტუდენტებმა გა-მოავლინეს კონფორმიზმის მაღალი დონე, თუმცა კი პასუხებს ინ-დივიდუალურად ანუ ჯგუფის უშუალო წერის გარეშე იძლეოდნენ; უფრო მჭიდრო კონტაქტებიანი ჯგუფის წევრები მეტ კონფორმიზმს ავლენდნენ, მაგრამ მაინც გამოვლინდა ერთი საყურადღებო ფაქტი: ინდივიდის ჯგუფში ჩართულობასა და კონფორმულობის ხარისხს შორის კავშირის არაერთმნიშვნელოვნება. ეკრძოდ, ექსპერიმენტის დროს ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები უმრავლესობის ზეგავ-ლენას უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ, ვიდრე იმ ჯგუფის წევრები, რომლებმაც ერთმანეთი თვითონ ამოირჩიეს. მატსუდას აზრით, ამის მიზეზია ის, რომ "უშის" ხარისხს მიღწეული ჯგუფი უმრავლესობის თვალსაზრისიდან "თავისიანის" მცირეოდნენ გად-ახრის მიმართ უფრო მომთმენია — ძალზე ახლო ადამიანების წრეში არ ეშინია "საკუთარი თავის დაკარგვის" და უფრო თავისუფალიცაა აზრების გამოთქმაში. (მოტანილია Стефаненко Т. Г. 2000 -ს მიხედ-ვით. გვ. 197-198)

ერთი და იგუვე კულტურის შიგნით უფრო "ტრადიციული" და "ევროპიზებული" შერჩევების მონაცემთა შედარებით ბრიტანელმა მევლევარმა Bond-მა გამოავლინა, რომ დასავლური კულტურის ღი-რებულებებთან ნაცნობობა ამცირებს განსხვავებებს სხვადასხვა კულტურებს შორის კონფორმულობაში. ბოლო პერიოდის მონაცე-მებით (რისმენი, ბონდი, სმიტი) დასავლურ ქვეყნებში კონფორმის დონე ძალზე დაეცა, ამასთან, იმატა სხვებზე ორიენტირებულ ადამიანთა რიცხვმაც.

## §5. აღზრდის მოდელები ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებში

სოციოლოგისთვის ინდივიდის სილრმისისული არსი განსა-კუთრებული ინტერესის საგანია — ის, რაც შთაუნერგეს მას ბავშ-ვობაში: ქცევათა პატერნები, რომლებმიც პიროვნება თავის თავის ავლენს, ის პოზიციები, რომლებთან მიმართებაშიც აიგება სუპერ-სტრუქტურები.

სოციოლოგია იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ ნორმალურ სიტუა-ციაში ნორმალური ადამიანი რეაგირებს ისე, რა სახის ნორმალურ რეაგირებასაცაა მიჩვეული. სწორედ ამიტომ აინტერესებს მას პირებელ რიგში აღზრდის სოციალური ასპექტები — რა არის საერთო საზოგადოების ყელა წევრისთვის და რა აერთიანებთ მათ, რა არის მასში სოციალური ანუ შეძენილი?

სოციალიზაცია – ესაა ინდივიდში ჯგუფის ღირებულებებისა და სოციალური ნორმების შესაბამისი ატიტუდების ნარმოქმნა ” (Мендра А. 2000 გვ. 78.)

კულტურათა მკვლევრები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აღზრდის მოდელების განსხვავებას სხვადასხვა კულტურაში. ამასთან, ჩვენთვის საინტერესო საკითხი — აღზრდის მოდელთა ორი ტიპი უკვე დიდი ხანია იხსენიება კულტურის მევლევართა მიერ.

მაგალითად, მარგარეტ მიდის დაკვირვებით, არაპეშები ბავშვებში აღზრდიან არა საკუთარი თავის რწმენას, არამედ იმის რწმენას, რომ თავისიანები ყოველთვის დაეხმარებიან — ამ კულტურაში მხოლოდ ირგვლივყოფი ადამიანების რწმენა მოითხოვებათ — აღნიშნავდა იგი (Мид М. 1988 გვ. 265); რუჟ ბენდიქტიც აღნიშნავდა მსგავსი ორიენტაციების არსებობას პრიმიტიული ტომების პრაქტიკაში, როცა აღნერდა მის მიერ პაოლონიურად და დიონისურად დახასიათებულ კულტურებს. მისი აღწერით, პუებლოს ტომში ადამიანთა ძირითადი განწყობაა უკიდურესობებისგან თავის არიდება; ეს ხალხი ყველაზე მეტად აფასებს „ზომიერებას და ბალანსირებულობას, იდეალია „შუალედობის“ მომხრეობა, უარს ამბობენ ძლიერ ემოციებზე (მაგალითად, მრისხანება ან ეჭვიანობა); გაურბიან ძალადობას და ინდივიდუალურ „მინოლას“, რომელიც ინტერპერსონალურ ურთიერთობებს აფუჭებს; ბავშვებში აღზრდიან საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და კოოპერაციულობისკენ სწრაფვას და არა დამოუკიდებლობას და თვითდამტკიცებას. ეს აპოლონიური კულტურაა.

ვაკიუტლის ხალხი, პირიქით — “უკიდურესობების გზას” ირჩევს; ხოტბას ასხამენ იმათ, ვინც საალ აზრის ფარგლებიდან გამოდის; აფასებენ ნებისმიერ საშუალებას, რომელიც ყოველდღიური რუტინისგან ათავისულებს (მაგალითად, ნარკოტიკების გამოყენება); მაღალი სოციალური სტატუსი აქვს იმას, ვინც უშიშარი და სასტიკია, თავშეუკავებელი სიხარულსა და მწუხარებაში; ეს დიონისური კულტურაა.

დობი — პარანოიდული კულტურაა. ბავშვებს უკიდურესი კონკურენტული სულისავეთებით ზრდიან და აღრიდანვე ასწავლიან, რომ ერთის მოგება უცილობლად ვილაცის წაგებას ნიშნავს (Бenedikt P. 1997).

ერიქ ერიქსონი აღნერს აღზრდის მოდელის ძირითად ორიენტაციას თანამედროვე დაერტას (ინდივიდთა ტომი სიუ) ტომში: აქ ბავშვებს აჩვევენ ხელგაშლილობას, მათ ხშირად ჩუქნიან ძვირფას საჩუქრებს. ნ-6-7 ნლის ბავშვები თვითონაც სიამოვნებთ ჩუქნიან ხოლმე. აღზრდის ძირითადი საშუალებაა გაფრთხილება და შერცხვენა. ბავშვს უფლებას აძლევენ სიმწრისა და სიბრაზისგან

იტიროს — «ეს მას უფრო გააძლიერებს». განსაკუთრებით ქმედითად მიიჩნევენ შერცხვენას; უფროსები ყველაზე უფრო ცუდ საქციელად მიიჩნევენ ეგოიზმს და ქიშპობას, სხვის უბედურების ხარჯზე «ხელის მოთბობას» ან სხვა რაიმე სარგებლის პოვნას. (Эриксон Э. 2000; გვ. 146).

ქრისტიანობამდელ კულტურებში აღზრდის სისტემის თავისებურების ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოციოეკონომიკური სისტემისა და საოჯახო მეურნეობის სტრუქტურა. მონაცირეთა და შემგროვებელთა საზოგადოებაში, სადაც საკვების მცირე მარაგი აქვთ, ბავშვებში გადარჩენისთვის საჭირო სწრაფვას, თვითდამტკიცებისკენ, კრეატიულობისა და მკვლევრული სულისკენ სწრაფვას აღზრდიან, აშიტომ პიროვნებაზე ნაკლები წევნია და შესაბამისად, კონფორმულობაც ნაკლებად იჩენს თავს. სტრატიფიცირებულ, სამინათმოქმედო კულტურებში კი, სადაც საკვების დიდი მარაგია, სოციალური კია იმაზეა მიმართული, რომ აღზარდონ გამგონე, დამთმობი ბავშვი, შესაბამისად, კონფორმიზმიც უფრო ფუნქციონალურია.

ცნობილია, რომ ინდივიდები იზიარებენ თავიანთი კულტურის მისწრაფებებს და იდეებს, ხოლო ელემენტარული (პირველადი) ჯგუფები გადამზევეტ როლს ასრულებენ მათი შეთვისება-გაძლიერების მექანიზმების ფორმირებაშიც და გაძლიერებაშიც. ქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის და, პირველ რიგში, მშობლების როლი, დამნეროლობამდელი კულტურების კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე Whiting-მა და Child-მა 1953 წელს დაასკვნეს, რომ ამ კულტურებში დანაშაულის განცდა ყალიბდება იდენტიფიკაციის პროცესით. აღზრდის სხვადასხვა მეთოდის გამყენებით ბავშვები მშობლებთან იდენტიფიცირდებიან. მ. მილმა, რ. ბენედიქტმა და სხვებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი კულტურის ნარმობადგენლები უფრო სირცხვილისკენაა მიდრეკილი, ზოგიერთისა კი — დანაშაულისკენ (ამიტომაც ლაპარაკობდა რ. ბენედიქტი დანაშაულის და სირცხვილის კულტურაზე).

ამერიკულ კულტურას დანაშაულის განცდის უარყოფის ტენდენცია აქვს. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, მცირე ერთობებში სოციალურ პროცესებში დანაშაულის განცდის რეგულირება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე დიდ და მრავალგვაროვან საზოგადოებებში, მაგალითად, აშშ-ში. სირცხვილის განცდა დაკავშირებულია ემოციურად მნიშვნელადი სხვა ადამიანის განცდასთან, ცხადია, რომ ამ განცდის რეგულირება უფრო ადვილია ისეთ ერთობებში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს (Кэррол ე. Изард. 2000; გვ. 397).

საზოგადოების სისტემის სირთულეც ახდენს აღზრდაზე გავლენას. აღზრდის მოდელზე ამ ზეგავლენას რესა მეცნიერი ვლადიმერ დრუჟინინი აღნერს ოჯახური ურთიერთობების საში გან-

ზომილებით: დომინირება, პასუხისმგებლობა, სიახლოვე. მისი აღნიშვნით, რთულ კულტურებში აღზრდილ ბავშვებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ მიჯაჭვულობა-დომინანტურობის სკალაზე და ნაკლები — მზრუნველობა-პასუხისმგებლობის სკალაზე, ვიდრე მარტივ კულტურებში აღზრდილ ბავშვებს.

მონადირეობითა და თევზჭრით დაკავებულ საზოგადოებებში ბავშვები უფრო მეტად არიან ორიენტირებული დამოუკიდებლობაზე, ხოლო მიწათმოქმედთა და მესაქონლეოთა საზოგადოებები — პასუხისმგებლობასა და გამგონბაზე. ამდენად, რთულ და განვითარებულ კულტურებში სიმძიმის ცენტრი მიჯაჭვულობა-დომინანტურობის ვექტორზე გადაიტანება.

გარდა ამისა, მარტივ ქრისტიანობამდელ კულტურებში სფარბობს პასუხისმგებლობის ვექტორი. მას ოჯახის მრავალრიცხოვნების ეფექტიც ემატება: კონის მიხედვით, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი, მით უფრო ავტორიტარულად აგრესიული და ნაკლებად კეთილგანწყობილი არიან ბავშვები (Дружинин В. Н. 2000; გვ. 53).

Rohner-მა (1986) ინდიელი ტომების ეთნოგრაფიულ მონაცემებზე და 101 კულტურის შესნავლაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა სოციალიზაციის კონცეპცია; მან გამოყო მშობლის ბავშვისადმი შესაძლებელი დამოკიდებულების სამი ტიპი: 1. გაგება, სითბო და სიყვარული; 2. მტრობის განცდა — აგრესია, 3. ინდიფერენტულობა. მისი აზრით, ეს დამოკიდებულებები სხვადასხვა ხარისხით ახასიათებენ კულტურას და მნიშვნელოვან კავშირშია მშობლების მხრიდან კონტროლთან — ეს აღზრდის მოდელში ერთ-ერთი უარსებითესო მომენტია. ბავშვების მიერ ამ კონტროლის მიმღებლობა და-მოკიდებული აღმოჩნდა იმაზე, პრევალირებულია თუ არა კულტურაში კონტროლი მშობელთა მხრიდან. მაგალითად, მშობლების მხრიდან მკაცრი კონტროლი კორეაში ბავშვებისა და მოზარდების მიერ ნორმად აღიქმება, შესაბამისად, მშობლიურ ზრუნვად, ხოლო იქ, სადაც მშობლების მხრიდან სირბილე და მიმტევებლობა ძალზე ღირებულია (მაგალითად, გერმანიაში), ასეთი კონტროლი ბავშვებისგან უარყოფად აღიქმება (Kagitcibasi C., Rerry J.W. 1989).

Triandis- აღნიშნავს, რომ როლური მიმართება “მშობელი-შვილი” უფრო ინტიმურია კოლექტივისტურ კულტურაში, ვიდრე ინდივიდუალისტურში (Triandis; 1994 გვ. 104)

აღზრდის მოდელში კონტროლის ელემენტი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან იგი პირდაპირაა დაკავშირებული აღზრდის მოდელის ორ მთავარ საკითხთან: კულტურაში აღზრდის მოდელში რაზე კეთდება აქცენტი — თვითდამტკიცებაზე თუ დამტმობლობაზე.

ინდივიდუალისტურ კულტურაში მოქმედი აღზრდის მოდელი ორიენტირებულია ავტონომიური პიროვნების ფორმირებაზე: ბავშვებს ასწავლიან შეიცნონ საკუთარი თავი, იყვნენ თავისთავადი და თვითოვე დაეხმარონ თავის თავს. ადამიანთა უმრავლესობისთვის ინდუსტრიულ დასავლურ კულტურებში, იდენტურობა ძირითადად — ესაა ინფორმაცია საკუთარ თავზე, ხოლო სიყმანვილე — მშობლებისგან გამოყოფის და საკუთარი, დამოუკიდებელი "შე"-ს განსაზღვრის, და ამდენად, თვითცნობიერების ჩამოყალიბების ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია; დასავლური კულტურის თვალსაზრისით, ცხოვრება უფრო მდიდარი იქნება, თუ ადამიანი გაარკვევს საკუთარ შესაძლებლობებს და ირნმუნებს თავის მაკონტროლებელ ძალებს; არაა სავალდებულო, იმას მიყვე, რასაც სხვები მოითხოვნ; იყავი თავისთავადი; სხვა რომ გიყვარდეს, ჯერ შენი თავი უნდა შეიყვარო.

სასწავლო დანერგებულებები ისეა მოწყობილი, რომ მსმენელებს, სტუდენტებს თავად შეუძლიათ შესასწავლი საგნის ამორჩევაც და გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რა ისწავლონ და რა მეთოდით. ინდივიდუალისტური კულტურის გარევეული და გამოკვეთილი მიზანია ინდივიდუალური პოტენციის განვითარება. გამორჩეულობა აღიარებული და ნახალისებულია; ამასვე მოუწოდებს მასშედია, რომელიც ხოტბას ასხამს საკუთარი სტილის ჩამოყალიბებას, საკუთარი გზის არჩევას, აქტიურ მოქმედებას, ორიგინალობასა და შემოქმედებითობას; პიროვნეულობა და გამორჩეულობა უბრალოდ კი არ ფიქსირდება, არამედ ნახალისდება. გამორჩეულობა, უნიკალური იმიჯი ძალზე ფასობს, და ამგვარად, ადამიანები ერთის მხრივ, იგუებენ, მეორეს მხრივ, ურთიერთქმედებენ საშუალოსთან, როგორც განცალკევებული, განსხვავებული, მთლიანი ინდივიდები (Markus; Kitaiama. 1998). შედეგიც შესაბამისია მეკონცეპციაშიც და კონკრეტულ აქტივობაშიც. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის მონაცემებით, ამერიკელ მოზარდებს (და სტუდენტებსაც) თავისი თავის საშუალოზე უფრო მომხიბელელად მიიჩნევის და საკუთარი უნიკალურობის გადაფარდებული შეგრძნების ტენდენცია აქვთ მაშინ, როცა იაპონელ სტუდენტთა უმრავლესობა თავის შესაძლებლობებს ზომიერად აფასებს და თავის თავსაც უფრო თავდაჭერილად ახასიათებს.

აღზრდის დასავლურ ორიენტაციაში ლომის ნილი უდევს აქტიურად მოქმედ პროტესტანტულ ეთიკას, რომელიც ინდივიდუალური თვითგანმტკიცების სწრაფვის ჩამოყალიბებას ყოველნაირად უწყობს ხელს. მაგალითად, ე. ერიქსონი აღნიშნავდა, რომ პურიტანული აღზრდის სისტემა ბავშვს აფორმირებს დაუკმაყოფილებულ და შინაგანად არასტაბილურ ადამიანად; მაგრამ ამ ადამიანებს, იმავდროულად, შეუძლიათ ხახგრძლივად აიტანონ მარტოობა,

ფიზიკური, მორალური სიმძიმები და უქმარისობები. პურიტანულ ოჯახებში იზრდებიან ინდივიდუალისტები, საბრძოლველად და მეტოქეობისთვის მზადმყოფნი, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ. მათი მოტივაციაა წარმატება, თავისი თავის იმედი აქვთ და მარცხის არ ეშინიათ; ისინი მოთამაშები არ არიან, იმედს არ ამყარებენ ბედნიერ შემთხვევაზე და კეთილ ფერიაზე; ისინი თავიანთი ხელებით, ჭკუთა და ნებისყოფით აშენებენ თავიანთ ბედს. ამ სწრაფვაში სქესს მნიშვნელობა არა აქვს — პურიტანულ ოჯახში დედის ქალური ხატის უქონლობაა, ხოლო ქალისთვის ნორმა და მისაბაძი მასკულინური ქცევის მოდელია; ამიტომაა, რომ ძალზე ხშირად სწორედ ქალი (რომელიც არც თუ იშვიათად უფრო მეტანს ცოცხლობს, ვიდრე მისი “ოჯახის თავი” მამრობითი სქესისა) გახდება საგვარეულო კაპიტალის მემკვიდრე: იგი ხელმძღვანელობს არა მხოლოდ საოჯახო საქმიანობას, არამედ წარმართავს ოჯახის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც” (Дружинин В. Н. 2000; გვ. 86-87).

სრულიად სხვა ორიენტაციის აღზრდის მოდელი ბატონობს კოლექტივისტურ საზოგადოებებში. აქ სოციალური ინსტიტუტები, ტრადიციები თუ ადათ-ნესები აყალიბებენ აღზრდის ისეთ სისტემას, რომელიც მოიაზრებს ნანილად ყოფნას, კუთვნილებას, ინდივიდის ქცევასა და მის მიმართ სხვათა მოლოდინებს შორის შესაბამისობას. ურთიერთდამოკიდებული “მე” თავის თავს უფრო მეტად განიცდის რაიმეზე ან ვიზმეზე მიეკუთვნებულად. ოჯახისგან, ნაცნობ-მეგობრებისგან მოშორებული, იგი კარგავს თავისი მეობის განმსაზღვრელ სოციალურ კავშირებს. ადამიანს ბევრი “მე” აქვს, იგი სოციალურ ერთიანობაშია სხვებთან და მათთა განსაზღვრული. ამდენად, საზოგადოებაში ცხოვრების მიზანი ინდივიდის “მე”-ს გაფართოება კი არა, არამედ სოციალური კავშირების პარმონიაა, ამიტომ თვითშეფასება მნიშვნელოვნადაა იმაზე დამოკიდებული, “რას ფიქრობენ სხვები ჩემზე”.

სოციალიზაციის კულტურულ პატირენებში ჯგუფის თვალსაზრისით მისაღები ნორმების მიღევნების კონტროლი სოციალიზაციის პროცესისთვის ძალზე არსებითია. მეცნიერები მიუთითებენ ბუნებრივი გარემოს თავისებურებების განმსაზღვრელ როლზე ძლიერი კონფორმულობის ფუნქციონირებისთვის, რაც თავის მხრივ, განამტკიცებს სოციალიზაციის პატირენებში ქცევის კონფორმულობას.

დასავლურ კულტურებში, ჩვეულებრივ, ბუნებრივად მიიჩნევა ის, რომ გარდატეხის ასაკში ადამიანი უფროსების ავტორიტეტის წინააღმდეგ მიდის. მაგრამ არსებობს საზოგადოებები, სადაც სქესობრივი სიმწიფე სწორედ გაძლიერებულ კონფორმიზმს ნიშნავს. მაგალითად, შეინენების ინდივიდთა ტოში ბავშვებს ადრეული

ასაკიდან შთაუნერგავენ, რომ მთავარია მამას პეტეფეს; აღზრდის მთელი პროცესი იმაზეა მიმართული, მოზარდს რაც შეიძლება ძლიერი კონფორმიზმი გამოუმუშავონ, ამიტომ ამ საზოგადოებაში მშობლების ნინააღმდეგ ამბოხება, ჩვეულებრივ, არ გახდება — აქ სიმწიფე სოციალური პირობების მიმართ კონფორმიზმის ნიშავს (Касьянов В. и др. 2000 გვ. 79).

მას შემდეგ, რაც კლასიკურად ქცეული ექსპერიმენტებით აღმოჩენილი იქნა კონფორმიზმის უნივერსალური ბუნება, მკვლევრები საკმაოდ დიდხანს კამათობდნენ იმ საკითხზე, შეიძლება თუ არა კონფორმისტული ორიენტაცია რომელიმე კონკრეტული კულტურის მახასიათებლად იქნეს მიჩნეული.

მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ კოლექტივისტური კულტურების ინდივიდუალისტურ კულტურებთან შედარებით უფრო ძლიერ ორიენტაციას კონფორმულობაზე. ამ ვითარებას კულტურათა მკვლევრები ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ასაბუთებენ.

Bond -მა და Smith -მა 1996 წელს კონფორმულობის შესახებ 1952-1994 წლების პერიოდში ჩატარებული კულევათა მეტაანალიზი გააკეთეს. მათ კონფორმულობის დონე შეათანადეს კულტურის ტიპთან. 133 გამოკვლევიდან მათ აღმოაჩინეს 68 ანგარიში ისეთ კულევებზე, რომელთა ავტორები დეტალურად, უმცირესი წვრილობანებით იმეორებდნენ აშის პროცედურას მონაკვეთის სიგრძის განსაზღვრაზე.

როცა მათ კონფორმულობის დონე ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურების (17 ქვეყანაში) მიხედვით შეადარეს, გამოვლინდა, რომ კოლექტივისტურ კულტურებში კონფორმულობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ინდივიდუალისტურში. მათი დასკვნით, ამის მიზეზი რამდენიმეა:

1. კოლექტივისტები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლექტიურ მიზნებს;

2. უფრომეტად ანუხებთ, „რას იტყვის ხალხი“ ანუ როგორ გამოიყრებიან სხვების თვალში და რა გავლენას მოახდენს მათი საქციელი.

კოლექტივისტური კულტურების აღზრდის მოდელში მეტადაა აქცენტირებული დამჯერობა და „ნეიირად“ ქცევა. შესაბამისად, კოლექტივისტურ კულტურათა აღზრდის მოდელებს ძირითადად მნიშვნელოვან „სხვებთან“ მიჯაჭვულობა და კონფორმულობა ახასიათებს. მაგალითად, Dias-Loving-ის კვლევამ, რომელიც მიმართული იყო მასკულინობა/ფემინურობის მახასიათებელთა შესწავლაზე მექსიკაში, გამოავლინა, რომ ამ ქვეყანაში სრულიად სხვაგვარი სემანტიკური დატვირთვა აქვს ცნებებს „დომინანტური“ და „დიქტატორული“ — ამშში სოციალურად არასასურველი ეს თვისებები მექსიკაში პოზიტიური მახასიათებლებია

და თანაც, მისაღები ორივე სქესისთვის. ამასვე ადასტურებს მონაცემიც, რომლის მიხედვითაც ავტორიტეტის მორჩილება ამერიკელებთან შედარებით შექსიყველებისთვის უფრო დამახასიათებელია — აյ იურაქიული საზოგადოების შესაფერისი პასიური და არაკონფრონტაციული მიმბაცელობითი სტილი ავტორიტეტს უფრო მისაღებს ხდის. მექსიკაში აშშ-თან შედარებით გაცილებით უარყოფითად ფასდება ცნება „აგრესია“ (გამოვლინდა სდ-ს მეთოდით). ინსტრუმენტის ორიგინალში ეს ცნება ბიპოლარულ M-F სკალას ეკუთვნოდა, მაგრამ უარყოფითი მასკულინობისკენ მცირე გადახრით. მექსიკურმა მონაცემმა ეს გადახრის ტენდენცია ახსნა.

მეცნიერებათა მიერ (Spense, Helmreich, 1978) გამოყოფილია ტრადიციულად აღნიშნული ზოგიერთი მასკულინურ/ფემინური მახასიათებელი, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება დამოუკიდებელიც იყოს. ამ მოდელში მასკულინობა გაეცავს ინსტრუმენტულ და მოქმედებით ატრიბუტებთან დაკავშირებული თვისებებისა და ჰცევების ერთობლიობად — ფიზიკურ/ფიქტოლოგიურ გარემოზე მანიპულაცია ან მისი შეცვლა; ფემინურობა კი ესმით, როგორც ექსპრესიულ და ემოციურ მახასიათებლებთან დაკავშირებული თვისებები და ჰცევები, ურთიერთობებზე, ერთობაზე, ჯგუფზე აქცენტირება. მასკულინობისა და ფემინურობის გასზომად მათ გაშოიყნენ ინსტრუმენტული და ექსპრესიული მახასიათებლების აღმწერი ზედსათავები და აშშ-ს უნივერსიტეტების სტუდენტები გამოკითხეს იმის თაობაზე, თუ რამდენად „ტიპიურად“ და „იდეალურად“ მიაჩნიათ მათ ეს თვისებები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის.

ამ მეთოდოლოგიით გამოვლინდა მასკულინურობა/ფემინურობის ხუთი ტიპი:

1. პოზიტიური მასკულინობა (M+) — მიმართავს მამაკაცებისთვის ტიპიურ და „იდეალურ“ ინსტრუმენტულ ქმედებას, იმავდროულად, დადებითად ფასდება ქალების მიერაც, ზაგალითად, „აქტიური“;

2. პოზიტიური ფემინურობა (F+) — ტიპიური და იდეალურია ქალებისთვის, იმავდროულად, მამაკაცებისთვისაც ხოციალურად მისაღებია, ზაგალითად, „სისადავე“;

3. ნეგატიური მასკულინობა (M-) — ინსტრუმენტული მახასიათებლები, რომელებიც ნეგატიურად ფასდება ორივე სქესის მიერ, მაგრამ შედარებით მისაღებია მამაკაცებისთვის, ზაგალითად, „ეგოისტი“;

4. ნეგატიური ფემინურობა (F-) — ექსპრესიული მახასიათებლები, რომელებიც ანც ერთი სქესისთვის არ არის სასურველი, მაგრამ შედარებით მისაღებია ქალებისთვის, ზაგალითად, „ჭირველობა — ნუნუნი“;

ექსპრესიული და ინსტრუმენტული მახასიათებლები, რომელებიც ტიპიური და იდეალურია მამაკაცებისთვის, მაგრამ არა ქალებისთვის, ან პირიქით (ზაგალითად, „აგრესიულობა“) და შეესაბამება მასკულინურობა/ფემინურობის ბიპოლარულ სკალას (M-F).

გასაოცარი აღარ არის ის ფაქტი, რომ ცნება „მლიქვენელობა“ („გულის მოთბობა“, „თავის მოქმნვა“ და ა.შ.), რომელიც აშშ-ში ნეგატიური სკალების რიგშია, მექსიკაში ხოციალურად სასურველი აღმოჩნდა. ესაა ხოციალური ჯვეულის ურთიერთმიჯაჭვული და ურთიერთდამოკიდებული

წევრების ფუნდამენტური მახასიათებელი, განსაკუთრებით კი ოჯახის დონეზე — წერს ავტორი.

ამგვარად, კონფორმულობის ორიენტაციის ჩამოყალიბება პიროვნებაში მნიშვნელოვნადაა დამოუკიდებული იმაზე, რაზე ექთდება აქცენტი აღზრდის ეულტურულ მოდელში — თვითდამტკიცებაზე თუ დამომოძლობაზე.

უკვე აღინიშნა, რომ *Triandis*-ის თვალსაზრისით, კოლექტივ-იშის ორი მსხასიათებელი აქვს:

1. აღზრდის მოდელი, რომელიც *Self*—თვითკარობის და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების დასწავლას მინიმალურად ითვალისწინებს;

2. ოჯახური სოლიდარობა, რომელიც ინდივიდისგან საკუთარი ინტერესების ჯგუფის ინტერესებთან გათქვეფას მოითხოვს.

*Triandis*-ის მიერ აღნიშნული სოციალური კონტროლის მეთოდები — შერცხვენა, დაცინვა, სანქციები, რომლებიც პიროვნებას უარს ათქმევინებს დამოუკიდებლობაზე და უჩენს შფოთს, “არ შეცდეს” ან “დამნაშავე არ იყოს”, აღზრდის ამ მოდელში აქტიურად გამოიყენება.

ბავშვებს ასანავლიან პატივი სცენ ჯგუფური ცხოვრების სიკეთეს; არ აღნიშნავენ ბავშვის ინდივიდუალურ მიღწევებს, პირიქით, მნიშვნელოვანი მოვლენები მის ცხოვრებაში აღინიშნება, როგორც მისი სოციალური ჯგუფის წარმატება და წინსვლა; ელემენტარული განათლების უპირველესი მიზანია სხვებისადმი თანაგრძნობისა და ყურადღებიანობის ჩანარიგვა. ჭეშმარიტი, დასრულებული პიროვნება ყალიბდება სხვათა მოლოდინების შესაბამისობის, სხვების თანაგრძნობის ღირებულებით და იმის შევრძნებით, რომ ადამიანი სოციალური პროცესების ნაწილია.

დრუჟინინი მიუთითებს, რომ ასეთ (ტრადიციულ) ოჯახში აღზრდიან უფროსთა ავტორიტეტის პატივისცემას; პედაგოგიური ზემოქმედება ზევიდან ქვევით გახდება; ძირითადი მოთხოვნაა მორჩილება. მსგავსი ოჯახური სოციალზაციის შედეგად ბავშვს უყალიბდება „ვერტიკალურად ორგანიზებულ“ საზოგადოებრივ სტრუქტურაში იოლად ჩაჯდომის უნარი; დრუჟინინი აღნიშნავს, რომასეთი აღზრდის შედეგად ბავშვები იოლად ითვისებენ ტრადიციულ ნორმებს, მაგრამ სირთულეს გრძნობენ საკუთარი ოჯახის შექმნისას; მათ არა აქვთ ინიციატივა, გამომდინარეობენ „ასეა საჭიროს“ პოზიციიდან და შესაბამისად, უჭირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება (Дружинин В. Н. 2000).

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლეერები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კონფორმისტული ტენდენციების შესუსტების ორიენტაციას ინდივიდუალისტური ღირებულებების გაცნობის შედეგად. მაგრამ ცვლილებები გახდება ინდივიდუალისტურ ეულტურებშიც, რაც,

თავის მხრივ, ინდივიდუალისტური ორიენტაციების შესუსტებაში გამოიხატება. მაგალითად, დამოუკიდებლობის და მორჩილების ბოლოდროინდელმა კვლევებმა ორი ტიპის კულტურაში გარკვეული ცვლილებები გამოავლინა. ძირითადა ცვლილებები შეინიშნება საშუალო კლასის ამერიკელებსა და იაპონელებთან. ამერიკელების პატივისცემის მიუხედავად დამოუკიდებლობის მიმართ, " შეინიშნება ინდივიდუალიზმიდან ხოციალური ურთიერთობებისა და შემჭიდროებისკენ მზარდი გადახრა, ხოლო იაპონელებთან — ეგალიტარიზმის ტენდენციის გაძლიერება" (Goodvin R. 2000).

## § 6. სიყვარული, ქორნინება და "ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი"

მეცნიერებაში ისევე, როგორც ყოველდღიურ ცნობიერებაში, ურთიერთისაგან მიჯნავენ ელემენტარულ სქესობრივ სიყვარულს (სექსი) და ინდივიდუალურ სქესობრივ სიყვარულს, რომელსაც დასავლეთში რომანტიკულ სიყვარულს უნიდებენ, და ეს გამიჯვნა მართებულია. სიყვარულის რომანტიკული იდეალი ცნობიერებაში ლრმადაა ფესვგადგმული და ძალზე მტკიდრო კავშირშია საზოგადოების ლირებულებებთან, მათ შორის, ოჯახის ლირებულებასთან. სხვადასხვა კულტურაში ვლინდება ქორნინებასთან მისი კავშირის განსხვავებული გაგება.

კულტურები განსხვავდებიან იმის მიხედვითაც, რა ადგილს მიაკუთვნებენ რომანტიკულ სიყვარულს. Jancowiak-ის და Fischer-ის 1992 წლის მონაცემებით, რომლებმაც 166 კულტურა გაანალიზეს, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 89%-ს გარკვეული ნარმოდგენა აქვს რომანტიკულ სიყვარულზე, მაგრამ ყველა კულტურაში ქორნინება არ ეყრდნობა სიყვარულს. თანამედროვე დასავლურ ქვეყნებში სიყვარული ქორნინების პირობად მიაჩინიათ, კოლექტივისტურ კულტურებში კი ძალზე ხშირად პრაქტიკაშია ქორნინების გადაწყვეტა ნინასნარ უფროსების მიერ, ხოლო სიყვარული ქორნინების შედევებად მიაჩინიათ.

აღმოჩნდა, რომ კოლექტივისტურ კულტურებში იმისთვის, რომ ქალი გათხოვდეს, ხელშემწყობი პირობები უნდა არსებობდეს. კერძოდ, მას კარგი მატერიალური მდგომარეობა, სოციალური ნარმომავლობა და პროფესიული სტატუსი უნდა ჰქონდეს. ეს ვითარება დასტურდება პაკისტანში, ინდოეთსა და ტაილანდში Levine-ისა და მისი კოლეგების (1995) მონაცემებით (Maiers D. 1998, გვ. 423).

Simpson-ისა და მისი თანამშრომლების 1986 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 80-იანი წლების შუახანებიდან, ჩრდილოეთ ამერიკაში ათიდან გამოკითხულიდან ცხრას მიაჩინა, რომ სიყვარული ქორნინების აუცილებელი პირობაა.

ჩრდილო ამერიკელებისგან განსხვავებით, აზიელები შიდრე-კილი არიან არა მხოლოდ პირად შეგრძნებებზე ფოკუსირებისენ, არამედ სოციალური მიჯაჭულობის პრაქტიკულ ასპექტებზეც, ამიტომ ქორნინებაში ნაკლებად იმედგაცრუებული რჩებიან. Triandis-ის და მისი თანამშრომლების 1988 წლის მონაცემებით, კოლექტივისტებთან, ინდივიდუალისტური ტენდენციების ნაკლებობის გამო, განკორნინების ტენდენციებიც ნაკლებია, მაგრამ ის იმასაც აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმრის როლი უფრო ინტიმურია ინდივიდუალისტურ კულტურაში, ვიდრე კოლექტივისტურში (Triandis; 1994 გვ. 103).

გაყრების რაოდენობაც ასევე ვარირებადია კულტურების მიხედვით. მონაცემების მიხედვით, ინდივიდუალისტურ კულტურებში გაყრები უფრო ხშირია, ვიდრე კოლექტივისტურში. ეს ვითარება დაკავშირებულია, ერთის მხრივ, ოჯახის, როგორც სოციალური ჯგუფის ძალზე მაღალ ღირებულებასთან კოლექტივისტურ კულტურაში, ამასთანვე დაკავშირებული კონფლიქტური ოჯახის შენარჩუნების პრაქტიკაც ამ კულტურებში; შეორეს მხრივ, ქალთა უფრო დამოკიდებულ მდგომარეობასთან მამაკაცებზე (მამა, ძმა, ქმარი).

მონაცემების მიხედვით, გაყრების ყველაზე დიდი რაოდენობაა აშშ-ში; გერმანელი სოციოლოგის — რ. ზიდერის მონაცემებით, დღეისთვის გერმანიაში, აგსტრიასა და შვეიცარიაში თითქმის ყოველი მესამე ქორნინება განკორნინებით მთავრდება, დიდ ქალაქებში კი — ყოველი მეორე-ევროპაში განკორნინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს შვეციისა და დანიას (45%), ხოლო ინგლისში ათი ქორნინებიდან განკორნინებით მთავრდება ოთხი; სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ზიდერი ამ ვითარების მიზანად მიიჩნევს ურბანიზაციასა და რეგიონული მობილურობის ზრდას, ცვლილებებს ქალის როლში და, საერთოდ, „სიცოცხლის კონცეფციის შემდგომ ინდივიდუალიზაციას“ (Zyider P. M. 1997; გვ. 261-270). გაყრების რაოდენობა ბოლოვიაში, ფილიპინებზე, ესპანეთში და აშშ-ში ვარირებს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.01% — დან 4.7%-მდე.

Triandis-ის მიხედვით, ამა თუ იმ საზოგადოებაში გაყრების პროგნოზირებისთვის საჭიროა ამ საზოგადოებათა ღირებულებების სკალის ცოდნა (Triandis; 1994).

ინდივიდუალისტურ კულტურებში ადამიანი იმაზეა მომართული, რასაც გული კარნახობს; ამ კულტურებში გაყრები ხშირი მოვლენაა. კოლექტივისტურში ოჯახი, პირველ რიგში, სოციალური ვალდებულებები და სხვების თვალში იმიჯია (“რას იტყვის ხალხი”), ამიტომ აქ გაყრის ტენდენციაც ნაკლებია. ინდივიდუალისტებით — აღნიშნავს მაიერსი — იმ დრომდე ქორნინდებიან, “სანამ ერთმანეთი

ეყვარებათ”, ხოლო კოლექტივისტები — “უმეტესნილად, სულ, მთელი ცხოვრებისთვის”. ინდივიდუალისტები ქორწინებისგან უფრო მეტად ელიან რომანტიულობის შენარჩუნებას და პირადი სურვილების ასრულებას, ვიდრე კოლექტივისტები.

## § 7. მოდერნი და ტრადიცია

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ა. შენდრა წერს: “თუ ანალიზისთვის ქმნიან რაღაც კონტინუუმს ორ არაშედარებად ექსტრემუმს შორის, ერთხე უცილობლად მსჯელობენ მეორესთან მიმართებაში. ტრადიციულ და ინდუსტრიულ ნარმობას შორის კონტინუუმი მოწოდებულია, რომ ყველა დანარჩენი საზოგადოება გაანანილოს ინდუსტრიულთან მიმართებაში: ყოველთვის, როცა საზოგადოებას პლის (+) ნიშანი მიენერება “ინდუსტრიულობის” გამო, მინუს (-) ნიშანს უსამძნ “ტრადიციულობის” გამო. სხვა სიტყვებით, ტრადიციული სექტა ინდუსტრიულის შეპრუნებული სქემა: ასეთნაირად უარყოფენ პრეინდუსტრიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ ყოველგვარ ორიგინალობას” (Мендра А. 2000 გვ. 64).

მოდერნიზაცია ხშირად უთანაბრდებოდა დასავლურობას და მისი გზაც ყოველთვის ერთი მიმართულებით — დასავლეთისკენ მიდიოდა. სხვა, განსხვავებული ადამიანურ-საზოგადოებრივი თვისებები მიიჩნეოდა არასრულფასოვნად იმ აზრით, რომ არ შეესაბამება სოციეტალურ ეკონომიურ განვითარებას. თუმცა კი ამ თვალსაზრისს ბევრი უარყოფს, იგი ზოგადად მაინც აღიარებულია და გავლენას ახდენს “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” შესახებ ნაზრევზეც.

დღევანდელ ეტაპზე სოციოლოგიური აზროვნების იგნორირების ნიმუშად მიიჩნევა ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმისადმი სოციალურ-ეკონურუციონისტური მიღვომა, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალიზმი თანამედროვეობაა. Berry-ს აზრით, ამ თვალსაზრისს გამოხატავენ Hofstede, Triandis; მიაჩნიათ, რომ ინდივიდუალიზმი უფრო მეტადაა შესაბამისობაში ეკონომიურ განვითარებასთან, სოციალურ ორგანიზაციასთან, სოციოკულტურულ სირთულესთან. იგი ბატონობს სოციეტალურ განვითარებასა და მოდერნიზაციაში და სოციალურ/ეკონურუციურ პროგრესს ნარმოადგენს. Hofstede-ს გაგებით, მოდერნიზაცია ინდივიდუალიზაციის შესატყვისია. და “ინდივიდუალისტური თანამედროვეობის” სინდრომის შესწავლა მართლაც აჩვენებს, რომ მის მახასიათებელთა დიდი უმრავლესობა სწორედ ინდივიდუალიზმს ასახავს. იგი მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ურბანული ცხოვრების სტილი, ინოვაციისადმი

გახსნილობა, რელიგიურობის ნაცვლად მეცნიერულობის რწმენა და ა.შ.

Rerry მიუთითებს, რომ შესაბამისობა ეკონომიკურ განვითარებასა და ინდივიდუალიზმს შორის შესაძლოა უფრო ნაკლებია, ვიდრე მიაჩინათ. ინდივიდუალისტური კულტურები საშუალოდ, როგორც ნესი, კოლექტივისტურზე უფრო მდიდარი და მნარმოებლურია, თუმცა იაპონიის მაგალითი ამ აზრს არყევს. მეტიც, Markus-ისა და Kitaiama-ს აზრით, სონიერ კოლექტივისტური ლირებულებები — ოჯახი, ლირსება, კოლექტივის მიმართ ლოიალურობა — განსაზღვრავს ამ წარმატებას.

მაგრამ მკაფიოდ კოლექტური აღნიშნავენ იმასაც, რომ სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ხორმების მოქმედება ერთმნიშვნელოვანი ყოველთვის არ არის ამ ქვეყნებში. მაგალითად, კულტურისგან დამოუკიდებლად, სამართლიანობას უპირატესობა ენიჭება მაშინ, როცა მიზანი პროდუქტიულობაა; თუ მიზანი ჯგუფური ჰარმონიის შენარჩუნებაა, მაშინ უპირატესობა ენიჭება თანასწორობას; მხოლოდ მაშინ, როცა მიზანი მკეთრად გამოკვეთილი არაა, კოლექტივისტები ორიენტირდებიან ჯგუფური სოლიდარობის შენარჩუნებაზე და არა პროდუქტიულობაზე (Kagitcibasi C., Rerry J.W. 1989).

ინდივიდუალისტური ორიენტაცია არა მხოლოდ მიღწევის მოთხოვნილებებთან და ეკონომიკურ ლირებულებებთანაა დაკავშირებული. იგი უკავშირდება თანამედროვე კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ ეგალიტარიზმსაც. მაგალითად, სტუდენტურ ქალაქში სულ ცოტა ხნის ნინ დაქირავებული მდივანიც ისეთივე უფლებებით სარგებლობს საუკეთესო ადგილზე მანქანის დასაყენებლად, როგორც პროფესიონი (თუმცა ჯარიმასაც ასეთივე “თანასწორობის” პრინციპით იხდის) ანუ უთანასწორობას აქ უპირისპირდებიან; კოლექტივისტურ კულტურებში კი პირიქით — ძალიანაც მშვიდად უყურებენ მემკვიდრეობაზე ან სხვა სოციალურ მდგომარეობაზე დაუუძნებულ უთანასწორობას.

თანამედროვე გაცემით, მოდერნი ტრადიციას არ უპირისპირდება. ინდივიდუალიზმის გაიგივება მოდერნიზაციასთან, Rerry-ს აზრით, სოციალურ ფენომენთა “ფსიქოლოგიზაციას” ნიშნავს. დღეს კოლექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს აღარ განიხილავენ რაღაც თეორიული კონტინუუმშის ურთიერთგამომრიცხავ პოლუსად. ორი კულტურული სინდრომი შეიძლება თანაარსებოდეს, თანაც სიტუაციის მიხედვით შეიძლება მეტნაკლებად აშკარად გამოვლინდეს ყოველ კულტურაში და ყოველ ადამიანში. ემპირიკული კულევები ადასტურებს, რომ სხვადასხვა ჯგუფისადმი კუთვნილების და ურთიერთქმედების მიზნების მიხედვით ორივე ორიენტაცია თანაარსებობს.

## § 8. ეკოლოგია და სოციოკულტურული კონტექსტი

ცხადია, Hofstede არ იყო პირველი, ვინც კულტურის მახასიათებლებსა და ეკონომიკას შორის კავშირის თაობაზე დასვა საკითხი.

როგორ ახერხებს სოციალური ჯგუფი ისეთი მახასიათებლების გამომუშავებას და შენარჩუნებას, რომელიც მას სხვა სოციალური ჯგუფებისგან განასხვავებს?

ბევრმა სოციალურმა მოაზროვნებ, განსაკუთრებით კი კ. მარქსმა, ამ კითხვას გარე ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების ტერმინებით უპასუხა.

მაგალითად, ამტკიცებენ, რომ მონადირეთა და შემგროვებელთა საზოგადოებები წაახალისებენ პირად ინიციატივას, მაგრამ, იმავდროულად, თავისი ჯგუფის ნევრებისგან სოლიდარობას მოითხოვენ და მის გამოვლინებებს მიესალმებიან, რადგან ამას ნადირობა მოითხოვს; მინათმოქმედთა საზოგადოებებში კი დამოუკიდებლობას და აგრესიულობას არ წაახალისებენ — პირიქით, დამჯერობა-დამყოლობას და პასუხისმგებლობას მოითხოვენ, რადგან სწორედ ასეთი მიმართებაა საჭირო ეკონომიკურ რესურსთა შემდგომი განვითარებისა და ნათესების მოსავლელად; მინათმოქმედთაგან განსხვავებით, მესაქონლე თემები სწორედაც რომ ძალზე მიღწეული არიან აგრესიულობისკენ — მათთვის მეზობელთაგან ნახირის ან ფარის წარტყმევნა აყვავების გზაა, ნინააღმდეგ შემთხვევაში თვითურე გახდებიან უფრო ძლიერ მეტოქეთა მსხვერპლი.

კულტურულ ადათ-ნესებსა და ეკოლოგიურ გარემოს შორის ასეთი კავშირის ფაქტს აღრეული კლასიკური კორელაციური კვლევებიც ადასტურებდა, მაგალითად, დამახასიათებელ თვისებასა და ლირებულებებს, ან საკვების მოპოვებასა და სიმდიდრის შეძინას შორის. მაგრამ ამ კვლევებით ძნელი დასადგენი გახდა, სოციალური ქცევის დამახასიათებელი პატრინები და საზოგადოებრივი ნორმები რამდენადაა არსებული ეკონომიკური პირობების შედეგი.

სწორედ ამის გამო ძალზე საინტერესო გახდება ე.ნ. ბუნებრივ ექსპრიმენტზე დაკვირვება, როცა ეკოლოგიური მოთხოვნები და შესაძლებლობები ისტორიულ გარემოებათა ზეგავლენით იცვლება, ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს იმას დავაკვირდეთ, რა გახდება კულტურულ ლირებულებებში, ადათ-ნესებში და სოციალურ ინსტიტუტებში (J. Ross, P. Nicibet 2000 გვ. 281).

მკვლევართა ინტერესის საგანია ეკოლოგიური გარემოს ბევრი ატრიბუტი, მათ შორის, კლიმატიც. მაგალითად, მოუთითებენ, რომ პოლიტიკური ბუნტი და შეიარაღებული თავდასხმები კლიმატითაცაა განპირობებული და მათი ნაირგვარი გამოვლინება შეიძლება ავლენდეს კოლექტიური აზროვნების კულტურულ ვარიაციებს.

ასეთი კულტურული ვარიაციები კი შეიძლება აღნიერილ იქნეს როგორც Hofstede-სეული მახასიათებლებით (ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, ძალაუფლებრივი დისტანცია, გაურევევლობისგან გაქცევა და მასკულინობა-ფემინურობა), ისე Schwartz-ისეული მახასიათებლებით — ავტონომია, პატონობა, იერარქია, კონსერვატიზმი, პარმონია და ეგალიტარული მოვალეობა.

Sh. Schwartz-სა და G. Hofstede-ს მიერ თანამშრომლებთან ერთად ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლო გამოკვლევაში ავტორებმა დასვეს საკითხი ტემპერატურის, კულტურული მასკულინობისა და პოლიტიკური ძალადობის კავშირის შესახებ.

ამ კვლევაში მასკულინობა განიხილება Hofstede-სეული გაგებით, რომლის მიხედვით, მასკულინური ორიენტაციისაა ის საზოგადოებები, სადაც მიიჩნევა, რომ კაცი უნდა იყოს დომინანტური, ძლიერი, მკაფიო და ორიენტირებული მატერიალურ წარმატებაზე, ხოლო ქალი — მორჩილი, სადა, ზომიერი, ნაზი, ალერსიანი და ზრუნვლის ცხოვრების ხარისხზე; შესაბამისად, ოჯახში და შთამომავლობასთან მიმართებაში მკერთრად დიფერენცირებული ფუნქციებია.

ასეთი ორიენტაციის საპირისპიროდ, დაბალი მასკულინობის ქვეყნებში მიიჩნევა, რომ ქალიც და კაციც ერთნაირად უნდა ზრუნავდეს შთამომავლობაზე და დაახლოებით ერთნაირ ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ.

ამგვარი მოლოდინების სისტემა სქესების მიმართ მასკულინობა/ფემინურობით დახასიათებულ კულტურებში.

კულტურის მასკულინური ორიენტაცია მკვლევრებმა დაუკავშირებს მამობრივი ღვანლის თეორიას. ეს თეორია ეყრდნობა მშობლიური ზრუნვის ბიოლოგიურ კონსტრუქციას და წარმოდგენილია სამი პოსტულატით: გაცვლა-მოპოვება, კლიმატი და კულტურა.

პირველი პოსტულატი ვარაუდობს, რომ მამაკაცს მეტი არჩევანი აქვს, ვიდრე ქალს, და ეს არჩევანი გარკვეულად კლიმატურ პირობებზეცაა დამოკიდებული; კლიმატს უკავშირდება ადამიანის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, კერძოდ, ოჯახისთვის უფრო რთულია დაიკმაყოფილოს ჭამის, უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნილებები ცივ კლიმატში, ვიზრე თბილში. დედისა და შთამომავლობის გადარჩენა ცივ კლიმატში დამოკიდებულია ოჯახში მამაკაცის აქტიურ მოღვაწეობასთან ღვახის საკეთილ-დღეოდ, ხოლო თბილში, სადაც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადვილია, მამის ღვანლი ნაკლებად შნიშვნელოვანია. ეს ვითარება მამაკაცს უადვილებს კონტაქტების შესაძლებლობას საპირისპირ სქესთან, შესაბამისად, მისთვის ბევრ პარტნიორთან ბავშვების გაჩენა არ არის დაკავშირებული მათი ჩჩენის განსაკუთრებულ სირთულესთან — თბილი კლიმატი და ამის გამო შე-

დარებით იოლად მოსაპოვებელი საკვები იმ იმედს ბადებს, რომ  
მათი უმრავლესობა გადარჩება.

რაც შეეხება კულტურის ფაქტორს, იგი ვლინდება მამის ლირე-  
ბულების გავლენაში კულტურის ზოგად ორიენტაციაზე: მამის დიდი  
ლირებულება წარმოშობს კულტურებს, რომლებსაც მასკულინო-  
ბაზე ნაკლები ორიენტაცია, და, შესაბამისად, ძალადობრივი ქცევაც  
ნაკლებად ახსიათებთ. ამ ვითარების მიზეზი შეცნიერთა აზრით  
ისაა, რომმსგანც კულტურებში მშობლობა და მშობლის ღვანწლი —  
როგორც დედის, ისე მამის — მიჩნეულია მსხვერპლშენირვად, სა-  
კუთარ სურვილებზე უარის თქმად, სადაც დომინირებულია ერთო-  
ბლივი პოზიციაც და ქცევაც. ამგვარად, ქალები და მამაკაცები  
სიმეტრიულ მშობლოურ როლებს ასრულებენ, ეს ორიენტაცია კი,  
თავის მხრივ, ბავშვის აღზრდაში მონანილეობისთვის ქმრებზე და  
მამებზე ზენოლის ძლიერი ნორმატული საფუძველი გახდება. აქვე  
იგულისხმება, რომ ოჯახის გარეთ მამაკაცი აგრესიულიც შეიძლება  
იყოს და კონკურენტულიც.

Hofstede-ს მიხედვით, კულტურა ვითარდება დაბალი მასკული-  
ნობის პირობებში; მასკულინობასთან ასოცირებული თანამშრომ-  
ლური ქცევა ნუკლეარულ ოჯახში გარკეეული ტიპის ქცევათა გან-  
ზოგადების საფუძველი გახდება კულტურაში, რომელიც მოითხოვს  
მათ შესრულებას, ხოლო ოჯახები, რომლებიც თანამშრომლობისკენ  
მიისწრაფებან, მაქსიმალურად ზრდიან მათი და შვილების საერთო  
გადარჩენის შესაძლებლობას. Hofstede-ს აზრით, უკვე აღნიშნული  
მიზეზების გამო ოჯახები იმ კულტურებში, სადაც გრილი კლიმა-  
ტიკა, უფრო თანამშრომლობაზე არიან ორიენტირებული, ვიდრე  
ურთიერთონკურენციაზე.

ცხელ კლიმატში მრავალი პარტნიორის ყოლის მოთხოვნილებას  
მამაკაცი იოლად იქმაყოფილებს, ხოლო ასეთი სწრაფვა მასში ხელს  
უწყობს დომინანტური და ძალადობრივი პოზიციის განვითარებას.  
ამის შედეგად იქმნება ასიმეტრიული მშობლური როლები, სადაც  
მამაკაცს დიდი ზრუნვა შთამომავლობაზე არ მოეთხოვება, ხოლო  
ქალები ძალის მიზნების მიზნების მოვლით თავიანთი უზრადლება მიმარ-  
თონ ბავშვების აღზრდასა და უსაფრთხოებაზე.

ამგვარად, საზოგადოებები თბილ რეგიონებში კულტურული  
მასკულინობის ზრდის მიმართულებით ვითარდებიან, სადაც  
მამაკაცებისადმი მოთხოვნა უშვებს ინტერპერსონალური, გარე-  
ჯგუფური და შედაჯგუფური პრობლემების მოგვარებას აგრესიუ-  
ლად, კონფლიქტის მოგვარება გახდება ბრძოლით და არა გაქცევით,  
აგრესიით და არა მოლაპარაკებით.

ანთროპოლოგიური კვლევები ავღენს იმასაც, რომ კულტურული მასეულინობა ყველა ცხელ ქვეყანაში ერთნაირად არ ვლინდება (Sh. Schwartz, G. Hofstede et all. 1999).

## § 9. ორგანიზაციის მართვა და “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი”

მეცნიერება ასევე მუდმივი ინტერესის საგანია ორგანიზაციისა და სოციოკულტურული გარემოს ურთიერესავშირი კულტურის ტიპის მიხედვით. ისინი მიიჩნევენ, რომ ყოველ კულტურაში არსებობს გარევეული მზა კულტურული მოდელი; სწორედ ამ მოდელის მეშვეობით ახდენს სოციოკულტურული გარემო გავლენას შიდა სამუშაო კულტურაზე, რაც აისახება საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაზეც.

კანადაში და ინდოეთში შესწავლილ იქნა ამ ორ ცვლადს შორის კავშირი სანარმოს მმართველ (მენეჯერთა) და დაქირავებულ ძალაზე (მომუშავე თანამშრომლებზე) დაკვირვებით (Z.Aycan, R. N. Kanungo, J.B.P. Sinha. 1999).

ორგანიზაცია როგორი სისტემაა და არსებობს დინამიურ ინტერაქციულ გარემოში. ასეთი როგორი სისტემების მართვა მოითხოვს ორგანიზაციის შინაგანი და გარეგანი გარემოს საფუძვლიან ცოდნას. შინაგანში იგულისხმება მუშაობის განაწესის კულტურა, გარეგანი კი სანარმოო გარემოს სახითაა წარმოდგენილი და მასში იგულისხმება მარკეტინგის ტიპი, ინდუსტრიის ტიპი, კუთვნილების ფორმა, გამოსაყენებელი რესურსები. გარდა ამისა, ასევე არსებობს სოციოკულტურული გარემოც მისთვის დამახასიათებელი პატერნალიზმით, ძალაუფლებრივი დისტანციით და სხვა მახასიათებლებით.

შინაგანი, გარეგანი დასოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს ფსიქიურ და სოციოპოლიტიკურ ურთიერესად ცაქტურებზე. — ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და ისტორიულ ცაქტურებზე.

სოციი და ორგანიზაციული კულტურის ცნებებს, გარეგნულად დამოუკიდებელს, მკვლევრები აერთიანებენ მზა კულტურული მოდელის ცნებაში. მზა კულტურული მოდელის მიხედვით, სოციოკულტურა შედგება ექვსი წანილისგან:

1. პატერნალიზმი — აღნერს აეტორიტარებს, რომელთა წარმოდგენით, ხალხმა მათ მხარი უნდა დაუჭირონ და ურთიერთობები იქონიონ მხოლოდ მათი ზრუნვა-მეთვალყურეობის ქვეშ; ქვეშევრდომები, თავის მხრივ, გამოხატავენ ზრუნვას, პატივისცემასა და ერთგულებას ავტორიტართა მიმართ.

პატერნალიზმი კულტურული თავისებურებაა, რომელიც გულისხმობს ოპოზიციას “მმართველი-ქვეშევრდომი” და მირითა-

დად ტრადიციულ აღმოსავლურ კულტურებს ახასიათებს. იგი აღნერს როგორც სტრატიფიცირებულ სოციალურ კულტურას, ისე მმართველ-ქვეშევრდომთა უამრავ როლს;

2. ძალაუფლებრივი დისტანცია (*Hofstede*-ს გაგებით), რომელიც აღნერს ძალაუფლებრივი იერარქია-უთანასწორობის მისაღებობის ხარისხს საზოგადოებისთვისაც და მისი ინსტიტუტებისთვისაც.

3. მასეულინობა-ფემინურობა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულ იქნა ცხოვრების სტილად მიჩნეული ინდივიდუალური ღირებულებები. მასეულინურ საზოგადოებებში ნამყვანია დოგმატურობა, წარმატება, ფულის მოპოვება-დაგროვება და სხვა მატერიალური ღირებულებები, ფემინურში კი — ინტერპერსონალური ჰარმონიულობა, თანასწორობა და სხვებზე ზრუნვა.

4. გაურკვევლობისგან გაქცევა. იმ კულტურებში, სადაც ეს მახასიათებელი მაღალია, ინდივიდები ხასიათდებიან ნაკლები რისკიანობით და არალიკალურობით ორაზროვანი და დევიდციური ქცევის მიმართ

ერთობისადმი ლოიიალურობა და თავდაჯერებულობა ახსნადია “ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის” ფარგლებში. ერთობისადმი ლოიიალურობა იმ ინდივიდებს ახასიათებთ, რომლებიც ვალდებულებას გრძნობენ შიდა ჯგუფის წევრებისადმი (ნათესავები, კლანი, ორგანიზაცია) და აუცილებლად მიჩნევენ მათთვის მიუღებელი ან უსამო ვალდებულებების შესრულებასაც კი; თავდაჯერებულობა კი იმ ინდივიდებს ახასიათებთ, რომლებიც შხოლოდ თავის საკუთარ ძალებს ეყრდნობიან და ან არ, ან ნაკლებად სთხოვენ დახმარებას შიდა ჯგუფის წევრებს.

კვლევა ჩატარდა ორჯერ გარკვეული ცელიღებებით. ორივე კვლევის შედეგების მიხედვით, ინდოეთში უფრო ძლიერია პატერნალიზმი, ძალაუფლებრივი დისტანცია, გაურკვევლობისგან გაქცევა და ერთობისადმი ლოიიალურობის ხარისხი, ინდივიდები კანადებულებზე უფრო რეაქტიულები და მომავალზე უფრო მეტად ორინტირებული არიან.

თვითკონტროლი, ინდოელებთან პირველი კვლევის მონაცემებით, უფრო მაღალია, ვიდრე მეორე კვლევის მონაცემებით. აქ ასევე დაფიქსირდა კანადელთა მეტი აქტიურობა და ინდოელთა მხრიდან სხვების მიმართ ვალდებულების უფრო ძლიერი განცდა. გარდა ამისა, მართვის პროცესებში “აქტიურად მონანილის” ამპლუაში ყოფნის მეტი სურვილი აღმოაჩნდათ კანადელებს.

საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკის შესახებ მონაცემები ორივე კვლევის მიხედვით აღლებს ინდოელთა ნაკლებ ავტონომიურობას, ოსტატობას, ცოდნის მრავამხრივობას და თვითკონტროლს, მაგრამ მეტად ორიენტირებული აღმოჩნდნენ წარმატე-

ბაზე. გასათვალისნინებელია, რომ ინდოელები, კანადელებთან შე-დარებით, მეტად აღნიშნავდნენ თავისუფალი სტილით მუშაობის და დაჯილდოვების შესაძლებლობების ნაკლებობას.

კანადაში და ინდოეთში სოციოეულტურული გარემოს თაობაზე განსხვავებების გარდა გამოვლინდა შიდა სამუშაო კულტურასა და საზოგადოებრივი რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკაზე სოციო-კულტურული გარემოს სხვადასხვაგვარი გავლენაც. შესწავლილ იქნა მიმართებები ამ ცნებებს შორის ორივე კულტურულ ჯგუფში.

უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ძალაუფლებრივ დის-ტანციასა და ადგილობრივ კონტროლს შორის — რაც უფრო მაღალია ძალაუფლებრივ დისტანცია, მით უფრო სუსტია ადგილო-ბრივი კონტროლი. ეს ტენდენცია ძლიერ გამოჩნდა ინდოელთა პასუხებში.

დადებითი კორელაცია გამოვლინდა ერთობისადმი ლოიალუ-რობასა და სხვების მიმართ ვალდებულებას შორის, ასევე თავდა-ჯერებულობასა და სამსახურებრივ პასუხისმგებლობას შორის, ეს უკანასკნელი კანადელებთან უფრო მაღალი აღმოჩნდა.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ძლიერი კავშირია:

1. პატერნალიზმს, ძალაუფლებრივ დისტანციას, გაურკვე-ლობისგან გაქცევასა და ერთობისადმი ლოიალურობას შორის;

2. ადგილობრივ კონტროლს, ფუტურისტულ ტენდენციას, აქტიურობას, სამსახურებრივ პასუხისმგებლობასა და “მონანილების სურვილს” შორის;

3. ავტონომიურობას, ცოდნის მრავალმხრივობას, ოსტატო-ბას, მიზანთა მრავალგვარობას, თავის გამოჩენის საშუალებებს, ნარმატების მნიშვნელობას და დაჯილდოვების მრავალფეროვნებას შორის.

პატერნალიზმი ინვევს რეაქტიურობას, განუსაზღვრელობას, მეცნ კონტროლს, მცირედით დაჯილდოვებას; ერთობისადმი ლოიალურობა კი უარყოფითად ზემოქმედებს საკუთარი სახის შენ-არჩენებასა და კონტროლზე; მენეჯერები ასეთ გარემოში საჭიროდ არ მიიჩნევენ ინდივიდუალური დაჯილდოვების სისტემას, მათი აზ-რით, თანამშრომლები უნდა გრძნობდნენ ვალდებულებებს სხვების მიმართ და პასუხისმგებლობას, ეს კი თავის მხრივ, გააძლიერებს ნარმატებაზე. ორიენტაციას და თვითკონტროლს. ძალაუფლებრივი დისტანცია კი უარყოფს აქტიურობას, რაც ამცირებს მაღა-ლანაზღაურებადი სამუშაოს რაოდენობას.

ამ გამოკვლევამ გამოავლინა კულტურულ გარემოთა განსხვავება კანადასა და ინდოეთში და ამ სხვაობის გავლენა ორ-განიზაციის მუშაობაზე.

ორი ქვეყნის კულტურული ღირებულებების შედარებისას გა-მოვლინდა, რომ ინდოეთი მეტადაა ორიენტირებული პატერნალიზ-

მსა და ერთობისადმი ლოიალურობაზე; ორივე კულტურაში მასკულინურზე უფრო (ფულზე და სხვა მატერიალურ ლირებულებებზე ორიენტაცია) გამოიყვეთა ფემინური ელემენტების (ჰარმონიული ინტერპერსონალური ურთიერთობების) სიჭარბე; ინდოეთში უფრო მაღალი თავდაჯერებულობა გამოვლინდა, ვიდრე კანადაში, რაც მკვლევართათვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა კოლექტივისტური ინდოეთის პირობებში; ამ ვითარებას ისინი ხსნიან იმით, რომ ისეთ კოლექტივისტურ საზოგადოებაში, სადაც სილარიბე და რესურსების სიმწირეა, თავდაჯერებულობა სხვაგვარად გაიგება და პირველ რიგში გულისხმობს ტენდენციას, ტვირთად არ დაანგვეს შიდა ჯგუფს — ოჯახს, სანათესაოს, მეგობრებს, თავდაჯერებულობა მეგობარ-ახლობლებისადმი, ერთობისადმი ლოიალურობის გამოხატვაში ახორციელებს თავისთავს.

ინდოელი მენეჯერების შეფასებით, დაქირავებული ძალა თავისი სამუშაოს მიმართ უფრო რეაქტიულია, ვიდრე ატიური; მათი აზრით, ევოლუციური პროცესისთვის სხვების მიმართ ვალდებულების ქონა აუცილებელი არაა. მენეჯერები ორივე კულტურიდან — ინდოელებიც და კანადელებიც — მიიჩნევენ, რომ თანამშრომლებს შრომა შეუძლიათ და მათ თავის გამოჩენის საშუალება უნდა მიეცეთ; საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაში ისინი მხარს უჭერენ თანამშრომელთა მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში, რაც საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, რამდენადაც ასეთი ტენდენცია უფრო დასავლურ ორგანიზაციულ სტილს ახასიათებს, ვიდრე აღმოსავლურ ტრადიციულს; ინდოელი მენეჯერების “მზრუნველ, მშობლური” ორიენტაციის გვერდით ნამახალისებელი დაჯილდოების სისტემაც არსებობს იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც პრობლემებს სამუშაოზე დამოუკიდებლად წყვეტენ და არა სხვების კარნაბით. ამგვარად, ინდური პატერნალიზმი განსხვავდება მმართველობის ავტორიტარული სტილისგან.

აღსანიშნავია, რომ მასკულინობა მატერიალური უზრუნველყოფის აქცენტირებით უარყოფით გავლენას ახდენს ფუტურისტულ ორიენტაციებზე, ფემინურობა კი გულისხმობს უფრო ხანგრძლივ და სტაბილურ ურთიერთობებს, რაც თავისთავად უწყობს ხელს სამომავლო გეგმების განხორციელებას.

ამგვარად, სოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს მართვის მოდელებზე, რაც თავის მხრივ, თავს იჩენს საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაში.

პატერნალიზმი არადასავლური კულტურების თავისებულებაა, მაგრამ ავტორიტარიზმის იგივეობრივი არაა, როგორც ეს დასავლეთში ესმით. საკვლევია მისი თავისებურებები ორგანიზაციისა და მის მართვასთან მიმართებაში; მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ინდი-

ვიდუალიზმი/კოლექტივიზმის სხვა ასპექტებშიც ასევე საკვლევია თავდაჯერებულობაც

## §10. განათლება და “კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმი”

ცნობილი იაპონელი მევლევარი D.Matsumoto ( გვ. 199) ნერს: “ინტელექტის ტესტები კარგად წინასწარმეტყველებს იმ ვერბალურ უნარებს, რომლებიც აუცილებელია ნარმატებისთვის ინდუსტრიულ საზოგადოებაში, იმ კულტურებში, სადაც ფორმალიზებული საგან-მანათლებლო სისტემაა. მაგრამ ამ ტესტებმა შეიძლება მოტივაცია, კრეატიულობა, ტალანტი ან სოციალური უნარები ვერ გაზომონ, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია მიღწევებისთვის”

სასწავლო სიტუაციები და ინტერპრეტაციათა განსხვავება მევლევართა ინტერესის საგანია.ეს სფერო მულტილისციალინარულია და მიმართავს სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, მონაცემებს.

მევლევრები ერთხმად მიუთითებენ განსხვავებული კულტურული ჯგუფების ურთიერთადაპტაციის აუცილებლობაზე.

განსაკუთრებით აღნიშნავენ ამ პროცესთა აქტუალობას სასწავლო დაწესებულებებში, სკოლებში ისეთი მეთოდების შემუშავების საჭიროებას, რომლებიც მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც კულტურათაშორისო განსხვავებებს უკეთ შეაგრძნობინებს.

ამ მიზნით ჩატარებულ კვლევაში მოსწავლეობდნენ სამხრეთ-ამერიკელი მოსწავლეები და ანგლოსაქსური ნარმობობის მასწავლებლები. კვლევის მიზანს ნარმობდებნდა სასკოლო სიტუაციების განსხვავებული ინტერპრეტაციების გამოვლენა.

რესპონდენტებს უყვებოდნენ ამბავს: მისტერ ჯონსი ჯგუფს სხვადასხვა საჭმელზე ესაუბრებოდა. სიტყვამ ესპანური სამზარეულო მოიტანა, რომელიც მისტერ ჯონსს არასოდეს გაუსინჯია. მეორე დღეს ერთ-ერთმა ესპანელმა სტუდენტმა მას ხსენებული კერძი მიართეა.

ამ ისტორიას ოთხი სავარაუდო ახსნა მოეძებნა; მისტერ ჯონსის აზრით:

1. სტუდენტის მხრივ ეს სასიამოვნო ჟესტი იყო;
2. სტუდენტს სურდა, პედაგოგს უერთ გაეგო მისი ქვეყანა;
3. სტუდენტმა იფიქრა, რომმისთვის საინტერესო იქნებოდა ამ კერძის გასინჯვა;
4. სტუდენტს კერძი არ უნდა მოეტანა.

კვლევის მომდევნო ეტაპზე სხვა ამერიკელ პედაგოგებსა და ესპანური ნარმობობის სტუდენტებს დაევალათ ოთხი ალტერნატიული პასუხიდან ერთ-ერთის ამორჩევა. შედეგების მიხედვით, რე-

სპონდენტთა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკეთა: სტუდენტები ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ინდივიდუალურ მოპყრობას ანიჭებდნენ უპირატესობას და ინტერდი-სონალურ ასპექტს გამოყოფდნენ, ხოლო პრობლემის არსებობას უფრო სტუდენტებს აბრალებდნენ, ვიდრე მასწავლებლებს; ამერიკელი მასწავლებლები თანასწორობაზე და თავისუფლებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, მეტი მნიშვნელობა ინტერპერისონ-ალურ ასპექტს კი არა, დავალებასთან დაკავშირებულ მხარეს მიანიჭეს; მათი აზრით, მასწავლებლები მოსწავლებასთან ფიზკური სიახლოვის გამო თავს უხერხულად გრძნობენ, ამერიკელი მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებდნენ მოსწავლეებისგან მომდინარე ინიციატივასა და დამოუკიდებლობას.

აღნიშნული განსხვავებები ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბავშვებისა და უფროსების დამოუკიდებულების თავისებურებას-თანაა დაკავშირებული, რაც თავს ავლენს განათლების პროცესშიც. მაგალითად, კულტურითაა განაირობებული ესპანური ნარმოშობის ბავშვების მოღოლინი, რომ მასწავლებლები ისეთივე ექსპრესიული და ალერსიანები იქნებიან, როგორც მათი გარემოცვის მოზრდილები. მათ უყვართ მასწავლებლის მაგიდის გარშემო თავმოყრა, მისი შეხება და გამომშვიდობებისას კოცნა სჩვევიათ, ხოლო მასწავლებლები (მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში) სწორი პასუხისას ბავშვებს თავზე ხელის გადასმით აჯილდოვებენ.

სრულიად სხვა კულტურულ გარემოში აღზრდილი ამერიკელი მასწავლებლების უმრავლესობისთვის კი მსგავსი რამ მაშინაც კი ნარმოუდენელია, როცა იციან ბავშვთა ეს ტენდენცია; ისინი თავს უხერხულად გრძნობენ და ცდილობენ ასეთი სიახლოვის თავიდან არიდებას. შესაბამისად, ამას მოსწავლეთა მხრიდან არაადეკვატური აღქმა მოჰყვება: მათ ეს თავისი თავისი უგულებელყოფად შეიძლება აღიქვან და მასწავლებელი ცივ და შორეულ აღამიანად მიიჩინონ.

ასეთი შემთხვევები პარალინგვისტურ ქცევაში კულტურული განსხვავებების მაგალითია.

ძალზე საინტერესოდ ავლენს თავს განათლების ორიგინტაციებისა და კულტურის ტიპის კავშირი Hofstede-ს მახასიათებლების შუქზე.

როგორც აღინიშნა, Hofstede-ს მიერ გამოყოფილი კულტურის მახასიათებლებით შეიძლება სოციალური ცხოვრების ყველა მოვლენის დახასიათება; მის მიერ გამოყოფილი განზომილებები თავს ავლენს სწავლების მიზანსა და მეთოდებში, სასწავლო მეცადინეობების სტრუქტურაში, აუდიტორიაში ურთიერთქმედების სტილში და სხვა.

კოლექტივისტურ კულტურებში სწავლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს ნარმოადგენს რაც შეიძლება ბევრი (რაოდენობრივი) ცოდნის მინოდება—მიღება. ინდივიდუალისტურ კულტურათა უმრავლესობაში კი პრიორიტეტი ენიჭება დამოუკიდებლად ცოდნის მოპოვების უნარ — ჩვევების განვითარებას. აშშ-ში პედაგოგი ცოდნას უფრო შეფარდებით ფენომენად მიჩნევს, უდირე აბსოლუტურად. შესაბამისად, ნახალისებს კიდეც მათ განხილვას საიმისოდ, რომ სტუდენტმა ისნავლოს თავისი აზრის გამოთქმა; იგი, პირველ რიგში, სწორედ ამ პროცესში ეხმარება მას — ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში საკუთარი მოსაზრებების და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარის ფორმირებაში.

"მასწავლებელსა" და "მონაცეს" შორის ურთიერთქმედების უფექტურობა ბევრადაა განპირობებული გარკვეული კულტურული მახასიათებლებით, კერძოდ, კოლექტივიში — ინდივიდუალიზმით და "ძალაუფლებრივი დისტანციით".

იმ კულტურებში, სადაც ძალაუფლებრივი დისტანცია მოყლეა, პედაგოგი სტუდენტის მიმართ პატივისცემას, პირველ რიგში, გამოხატავს მისი შეხედულებებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის პატივისცემას, ამიტომ სტუდენტს საპირისპირო მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობაც აქვს და მისი გაქრიტიკებაც არ უჭირს; კულტურებში, სადაც ძალაუფლებრივი დისტანცია დიდია, პედაგოგის სახალხო კრიტიკამ შეიძლება სერიოზული არასასიამოვნო შედეგები მოუტახოს სტუდენტს; მოკლე ძალაუფლებრივი დისტანციის მქონე კულტურებში სტუდენტები ბევრ შეკითხვას სვამენ და პედაგოგი ამას საგნისადმი ინტერესის გამოხატვად აღიქვამს, მაშინ, როცა სანიჩაალმდევგო ვითარების მქონე კულტურებში სტუდენტთა მხრიდან შედავალებების სიმრავლე პედაგოგმა საკუთარი კომპეტენტურობის ეჭვეჭვეშ დასმად მიჩნიოს. პრინციპულად, მცირე ძალაუფლებრივი დისტანციის მქონე კულტურებში "სტუდენტი-პედაგოგი" ურთიერთობის სტილი არაფორმალურია, სტუდენტები ხშირად პედაგოგს სახელით მიმართავენ და როგორც თანასწორს, ისე ეცევიან, მაშინ როცა რუსი სტუდენტების ანალოგიური სტილით ურთიერთობისას, მათივე სიტყვებით, "პედაგოგის მიმართ პატივისცემას კარგავენ და მის საგანსაც არასერიოზულად ეკიდებიან" (Галочкина Е. 1999).

"სტუდენტი-პედაგოგი" ურთიერთქმედებაზე არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენას ინვევს კულტურის სხვა მახასიათებლებიც. კოლექტივისტური კულტურის ლირბულებები — ურთიერთმხარდაჭრა და ურთიერთდახმარება განსაზღვრავს, მაგალითად, სრულიად განსხვავებულ დამოუკიდებულებას გადაწერისა და კარნახის მიმართ — ასეთი კულტურის ნარმომადგენლები ამ მოვლენათა მიმართ ლოიალურები არიან, მაშინ როცა ამერიკელისთვის

გადაწერა, არც მეტი, არც ნაკლები, სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ტოლფასია, და მეტიც, დანაშაულადაც კი შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული.

“მასკულინური” ორიენტაციის მქონე კულტურის წარმომადგენელთათვის შეჯიბრი და “განსაკუთრებულობა”, სხვებში გამორჩეულობა ძლიერი მოტივაციაა; “ფემინურში” წახალისებულია თავმდაბლობა, სტუდენტების ხოლიდარობა, ჩამორჩენილთა დახმარება.

სასწავლო მეცადინეობების სტრუქტურირების ხარისხი ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა Hofstadter-ს კიდევ ერთ კულტურულ მახასიათებელთან — გაურკვევლობისგან გაქცევასთან. კულტურებში, სადაც ეს მაჩვენებელი დაბალია, სტუდენტები თავს ისეთ სიტუაციებში გრძნობენ კომფორტულად, როცა სასწავლო სიტუაციებში ზუსტადაა ფორმულირებული მიზნები და დეტალური ინსტრუქციებია; იმ კულტურებში, სადაც ეს მახასიათებელი მაღალია, სტუდენტებს დისკომფორტი არ უჩნდებათ მაშინ, როცა მიზნები მხოლოდ ზოგადადაა მოხაზული, ხოლო დავალების შესასრულებლად ზუსტი ინსტრუქციები არ მიენოდებათ. ასეთ კულტურებში წახალისებულია არატრადიციული მიდგომები ამოცანის გადასაწყვეტად, დასაშეებია ლია და თავისუფალი დისკუსიები მაშინ, როცა “საბოლოო ჭეშმარიტების” პრეტრიზის მქონე პასუხების უკმარისობაა. რაც შეეხება ნაკლებად “მომზადება”, კულტურებს, “სწორი” პასუხების და “ზუსტად” გადასწყვეტის მოთხოვნილება უზარმაზარია, შესაბამისად, პედაგოგმა ყველაფერი უნდა იცოდეს და უფლება არა აქვს, თქვას — “არ ვიცი”, ხოლო პედაგოგის კომპეტენტურობაც და მისი საგნის შეფახებაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად “აკადემიურია” მისი სტილი.

ამგვარად, სტუდენტებსაც და პედაგოგებსაც გარკვეული კანონები და მოლოდინები აქვთ, რასაც ხშირად ვერც იცნობიერებენ — კულტურა თავს ყველა მოვლენაში ასახავს, ამასთან, ყველა კულტურას კანონებიც და მოლოდინებიც თავისებურად აქვს “გადახარშული”.

## § 11. კორუფცია და ”კოლექტივიზმი/ინდივიდუალიზმი”

ე. ფრომი აღნიშნავდა, რომ კონკრეტული ხოციოეკონომიკური სტრუქტურის პირობებში ერთიანობისა და სოლიდარობის დამყარებისა და მხარდაჭერის ადეკვატური ფორმის დამკიდრება ნებისმიერი საზოგადოებისთვის უარსებითესი საკითხია.

არსებობს თვალსაზრისი, რომ ოჯახისადმი და შიდაჯვაფის-ადმი ლორიალობა, შიდაჯვაფური ლირებულებების შექრილობა სახ-

ელმნიფოებრივ სტრუქტურებში და აქედან გამომდინარე ყოველგვარი ნეგატიური შედეგი, მათ შორის კორუფციის ტენდენცია, კოლექტივისატური საზოგადოების მახასიათებელია. მეცნიერთა მეორე ნანილის თეალსაზრისით, ლოიალობა კოლექტივისტურ საზოგადოებაში ნათესაობასა და ოჯახს საკმაოდ სცილდება და ეროვნულ ლიოიალობაში გადადის; სამაგიეროდ, ინდივიდუალისტური საზოგადოებისთვის ტიპური მნიშვნელოვანი პიროვნული ინტერესები არანაკლებ საფრთხეს უქმნის სოციალურ ჰარმონიას და საზოგადოებრივ სიკეთეს; მათი აზრით, კორუფციის ტენდენცია საზოგადოდ ადამიანთა კოლექტივიზმის კი არა, სხვა ფაქტორების — დაჯგუფებათა მსხვილი ფინანსური ინტერესების, კონკრეტულ პირთა სიხარბის და ა.შ. შედეგია. მიიჩნევენ, რომ კორუფციული მთავრობა უფრო მეტად შეიძლება იყოს დაკავშირებული ძალაუფლებრივ დისტანციასთან, მმართველთა ინდივიდუალურ ინტერესებთან (სიხარბესთან), საერთაშორისო პოლიტიკურ და ფინანსურ ინტერესებთან, საზოგადოების სილარიბესა და გაუნათლებლობასთან — ეს ფაქტორები უფრო შესაძლებელია ამ მოვლენის მიზეზად მივიწიოთ, ვიდრე საერთოდ ადამიანთა კოლექტივიზმი (ბერი).

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს. საქმე ისაა, რომ დაჯგუფებათა მსხვილი ფინანსური ინტერესების, კონკრეტულ პირთა სიხარბის და ა.შ. გვერდით, რომელიც ყველა ტიპის საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს, არსებობს აღქმა-ქცევითი ორიენტაციების კულტურული განსაზღვრულობა, რომელიც ჯგუფურ მორალსა და ზნეობას აყენებს უფრო მაღლა, ვიდრე კანონს, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების უზენაეს საყრდენს, უკვე არსებობს “კანონი” — კულტურული ტრადიცია, რომელიც მიმართულია ურთიერთობებში უკონფლიქტობის შენარჩუნების ფუნდამენტურ ღირებულებასა და შიდა ჯგუფის გარე ჯგუფისგან გამოყოფი საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე. კოლექტივისტურ კულტურაში სახელმწიფო სტრუქტურების უუნქციონირებაში იქრება ტრადიციული, ოჯახურ-ნათესაური და “ზაცნობთა” შიდა ჯგუფების ფუნდამენტურ ღირებულება.

სწორედ ამ ვითარებას ითვალისწინებს მკელევართა ის კატეგორია, რომელიც საზოგადოებაში კორუფციის ტენდენციას ეთიკასთან მიმართებაში განიხილავს. ბოლოდროინდელი ემპირიული კვლევები მიმართულია კულტურის ტიპება და კორუფციის შორის კავშირის გამოვლენაზე.

ერთ-ერთ ასეთ გამოკვლევაში შესწავლილი იქნა კორუფციის სამი განზომილების მიმართება „ინდივიდუალიზმ/კოლექტივიზმ-თან“. გამოკვლევა ჩატარდა 49 ქვეყანაში. ამ გამოკვლევით გამოვლინდა, რომ კორუფციის თითოეული განზომილება კორელაციაშია Hofstede — ს “ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის” სკალებ-

თან. ეს კი ნიშნავს, რომ კოლექტივისტური ქადაგები უფრო მიღრე-  
კილი არიან კორუფციის სკენ.

კვლევისას ესთი შედეგები ზოგიერთს შესაძლოა ინტენციის წი-  
ნააღმდეგობრივი მოეჩვენოთ — აღნიშნავენ ამ საკითხის ემპირი-  
ული მეცნიერები, მაგრამ მონაცემებიც და თეორიაც ამ აზრს  
ასაბუთებს.

მათი ლოგიკა უყრდნობა იმის გათვალისწინებას, რომ ეთიკასა  
და კულტურას შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, თუმცა  
ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კავშირის შესახებ ემპირიული  
კვლევები ცოტაა. ეროვნული კულტურა გავლენას ახდენს ქცევაზე,  
მოლოდინზე და გაცვლის პროცესებზე მენეჯერსა და დაქვემდე-  
ბარებულებს შორის.

კვლევა, რომელსაც ვეხებით, ეყრდნობოდა კულტურულ ეთი-  
კას. მკვლევართა მიერ ადრეც იყო აღნიშნული, რომ ბიზნეს-ეთიკის  
კონცეპტუალიზაციაში მნიშვნელოვანი განსვლაა კულტურებს შო-  
რის. ძალზე იმკიათად უკვლევით კულტურის გავლენა ეთიკური  
გადაწყვეტილების მიღებაზე. პრაქტიკულად საქმე ეხება ეთიკურ  
სტანდარტებს შორის განსხვავებას ინდივიდუალისტებსა და  
კოლექტივისტებს შორის. მაგალითად, ბევრ კულტურაში ბიზნესის  
ცონბილი კორიფეულები — როკეფელერი, ფორდი, კარნევი არაეთიკუ-  
რად და სასტიკად მიიჩნევა.

ემპირიული კვლევებით გამოვლენილია, რომ ინდივიდუალის-  
ტურ კულტურებში ინდივიდის პირადი და ოჯახური ინტერესია წინა  
პლანზე, მაგალითად, აშშ-ში მუშა მიიჩნევს, რომ მან ანაზღაურება  
უნდა მიიღოს საქმეში მისი ინდივიდუალური წვლილის შესაბამისად,  
და თუ ფირმა ამას ვერ ახერხებს, იგი თანამშრომელს კარგავს.  
შესაბამისად, ინდივიდუალური მიღწევის ღირებულება პირველ  
ადგილზე აღმოჩნდა ინგლისში, ავსტრიაში, ახალ ზელანდიაში, კა-  
ნადაში.

ზომიერად ინდივიდუალისტებისთვის დამახასიათებელია  
community (მეზობლური ერთობლიობები). ისინი სოციალურ ქცევაში  
უფრო პასუხისმგებლივანები აღმოჩნდნენ, ვიდრე კოლექტივისტები.  
მათ სჯერათ უნივერსალიზმის და იმისა, რომ თუ ყველას მიმართ  
გამოყენებული იქნება ერთი და იგივე სტანდარტები (და ეს ასეც  
უნდა იყოს), ეს შეამცირებს კორუფციას.

კოლექტივისტებთან პირიქით: არსებობს ჯგუფური ორგანი-  
ზაციული სისტემის შენარჩუნების ძლიერი ტენდენცია, ლიდერსა და  
მის მიმდევრებს შორის მაღალი კორელაცია; ეს, თავის მხრივ,  
ძალზე ეხმარება სოციალიზაციის პროცესს. ასეთია მექანიკა, სა-  
ბერძნეთი, პონგ-კონგი, სინგაპური. პრევალირებს პარტიკუ-  
ლარიზმი; ღირებულებათა სტანდარტები შიდა და გარე ჯგუფისთ-  
ვის სხვადასხვაა. ამგვარად, კოლექტივიზმი ცდილობს სხვადასხვა

ნორმისა და საზომის გამოყენებას "ჩვენი" და "სხვა" ჯგუფის მიმართ. ეს კი აძლიერებს კორუფციას.

კორუფციის ტენდენციის საკვლევად შეისწავლეს სოციალური ორიენტაციები კულტურაში; მათ ინდიკატორად მიჩნეული იქნა ინდივიდისა და თავისი ჯგუფის ღირებულების მნიშვნელადის რწმენა ადამიანის მიერ სხვადასხვა კულტურაში.

მოცემულ კვლევაში პიპორთება ვარაუდობდა, რომ ინდივიდუალიზმი უარყოფით კორელაციაში უნდა იყოს კორუფციასთან. მეთოდად გამოიყენეს I-C სკალები — Hofstede-ს განზომილება.

გაზომვის ინდიკატორებად გამოიყენეს 57 ქვეყანაში გამოვლენილი შვიდი მახასიათებელი, რომელთა მიხედვით ძლიერი კავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ აუვავებას შორის. ეკონომიკური თავისუფლების აღმნერი ათი ფაქტორიდან ორი უშუალოდ კორუფციას აღნერდა. ესენია ზერეგულაცია და მავი ბაზრის აქტივობა. ეკონომიკის ძლიერ რეგულაციას ზემოდან, ჩვეულებრივ, მოჰყვება კორუფციის გაძლიერებაც.

მეორე მახასიათებლად მიღებული იყო ლიცენზიის მიღების სირთულე, რომელიც იზომებოდა ლაიცერტის უნიპოლარული სკალით 0-დან 5-ის ჩათვლით (სრულიად არ არის კორუფცია — ძალიან ძლიერი კორუფცია).

კორუფციული აქტივობის ანუ არაეთიკურობის მესამე მაჩვენებელი იყო კორუფციის აღქმა საკვლევ კულტურაში. ეს მაჩვენებელი შესწავლილ იქნა მნარმანებლების გამოყითხვით, აგრეთვე იმ ანალიტიკოსთა მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ კორუფციასთან და ადეკვატურად აღიქვამენ მას. ეს ინდიკატორი — SPI აღნერს ჩინოვნიკთა ჩათრეულობის ხარისხს კორუფციულ პრაქტიკაში და რანჟირდება (10-ძალზე სუფთაა — 0-მთლიანად კორუმირებულია). ეს მახასიათებელი შესწავლილ იქნა 65 ქვეყანაში.

მევლევრები აღნიშნავენ, რომ კორუფციის თაობაზე სულ მთლად ობიექტურ მახასიათებელთა მიღება ძალზე რთულია, რადგან იგი ღრმადაა ჩამაღული; რეალურად ეს მონაცემები ზომავს მასშედის ეფექტურობას კორუფციის გახსნაში, რამდენადაც აღნერს ამ საქმეებთან დაკავშირებულ სკანდალებს; ეს გამოვლევები აგრეთვე ავლენს იმასაც, თუ რამდენად ეარგადაა მომზადებული და რამდენად დამოუკიდებელია პროკურატურა და სასამართლო.

კვლევამ გამოავლინა შემდეგი:

ინდივიდუალიზმის ძლიერი კორელაცია ბიზნესში ეთიკის მაღალ დონესა და სუსტ კორუფციასთან;

კულტურული რელატივიზმის პრობლემები — არ არსებობს კორუფციასთან ბრძოლის ერთადერთი სწორი გზა; საკუთარი ლირებულებებისა და სტანდარტების დანერგვა განსხვავებულ კულ-

ტურაში უშედეგოდ მთავრდება, ხოლო ასიმილირება სრულებითაც ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ “სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო” — კორუმპირებული კოლექტივისტური კულტურის დახმარება ნიშნავს კულტურული წესების გათვალისწინებით ბრძოლას კორუფციასთან.

## § 12. დაავადებები და “ინდივიდუალიზმი/ კოლექტივიზმი”

გამოკითხვები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხებოდა მკვლელობებს, თვითმეცვლელობებსა და სტრესებთან დაკავშირებული დაავადებებით სიკვდილიანობას, ანონიმურობას და მარტობას, ავლენებ, რომ ადამიანებს ინდივიდუალიზმი, ტრიანდისის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმაოდ ძირი უჯდებათ.

მაგალითად, ინფარქტები. აშშ-ში მცხოვრებ თეთრ ამერიკელებში ინფარქტის შემთხვევები ზუთჯერ მეტია იაპონიაში მცხოვრებ იაპონელთა შორის ანბლოგიურ დაავადებასთან შედარებით; ამერიკაში მცხოვრები კულტურულად ადაპტირებული იაპონელები უფრო მიღრეკილი არიან გულის შეტევებისკენ და ეს მათ ხუთჯერ უფრო ხმირად ემართებათ, ვიდრე კულტურულ თვითმყოფადობა შენარჩუნებულ ამერიკაში მცხოვრებ მათივე თანამემამულებს. ეს მონაცემები ამტკიცებს, რომ კოლექტივისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური მხარდაჭერა ნარმოადგენს სტრესის შემაკავებელ ბუფერს (Л. РОСС, Р. Нисбет 2000 გვ. 298).

ისტორიაში ყოველთვის იდგა ნორმისა და პათოლოგის პრობლემა. სხვადასხვა მიღვიმა ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად უყურებდა. კულტურული რელატივიზმი ამტკიცებდა, რომ ყველაფური, რაც კულტურის შინაგან ორგანიზაციასთან შესატყვისობაშია, უნდა ჩაითვალოს ნორმად ამ კულტურისთვის (ბოასის სკოლა).

დღემდე არ წყდება კამათი დაავადებათა ინვარიანტულობის, უნივერსალურობისა თუ კულტურულ-სპეციფიკურობის შესახებ.

როცა კულტურის მიხედვით დაავადებათა ორიენტაციას ეხებიან, ჩვეულებრივ, მხედველობაში ის კი არა აქვთ, რომ რაღაც დაავადება საერთოდ სხვაგან არ გვხვდება, არამედ ის, რომ კულტურები ერთმანეთისგან განსხვავდება რაიმე დაავადების გავრცელებისა და გამოვლენის ფორმების მიხედვით.

დადგენილია, რომ არსებობს შფოთური მოშლილობის დიდი კროსეულტურული ვარიაბილურობა, რომელიც თავს იჩენს ნევროზებში, სიტუაციებზე მწვავე ემოციურ რეაქციებში. კვლევრები მიუთითებენ იმაზეც, რომ აღმოსავლურ კულტურებში აღმოჩენილი სიმპტომები დასავლურს არ შეესაბამება. შიუთითებენ ხალხთა

ფსიქიატრიულ სინდრომებზე, რომელიც გეოგრაფიული ადგილმდებარეობით განპირობებულად მიიჩნევენ (Tinaka Matsumi J. and Draguns J. 1996, გვ. 459-460).

იკვლიერ სხეული-გონიერის ურთიერთმიმართება და გამოავლინეს კულტურული მნიშვნელობის სომატური კომპონენტები; აღნიშნავენ ფიზიოლოგიური ჩივილების ეთნოცენტრისტულ ხედვას (იქვე; გვ. 464).

ეთნოფსიქიატრიამ აღმოაჩინა გარევეული დაავადებები, დამახასიათებელი დასავლური საზოგადოებებისთვის. მაგალითად, შიზოფრენია.ამ დაავადების კულტურულ მიზეზს ხედავენ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებათა უუნარობაში, დააკმაყოფილოს ინდივიდისთვის მნიშვნელოვანი ორი ფუნდამენტური მოთხოვნილება: განმარტოების (მარტოობის) და ურთიერთობის, ანუ მასში "მე-სხვები" ურთიერთმიმართების რეგულაცია.

ურთიერთობებს ტრადიციული საზოგადოებებიც არეგულირებენ, ზოგიერთში ხალხი უფრო ინტენსიურად ურთიერთობს, ზოგში — ნაკლებად. მაგრამ ყოველთვის არსებობს ურთიერთობის და განმარტოების ბალანსის უზრუნველყოფი მექანიზმები. მაშინაც კი, როცა კულტურულანთროპოლოგია ეთანხმება თანამედროვე ფსიქიატრიას შიზოფრენიის მიზეზებში, ხაზს უსვამენ იმას, რომ გამოცდილების ზოგიერთმა სახემ შეიძლება დააჩქაროს დაავადების განვითარების ტემპები. მაგალითად, ასეთი დამაჩქარებელი შეიძლება აღმოჩნდეს რთული და არასტრუქტურირებული ინფორმაციის დიდი ნაკადი.

დეპრესიას ასევე მიიჩნევენ ინდივიდუალისტური კულტურების დაავადებად. ეს დაავადება ყველგანაა გავრცელებული, მაგრამ განსხვავება ვლინდება მისი გამოვლენის ფორმებში კულტურის ტიპის მიხედვით. ჩვეულებრივ, ინდივიდუალისტურ კულტურებში ადამიანი უჩივის მარტოობას და იზოლაციას, ხოლო კოლექტივისტურში იგი თავს იჩენს სომატური სახით — მაგალითად, თავის ტკივილში — აღმოსავლურ კულტურებში გამოკითხულთა 90% უჩივის თავის ტკივილს.

თვით ენობრივი გამოხატვა — "დეპრესიაში ყოფნა" ვარირებადია კულტურების მიხედვით. ინდივიდუალისტურ კულტურებში ადაპტაციის გამოცდილება დეპრესიის მომრავლებას იწვევს. რაც შეეხება ტრადიციულ კულტურებს, აქ იგი ნაკლებადაა გავრცელებული, რასაც ხსნიან, პირველ რიგში, დიდი ოჯახების სიმრავლით კოლექტივისტურ კულტურებში; მიიჩნევა, რომ ადამიანს ასეთ პირობებში უკეთესი სოციალური მხარდაჭერა და სიყვარულის დაკარგვის ნაკლები რისკი აქვს; ამას გარდა, დადებით მომენტად მიიჩნევა განმუხტვის ისეთი ტრადიციული ფორმა, როგორიცაა დაკრძალვის რიტუალებში მწეხარების ღიად გამოხატვა.

## რეზიუმე

კულტურულ სპეციფიკას ავლენს სოციალური და ფსიქოლოგიური დისტანცია, ფიზიკურ სიახლოესით რეალურად გააჩნია კულტურების თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი სემანტიკა — ინდივიდუალისტურ ქვეყნებში ადამიანი თავის დამოუკიდებლობას სწორედ დიდი ფიზიკური დისტანციით გამოხატავს, და ასე იცავს საკუთარ პიროვნულ სფეროს, ხოლო კოლექტივისტურ კულტურებში ადამიანები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ საკმაოდ დიდ დისტანციას ინარჩუნებენ უცხოელთან მიმართებაში. სოციალური დისტანცია ასევე ახასიათებს ურთიერთობების კულტურულ სპეციფიკას ჯგუფებსა და ადამიანებს შორის. სოციალურ დისტანციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სუბიექტური კულტურა, ამასთან, სოციალურ ჯგუფთა შორის ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება.

მკვლევართა თვალსაზრისით, მატერიალური საკუთრება პიროვნებისთვის მისი იდენტურობის ასახვა, ამიტომ კულტურულ განსხვავებებს ავლენს მის მიმართ დამოკიდებულებაც. მაგალითად, ინდივიდუალისტებისთვის საცხოვრებელი უფრო გამოყოფილი და ჩაკეტილია, ვიდრე კოლექტივისტებისთვის და მის ხელყოფაზეც მეტი აგრძელებით პასუხობენ, ვიდრე კოლექტივისტები; ინდივიდუალისტებისთვის ის ნივთები აღმოჩნდა ძვირფასი, რომლებიც ადამიანის (ე.ი. მის საკუთარ) პირად ისტორიას ასახავს, კოლექტივისტებისთვის კი — ისანი, რომლებიც საზოგადოებაში ოჯახის პოზიციური განმტკიცების ისტორიას უკავშირდება.

ინდივიდუალისტური საზოგადოებების უპირატესობად მიიჩნევა მეტი პირადი თავისუფლება, პირადი მიღწევებისა კენ სწრაფებისა და რეალიზაციის შესაძლებლობები, ნაკლები მიჯაჭვულობა ირგვლივმყოფთა მოლოდინებზე და ამის გამო მეტი თავისუფლება ცხოვრების წესის ამორჩევაშიც და საერთოდ, პირად ცხოვრებაში. ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა გეოგრაფიული და პორიზონტური მობილურობის მეტი შესაძლებლობები, შედეგად კი — უფრო მრავალფეროვანი პირადი ცხოვრება, ქცევაში მეტი სპონტანურობა, გამომგონებლობა და შემოქმედებითობა. ამ საზოგადოებებში ასევე უფრო გამოკვეთილი უნივერსალისტური ღირებულებები — სიმშვიდე მსოფლიოში, გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და ა.შ.

შესაბამისად, განსხვავებულია აღზრდის მოდელები ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებში. ინდივიდუალისტურ კულტურაში მოქმედი აღზრდის მოდელი ორიენტირებულია ავტონომიური პიროვნების ფორმირებაზე: ბავშვებს ასწავლიან შეიცნონ საკუთარი თავი, იყვნენ თავისთავადი და თვითვე დაეხმარონ თავის თავს. ინდივიდუალისტური კულტურის გარკვეული და

გამოკვეთილი მიზანია ინდივიდუალური პოტენციის განვითარება, გამორჩეულობა აღიარებული და ნახალისებულია; კოლექტივისტურ საზოგადოებებში კი სოციალური ინსტიტუტები, ტრადიციები თუ ადათ-წესები აყალიბებს აღზრდის ისეთ სისტემას, რომელიც მოიაზრებს ნაწილად კოფინას, კუთვნილების განცდას, ინდივიდის ქცევასა და მის მიმართ სხვა ადამიანთა მოლოდინებს შორის შესაბამისობას. კოლექტივისტური კულტურების აღზრდის მოდელში აქცენტირებულია დამჯერობა და “წესირად” ქცევა.

აქედან გამომდინარეობს განსხვავებები კონფორმისტულ ორიენტაციებშიც ამ ორი ტიპის კულტურაში: კოლექტივისტურ კულტურებში კონფორმულობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ინდივიდუალისტურში, რის მიზეზადაც მიიჩნევა კოლექტივური მიზნებისა და “მნიშვნელოვან სხვათა” აზრის გათვალისწინების ღირებულება. კონფორმისტული გამოვლინებების აღქმაც განსხვავებულია: იგი უარყოფითად აღიქმება ინდივიდუალისტურ კულტურაში, რადგან ასოცირებულია მორჩილებასა და დამთმობლობასთან და უპირისიპირდება ამ კულტურის ნამყვან ღირებულებებს — თვითგამოხატვას, უნიკალურობას, დამოუკიდებლობას; კოლექტივისტურში პირიქით — კონფორმულობა აღქმულია დადგებითად, რამდენადაც ძალზე ღირებულია ჰარმონია ურთიერთობებში, შესაბამისად, - უმრავლესობის აზრისადმი მიმხრობას მიიჩნევენ ტაქტიანობად და სოციალურ სენზიტურობად, დადგებით და სასურველ თვისებად, სოციალურ ღირებულებად და ნორმად.

მკვლევართა აზრით, კონფორმული ორიენტაციის ჩამოყალიბება პიროვნებაში განპირობებულია აღზრდის კულტურულ მოდელში — თვითთდამტკიცების ან დამთმობლობის პრიორიტეტულობით. ალინიშნება ისიც, რომ კოლექტივისტურ კულტურებში აღზრდილი ბავშვები იოლად ითვისებენ ტრადიციებულ ნორმებს, მაგრამ უქირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, ახასიათებთ ნაკლები შემოქმედებითობა და ინიციატივიანობა, სირთულეს გრძნობენ საკუთარი ოჯახის შექმნისას.

ამ კულტურებში განსხვავებულია ნარმოდგენაც და დამოკიდებულებაც სიყვარულის მიმართ; თანამედროვე დასაელურ ქვეყნებში სიყვარული ქორნინების პირობად, კოლექტივისტურ კულტურებში კი — ქორნინების შედეგად მიაჩნიათ; ქორნინებაში იმედგაცრუება უფრო ხშირია ინდივიდუალისტურ, ვიდრე კოლექტივისტურ კულტურებში; შესაბამისად, განქორნინებათა რაოდენობაც ასევე ვარირებადია კულტურების მიხედვით — ინდივიდუალისტურ კულტურებში განქორნინება უფრო ხშირია, ვიდრე კოლექტივისტურში.

მიაჩნიათ, რომ ინდივიდუალიზმი უფრო ძლიერ შესაბამისობა-შია ეკონომიკურ განვითარებასთან, საზოგადოების სოციალურ ორგანიზაციასთან, სოციეტალურ სირთულესთან. გავრცელებული აზ-

რით, მოდერნიზაცია ინდივიდუალიზაციის შესატყვევისია. "ინდივიდუალისტური თანამედროვეობის" სინდრომის შესწავლა მართლაც აჩვენებს, რომ მის მახასიათებელთა დიდი უმრავლესობა (ურბანული ცხოვრების სტილი, ინგვაციისადმი გახსნილობა, რელიგიურობის ნაცვლად მეცნიერულობის რწმენა და ა.შ.) ინდივიდუალიზმს შეესაბამება; ინდივიდუალისტური კულტურები საშუალოდ, როგორც წესი, კოლექტივისტურზე უფრო მდიდარი და მნარმანებლურია, თუმცა იაპონიის მაგალითი ამ აზრს არყევს — ამ შემთხვევაში წარმატებას უკავშირებენ კოლექტივისტურ ღირებულებებს (ოჯახს, ლირსებას, კოლექტივის მიმართ ლოიალურობას).

აქტიურად იკვლევენ ეკოლოგიური გარემოს ბევრ ატრიბუტს, რამდენადაც მიიჩნევა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და სხვა მნიშვნელოვნად განაძირობებს კოლექტიური აზროვნებისა და ქცევის კულტურულ ვარიაციებს; მკვლევართა ასევე მუდმივი ინტერესის საგანია ორგანიზაციისა და სოციოკულტურული გარემოს ურთიერთეკავშირი კულტურის ტიპის მიხედვით. მათი აზრით, გარეული მზა კულტურული მოდელების მეშვეობით სოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს შიდა სამუშაო კულტურაზე, რაც აისახება საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაში; ეთიკასთან მიმართებაში იკვლევენ კორუფციის ტენდენციას ორივე ტიპის კულტურაში; მცირერიცხოვანი კვლევების მონაცემებით, კორუფციულობა ძირითადად კოლექტივისტური საზოგადოების მახასიათებლად მიიჩნევა.

გამოკითხვებისა და სხვა ემპირიულ — კვლევით მონაცემთა მიხედვით, ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი მარტობა, განქორნინება, მკვლელობა და სტრესული მოძლიულობაა. გამოკლენილია კულტურული მნიშვნელობის სომატური კომპონენტები და ფიზიოლოგიური ჩივილების ეთნოცენტრისტული ხედვა; ფსიქიკურ დაავადებათაგან გამოყოფენ შიზოფრენიასა და დეპრესიას, რომელთაც ძირითადად ინდივიდუალისტური კულტურების დაავადებებად მიიჩნევენ; დეპრესიის მკეთრი ზრდის მიზეზად ბევრი ავტორი "აულაგმავ ინდივიდუალიზმს" მიიჩნევს, რომელიც თავს იჩენს თანამედროვე დასაელური საზოგადოების უუნარობით, დააკმაყოფილოს ინდივიდისთვის მნიშვნელოვანი ორი ფუნდამენტური მოთხოვნილება: განმარტოების (მარტობის) და ურთიერთობის, ანუ მასში "მე-სხვები" ურთიერთობიმართების რეგულაცია; ამის საპირისპიროდ, ავტორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ დაავადებათა ნაკლებობა კოლექტივისტურ კულტურებში განპირობებულია ამ კულტურებში უკეთესი სოციალური მხარდაჭერითა და სიცვარულის დაკარგვის ნაკლები საფრთხით; ამას გარდა, პროფილაქტი-

კისთვის დადებით მომენტად მიიჩნევა განმუხტვის ტრადიციული ფორმების დღეგრძელობა კოლექტივისტურ კულტურებში.

## დავალებები:

1. განსაზღვრეთ ტრადიციის და მოდერნის ცნებები. როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს ეკონომიკურ აღმასვლას კოლექტივის-ტური ტენდენციები?
2. დაახასიათეთ აღზრდის მოდელები კულტურების მიხედვით. თქვენი აზრით, როგორი აღზრდის მოდელია ქართულ კულტურაში? დაახაბუთეთ.
3. აღნერეთ სოციალური სტრუქტურების კავშირი კულტურის ტიპთან.
4. დაახასიათეთ ოჯახის სტრუქტურა კულტურების მიხედვით და დაახასიათეთ.

## გასაცნობი ლიტერატურა

1. Эриксон Э. Детство и общество, Санкт-Петербург, 2000
2. Рocc, P. Нисбет. Человек и ситуация. «Аспект-Пресс», M, 2000 გვ. 278-322
3. Van De Vliert, Sh. Schwartz, S. E. Huismans, G. Hofstede, S. Daan. Temperature, cultural masculinity, and Journal domestic political violence.N of cross-cultural psychology. Vol.30 No. 3, May 1999; 291-314
4. Paul G. Wilhelm. The relationship of three Measures of corruption to Individualism and Collectivism: Implications for entrepreneurship education; 2000
5. Van De Vliert, Sh. Schwartz, S. E. Huismans, G. Hofstede, S. Daan. Temperature, cultural masculinity, and Journal domestic political violence.N of cross-cultural psychology. Vol.30 No. 3, May 1999 291-314
6. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw-Hill, 1994 გვ. 135-137
7. Triandis H.C. Individualism and Collectivism. Westview Press, 1995 გვ. 83-86

## ძირითადი ცნებები

პროქსემია — ეთნოლოგიის დარგი, რომელიც სოციალურ ჯგუფში ადამიანთა ურთიერთმიმართებებს აღნერს მათი შრის სივრცული მიმართებების მეშვეობით.

**ფსიქოლოგიური დისტანცია —** ადამიანთა განკვერძოვბა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიხატება იმ სირთულეებზე მსჯელობით, რომელიც ურთიერთქმედებაში ჩნდება.

**პიროვნული სივრცე —** ბუფერული სივრცე, რომელსაც ადამიანი ინარჩუნებს თავის ირგვლივ; ამ სივრცას ზომა დამოკიდებულია თანამოსაუბრის მიმართ სიახლოების ხარისხზე

**სოციალური დისტანცია —** ინდივიდთა ან ჯგუფებს შორის დაშორებულობის ხარისხი; ჩვეულებრივ, ასეთი დისტანცია შენარჩუნდება ნაკლებად ნაცხობ ადამიანებთან და ჯგუფებთან ურთიერთობაში

**სახალხო დისტანცია —** ფიზიკური სივრცე, რომელსაც ადამიანები შეინარჩუნებენ ერთმანეთს შორის სახალხო მოღვაწეობის დროს (მაგალითად, ლექციის კითხვისას)

**კორპორაციულობა —** იმ ჯგუფზე მიკუთვნებულობის განცდა, რომელთანაც ადამიანი იზიარებს შეხედულებებსა და რწმენებს

**ზერგულაცია —** სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში მეტისმეტი შეზღუდვებისა და აკრძალვების შეტანა; ძლიერი კორუფციის არსებობის მქონე ქვეყნებში თავს იჩენს, მაგალითად, ლიცენზიის მიღების გართულებაში

**კონფირმულობა —** ჯგუფში ან საზოგადოებაში დადგენილი ნორმების შესაბამისად ქცევა (ან ამგვარი ქცევის განწყობა) ყოველგვარ სიტუაციაში

**პრესტიჟი —** სტატუსზე დაფუძნებული პატივისცემა ინდივიდის ან ჯგუფის მიმართ

**სოციალური ცვლილებები —** ცვლილებები სოციალური ჯგუფის ან საზოგადოების საბაზისო სტრუქტურებში

## კულტურათა დიალოგი

### §1. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურის ზოგადი დახასიათება

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადამიანი სხვადასხვა კულტურულ გარემოში სტანდარტად, ნიმუშად მიიჩნევს სხვადასხვაგვარ „მე“-ს, რომელიც მისთვის დამახასიათებელ, სპეციფიურ ქცევას წარმოშობს.

მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს ორი კულტურულ-ფსიქოლოგიურად განსხვავებული პიროვნული ტიპის არსებობა და აღნერეს ტერმინებით — ე.ნ. დამოუკიდებელი "თვითობა" (Self) და დამოკიდებული "თვითობა" (Self) — ინდივიდუალისტური ტიპი და კოლექტივისტური ტიპი.

ინდივიდუალისტური კულტურისთვის დამახასიათებელი პიროვნებისგან განსხვავებით, რომელიც განიცდება დამოუკიდებელ, ავტონომიურ რეალობად მისი გარემომცველი სოციალური ჯგუფებისგან (ე.წ. „დამოუკიდებელი მე“), კოლექტივისტური პიროვნული ტიპი ხასიათდება თავისი ავტონომიურობის ძალზე დაბალი ხარისხით. ამის გამოხატულება ისაა, რომ პიროვნების დამოუკიდებელ ბირთვში, თავისითავადობის მთლიანობაში შექრილია ყველა რეფერენტული ჯგუფი, ბუნებრივია, თავისი ღირებულებებითა თუ წარმოდგენებით, ხაბოლოო ჯამში, მსოფლალქმით. შედეგად მისი დამოუკიდებლობა პრაქტიკულად ძალზე შეზღუდულია, ხოლო ავტონომიურობა, შეიძლება ითქვას, ძალზე შეფარდებით.

სოციალური ჯგუფი ყველა კულტურაში ახდენს გავლენას პიროვნებაზე და მას პიროვნება ანგარიშს უწევს, მაგრამ „დამოუკიდებელ თვითობა“ — ს (Self) და „დამოკიდებულ თვითობა“ — ს (Self) შორის განსხვავება თავს ამკარად ავლენს იმით, თუ რა ხარისხით იღებს იგი ამ ზეგავლენას, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს საკუთარიერო ჯამსალი ფუნქციონირებისთვის „შნიშვნელოვან სხვათა“ ჩართულობას თავის ცხოვრებაში.

ე.ნ. მცირე სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადად ოჯახის, ახლობელ-მეგობრების, კოლეგების, ნათესავების და სხვათა სახითაა წარმოდგენილი, ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებში ინდივიდისთვის დატვირთვაც და ღირებულებაც სხვადასხვა აქვთ; განსხვავებულია კულტურების მიხედვით მისი მიმართებაც ამ ჯგუფთა ნეკრობის, მათი შეცვლისა და გარე ჯგუფებთან დამოუკიდებულებისადმიც.

ინდივიდუალისტური კულტურებისგან განსხვავებით, სადაც ინდივიდი საკუთარი ნებით ირჩევს რომელიმე შიდა ჯგუფის წევრობას, სადაც მას ერთდროულად ბევრი შიდა ჯგუფის წევრობა შეუძლია, სადაც ის თავს უფლებას აძლევს, შიდა ჯგუფისადმი ერთგულება და ლოიალურობა მხოლოდ თავისი პირადი შეხედულებისამებრ არეგულიროს, სადაც მისთვის საზოგადოებრივი "მე" ანუ დიდი სოციალური ერთობლიობის წარმომადგენლობა (მაგალითად, მსოფლიოს მოქალაქეობა) შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი ოჯახეური თუ გვაროვნული კუთვნილება, კოლექტივისტურ კულტურულ შიდა რეფერენტული ჯგუფების გავლენა გადამნევეტია ინდივიდისთვის და წარმოადგენს კოლექტივისტური პიროვნების ცნობიერების შემქმნელ პირთვს — იგი მისთვის სოციალურ-ნიშნური სისტემაა, რომელთან შესაბამისობაშიც მოჰყავს მთელი პირადი, შიდა ფსიქიკური ცხოვრება.

რეფერენტული ჯგუფები ინდივიდუებისგან მოითხოვენ ჯგუფის წორმებთან, განსაზღვრულ როლებთან და ლირებულებებთან შეგუებას. და როცა ინდივიდი ჯგუფის წორმებს არღვევს, უხვევს, ჯგუფის წევრები იღებენ მტკიცნეულ გადაწყვეტილებებს და ასეთ წევრებს რიცხავენ რეფერენტული ჯგუფიდან, რაც ემოციურად ძალზე მძიმვდ განიცდება. სტაბილური შიდა ჯგუფი (ოჯახი, წათე-სავები და ა.შ.) უფლებამოსილია მოსთხოვოს ინდივიდს პასუხი ქცევაზე, დააჯილდოვოს და გაეკიცხოს იგი, რაც ხშირ შემთხვევაში არასტაბილური ჯგუფისთვის დამახასიათებელი არ არის.

შიდა ჯგუფის ზომაც კულტურის ტიპზეა დამოკიდებული. კოლექტივისტურ კულტურებში ასეთი ჯგუფები უფრო მცირერიცხოვანია (ოჯახი), ხოლო ინდივიდუალისტურში — უფრო მრავალრიცხოვანი (ზალხი, რომელიც იზიარებს და ეთანსმება ჩემთვის მნიშვნელოვანი განწყობებს). რაც უფრო მცირეა შიდა ჯგუფი (ოჯახი), მით უფრო მკაფიო წორმები, ღირებულებები და სანქციები არსებობს, წორმიდან გადახარაც უფრო შესამჩნევია და დასჯაც შესაძლებელი. ამდენად, შეკავშირების, ერთიანობის ხარისხიც ძალზე მაღალია, რაც "კოლექტიური მე"-ს გაბატონების გარანტის წარმოადგენს.

შიდა ჯგუფი, როცა ის მყარი და შეუღწევადია (ანუ ჩაკეტილია და მობილობა გართულებული), უდიდეს გავლენას ახდენს და განსაზღვრავს კიდეც სოციალურ ქცევას. კოლექტივისტურ კულტურაში სტანდარტული ქცევა შეესაბამება და ეყრდნობა ცოდნას იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა იმოქმედო შიდა ჯგუფის წარმატებისთვის და სიცოცხლისუნარიანობისთვის, განსხვავებით ინდივიდუალისტური კულტურისგან, სადაც ურთიერთქმედების საფუძველი პიროვნულობა და პირადი ურთიერთობაა.

სოციალური ქცევა კოლექტივისტურ კულტურაში, განხხადებით ინდივიდუალისტური კულტურისგან, შიდა ჯგუფებში არსებული ნორმების ფუნქციაა.

აქედან მოდის შიდა ჯგუფის ფუნქციონირების თავისებურებები კოლექტივისტურ კულტურაში, მაგალითად, კოლექტივისტურ კულტურაში იგი უფრო ჰარმონიულია, ვიდრე ინდივიდუალისტურში. ეს ჰარმონია ვლინდება შემდეგში:

1. პოზიტიური ურთიერთშეთანხმების ტენდენცია შიდა ჯგუფის წევრების ორიენტაციაში;

2. კონფლიქტური სიტყვაციების შესუსტებაზე ზრუნვა და ამიტომ მათი მინიმალური სიმცირე;

3. საზოგადოების მხარდაჭერის განსაკუთრებული მნიშვნელობა;

4. შიდა ჯგუფის ნარმატებების განსაკუთრებით მაღალი ღირებულება.

შიდა ჯგუფური ურთიერთობების ჰარმონიულობასთან თანაარსებობს გართულებული ურთიერთობები გარე ჯგუფებთან. რაც უფრო კოლექტივისტურია კულტურა, მით უფრო დიდია განსხვავება შიდა და გარე ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთექმედებაში: შიდა და გარე ჯგუფების გამიჯვნა კოლექტივისტურ კულტურაში უფრო მკაცრია, ვიდრე ინდივიდუალისტურში. შიდა ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული და შედარებით უკონფლიქტო, ხოლო გარე ჯგუფებთან (შესაბამისად, გარე ჯგუფის წევრებთანაც) დამოკიდებულება კი — გაცილებით უფრო მანიშვნელობორული და ექსპლოატორული. შიდა ჯგუფშიც შეიძლება იყოს ბევრი დარღვევა, ამოვარდნა (მაგალითად, რთული ურთიერთობა დედამთილთან კოლექტივისტურ კულტურებში საკმაოდ გავრცელებულია), მაგრამ მთლიანობაში აქ ურთიერთობები ნაკლებად კონფლიქტურია, ვიდრე ინდივიდუალისტურ კულტურაში. საურთიერთო როლებიც შიდა ჯგუფის წევრებს შორის უფრო მშობლიური, მოწესრიგებული და ინტიმურია, ხოლო ურთიერთობები — უფრო ხანგრძლივი და მდგრადი.

თანამშრომლობაზე ორიენტაციაც კოლექტივისტურ კულტურებში უფრო გამოკვეთილია, მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი: ინდივიდუალისტურ კულტურებში თანამშრომლობა ორიენტირებულია საქმეზე, მაშინ, როცა კოლექტივისტურ კულტურებში იგი ორიენტირებულია ურთიერთობებზე. სწორედ ამიტომ, აქ თანამშრომლობაზე მიდიან მაშინაც, როცა იგი ნამვებიანია.

ამრიგად, კოლექტივისტური კონცენტრირებული არიან შიდა ჯგუფის წევრების ქმედების შედეგებზე, აქვთ ამ რესურსების ჯგუფის წევრებთან განაწილების ტენდენცია, თავს გრძნობენ მათზე დამოკიდებულად და ჩართული არიან მათ ცხოვრებაში. ისინი ორი-

ენტირებული არიან შიდაჯგუფურ ინტეგრაციაზე და დეორიენტირებული — შიდა ჯგუფისგან დამოკულებლად ყოფნაზე. კოლექტივისტს შეგნებული (გაცნობიერებული) აქვს, რომ შიდა ჯგუფის ნორმები უნივერსალური ღირებულებებია (ეთნოცენტრიზმის ერთ-ერთი ფორმა), იგი ავტომატურად ექვემდებარება შიდა ჯგუფის ავტორიტეტებს, ხოლო კონკრეტულ ვითარებებში განწყობილია იბრძოლოს და მოკვდეს შიდა ჯგუფის გამოლიანებისთვის; და წინააღმდეგია პერნეს რაიმე საერთო გარე ჯგუფებთან.

შიდა ჯგუფი ძლიერია მაშინ, როცა აქვს იმ ინდივიდთა დაჯილდოების ჩესურსები, რომლებიც იცავენ და ეგუებიან ჯგუფის ყველა მოთხოვნას, ხოლო სანქციები — ნონჯონფორმისტების დასასჯელად; რესურსების უკიდურესი სიმძირის, სილატაკის ზღვარზე ოჯახის ბაზისური სტრუქტურები და ნორმები არარელევანტური გახდება და არარეგულარული ქცევებით ხასიათდება.

“კოლექტივური მე”-ს ბატონობას განაპირობებს იმ ჯგუფთა სიმცირეც, რომლის წევრადაც ინდივიდი თავს მიიჩნევს, რადგან ძლიერდება ინდივიდის მიჯაჭვულობა ამ ჯგუფებზე — მისთვის ლირებულია თითოეული წევრი, შესაბამისად, მისი “კოლექტიური მე” გაცილებით უფრო ძლიერია.

კოლექტივისტური პიროვნებისთვის ჯგუფის შეჭრილობა მის ცნობიერებაში ტოტალურია. იგი განსაზღვრავს არა მხოლოდ ფასეულობათა სისტემას, არამედ ისეთი შედარებით აბსტრაქტული და უნივერსალური სისტემების ფუნქციონირებასაც კი, როგორიც ფსიქიური პროცესებია — კოლექტივისტური პიროვნებისთვის ყველა ინტერნალური (საუთარი, ინტიმური) ნარმონაქმნი ცნობიერებაში ექვემდებარება კულტურული კონტექსტის მოთხოვნებს. იგი ვერ (ან არ) განიცდის თავის თავს ავტონომიურ, უნიკალურ რეალობად, მისი არსებობა არის მხოლოდ ჯგუფთან ერთად და ჯგუფში არსებობა — მის გარეშე იგი თავის თავს ვერ ხედავს, მუდმივად სოციალურ ერთიანობაშია და ძირითადში მისით განისაზღვრება. “სხევები” იმ გარემოცვისა და სიტუაციის, კონტექსტის ინტეგრალური ნანილი გახდება, რომელთანაც ადამიანი ურთიერთობს, ერგება და ასიმილირდება; სახლისგან, ოჯახისგან, მეგობრებისა და კოლეგებისგან მოწყვეტილი იგი კარგავს მისი მეობის განმსაზღვრელ სოციალურ კავშირებს, ამიტომ ადამიანში განსაკუთრებით ღირებულია სემანტიკური კავშირები: “ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჩემგან ჩემი ოჯახი და მეგობრები ელიან”, “ვალდებული ვარ, ჩემს ჯგუფს ზეარაკად შევენირო”, “მე ჰარმონიაში უნდა ვიყო ჩემს ჯგუფთან მაშინაც კი, როცა ეს ძალზე ძნელია”. ინდივიდი თავის თავს კოლექტივისტურ კულტურაში ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ინდივიდუალისტურ გარემოში და შესაბამისი დევიზიც აქვს: “არც ერთი ჩემგანი კუნძული არ არის”.

ასე რეალიზდება ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ტენდენცია — სხვებთან ერთად ყოფნა. ამ ტიპის ადამიანისთვის არაცნობიერად ნარმმართველი სწორებ ეს მიზანია. ადამიანის შინაგანი სამყარო ინტერნალური ატრიბუტების — უნარების, აზრების, შეფასებების და პიროვნული ნიშნების ერთობლიობაა. კოლექტივისტის შემთხვევაში ეს ინტერნალური ანუ შინაგანი ატრიბუტები სიტუაციურად სპეციფიკურად გაიაზრება; ისინი ღირებულია არა თავისთავად, როგორც პიროვნული მახასიათებელი, არამედ რაიმე სოციალურ კონტექსტში, რომლის არსებითი მიზანია ურთიერთობა; ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია კონტექსტის ბუნებაზეც, მაგრამ ნანილობრივ მაინც, ამ კონტექსტში სხვების ყოფნაზეც — ისინი მასში აქტიურად და განუწყვეტლივ მონაწილეობენ. ამიტომ სოციალური ცხოვრების ბევრ სფეროში ადამიანის აზრები, უნარები, მგრძნობელობა და სხვ. მისი დახასიათებისას მხოლოდ "მეორადი", დამატებითი ინფორმაციაა — უფრო მნიშვნელოვანი და პირველადია ადამიანის სოციალურად ნიშნური მახასიათებლები.

განსხვავებულ კულტურულ გარემოში განსხვავებულია იდენტურობის ცნებაც. ინდივიდუალისტურ კულტურაში იგი ემყარება ინდივიდის ქმედითობას: რას ნარმოვადგენ, რა შესაძლებლობები მაქს, რა მიღწევებს ვფლობ; კოლექტივისტურში კი — ურთიერთობებს: "მე X -ის დედა ვარ", "მე Y ოჯახის ნევრი ვარ", "მე Z ჯგუფს ვეკუთვნი". ამიტომ, ერთის მხრივ, პიროვნების მახასიათებლად გამოდის მისი რეფერენტული ჯგუფის სტატუსი თუ პრესტიჟი ამ უკანასკნელთა აღმნერი ნიშნებით: გვარიშვილობა-ოჯახიშვილობა, ეკონომიკური თუ სოციალური სტატუსი თანამდებობის, ძალაუფლების ზომის, სოციალური სტატუსის და პრესტიჟის მქონეთა მიმართ მისი დისტანციის აღნიშვნით — "მავანი ჩემი ნათესავია, ჩემი ძმის ახლობელია, მამიდაჩემის მეგობარია" და მსგავსი; მეორეს მხრივ, ჯგუფი აღნერს თავის თავეს მასთან შეხების მქონე ინდივიდების სოციალური მიღწევებით — "ჩემს ამას და ამას ასეთი თანამდებობა აქვს", "ცნობილი მეცნიერია", "ძალიან მდიდარია" და ა.შ.

ცხადია, რომ ჯგუფის ამგვარი ტოტალური შექრილობა ერთი ადამიანის ცნობიერებაში მთლიანად განსაზღვრავს მნიშვნელოვან თვითრეგულაციურ მექანიზმებსაც — მისი აქტივობის ძირითადი ორიენტაციაა, არ გაუცრუოს ჯგუფს მოლოდინები, ნინააღმდეგ შემთხვევაში იგი, უბრალოდ, პიროვნულ სახეს დაკარგავს. ამიტომ მის აზროვნებაში გააქტიურებულია ჯგუფური სააზროვნო კლიშები, გრძნობებში — მათი ჯგუფური მისაღებობა (წინააღმდეგ შემთხვევაში გრძნობა იხლიჩება, ამბივალენტური გახდება და ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისი პოლუსის გაძლიერების ტენდენცია

ჩნდება); ძალზე ხშირად თვით პიროვნებაც შინაგან მონაცემებს არეგულირებს ურთიერთობების მიზნიდან გამომდინარე, შესაბამისად, პიროვნეული აკტონომია მეორადა და პრინციპულად ნაკლებად ღირებული; თუ მაინც ფასობს, მხოლოდ იმდენად, რამდენადც იგი ჯგუფის იდეალების მარეალიზებელია. ინდივიდის მოტივაციაც იმითაა განპირობებული, რად განიცდება მისთვის „ნარმატება“ — პირად მიღწევად თუ მისი რეფერენტული ჯგუფის მიღწევად საქმიანობის ნებისმიერ სფეროში კოლექტივისტის მიღწევა არ განიცდება მის პირად გამარჯვებად, იგი უცილობლად უკავშირდება მის რეფერენტულ ჯგუფს და მთელი ჯგუფისთვის ნიშნურ მოვლენად იქცევა.

შინაგანი ატრიბუტების აღნერილი ნებაყოფლობითი კონტროლი ადამიანთა კულტურული იდეალის ბირთვია. დამოუკიდებელი ქცევის ჩახშობა პიროვნების მიერ კოლექტივისტურ კულტურაში ემყარება ურთიერთდამოკიდებულების მიმართების, „სხვებზე“ მიჯაჭულობის ღირებულების ფუნდამენტურ უპირატესობას. კოლექტივისტის ეს ურთიერთდამოკიდებული „მე“, რა თქმა უნდა, გულისხმობს ინვარიანტული პიროვნეული ატრიბუტების რეპრეზენტაციას, მაგრამ არსებითად იგი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამის გამო დამოკიდებული „მე“-ს ორიგინტირებულობა სხვებთან ურთიერთობაზე „არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ადამიანის შინაგან მეობას“.

კოლექტივისტური კულტურების კვლევა ყველაზე მოდერნიზებულ სფეროებშიც კი ავლენს იმის ტენდენციას, რომ ადამიანები მოქმედებენ სხვების ნორმებისა თუ მოლოდინების, და არა ინტერნალური სურვილებისა თუ პიროვნეული ატრიბუტების შესაბამისად. პრიორიტეტულია ორიგინტაცია კოლექტიურ კეთილდღეობაზე და სხვებით დაინტერესებაზე. ადამიანს ახასიათებს ინტერპერსიონალურ ურთიერთობათა რეგულირება შეთანხმებით, სხვების მიმართ მგრძნობიარობით და საკუთარი ქცევის სხვებთან მიგუებით

— იგი ერიდება ურთიერთობის გაფუჭებას, ურთიერთსიმპათია გულისხმობს ირმხრივ პატივისცემას და სხვათა გრძნობების გაზიარების უნარს, სხვათა მოთხოვნების პატივისცემას, როგორც ობიექტურ მორალურ ღირებულებას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო ურთიერთობათა მიბმა სხვებთან ურთიერთობასთან და ადამიანის ქცევის მოქნილობის მოთხოვნა ურთიერთობის ბუნების შესაბამისად, ასევე ურთიერთდამოკიდებულების ნახალისება და ხელშეწყობა. კუთვნილებისენ სნრაფვა, ურთიერთმიჯჭვულობა, ემპათიურობა, პიროვნეული სივრცის დაპყრობისა და ორმხრივობის მუდმივი ინტერესი კოლექტივისტის მახასიათებლებია. იაპონიაშიო — ნერს ცნობილი მკელევარი ლებრა — კოშმარი არის მარცხი სხვებთან ურთიერთობის ნორმატული მიზნის მიღ-

წევაში მაშინ, როცა ამერიკაში კოშმარია სხვებისგან განსხვავების მიუღწევლობა, ადამიანის უკიდურესი კონტროლირებულობა სხვათა მიერ, როცა იგი ვერ ახერხებს ნინ აღუდგეს “სხვებს”, როცა არის “სხვებიკით”.

აღზრდის მოდელიც, თავისი მიზნებითა და პრინციპებით, ასევე განსხვავებულია კულტურების მიხედვით: ინდივიდუალისტურ კულტურუბში იგი ემყარება თვითრეალიზაციას, დამოუკიდებლობას, საკუთარი თავის პოვნას და თვითაქტუალიზაციას (ასეთი აღზრდის მოდელი ზრდის „ინდივიდუალური მე“-ს გაძატონების შანსს), ხოლო კოლექტივისტურ კულტურუბში — კოლექტივის მნიშვნელობას, შესაბამისად, აღზრდის პრინციპები ემყარება მორჩილების, დამჯერობის, სანდოობისა და “წესიერად” (ანუ წესის დაცვით) ქცევის მოთხოვნებს; ამგვარად, ესაა აღზრდის მოდელი, რომელიც უფუძნება კონფორმიზმს, მორჩილებას და პატივისცემას. ასეთი მოდელი ითვალისწინებს დაჯილდოებას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ წარმატებაში ჩართულობისა და მონაწილეობის სურვილს. რაც უფრო ხშირად ჯილდოვებს ჯგუფი ინდივიდს (ემოციური მხარდაჭერა, შექება, სტატუსი, მომსახურება), მით უფრო ზრდის ვალდებულების განცდას ინდივიდში და ჯგუფის მიერ ნორმირებულ სოციალურ ქცევას სამაგალითოდ უხდის მასში გაერთიანებულ კველა წევრს.

“კოლექტივისტური მე” მკვიდრდება, მყარდება და მტკიცდება მაშინ, როცა შიდა ჯგუფი აჯილდოვებს (შექება, მაღალი სტატუსის მონიჭება), როცა არის კონკურენცია და დაპირისპირება გარე ჯგუფებთან, როცა შიდა ჯგუფის მნიშვნელობის შეგრძნებას საფუძველი ეყრდნობა აღზრდის პროცესში (ოჯახის, ნათესაური კავშირების, ხალხის აზრის მნიშვნელობის ხაზგასმა, სკოლებში პატრიოტული სიმღერების სწავლება), როდესაც შიდა ჯგუფს აქვს მკვეთრად განსხვავებული ნორმები და ღირებულებები სხვა, არასასურველი და განსხვავებული (არამსგავსი) ჯგუფებისგან; აზრი ასეთი განსხვავების მნიშვნელობაზე ფეხს იყიდებს მაშინ, როცა საზოგადოება გაუნათლებელი და უწიგნურია, როცა გაუმჯობერებელი საზოგადოებაში რესურსების განაწილება, ხოლო არსებობისთვის ბრძოლა — ერთადერთი მიზანი. საბოლოოდ, რაც უფრო მეტადა ინდივიდი კოლექტივზე დამოკიდებული, მით უფრო მყარდება “კოლექტიური მე”.

ოჯახი, თანამერობლები თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც დიდ როლს თამაშობენ და განსაზღვრავენ ინდივიდის ქცევას, მაგრამ ჯგუფის გარეთ მოქმედებისას პიროვნება საქმაოდ თავისუფალია.

შესაბამისად, კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურაში განსხვავებულია საზოგადოებრივი “მე” — ც. ინდივიდუალ-

ისტურ კულტურაში უმაღლეს საზოგადოებრივ ღირებულებებად მიჩნეულია დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა, თვითრეალიზაცია, ინდივიდუალური მიღწევები, ასევე მნიშვნელოვანია განსხვავებულის, ორიგინალობის ფაქტორი (ჩატმულობა, პოზიცია, მეტყველების მანერა); კოლექტივისტურ კულტურაში კი უმაღლესი საზოგადოებრივი ღირებულებაა კონფორმიზმი, რაც საზოგადოების მიმართ სოლიდარობის გამოხატულებად მიიჩნევა. „კოლექტივისტურ საზოგადოებაში იყო „მშვენიერი“, ნიშნავს აზართლებდე საზოგადოების მოლოდინებს“.

ადსანიშნავია, რომ ინდივიდის პირადი ცხოვრების რაც უფრო მეტ სფეროშია შექრილი შიდა ჯგუფი, მით უფრო ბატონობს „კოლექტიური მე“.

კოლექტივიზმს აქვს რამდენიმე მახასიათებელი ნიშანი. ინდივიდუალიზმისგან განსხვავებით, რომლის განმსაზღვრელ ატრიბუტებად მიჩნეულია შიდა ჯგუფისგან განცალკევება, ემოციური დამოუკიდებლობა და შეჯიბრი (კონკრეტული), კოლექტივიზმის მახასიათებლად მიიჩნევენ ოჯახურ ერთიანობას, და სოლიდარობას. გარდა ამისა, მეცნიერები გამოყოფენ კოლექტივიზმთან დაკავშირებულ მახასიათებელთა ჯგუფს, მათ შორის, ამკარა შიდა-ჯგუფურ-გარეჯგუფურ განსხვავებებს; უფრო მიწერილ, ვიდრე მიღწეულ შიდა ჯგუფურ სტატუსს (პრესტიუს); იერარქიულობას; შიდაჯგუფურ ჰარმონიას; დაბალ შემოქმედებითობას, მაღალ და უკეთეს სოციალურ მხარდაჭერას და სხვ.

კოლექტივიზმის ერთ-ერთ მახასიათებლად მიჩნეულია ძლიერი კონფორმისტული ტენდენციები. კონფორმიზმი და დაქვემდებარება-მორჩილება ასევე უნივერსალურია, მაგრამ სოციალიზაცია სხვადასხვა კულტურაში ქცევის სოციალური განსაზღვრულობს განსხვავებულ ხარისხს გულისხმობს.

რაც შეეხება შინაგან კონსტუქტებს, მაგალითად, Self-ს, სოციალურ ქცევასთან შეიძლება ძალზე მტკიდროდ იყოს დაკავშირებული ერთ კულტურაში და ნაკლებად — მეორეში.

## § 2. კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა

ასეთი კომუნიკაციის სიძნელეები დიდი ხანია აინტერესებთ მკვლეერებს. ყურადღებას ამახვილებდნენ კულტურათაშორის კომუნიკატორ —ინდივიდებზე; მათ აღნერდნენ, როგორც იმ “შუამავალს”, ვინც ასახავს კონკრეტულ კულტურის “რწმენებს, ღირებულებებს, კოგნიტურ მოქნილობას, სოციალური ქსელის და ზენაციონალური ჯგუფის ნერვობას”; ამგვარად, ერთი პირის პიროვნულ და სოციალურ თავისებურებებს მოიაზრებდნენ კულტურებსა და კონტექსტებს შორის კომუნიკაციის წარმატების პირობად. შესა-

ბამისად, გაჩნდა ე.ნ. პიროვნების „მულტიკულტურული თეორიები”, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი მიდგომა ვერ სწავლობს კულტურა-თაშორის აქტუალურ კომუნიკაციას.

კულტურათა შორის კომუნიკაციის ეფექტურობას ეხება *Triandis*-იც, რომელიც ასევე ინდივიდუალობაზეა ორიგინტირებული და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა კულტურის ცოდნას. მისი აზრით, ინტერპერსონალური კომპეტენტურობა მოითხოვს იზომორფულ ატრიბუციას, სხვისი ქცევის ანალიზს და სხვა პიროვნების მოლოდინების ცოდნას, ანუ კომუნიკატორულ უნარებს. ძალზე მნიშვნელოვანია კომუნიკატორის მიერ კონტექსტის ცოდნა, რაც ცხადია, გულისხმობს არავერბალური ენის ცოდნასაც. *Triandis*-ს პარალინგვისტური არაეფექტური კომუნიკაციის მაგალითი მოაქვს: ბრაზილიაში ვიზუალური მყოფმა ნიქსონმა უსსტით ამერიკული „O.K“ უჩვენა ბრაზილიელებს კეთილგანწყობის ნიშნად, რაც კატასტროფულად არაადეკვატური აღმოჩნდა — ეს არავერბალური უსსტი ბრაზილიაში უკიდურესად ინტიმურ-სექსუალური სემანტიკის მქონეა (*Triandis*-; 1994; გვ. 181-182).

სხვადასხვა კულტურის ნარმობადგენელთა შორის ურთიერთობისას ძალზე მნიშვნელოვანია განსხვავებების ცოდნა სოციალური ურთიერთებედების სისტემებს შორის. ეს გაუგვებობების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

მკვლევარებმა ამას გარდა დაადგინეს, რომ ინდივიდუალური მიზანი და სიტუაციური ცვლილებები გავლენას ახდენს კულტურა-თაშორის შეთანხმებებზე (J. Koester, M. Olebe. 1988). მათ კომპეტენტურობისა და ასეთი შეთანხმების აღმნერი 7 კრიტერიუმი გამოყვეს: პატივისცემის გამოხატვა, ურთიერთობისთვის შინაგანი მზაობის გამოვლენა — გამოხატვა, ცოდნის მიღებაზე ორიგინტაცია (ამ ხალხის ტერმინოლოგიის გაგებისკენ სწრაფვა); ემპათია; როლის მიხედვით ქცევა, ურთიერთებედების მართვის უნარი და ორაზროვნების მიმართ შემწყნარებლობა. მათი გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ კულტურული შოკის ნინასნარმეტყველება შესაძლებელია ცოდნაზე, ინტერპერსონალურ როლზე ორიგინტაციით და ემპათიით; თანხმობა ინინასნარმეტყველება პატივისცემით და ურთიერთებედების მართვის უნარით, ამასთან, ეფექტურობა უკავშირდება დავალებული როლის შესრულებას და არა ინდივიდუალურ როლს.

მკვლევრები (*Triandis, Brislin, Hui*) კოლექტივისტურ კულტურაში მოხვედრილ ინდივიდუალისტებს ურჩევენ:

1. კონფრონტაციის თავიდან აცილებას;
2. ხანგრძლივი ურთიერთობის კულტივაციას — ნუ დაელოდებიან სწრაფად დაახლოვებას;
3. თავმდაბლობას;
4. ჯგუფურ იერარქიაში ადამიანის ადვილით დაინტერესებას;

5. თავისი სოციალური მდგომარეობის აღნიშვნას.  
ინდივიდუალისტურ კულტურაში მოხვედრილექტივისტებს  
ურჩევენ:

1. უფრო ხშირად აპრიტიკონ;
2. პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ;
3. აჩერნონ თავიანთი უნარები და მიღწევები;
4. მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ თანამოსაუბრის პირად  
თვისებებს და ნაკლები — სოციალურ მდგომარეობას და ჯგუფის-  
ადმი კუთხილებას (Maihers D. 1998 გვ. 252).

### § 3. კომუნიტარიანიზმი

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინდივიდუალიზმი  
დასავლეთში კიდევ უფრო გაძლიერდა. მშობლები კიდევ უფრო მე-  
ტად ნაახალისებენ შვილებს დამოუკიდებლობისენ და სულ უფრო  
ნაკლებად სწუხან ურჩობაზე — ნერს მაირსი; ჩაცმის სტილი და  
თავის დაჭრის მანერა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა,  
ხოლო საერთო ღირებულებები გაქრაო — აღნიშნავენ სხვები.

ინდივიდუალისტურ კულტურებში დეპრესიაც გახშირდა და  
სოციალური განხეთქილების სხვა მაჩვენებლებიც. მაგალითად, აშშ-  
ში 1960 წლის შემდგომ პერიოდში გაორმაგდა განქორნინებათა  
რიცხვი, გასამაგდა მოზარდთა ოვითმევლელობების რაოდენობა,  
4-ჯერ გაიზარდა გაუპატიურებაზე შემოსული განცხადებები, 5-  
ჯერ — ბავშვთა ჩივილი ცუდ მოპყრობის გამო, 6-ჯერ — არასრულ  
ოჯახში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა და ახალგაზრდობაში  
ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული.

ცხადია, რომეს ტენდენციები მრავალგვარი მიზეზითაა განპი-  
რობებული და არა მხოლოდ ინდივიდუალიზმით, მაგრამ ბევრი ინ-  
დივიდუალისტური ორიენტაცია რომ მათ მაპროვოცირებლად  
შეიძლება მივიჩნიოთ, საკამათო არაა.

მცნივრული მიმართულება, რომელსაც კომუნიტარიანიზმი  
ეწოდება, ძალასა და დამოუკიდებლობაზე ორიენტირებუ-  
ლი ინდივიდუალიზმის ალტერნატივის ჩვენებასა და ამ ალტერნატი-  
ვის სიცოცხლისუნარიანობის დასაბუთებას ცდილობს (Triandis H.  
1995; sami8-4sami).

კომუნიტარიანისტები სთავაზობენ რაღაც შუალედურს დასავ-  
ლურ ინდივიდუალიზმსა და აღმოსავლურ კოლექტივიზმს შორის;  
ტრადიციულად მამაკაცურობად აღქმულ ეგოისტურ დამოუკიდე-  
ბლობასა და ტრადიციულად ქალურობად აღქმულ მზრუნველობას  
შორის; ინდივიდუალურ დაცვისა და საზოგადოებრივ კეთილდღეო-  
ბას შორის; თავისუფლებასა და ძმობას შორის; “შე”-აზროვნებასა  
და “ჩვენ” აზროვნებას შორის; სთავაზობენ მიჯაჭვულობის ახლე-

ბურ გაგებას: "მიჯაჭვულობა სულაც არ გულისხმობს აუცილებლად უსუსურობას, უძლურებას ან კონტროლის უუნარობას. ხშირად მასში ურთიერთობის დაფასებას, სიფაქიზესა და პასუხისმგებლიანობას სხვა ადამიანის მიმართ, მხარდაჭერას და მისგანაც იგივეს მოლოდინსა და მიღებას; ეს ნიშნავს საკუთარი თავის აღქმას არა მარტო უნიკალურ "თვითობად", არამედ "მნიშვნელოვან სხვათა" ლოიალურ მოქავშირედაც.

სოციოლოგთა ერთი ნაწილი კომუნიტარიანიზმის კონცეფციის დასაბუთებას ცდილობს კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური ლირებულებებიდან საუკეთესოს შეერთებით. მათი გაგებით, უნდა მოხდეს ინდივიდუალური უფლებებისა და საზოგადოების კეთილდღეობის კოლექტივური უფლებების ბალანსი; ისინი მიესალმებიან პირად ინიციატივას და მარქსისტული ეკონომიკის კრახსაც ეხებიან. იტალიელი მეცნიერი-კომუნიტარიანისტი ამიტაც ეტკიონი ნერს, ახლა ალბანეთში რომ ვცხოვრობდე, ალბათ იმას დავამტკიცებდი, რომ ჩვენ ძალიან ბევრი კოლექტივიზმი და ძალიან ცოტა პირადი უფლებები გვაქვსო. მაგრამ იმავდროულად, კომუნიტარიანისტები ისწრაფვიან იმ მეორე უკიდურესობის გვერდის ავლისკენაც, რომელიც 60-იანი წლების შემდგომი უკიდურესი და "თვითმაყოფილი" ინდივიდუალიზმით გამოიხატება. ამ მეცნიერთა აზრით, პიროვნების შეზღუდუდავი თავისუფლება არღვევს კულტურის სოციალურ ქსოვილს, ხოლო ბიზნესის შეზღუდუდავი თავისუფლება აფუჭებს საერთო გარემოს.

ცნობილი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგის, დევიდ მაიერსის აზრით, კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის კომუნიტარიანისტული ნაზავი უკვე დღეს ვლინდება ზოგიერთ დასავლურ კულტურაში, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სწრაფეაში, თავისუფალი ბაზრის პირობებში გააძლიეროს საზოგადოების ზოგიერთი წევრის სტიმულირება იარაღის მფლობელთა ინდივიდუალური უფლებების შეზღუდვის გვერდით; კულტურათა მრავალუეროვნებისადმი კანადურ გახსნილობაში, იმავდროულად უხეში პორნოს აკრძალვასთან ერთად; ამერიკულ ძალისხმევაში, წახალისოს მოქალაქეთა და ხელისუფლების ურთიერთპასუხისმგებლის ახალი აღქმა", რომელიც აბალანსებს იმას, რასაც ინდივიდი საზოგადოებას აძლევს იმასთან, რასაც საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ინდივიდი საზოგადოებას უბრუნებს. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ნაცადია გარკვეული პიროვნული თავისუფლების წახალისება და, იმავდროულად, იმათი შეზღუდვა, ვინც შესაბამისი კონტროლის გარეშე შეიძლება საზოგადოების კეთილდღეობა დააზარალოს.

კოლექტივისტურ ინტერესებზე ზრუნვის გამოვლინებაა, ერთი შეხედვით, პიროვნების ინდივიდუალური უფლებების ხელყოფა-

**შეზღუდვა:** თვითმფრინავებში მგზავრთა ბარგის შემოწმება, ფრენის დროს მოწევის აკრძალვა, მძლოლთა სიფრიზლიანობის შემოწმება გზაზე და სისწრაფის შეზღუდვა აეტოსტრადებზე; მსგავსი ლონისძიებები იმის დადასტურებაცაა, რომ საზოგადოებისთვის მისაღებია პიროვნების უფლებების შეზღუდვა საერთო კეთილდღეობისთვის. ზოგიერთი ინდივიდუალისტი აფრთხილებს, ამგვარმა შეზღუდვებმა შეიძლება მოლიპულ გზაზე გაგვიყვანოსო, რამდენადაც მიიჩნევენ, რომ ადამიანისთვის უფრო მნიშვნელოვანი უფლებების — უმრავლესობის ინტერესების დაცვით უმცირესობის უფლებების დარღვევის საშიშროება ჩნდება; კომუნიტარიანელთა პოზიციით კი, თუ დღესვე არ მოხერგახდება ინდივიდის უფლებებისა და ჩვენი კოლექტიური კეთილდღეობის ბალანსირება, განჩდება უფრო ძლიერი საფრთხე — რეინის ხელის მოთხოვნილება. ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების თაობაზე პოლიტიკური დებატები ბოლო პერიოდში სულ უფრო ძლიერდება.

დ. მაირისი აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ახალი კროსკულტურული თეორია, რომელიც ალტერნატიული კულტურული ლირებულებების გამოვლენისა და ჩვენს საკუთარში უკუთ გარკვევის შესაძლებლობას იძლევა.

კულტურის გავლენა სოციალურ ნორმებსა და ლირებულებებზე აშკარაა. ასევე აშკარაა ის, რომ სამყაროს მრავალფეროვნება, მათ შორის, საზოგადოების მოწყობაში, ორი ალტერნატიული ერთიანებით — კოლექტივიზმითა და ინდივიდუალიზმითა არ ამონურება ზუსტად ისევე, როგორც პიროვნების კულტურული ტიპი არ დაიყვანება მეცნიერებაში აღნერილ ორი პიროვნულ ტიპზე. შესანიშნავი მეცნიერები, კომუნიტარიანიზმის ნარმობადგენლები Markus-ი და Kitaiama- აღნიშნავნ, რომ მათ მიერ შესავლილი დამოუკიდებული და დამოკიდებული Self — ის ორივე ასევეტი — ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური, ინდივიდში სხვადასხვა ხარისხითა ნარმობების და მასში თანაარსებობს; ასეთი თანაარსებობა ასევე გარკვეულ კულტურულ გარემოში მიღლება. ბუნებრივია, არსებობს კულტურები, რომლებიც ასევე თავსადება ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის კონტინუუმის არაუკიდურეს პოლუსებზე. ეს კულტურები, და მათ შორის, ქართული კულტურაც, თავისი მრავალსაუკონვანი კულტურული ტრადიციით, ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევრებს.

## რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე კულტურათა დიალოგის განსაკუთრებული აქტუალობის გამო მკვლევართა მუდმივი ინტერესის საგანია კულტურათამორისო კომუნიკაცია და მისი სიძნელეები. ამ ამოცანის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რამ-

დენიმე პრობლემას, მათ შორის კულტურათაშორისო კომუნიკატორ—ინდივიდებს. ადამიანის პიროვნული და სოციალური უნარები აღიარებულია კულტურებსა და კონტექსტებს შორის კომუნიკაციის წარმატების ერთ—ერთ მნიშვნელოვან პირობად. ძალზე მნიშვნელოვანად მიიჩნევა ე.ნ. ინტერპერსონალური კომპეტენტურობა (იზომორფული ატრიბუციის, სხვისი ქცევის ანალიზის უნარი, სხვა პიროვნების მოლოდინების (კოდნა), კულტურულ კონტექსტში გარკვეულობა. მკვლევაორთა აზრით, კულტურათა შორის დიალოგის ეფექტურობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთპატივისცემის, ურთიერთობისთვის შინაგანი მზაობის გამოვლენა — გამოხატვას, ცოდნის მიღებაზე ორიენტაციას (კონკრეტული ხალხის ტერმინოლოგიის გაგებისენ სწრაფვა), ემპათიურობას, როლის მიხედვით ქცევას, ურთიერთობის მართვის უნარსა და ორაზროვნების მიმართ შემწყნარებლობას.

ურთიერთობათა ეფექტურად წარმართვისთვის მკვლევრები აყალიბებენ რეკომენდაციებსაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის; კოლექტივისტურ კულტურაში მოხვედრილ ინდივიდუალისტებს ურჩევენ დაპირისპირების თავიდან არიდებას, ხანგრძლივი ურთიერთობის კულტივაციას, თავმდაბლობას, ჯგუფურ იერარქიაში მოსაუბრის ადგილით დაინტერესებას და თავისი სოციალური მდგომარეობის აღნიშვნას, ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურაში მოხვედრილკულექტივისტებს ურჩევენ მეტ კრიტიკულობას, საქმეზე მოვლით კი არა, პირდაპირ საუბარს, მეტ გამბედობას პირადი უნარებისა და მინწევების ჩვენებაში, თანამოსაუბრის პირადი თვისებების მეტად გამოკვეთას, ხოლო სოციალური მდგომარეობისა და ჯგუფისადმი კუთვნილებისთვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭებას.

საზოგადოების ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ ორიენტაციებს თავ-თავისი უპირატესობა გააჩნია, მაგრამ იმავდროულად, თავიანთი სისუსტე და წაკლიც აქვთ. თანამედროვე კულტურის მკვლევართა დიდი ნაწილი რომლებიც კარგად იცნობიერებენ ორივე ტიპის კულტურული ორიენტაციის ძალასაც და სისუსტესაც, ემსრობიან კომუნიტარიანზმის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალიზმისა (ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემის) და კოლექტივიზმის (ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის) სინთეზირებას. მათი აზრით, უნდა მოხდეს ინდივიდუალური უფლებებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის კოლექტიური უფლებების ბალანსირება.

თანამედროვე გაგებით, მოდერნი ტრადიციას არ უპირის-პირდება. დღეს კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმს აღარ განიხილავენ რაღაც თეორიული კონტინუუმის ურთიერთგამომრიცხავ პოლუსად. მიიჩნევა, რომ ორივე კულტურული სინდრომი შეიძლება

თანაარსებობდეს, ამასთან, თითოეული მათგანი სიტუაციის მიხედვით შეიძლება მეტ-ნაკლებად აშეარად გამოვლინდეს ცალკეულ კულტურაშიც და ცალკეულ ადამიანშიც.

### დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებები.
2. ჩამოთვალეთ ის ღირებულებები, რომელთა გაერთიანებასაც ცდილობს კომუნიტარიანიზმი.
3. რას უნდა ითვალისწინებდნენ კოლექტივისტი და ინდივიდუალისტი ერთმანეთთან ურთიერთობისა?

### გასაცნობი ლიტერატურა

1. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw-Hill, 1994 გვ. 181-206
2. Triandis H.C. Individualism and Collectivism. Westview Press, 1995; გვ. 38-43; 83-86
3. Brislin and A.-M. Horvath. Cross-cultural Training and Multicultural Education. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol. 3, 1996, pp. 327-371
4. Майерс Д. Социальная психология. Санкт-Петербург 1998 გვ. 253-256
5. Дружинин В. Н. Психология семьи. Екатеринбург, 2000

### ძირითადი ცნებები

- კომუნიკაცია — ინფორმაციის გადაცემა ერთი პირის ან ჯგუფის მიერ მეორესთვის. კომუნიკაცია არის ყველა სახის სოციალური ურთიერთებების აუცილებელი საფუძველი
- კომუნიტარიანიზმი — ინდივიდუალიზმის (ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემის) და კოლექტივიზმის (ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის) სინთეზირების ცდა.

## **მთავრობული დისტანცია:**

1. სუმბაძე გ. სოციალური სქემა. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, №3, 2000, თბილისი, გვ. 41-61
2. Aycan Z, Kanungo R. N., Sinha J.B.P. Organizational Culture and Human Resource Management Practices. The Model of Culture Fit. Journal of cross-cultural psychology. Vol.30 No.4, July 1999 500-526
3. Berry J.W. Jntroduction to methodology. Handbook of cross-cultural psychology. Boston: Allyn and Bacon 1980 Vol.2 Methodology/ed. by H.C. Triandis, J.W. Berry, pp. 1-28.
4. Berry J.W., Poortinga Y.H., Segall M.H. Dasen P.R. Cross-Cultural Psychology: Research and applications. Cambridge etc.; Cambridge un.Press, 1992
5. Bond R.,Smith P.B. Culture and conformity: A meta-analysis if studies using Asch's (1952, 1956) line judgment task. Psychological Bulletin. 1996. Vol.119(1); P.111-137
6. Brislin and A.-M. Horvath. Cross-cultural Training and Multicultural Education. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol.3, 1996, pp. 327-371
7. Charch A.Timothy. Personality Research a Non-Western Culture: The Philippines. Psychology Bulletin. 1987.Vol. 102; No. 2, pp. 272-292
8. Dias-Loving Rolando. Contributions of Mexican ethnopsychology to the resolution of the etic-emic dilemma in personality. Journal of cross-cultural psychology. Vol.29, No.1, January 1998 104-118
9. Fiske A. P. (1992). The four elementary forms of sociality: framework for unified theory of social relations. Psychological Review, 99, pp. 689-723
10. Goodvin R. Relationship between two Cultures. 2000
11. Grimm Stephanie D.; Church A. Timothy; Katigbak Marcia S.; Reyes Jose A.S. Self-Described Traits, Values, and Moods Associated with Individualism and Collectivism. Journal of cross-cultural psychology. Vol.30, No.4, July 1999 466-500
12. Markus Hazel; Kitayama Shinobu. (1991) Culture and the Self: Implications for Cognition, Emotion and Motivation. Psychological Review, 98, 224-253
13. Markus Hazel; Kitayama Shinobu. The Cultural Psychology of Personality. Journal of cross-cultural psychology. Vol.29 No.1, January 1998 63-87

14. Ho David Y.F. Indigenous psychologies . Asian Perspectives. Journal of cross-cultural psychology. Vol.29 No.1, January 1998 88-103
15. Hofstede and Associates. Masculinity and Feminity. The Taboo Dimension of Nacionalen Cultures. Sage Publications, 1998, pp.16-17, 175
16. Hui C. H. Triandis H.C. Individualizm – collectivism: A study of cross-cultural researchers. Journal of cross-cultural psychology. Vol.17, No.2, January 1986 pp. 225-248
17. Hui C.H., Triandis H.C., Effects of culture and response format on extreme response style. Journal of cross-cultural psychology. Vol. 20, 1989, pp. 296-309
18. Kagitcibasi C. Individualism and Collectivizm. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Val. 3, 1996; pp. 1-51
19. Kagitcibasi C., Rerry J.W. Cross-Cultural Psychology: Current research and trend. Annual Review of Psychology. 1989. Vol.40, pp. 493-531
20. Kagitcibasi C., Rerry J.W. Cross-Cultural Psychology: Current research and trend / Annual Review of Psychology. 1989. Vol. 40, 493-531
21. Koester, M. Olebe. The Behavioral Assessment Scale for Intercultural Communication Effectiveness. International Journal of Intercultural Relacions. Vol.12 pp. 233-246, 1988
22. Lee Y.T., Seligman M.E.P. Are American more optimistic than Chines? Personality and Social Psychology Bulletin. 1997.Vol. 23 pp.32-40
23. Matsumoto D. Culture and psychhology. Pacific Grove (Cal) etc.:Brooks/Cole Publishing Company, 1996
24. McDonald K. Evolution, Culture, and the five-factor model. Journal of cross-cultural psychology. Vol.29, No.1, January 1998 119-149
25. Paul G. Wilhelm. The relationship of three Measures of corruption to Individualism and Collectivizm: Implications for entrepreneurship education; 2000
26. McCrae R.R, Costa P.T. JR. del Pilar Gr.H., Rolland J-P., Parker W. D. Cross-Cultural Assessment of the five-factor model. The Revised NEO Personality Inventory. Journal of cross-cultural psychology. Vol. 29, No.1, January 1998 171-188
27. Rerry J.W. Culture: the neglected concept. The Search of indigenous Psychologies. Social Psychology Across Cultures. 1999
28. Schwartz Shalom H. Beyond Individualizm/Collectivism: New Cultural Dimensions of Values. Individualizm and Collectivism, ed. by

- Kim U., Triandis H.C. Kagitcibasi C., Choi S.Ch., yoon G. 1994, 85-123
29. Schwartz Shalom H. Individualizm/Collectivism: Qritique and proposed refinements. Journal of cross-cultural psychology. Vol. 21, No.2, 1990 pp. 139-157
30. Segale, Dasen,Berry and Portinga (1990) Human behavior in global Perspective. Pergamon Press: Neu York,
31. Singelis, M.H. Bond, W.F. Sharkey, H.Siu Yiu Lai. Unpacking Culture^s influence on self-esteem and embarrassability. Journal of cross-cultural psychology. Vol. 30 No.3 May 1999 315-341
32. Smith p.b. and Schwartz Sh. H. Values. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol. 3, 1996, pp. 77 -119
33. Church T., Lonner W. J. The Cross-Cultural perspective in the study of Personality. Rationale and Current Research. Journal of cross-cultural psychology. Vol. 39 No.1, January 1998 32-62.
34. Tinaka Matsumi J. and Draguns J. Culture and Psychopathology. Handbook of Cross-Cultural Psychology, ed. by Berry J.W., Segall M.H., Kagitcibasi G., Vol. 3, 1996, pp. 449-493
35. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw-Hill, 1994
36. Triandis H.C. (1987) Collectivism and Individualizm as Cultural sindromes. Cross-cultural Research, 1993 Vol.27 (sami-4), pp. 155-180
37. Triandis H.C. (1989). The Self and Social behavior in Differing Cultural Contexts. Psychological Review, Vol. 96, No. 3, pp. 506-520
38. Triandis H.C. Individualizm and Collectivism. Westview Press, 1995
39. Triandis H.C. Theoretical and Methodological Approaches to the Study of Collectivism and Individualism. Individualizm and Collectivism, ed. Kim U., Triandis H.C. Kagitcibasi C., Choi S.Ch., yoon G. 1994, pp. 41-52
40. Van De Vliert, Sh. Schwartz, S. E. Huismans, G. Hofstede, S. Daan. Temperature, cultural masculinity, and Journal domestic political violence.N of cross-cultural psychology. Vol.30 No.3, May 1999 291-314
41. Агеев В. С. Межгрупповое взаимодействие: социально-психологические проблемы. М. Изд-во МГУ, 1990 стр. 131
42. Аронсон Э. Социальное животное «Аспект-Пресс», М, 1999
43. Бажноков Б. Х. Очерки этнографии общения адыгов. Нальчик. Эльбрус, 1983

44. Байтсон Гр. Экология разума, М. Изд-во «Смысл», 2000 121-138
45. Бек Ул. Общество риска – на пути к другому модерну. М. Прогресс-Традиция. 2000
46. Бенедикт Р. Психологические типы в культурах Юго-запада США. Антология исследований культуры. Т.1. Интерпретация культуры. СПБ, Университетская книга, 1997, 271-284
47. Большой толковый психологический словарь. Ред. А. Вебер, в 2-х томах, М. Изд-во «Вече.Аст» 2000
48. Галочкина Е. "Пусть меня научат". Межкультурная коммуникация в учебной аудитории. Центр средств массовой коммуникации МГУ, 1999
49. Гиденс Э. Социология. М. 1999.
50. Гумилев Л.Н. Этногенез и биосфера земли. Л. 1990
51. Гуревич А.я. Категории средневековой культуры, М. 1984
52. Доусон Кр. Культура и религия. М. 2000
53. Дружинин В. Н. Психология семьи. Екатеринбург, 2000
54. Зидер Р. Социальная история семьи в Западной и Центральной Европе (конец xviii - xx вв.) М. 1997
55. Иванов В. Вс. Чет и нечет. М. 1996
56. Касьянов В. В., Нечипуренко В. Н., Самыгин С.И. Социология. Ростов-на-дону, 2000
57. Конфликтология. М. 1998
58. Кон И. С. К проблеме национального характера. История и психология. М. Наука. 1971 122-158
59. Кон И.С. Социологическая психология, Москва-Воронеж, 1999
60. Конрад А. Запад и восток, М. Наука, 1972
61. Кэррол Э. Изард . Психология эмоций. Санкт-Петербург, 2000
62. Левин К. Разрешение социальных конфликтов. М. 2000
63. Леви-Строс К. Первобытное Мышление. М. Республика 1994
64. Леви-Строс К. Структурная антропология. М. . Наука. 1985
65. Лоусон Т. Геррод Дж. Социология, словарь-справочник, М. Изд-во «Гранд» 2000
66. Лурье С. В. Историческая этнология. М. Изд-во «Аспект-Пресс» 1998
67. Майерс Д. Социальная психология. Санкт-Петербург 1998
68. Майерс Д. Социальная психология. интенсивный курс. Санкт-Петербург 2000
69. Мендра А. Основы социологии. М. 2000
70. Мид М. Культура и мир детства. М. Наука, 1988
71. Первин Л. Джон О. Психология личности. Теория и исследования, «Аспект-Пресс», М, 2000

72. Пронников В.А, Ладанов И.Д. Японцы (этнопсихологические очерки) М. Наука 1985
73. Росс, Р. Нисбет. Человек и ситуация. «Аспект-Пресс», М, 2000
74. Садохин А.П. Грушевицкая Т.Г. Этнология М. 2000
75. Социологический энциклопедический словарь- на русском, английском, немецком, французском и чешском языках ред.- координатор Г. В. Осипов, Москва, 1998 стр. 101, 128
76. Стефаненко Т. Г. Этнопсихология. М. Институт психологии РАН, 2000
77. Турен А. Возвращение человека действующего. 1998
78. Шихирев П. Современная социальная психология.  
Екатеринбург-Москва, 2000
79. Эриксон Э. Детство и общество, Санкт-Петербург, 2000